ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

რუსეთის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო კათედრა

ანა მანაგაძე

# ევროპული წყაროები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ (მე-19 საუკუნის 30 - 50-იანი წლები)

რუსეთისმცოდნეობის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

ასოც. პროფ. დალი კანდელაკი

თბილისი

2017

შ ი ნ ა ა რ ს ი

**შესავალი** .......................................................................................................................... 3

**თავი 1. აპოლინარი რუკევიჩი და მისი ნაშრომი „მოხუცი ერივნელის მოგონებები“** ...........................................................................................25

§ 1. ბიოგარფიული ცნობები .... ............................................................................ ......25

§ 2. პოლონელები რუსეთის იმპერიის სამსახურში ......................................................... 27

§ 3. ცალკეული კავკასიის კორპუსის ისტორიიდან.. ....................................................... 36

§ 4. ნიკოლოზ I-ის ვიზიტი კავკასიაში. სამშვიდობო პროექტების ილუზია და რეალობა ...........................................................................................................52

§5.1834-1838 წლების საბრძოლო მოქმედებები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში .......65

**თავი 2. გრაფი დე სუზანე რუსეთის კავკასიური პოლიტიკის შესახებ** ...................... 75

§ 1. გრაფი დე სუზანეს ვიზიტი კავკასიაში ............ ....................................................... 75

§ 2. პოლიტიკური და სამხედრო ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ..................................................................................77

§3. გარფი დე სუზანეს მოსაზრებები XIX საუკუნის 40-იან წლებში რუსების მიერ დაშვებულ სტრატეგიულ შეცდომებზე .............................................................. 86

§ 4. რუსეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკა კავკასიაში XIX საუკუნის 40-იან წლებში .................................................................................................... 96

§ 5. თბილისი XIX საუკუნის 30-50-იან წლებში ............................................................ 111

**თავი 3. თეოფილ ლაპინსკის ცნობები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ** ............................................................................. 118

§ 1. თეოფილ ლაპინსკის ბიოგრაფია ........................................................................ 118

§ 2. პოლონელი ემიგრანტების მოღვაწეობა კონსტანტინოპოლში ............................. 119

§ 3. ინგლისელების და პოლონელების მისია კავკასიაში ............................................. 126

§ 4. ლაპინსკის რაზმი ჩერქეზეთში ............................................................................ 133

§ 5. ცნობები საქართველოზე ..................................................................................... 147

§ 6. ექსპედიციის დასასრული ................................................................................... 151

§ 7. მოღალატე ჩერქეზეთში. ლაპინსკის ექსპედიცია - რუსული დაზვერვის პროექტი ............................................................................................................. 155

**დასკვნა** .............................................................................................................. 173

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა** ........................................................ 178

## შესავალი

### თემის აქტუალობა

ცნობებს რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ XIX საუკუნის უამრავ ევროპულ წერილობით წყაროში ვხვდებით. მათ მიმართ ინტერესი დღესაც არ განელებულა. ევროპელები წინა საუკუნეებშიც იყვნენ დაინტერესებულნი რეგიონში მიმდინარე პროცესებით და კვლავაც აკვირდებიან მიმდინარე მოვლენებს.

კავკასია შორეული წარსულიდან სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკურ, სამხედრო და სავაჭრო ინტერესების არეალს წარმოადგენდა. ამის გამო, საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა განსაკუთრებული კულტურული სივრცე, სადაც გაერთიანებულ იქნა კავკასიის, აღმოსავლეთის და დასავლეთ ევროპის ხალხის უნიკალური კულტურა და ტრადიციები (ფილინა 2016 :315).

ევროპულ მასალებში კავკასიის შესახებ ცნობები განსაკუთრებულად დიდი რაოდენობით XIX საუკუნიდან გვხვდება. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ იკვეთება ევროპული სახელმწიფოების დაინტერესება კავკასიის გეოპოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური მდგომარეობით, ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნებით და სხვ. XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის დიდი კავკასიური ომები ევროპის პოლიტიკოსთა თუ საზოგადო მოღვაწეთა დაინტერესების ობიექტი გახდა. იმ პერიოდში ხდებოდა არა მხოლოდ რუსეთისა და კავკასიელი მთიელების ინტერესების შეჯახება, არამედ ინგლისის, თურქეთის და სპარსეთის ინტერესებიც უპირისპირდება ერთმანეთს.

დღეს, როდესაც კავკასია ისევ კონფლიქტურ ზონას წარმოადგენს, მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებული ყველაზე სისხლიანი და ხანგრძლივი კავკასიური ომის ისტორიის შესწავლა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა შესწავლილი მე-19 საუკუნის 30-50-იანი წლების ევროპულ წყაროებში აღწერილი კავკასიის რეგიონის ისტორია. ამ პერიოდის კავკასიის ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ისტორიის წყაროების აბსოლუტური უმრავლესობა დაცულია რუსეთის სახელმწიფო უწყებათა მასალებში. მთელი საქმისწარმოება რუსულია და ამავე დროს, ოფიციალური. რუსული წარმოების მასალის ჩვენთვის საინტერესო მიმართულებით შესავსებათ და მისი

ობიექტურობის გადასამოწმებლად, აუცილებელია უცხოენოვანი მასალების ძებნა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელში შეგვრჩება რუსული წყაროების მიხედვით დაწერილი კავკასიის ხალხთა ისტორია. შესაბამისად, უნდა დავეყრდნოთ უცხოენოვან მასალებს და ასე შევავსოთ არსებული წყაროთა ბაზა. ამ მასალების შეჯერება სხვა წყაროებთან და ობიექტური სინამდვილის დადგენა ხელს შეუწყობს რუსეთისა და კავკასიელ ხალხთა ურთიერთობების სპეციფიკის სიღრმისეულ გაგებას. ეს წყაროები მნიშვნელოვანია ისტორიული პირების, რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დამყარების პროცესში მიმდინარე სამხედრო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მოვლენების, წარმოებული რეფორმების შეფასებისას. ევროპული წყაროები ქართული ისტორიოგრაფიისათვის ფრიად საინტერესო წყაროთმცოდნეობითი მასალაა და მათი შესწავლა აქტუალურ საკვლევ პრობლემას წარმოადგენს.

ევროპულ ენებზე გამოცემული მე-19 საუკუნის 30-50-იანი წლების წერილობითი წყაროები კავკასიის შესახებ მათი მოცულობის, თემატიკისა თუ შინაარსის მიხედვით მეტად მრავალფეროვანია და რამდენიმე ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ:

1. პერიოდული პრესის მასალები, კერძოდ, საგაზეთო კორესპონდენციები;

2. სამეცნიერო, ლიტერატურულ, პოლიტიკურ და საცნობარო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები;

3. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში მოღვაწე ევროპელ მეცნიერთა შრომები;

4. სხვადასხვა ევროპული ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებისა და ჯაშუშების ნაშრომები;

5. ევროპელ მოგზაურთა ნაშრომები, რომლებიც არავის დაკვეთას არ ასრულებდნენ.

ნაწარმოებებში ასახული კავკასიაში მიმდინარე მოვლენები დიდ ზეგავლენას ახდენდა უცხოელებზე და მეტ-ნაკლებად პასუხობდა მათ კითხვებს - რა არის კავკასია, რატომ აწარმოებს რუსეთი ომს ამ რეგიონში და ა.შ. ამ მასალებიდან საზოგადოება ეცნობოდა კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და

სოციალურ მდგომარეობას, რუსეთისა და სხვა ქვეყნების ინტერესებს კავკასიის მიმართ, რუსეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკის არსს, კავკასიელი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას რუსეთის და სხვა დამპყრობლების წინააღმდეგ, ხალხის ყოფა-ცხოვრებას და სხვ. (კანდელაკი 2016:270-271).

წყაროებს ისტორიული მოვლენების მეტ-ნაკლები სიზუსტე ახასიათებთ, მაგრამ ხშირად მაინც პირველწყაროს მნიშვნელობას ინარჩუნებენ და მათი გათვალისწინება ამ პრობლემის მკვლევრებს საკმაოდ დიდ დახმარებას უწევს მრავალი საკითხის გარკვევაში.

მნიშვნელოვან წყაროს XIX საუკუნის 30-50-იანი წლების კავკასიის ისტორიის მკვლევართათვის წარმოადგენს ევროპული პერიოდული გამოცემები. ამ პერიოდში გამოიცემოდა მრავალი ჟურნალ-გაზეთი, რომლებშიც ქვეყნდებოდა ისტორიული შინაარსის მასალები, მათ შორის ცნობები კავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებაც. პერიოდიკის ეს გამოცემებია: ფრანგული გაზეთი „ლე ნორდი", ჟურნალი „რევიუ დე დიუ მონდე", გაზეთი „დე ორიენტი", „კონსტანტინოპოლი", გერმანული „აუგსბურგ ალგემაინე ცაიტუნგ", „ლლოიდი პეშტ", ინგლისური - „ზი ფრი პრეს", „ზი ილუსტრაიტედ ლონდონ ნიუს", „ზი სან", „ნიუ იორკ დაილი ტრიბუნი". აღსანიშნავია, რომ ფრანგულენოვანი ჟურნალის „რევიუ დე დიუ მონდე" სპეციალურ თავში „რუსეთი კავკასიაში" მოთავსებული იყო ნაშრომები, რომლებიც ეხებოდა რუსეთისა და კავკასიის ურთიერთობებს, კავკასიაში წარმოებულ საომარ მოქმედებებს, რუსეთის კავკასიურ პოლიტიკას და სხვ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როცა მოვლენები კავკასიურის ომის დროს „რუსული იარაღის სასარგებლოდ" ვერ ვითარდებოდა, რუსეთში სამხედრო-პოლიტიკური თემა ცენზურის ქვეშ იმყოფებოდა, ცნობები ამ ომის შესახებ იფილტრებოდა და იბეჭდებოდა მხოლოდ გაზეთში „რუსკი ინვალიდ".

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს XIX საუკუნის იმ ევროპელ მოგზაურთა და მეცნიერთა ცნობები, რომლებიც მეფის რუსეთის სამსახურში არ იმყოფებოდნენ. ამ პერიოდში კავკასიელები რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ. რუსეთის დომინანტას დამყარებამ შავი ზღვაზე გამოიწვია ინგლისისა და საფრანგეთის შეშფოთება და

დაპირისპირება რუსეთთან. კავკასიაში ინგლის-რუსეთის მეტოქეობა ასახულია ისეთ მოგზაურების ნაშრომებში, როგორიც არიან თომას ალკოკი „მოგზაურობა რუსეთში, სპარსეთში, თურქეთში, და საბერძნეთში“ (ალკოკი 1831), ტ. ამსტრონგი „მოგზაურობა რუსეთში და თურქეთში. განკუთვნილი მარშრუტით როგორიცაა სამხრეთ რუსეთი, ყირიმი და საქართველო, სპარსეთი, კურდისტანი, და მცირე აზია, კონსტანტინოპოლი“ (ამსტრონგი 1831), კონოლი არტური „მოგაზაურობა ჩრდილოეთ ინდოეთში, ინგლისიდან რუსეთის გავლით სპარსეთში და ავღანეთში“ (კონოლი 1839), ჯორჯ-თომას კეპელი „1827 წლის მოგზაურობის აღწერა ინდოეთიდან აზიაში, ბასსორის გავლით ბაღდადში, ბაბილონის ნანგრევები, დასავლეთ კასპიის ზღვის ნაპირები, ნიჟნი ნოვგოროდი, მოსკოვი და სანქტ-პეტერბურგი“ (კეპელი 1834) და სხვა. თითქმის ყველა მოგზაურობა კავკასიაში პირდაპირ თუ ირიბად სადაზვერვო ექსპედიციებთან იყო დაკავშირებული. სტრატეგიულ დაზვერვას კავკასიაში საფრანგეთის წარმომადგენლებიც აწარმოებდნენ. სხვადასხვა სახის ინფორმაციას შეიცავენ ჟან-ჩარლზი ბესსეს „მოგზაურობა ყირიმში, კავკასიაში, საქართველოში, სასომხეთში, და მცირე აზიაში, კონსტანტონოპოლში, 1829-1830 წლებში. ისტორიული მიმოხილვა“ (ბესსე 1838), ჩარლი ბელანჟეს „მოგზაურობა აღმოსავლეთ ინდოეთში, ჩრდილოეთ ევროპიდან საქართველოს პროვინციებში, სასომხეთიდან სპარსეთში, კუნძული იავას, მავრიკიას, ბონე-ესპერანას კონცხის და წმინდა ელენეს კუნძულის ტოპოგრაფიული აღწერა,1825, 1826,1827,1828, 1829 წლებში“. (ბელანჟე 1846), ტებუ დე მარინის „სამი მოგზაურობა შავი ზღვიდან ჩერქეზიის ნაპირებისაკენ“ (ტებუ დე მარინი 1837), ჰომარიე დე ჰელლის „რუსეთის მდგომარეობა კავკასიაში“ (ჰელლი 1841), პ. დენისის „ჩერქეზეთის ჩანახატები“ (დენისი 1843) ნაშრომები.

ზემომითითებულ წყაროებში უფრო მიუკერძოებელი და ობიექტური ცნობებია მოყვანილი და შესაბამისად, მეტ ნდობას იმსახურებენ, ვიდრე პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში მოღვაწე ევროპელი მეცნიერების გამოქვეყნებული მასალები კავკასიის შესახებ. მაგ.: ფინელი ბოტანიკოსის - ქრისტიანე სტივენის ნაშრომი „მოგზაურობა აღმოსავლეთ კავკასიაში“ (სტივენი 1832) ან თუნდაც გერმანელი ადოლფ თეოდორ კუპფერის „მოხსენება, სამეცნიერო

აკადემიისთვის, 1829 წლის ელბრუზის მთასა და კავკასიაში მოგზაურობის შესახებ.“ (კუპფერი 1830) და სხვა.

XIX საუკუნის II ნახევრიდან კიდევ უფრო მატულობს კავკასიაში ევროპელ მოგზაურთა და მეცნიერთა რიცხვი. ხშირად მათი უმეტესობა წლების განმავლობაში ცხოვრობდა ამ რეგიონის სხვადასხვა კუთხეში და ამ ერების სამსახურში დგებოდა. ზოგიერთმა მათგანმა სამუდამო სამყოფელი ამ ქვეყნებში. არაერთი ევროპელი ემსახურებოდა ერთგულად რუსეთის იმპერიას და ისინი თავს რუსებად მიიჩნევდნენ. ეს ხალხი განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩეოდნენ სახელმწიფო თუ საბრძოლო საქმიანობაში და მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნეს აღნიშნული პერიოდის შესახებ. მათ შორის აღსანიშნავია: შოტლანდიელი გენერალი ფილიპსონი, ბოჰემიის მკვიდრი ფრანცი კლიუკი ფონ კლუგენაუ, ვესტფალიიდან ბარონი გენერალი ზასი, პოლონელი გენერალ-ლეიტენანტი მარცელინ ოლშევსკი და სხვა.

**სამეცნიერო სიახლე**

ნაშრომში განხილულია და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვაქვს ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი ავტორების ნაშრომები:

1. პოლონეთის 1830-1831 წლების აჯანყების მონაწილე, კავკასიაში გადასახლებული, რუსეთის არმიაში მოსამსახურე აპოლონიარ რიუკევიჩის - „მოხუცი ერევნელის მოგონებები“;
2. ფრანგი მხვერავის, გრაფი დე სუზანეს - „კავკასიური პროვინციები რუსეთის ბატონობის ქვეშ. საქართველო, დაღესტანი, კასპიის ზღვის სანაპირო და შავიზღვისპირეთი“.
3. უნგრეთის 1848-1849 წლების ამბოხების მონაწილის, 1857-1859 წლებში რუსეთის წინააღმდეგ და კავკასიელი ხალხის მხარეს მებრძოლი თეოფილ ლაპინსკის - „კავკასიელი ხალხი და მათი განმათავისუფლებელი ბრძოლა რუსეთის წინაღმდეგ“.

- გადამუშავებულია წყაროების ფართო სპექტრი (საკანონმდებლო აქტები, საქმისწარმოების დოკუმენტაცია, სტატისტიკური მასალები), რომლის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების საკითხების შესწავლისას უპირველეს მნიშვნელობას იძენს პირადი წარმოშობის წყაროები, რომლებშიც რეალობა აღწერილია უშუალოდ მონაწილეების მიერ.

- კომპლექსურად შესწავლილია ისტორიული მოვლენების ფაქტორები, რომლებმაც ზეგავლენა იქონია რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობებზე.

- ჩატარებული ისტორიოგრაფიული ანალიზი გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ პრობლემების წრე, რომელიც პირველად გახდა სისტემური კვლევის საგანი.

- შესწავლილია კავკასიური ომის ხასიათი, ევროპული საზოგადოების აზრის გავლენა კავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე.

- კავკასიური ომი შეისწავლება, როგორც გეოპოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული, სოციალური, ეთნოგრაფიული და სხვა ფაქტორების კომპლექსური სისტემა, რომლებმაც  გავლენა იქონია რუსეთისა და კავკასიის ხალხთა ურთიერთობაზე.

- გამოვლენილია კავკასიურ ომში მონაწილე რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცების ძირითადი დეტერმინიზირებული მსოფლმხედველური განწყობა, აზროვნების წესი, წარმოჩენილია მათი ემოციური კულტურა და სამხედრო-ყოფითი ყოველდღიურობა.

**კვლევის მიზანია** მითითებულ ნაშრომებზე დაყრდნობით რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების ისტორიის შესწავლა 1830-1850-იან წლებში, როდესაც ეტაპობრივად ხდება კავკასიის მიერთება რუსეთის იმპერიის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სივრცესთან.

**კვლევის ამოცანები:**

- საკითხის პრობლემების ისტორიოგრაფიული დამუშავების ხარისხის გაანალიზება, ნაკლებად შესწავლილი კითხვების გამოვლენა.

- არსებული ისტორიოგრაფიული წყაროებიდან ყველაზე ინფორმატიული და მნიშვნელოვანი წყაროების გამოყოფა.

- კავკასიის რეგიონში რუსეთის იმპერიის სამხედრო-სტრატეგიული მიზნების დადგენა;

- ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში რუსეთის ხელისუფლების კოლონიალური პოლიტიკის  გაანალიზება;

- უცხოური სახელმწიფოების გავლენის განსაზღვრა კავკასიის ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსზე 1830-1850 წლებში;

- გარეპოლიტიკური ფაქტორების გავლენის გაანალიზება კავკასიაში განვითარებულ მოვლენებზე 1830-1850 წლებში;

- ევროპული საზოგადოებრივი აზრის რუსეთის კავკასიური პოლიტიკის შესახებ.

**კვლევის გეოგრაფიული ჩარჩოები** მოიცავს ჩრდილო კავკასიასა და ამიერკავკასიას, კერძოდ, საქართველოს.

სადისერტაციო ნაშრომის **მეთოდოლოგიური პრინციპებია** - ობიექტურობა, ისტორიზმი და სისტემური მიდგომა საკითხის მიმართ. ობიქტურობის პრინციპმა განაპირობა ფართო წრის წყაროების მოძიება, სადაც ადეკვატურად ასახულია რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობა. ისტორიზმის პრინციპმა მოგვცა საშუალება აღნიშნული საკითხის შესწავლა კავკასიური ომის ევოლუციის კონტექსტში.

მე-19 საუკუნის რუსეთისა და კავკასიის ხალხის ურთიერთობის საკითხის სირთულის და მრავალმხრივობის გამო აუცილებელი გახდა სისტემური პრინციპის გამოყენება, რამაც მოგვცა საშუალება განვიხილოთ რუსეთისა და კავკასიის ურთიერთობების პრობლემა როგორც, ცალკეული მჭიდროდ დაკავშირებული ელემენტების ერთობლიობა.

**კვლევის მეთოდს წარმოადგენს** სამსაფეხურიანი სისტემა:

- წყაროს ინფორმაცია ანუ წყაროს თარგმნა;

- წყაროს კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება - შედარება ქართულ, რუსულ, პოლონურ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვა პირველწყაროებთან, ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ შეხედულებებთან; ახალი მასალის სანდოობა და სიზუსტე-მცდარობის დადგენა;

- წყაროს ჩვენეული შეფასება, მისი ხასიათი და მნიშვნელობა.

**კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა**

სადისერტაციო ნაშრომის მასალები შეიძლება გამოიყენონ რუსეთისა და კავკასიის ურთიერთობების ისტორიის კვლევისას რუსეთისმცოდნეებმა, კავკასიოლოგებმა, პოლიტოლოგებმა, ისტორიკოსებმა, ფილოლოგებმა.

სადისერტაციო თემის შედეგები მოგვცემს საშუალებას შეიქმნას რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ისტორიის სპეციალური შესასწავლი კურსები.

დისერტაციის კვლევის ძირითადი დებულებები და დასკვნები წარმოდგენილია გამოქვეყნებულია სტატიების სახით სამეცნიერო კრებულებში. გარდა ამისა, ნაშრომის გარკვეული ნაწილები წარმოდგენილია სადოქტორო კოლოქვიუმის თემის სახით და სამეცნიერო კონფერენციებზე.

დისერტაციის სტრუქტურა განისაზღვრება მისი მიზნებით და ამოცანებით, მოიცავს 177 გვერდს, შედგება შესავალი ნაწილის, წყაროთა ბაზისა და ისტორიოგრაფიის მიმოხილვის, სამი თავის, 17 პარაგრაფის, დასკვნისგან, გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სიისა და დანართისგან.

**საკითხის წყაროთა ბაზა და ისტორიოგრაფია**

დღესდღეობით საქართველოში აღნიშნული პერიოდის ევროპული მასალების შესწავლის კუთხით უკვე მრავალი ნაშრომია გამოქვეყნებული. ზოგიერთ მათგანში უფრო ზედაპირულადაა განხილული კავკასიის ქვეყნებში მიმდინარე ესა თუ ის პოლიტიკური თუ კულტურული მოვლენები, წარმოებული ბრძოლების ისტორია, ზოგიერთში კი საკმაოდ საფუძვლიან აღწერილობას ვხვდებით. თუმცა ყველა ამ ნაშრომში შესაძლებელია მივაკვლიოთ ჩვენი საკვლევი თემისათვის საინტერესო ცნობებს.

ევროპული წყაროების კვლევით აქტიურადაა დაკავებული ისტორიის დოქტორი გია გელაშვილი, რომელმაც XIX საუკუნის რამდენიმე გერმანულენოვანი და ინგლისურენოვანი წყარო გამოაქვეყნა ქართულ ენაზე, რითაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა კავკასიათმცოდნეობის წყაროთა ბაზა. მონოგრაფიების სახითაა გამოქვეყნებული - „ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ“ (გელაშვილი 2005), „აუგუსტ ფონ ჰაქსტჰაუზენის მოგზაურობა საქართველოში“ (გელაშვილი 2011). გ. გელაშვილმა ასევე გამოიკვლია ინგლისელი მოგზაურების ლოურენს ოლიფანტისა (გელაშვილი 2013ბ) და „ედმუნდ სპენსერის ცნობები აფხაზეთის შესახებ“ (გელაშვილი 2013ა), „იულიუს კლაპროტის ცნობები ოსების შესახებ“ (გელაშვილი 2011ა), „იეგერის ცნობები თბილისის შესახებ“ (გელაშვილი 1991).

მე-19 საუკუნის კავკასიის, კერძოდ, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მდგომარეობის შესახებ საინტერესო წყაროს წარმოადგენს ევროპელი მოგზაურების კარლ კოხისა და ო. სპენსერის ნაშრომები. ლონდა მამაცაშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიას შემატა კ. კოხის მიერ 1855 წელს ლაიფციგში გამოცემულ კრებულში - „კავკასიის ქვეყნები და სომხეთი“ – შესული ო. სპენსერის „მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთის და სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ“ და კ. კოხის ნაშრომები – „მოგზაურობა რედუტ-კალედან ტრაპიზონამდე“ და „ბრძოლის ველზე გასვლა“ (მამაცაშვილი 1981). ორივე ევროპელი მოგზაური ერთ პერიოდში მოგზაურობდა კავკასიაში. მოგზაურები ნაშრომებში დაწვრილებით აღწერენ კავკასიელი მთიელების ბრძოლას მეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ. დეტალურ ცნობებს გვაწვდიან „საღვთო ომის“ წინამძღოლებისა და მეთაურების – ელიას მანსურის, შამილის და სხვათა – შესახებ. ზოგიერთ საკითხზე მოგზაურებს განსხვავებული პოზიცია უკავიათ; კ. კოხს კორექტივიც კი შეაქვს ო. სპენსერის მიერ მოტანილი ფაქტების შეფასებაში. შესაბამისად, მათ თხზულებებში გადმოცემული ამბები და ფაქტები უფრო მეტად საყურადღებოა, რადგან ისინი მომხდარი მოვლენების თვითმხილველები არიან.

მ. მგალობლიშვილი და ლ. მიქიაშვილი სტატიაში „მასალები XIX ს. 30-იანი წლების აფხაზეთის სამთავროს ისტორიიდან“ განიხილავენ ცნობილი სწავლულის ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ექვსტომიან ნაშრომს „მოგზაურობა კავკასიის გარშემო“. თხზულების ოთხი ტომი საქართველოს ეძღვნება. ნაშრომი ცალკეულ თავებად არის დაყოფილი და ყოველი მათგანი დასათაურებულია რომელიმე ისტორიული ძეგლის ან გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდების მიხედვით. შესაბამისად, ერთ-ერთი ასეთი თავი შეიცავს აფხაზეთის აღწერას. ავტორები წარმოდგენილ პუბლიკაციაში თარგმანისა და კომენტარების სახით გვთავაზობენ მასალებს XIX ს. 30-იანი წლების აფხაზეთის ისტორიიდან (მგალობლიშვილი, 2010).

საინტერესოა დ. ბერძენიშვილის ნაშრომი „უცხოელების თვალით დანახული საქართველო”, რომელშიც მოყვანილი აქვს სხვა პერიოდის ავტორების ცნობებთან ერთად მე-19 საუკუნის მოგზაურების – ფრანსუა გამბას, ბარონი ტორნაუს, ო. სპენსერის, კ. კოხის, მ. ვაგნერის – მასალებიც (ბერძენიშვილი 2010).

XIX საუკუნის გერმანულ მასალებზე დაყრდნობით დ. კანდელაკმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია “საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები გერმანულ წყაროებში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი – XIX საუკუნის პირველი ნახევარი)”. ამ თემაზე ქართულ, რუსულ და გერმანულ ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს არაერთი სტატია და წიგნი. მან ქართულ საზოგადოებას გააცნო XIX საუკუნის გერმანელი მოგზაურებისა და მეცნიერების ნაშრომები.

უნგრელი მოგზაურის იანოშ ბეშეს ცნობები აქვს განხილული აბესალომ ტუღუშს ნაშრომში „უნგრული წერილობითი წყაროები საქართველოს შესახებ”. იანოშ ბეშე 1830 წელს იმყოფებოდა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში. მოგზაურობა აღწერა უნგრულ და ფრანგულ ენებზე გამოცემულ წიგნებში. ა. ტუღუშს თარგმნილი აქვს მეტად მწირი მასალა, კერძოდ, ი. ბეშეს ცნობები ქალაქების თბილისის, გორის, ქუთაისის, რედუტ-კალეს შესახებ, მოსახლეობისა და ეროვნული შემადგენლობის, ვაჭრობის შესახებ (ტუღუში 2001: 31-35).

1839 წელს ლონდონში გამოქვეყნებული რიჩარდ უილბრაჰამის ნაშრომი „მოგზაურობა რუსეთის ტრანსკავკასიის პროვინციებში და ვანისა და ურუმიის ტბების სამხრეთ ნაპირის გასწვრივ 1837 წლის შემოდგომასა და ზამთარში“, ქართულად თარგმნა ნანა მელაძემ სახელწოდებით „რიჩარდ უილბრაჰამის მოგზაურობა საქართველოში“ (მელაძე 1990). რ. უილბრაჰამი საქართველოში 1837 წლის სექტემბერ-ოქტომბერში იმყოფებოდა. იგი აღწერს თბილისს, გერმანული კოლონიების მდგომარეობას და მოგვითხრობს კახეთსა და დარიალის ხეობაში მოგზაურობის შესახებ. ისტორიულ ცნობებს ნაკლებად გვაწვდის, თუმცა საკმაოდ დაკვირვებით აქვს აღწერილი ადგილობრივი ყოფა.

1934 წელს გამოიცა თედო სახოკიას მიერ თარგმნილი რუსი მოხელის, კ. ბოროზდინის ნაშრომი: “სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. „მოგონებანი“ (ბოროზდინი 1934). თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, კ. ბოროზდინს სრული შესაძლებლობა ჰქონდა კარგად შეესწავლა საქართველოს ეს ორი კუთხე. მოგონებებში მოყვანილია საყურადღებო ფაქტები, რომელიც გვანობს მეფის რუსეთის ამიერკავკასიაში, კერძოდ, სამეგრელოსა და სვანეთში წარმოებულ პოლიტიკას, მისი დამკვიდრების ცალკეულ ეპიზოდებს. მისი კავკასიური

მოგონებები, მიუხედავად მიკერძოებული და ტენდენციური პოზიციისა, საინტერესო წყაროს წარმოადგენს სამეგრელოსა და სვანეთის წარსულის შესწავლისათვის.

რუსულენოვანი წყაროებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, რომელიც უმნიშვნელოვანეს მასალებს შეიცავს. თორმეტ ტომში დაცულია და გამოქვეყნებულია ბრძანებები, რაპორტები, წერილები, სტატისტიკური და სადაზვერვო სამსახურების მონაცემები, ანგარიშები. ცნობების ტენდეციურობის მიუხედავად, ამ მასალების საფუძველზე საკმაოდ ნათლად ჩანს რუსეთის კავკასიური პოლიტიკური კურსი.

*საქართველოს ცენტრალურ არქივში* დაცულია კავკასიაში რუსეთის ადმინისტრაციის საკანონმდებლო და საქმისწარმოების დოკუმენტები, ხელნაწერები, მემუარული ლიტერატურა და პერიოდული გამოცემები, რომლებიც მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ საკვლევი საკითხის შესწავლისათვის.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული გვაქვს შემდეგ ფონდებში დაცული მასალები: ფონდი №16-ის - თბილისის სამხედრო გუბერნატორი, სამოქალაქო ნაწილის მმართველი - შემდეგი საქმეები:

ა) აღწერა 1, საქმე №4433 - მაწანწალების შესახებ, რომლებიც თავს პოლონეთის სამეფოს მკვიდრ მოსახლეობად აჩვენებდნენ.

ბ) აღწერა 1, საქმე №4419 – ანენფელდის კოლონიის 48 ოჯახის განთავსება სხვა კოლონიებში, მათთვის მიწების მიცემა, გერმანელებისათვის ვალის პატიება და სხვ.

კვლევითი საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით მნიშვნელოვანია ფონდი №1087-ის - კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-ისტორიული განყოფილება - მასალები:

ა) აღწერა 1, საქმე №843 – დოკუმენტების ასლები – ყოველთვიური და წლიური რაპორტები პოლკის შესახებ, ჩანაწერები პოლკის ყოფითი ხასიათის შესახებ.

ბ) აღწერა 1, საქმე №343 - ბარონ როზენის პატაკების და ანგარიშების ასლები კავკასიურ ფრონტზე საომარი მოქმედებების შესახებ.

გ) აღწერა 1, საქმე № 346 - სხვადასხვა საარქივო დოკუმენტების ასლები კავკასიური ომის მსვლელობის შესახებ.

დ) აღწერა 1, საქმე №353 - სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტები, განყოფილების შედგენილი, მოსაზრებები კავკასიის დაპყრობის შესახებ, კავკასიური ხაზის მდგომარეობის შესახებ, შამილის მიმართვა და სხვ.

ე) აღწერა 1, საქმე №348 - ბარონ როზენის მიმართვა ავარიელ ხანებს.

ვ) აღწერა 1, საქმე №1280 – ფურცლები პოტტოს ხელნაწერიდან „კავკასიელი ჯარისკაცი“.

ზ) აღწერა 1, საქმე №1279 – უცნობი ავტორის სტატია „კავკასიის ცალკეული კორპუსის ჯარისკაცი“.

თ) აღწერა 1, საქმე №1045 - 1884 წლის ამონაწერი გაზეთ „კავკაზ“-იდან. ბერჟეს სტატია: იმპერატორი ნიკოლოზ I ჩამობრძანება კავკასიაში 1837 წელს. იმავე სტატიის 1884 წლის ამონაწერი ჟურნალ „რუსკაია სტარინა“-დან.

ი) აღწერა 1, საქმე №1047 - ნიკოლოზ I 1837-1838 წწ. პირადი განკარგულებების, რომელებიც ეხება სამხედრო საქმეებს, ამონაწერი საარქივო საბუთებიდან.

კ) აღწერა 1, საქმე №295 - ხელნაწერი (რუტკოვსკი) „1840 წელი კავკასიაში“.

ლ) აღწერა 1, საქმე №412- იუროვის სტატია „1840-1841-1842 წწ. კავკასიაში“.

მ) აღწერა 2, საქმე №412 – 648 - კავკასიაში რუსეთის ბატონობის დამყარების საქმე.

ნ) ფონდი 11, №389, კავკასიის მეფისნაცვლის დიპლომატიური კანცელარია, შეტყობინება საფრანგეთის ქვეშევრდომის გრაფ დე სუზანეს ჩამოსვლის შესახებ სპარსეთიდან ტიფლისში და შემდეგ სანქტ-პეტერბურგში.

ო) ფონდი 2 აღწერა 2 – საქმე № 2275,№2276 ამიერკავკასიის მთავარმმართველის კანცელარია. ნაწილი ქართული – სენატორ კუტაისოვის და მეჩნიკოვის ამიერკავკასიის მხარის რევიზიის წარმოების შესახებ. ნაწილი მე-4.

პ) ფონდი 2, აღწერა 1, საქმე №6282, №6283 – მმართველობის მდგომარეობა ამიერკავკასიაში 1840 წლის 10 აპრილის სენატის მითითების შედეგად. საქმე №4608- ვორცელის საქმე.

ჟ) ფონდი № 1505 - პროფესორ პოლიევქტოვის პირადი არქივი (1928-1942 წლები).

რ) საქმე №11 - ჩანაწერი კავკასიის კოლონიზაციის შესახებ. რუსეთის წინსვლა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, სტეპებით, მთებით, ზღვის ნაპირებისკენ (არ არის გამოცემული).

ს) საქმე №12 - ხელნაწერი „რუსეთი და კავკასია, როგორც რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრობლემა“ (არ არის გამოცემული).

ტ) საქმე №36 - ნაშრომი „ევროპელი მოგზაურები კავკასიაში“ მე-2 გამოცემის წინასიტყვაობა. ნაშრომის ნაწილი გამოუქვეყნებელია.

უ) საქმე №35, 1 და 2 ტომის „ევროპელი მოგაზაურები კავკასიაში“ ბიბლიოგრაფიული ბარათები.

ფ) საქმე №34, ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები თემასთან დაკავშირებით.

ქ) საქმე №59, 1 და 2 ტომის „ევროპელი მოგზაურები კავკასიაში“, ხელნაწერი.

რევოლუციამდე ოფიციალური რუსული ისტორიოგრაფია კავკასიურ ომს აფასებდა, როგორც იმპერიისათვის ახალი ტერიტორიების და იქ მცხოვრები დამოუკიდებელი ხალხის დაპყრობის საშუალებას. რუსეთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ომი, უზარმაზარი მატერიალური და ხალხის დანაკარგის მიუხედავად, მართლდებოდა იმპერიული იდეოლოგიით. კავკასიურ ფრონტზე მე-19 საუკუნის 30-50-იანი წლებში ძლევამოსილმა გამარჯვებებმა რუსეთის საზოგადოებას ამ მოვლენების მიმართ დიდი ინტერესი გაუჩინა. ომი, როგორც თემა, აღმოჩნდა ომის მონაწილეების და მკვლევრების ყურადღების ცენტრში. ასეთ ავტორთა რიცხვს მიეკუთვნებიან: დ. ი. რომანოვსკი, რ. ა. ფადეევი, ვ. ა. პოტტო.

რუსეთის და საერთაშორისო ურთიერთების სისტემის გეგმებში კავკასიის როლის და ადგილის განსაზღვრას ეცადა ომის ვეტერანი რ. ა. ფადეევი. ის კავკასიის შემოერთებას რუსეთის მხრიდან აუცილებელ და გარდაუვალ ნაბიჯად თვლიდა. თავის ნაშრომში „კავკასიის ომის სამოცი წელი“ და „წერილები კავკასიიდან“ (ფადეევი 2010ა) ფადეევი აღნიშნავს, რომ ინგლისისთვის აღმოსავლეთისკენ სწრაფვა არის მხოლოდ „სარფიანი საქმე”, რუსეთისათვის კი ეს არ არის მხოლოდ გამორჩენა, კაპრიზი, ფუფუნება, პოლიტიკური გავლენა, არამედ კავკასია არის ”სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმე” (ფადეევი 2010 :33). ამგვარი სულისკვეთებითაა გამსჭვალული ვ. პოტტოს ნაშრომიც “კავკასიური ომი ნარკვევებში, ლეგენდებში, ეპიზოდებში და

ბიოგრაფიებში” (პოტტო 1887) და დ. ი. რომანოვსკის „კავკასია და კავკასიური ომი“ (რომანოვსკი 1860).

რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ხასიათი შეფასებულია შემდეგ ნაშრომებში: ნ. ფ. დუბროვინის - „რუსების ბატონობა და ომის ისტორია“ (დუბროვინი 1871), ა.ლ. გიზეტტის „კავკასიური ჯარების ქრონიკა“ (გიზეტტი 1896), მისივე „კავკასიური ჯარის დანაკარგები კავკასიურ-მთიული, სპარსული, თურქული და ტრანსკასპიური ომების დროს“( 1801-1885)“ (გიზეტტი 1901).

მნიშვნელოვანია გამოჩენილი სამხედრო მოღვაწეებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურა: ა. ლ. ზისსერმანის „ფელდმარშალი თავადი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი“ (ზისსერმანი 1888)“, ა.ვ. ვენკოვის „კავკასიის რისხვა გენერალი ბაკლანოვი“ (ვენკოვი: 2013), ი. ნ. ზახარინის კრებული „კავკასია და კავკასიის გმირები“ (ზახარინი: 1902).

კავკასიური ომთან დაკავშირებით შემორჩენილია დიდი რაოდენობის მემუარები, დღიურები, ჩანაწერები, მოგონებები. ამ მასალის დიდი ნაწილი იყო გამოქვეყნებული კავკასიური ომის დამთავრების შემდეგ. კავკასიის მეფისნაცვალმა, დიდ თავადმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ თხოვნით მიმართა კავკასიური ომის ვეტერანებს გამოეგზავნათ თავისი მოგონებანი „კავკაზსკი სბორნიკის“ რედაქციაში. მასალები კავკასიურ მოვლენებზე იბეჭდებოდა იმდროინდელ რუსეთის პერიოდიკაში: კრებულებში - „კუბანსკი სბორნიკ“, „კავკაზსკი სბორნიკ“, „ვოენნი სბორნიკ“; ჟურნალებში - „რუსკი არხივ“, „რუსსკაია სტარინა“, „ისტორიჩესკი ვესტნიკ“, „სტარინა ი ნოვიზნა“; გაზეთებში - „კავკაზ“, „ტერსკიე ვედომოსტი“, „რუსკი ინვალიდ“. ამ გამომცემლობებში იბეჭდებოდა არა მარტო ისტორიკოსების სტატიები და ომის მონაწილეების მოგონებები, არამედ დანართის სახით გამოიცემოდა საარქივო დოკუმენტები. ყველაზე ინფორმატიულია იმ მაღალჩინოსანი ოფიცრების ჩანაწერები (გ. ი. ფილიპსონი, დონდუკოვ-კორსაკოვი, მილუტინი, მ. ი. ოლშევსკი), რომლებსაც წვდომა სამხედრო დოკუმენტაციასთან ჰქონდათ.

რუსული მემუარები და თანამედროვეთა ჩანაწერები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად გაიყოს: რუსეთის მხედართმთავრების, ოფიცრების და რიგითი

ჯარისკაცების მოგონებები. ამ მასალების გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ავტორები ასრულებდნენ „სოციალურ დაკვეთას“, ამიტომ თავს არიდებდნენ ნეგატიურ ეპიზოდებს და შესაბამისად, ისტორიულ რეალობასაც ამახინჯებდენ. მნიშვნელოვანია ა.ი. ბარიატინსკის „წერილები ევდოკიმოვთან“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „რუსსკაია სტარინა“ (ბარიატინსკი: 1886), ნ. ნ. მურავიოვი-ყარსკის ჩანაწერები „1816-დან 1826 წლამდე“, რომელიც სხვადასხვა წლებში გამოსცა ჟურნალმა „რუსსკი არხივ“ (მურავიოვი-ყარსკი: 1886, 1887, 1893, 1894); მ. ს. ვორონცოვის „წერილები ალექსეი პეტრეს ძე ერომოლოვის სახელზე“, გამოქვეყნებული ჟურნალში „რუსსკი არხივ“ (ვორონცოვი 1890).

შედარებით სარწმუნო წყაროებად შეიძლება მივიჩნიოთ: დონდუკოვ-კორსაკოვის „ჩემი მოგონებანი“ (დონდუკოვი 1902), (დონდუკოვი 1903), რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „სტარინა ი ნოვიზნა“; 1883 და 1884 წლებში„გრიგორი ივანის ძე ფილიპსონის მოგონებები“  გამოცემული გ. ი. ფილიპსონის „რუსკი არხივში“ (ფილიპსონი 1883), (ფილიპსონი 1884); ა.ა. ბესტუჟევ-მარლინსკის წერილები „რთული წლები კავკასიაში“, (ბესტუჟევ-მარლინსკი 1985); პ.ხ. გრაბბეს - „უბის წიგნაკის ჩანაწერები“ (გრაბბე 1889); გაზეთ "კავკაზ"-ის 1852 წლის №1-2-ში გამოქვეყნებული ფ.ფ. ტორნაუს - „ტყვედ ჩავარდნილი კავკასიელი ოფიცრის მოგონებები“ (ტორნაუ 2000).

მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის კავკასიაში მყოფი უცხოელების მემუარები და ჩანაწერები. მათი სხვა მასალებთან შედარება-შეჯერება საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ მიმდინარე მოვლენების ისტორიული სინამდვილე. ასეთ წყაროებს მიეკუთვნება ჯ. ბელლის ნაშრომი „1837, 1838, 1839 წლები ჩერქეზეთში“ (ბელლი 2007), ჯ. ლონგვორტის - „ერთი წელი ჩერქეზებს შორის“ (ლონგვორტი 1974), ედმუნდ სპენსერის - „მოგზაურობა ჩერქეზეთში“ (სპენსერი 1994), ა. ფონვილის - „ომის ბოლო წელი ჩერქეზეთის დამოუკიდებლობისათვის. უცხოელი მონაწილის ჩანაწერები“ (ფონვილი 2010), ფრედერიკ დუბუა დე მონპერეს - „მოგზაურობა კავკასიის ირგვლივ (ჩერქეზებთან, და აფხაზებთან, კოლხეთში, საქართველოში, სომხეთში და ყირიმში)“ (მონპერე 1937) და სხვა მრავალი.

ყურადღებას იმსახურებს მოსკოვის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ანთოლოგია - „რუსული საკითხი პოლიტიკის და აზროვნების ისტორიაში“. ამ კრებულში მოთავსებულია XIX საუკუნის ევროპელი ავტორების მრავალი სამეცნიერო სტატია, პოლიტიკური ხასიათის წერილი, ანტირუსული კარიკატურები და ა.შ., სადაც გაკრიტიკებულია, ზოგადად, რუსეთის იმპერიის საგარეო და საშინაო პოლიტიკა. ასეთია ანრი მარტენის „რუსეთი და ევროპა“, გენ ვიქტორის „რუსების ხასიათი“, ფრანციშეკ დუხინსკის „პოლონეთის და სხვა სლავური ქვეყნების ისტორიის საფუძვლები“, ფრიდრიხ ენგელსის „რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა“, კ. მარქსის „XVIII საუკუნის საიდუმლო დიპლომატიის გამოაშკარავება“ (რუსკი ვოპროს 2013).

ჩრდილო კავკასიის ხალხის ტრადიციებზე და ადათ-წესებზე, მათ სოციალურ - პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ინფორმაცია იძებნება ვენიუკოვის ნაშრომში “ნარკვევი ყუბანსა და ბელაიას შორის მდებარე სივრცეზე“ (ვენიუკოვი 1863), ნ. ო. კარლგოფის ნაშრომებში - „შავი ზღვის ჩრდილო -აღმოსავლეთ ნაპირის მცხოვრებ ჩერქეზთა თემების პოლიტიკური მოწყობა“ (კარლგოფი 1860 ა) და „მუჰამედ-ამინი“ (კარლგოფი 1860), ე. დ. ფელიცინის შრომაში - „თავადი სეფერ - ბეი ზანი” (ფელიცინი: 2010), ბერჟეს ნაწარმოებში - „მიხაილოვის გამაგრების დაცვა“ (ბერჟე 1877).

ზემომითითებული მასალები უნდა შევისწავლოთ იმის გათვალისწინებით, რომ რუსი ოფიცრები მომხრეები იყვნენ კავკასიის რეგიონში რუსეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკის და მთიელებს აღწერდნენ, როგორც ველურებსა და სასტიკებს, რომლებსაც არ ძალუძთ შეაფასონ რუსეთის ცივილიზატორული მისიის არსი და კეთილი ზრახვები კავკასიელების მიმართ. რუსეთის მთავრობა კავკასიის რეგიონის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციებს იღებდა ჩერქეზებისა და ადიღელებისგან. ამის მაგალითია ადიღელი სულტან ხან-გირეის „ჩანაწერები ჩერქეზეთზე“ (ხან-გირეი 1978). ავტორი რუსეთის მთავრობას თავისი ჩანაწერებით აცნობდა, განუმარტავდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კავკასიელისთვის სამშობლო, დამოუკიდებლობა და თავისუფლება და რაოდენ დამღუპველია რუსეთისთვის მათ მიერ გატარებული სასტიკი პოლიტიკა კავკასიაში.

განსაკუთრებული ადგილი რუსულ წყაროებს შორის უკავია რუსი ოფიცრების ცნობებს, რომლებიც მზვერავებად მსახურობდნენ და სტრატეგიული ინფორმაციის მოსაპოვებლად ინკოგნიტოდ მოგზაურობდნენ კავკასიაში. მთიელებთან ცხოვრებისას, მათი ყოფა-ცხოვრების შესწავლისას, მათ მიეცათ საშუალება მდიდარი ფაქტობრივი მასალა შეეგროვებინათ. მნიშვნელოვანია ი. ფ. ბლარამბერგის, ს.მ. ბრონევსკის, გ.ვ. ნოვიცკის, ლ.ი. ლულიეს, ფ. ტორნაუს და ნ. კარლგოფის ნაშრომები. ი. ფ. ბლარამბერგის მიერ შედგენილი „კავკასიის ეთნოგრაფიული, ტოპოგრაფიული, სტატისტიკური და სამხედრო აღწერა“ (ბლარამბერგი 2010) შეიცავს მონაცემებს უბიხების ტერიტორიულ განსახლებებზე და მოსახლეობის რაოდენობაზე. ეს მონაცემები მნიშვნელობას იძენს XIX საუკუნის რუსეთის პოლიტიკის შესწავლის და ისტორიული სინამდვილის ობიექტური შეფასებისთვის. ასეთი შინაარსის წყაროები უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, როცა საუბარია მთიელთა ეთნიკური წმენდაზე, მათი თურქეთში იძულებით გასახლებაზე. ს. ნ. ბრონევსკის ნაშრომი „უახლესი გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები კავკასიაზე“ შეიცავს ცნობებს კავკასიელი ხალხის განსახლებაზე და მოსახლეობის რაოდენობაზე (ბრონევსკი: 1823).

ცალკეულმა კავკასიურმა  კორპუსმა უდიდესი როლი ითამაშა კავკასიაში რუსეთის იმპერიის ძალაუფლების დამყარებაში. რუსეთის წინააღმდეგ კავკასიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიებს ვეცნობით რუსი ოფიცრების მ. რუკევიჩის ნაშრომში „ადაღუმის რაზმი“(რუკევიჩი 1896), კ. უგრინივიჩის - „1857 წლის კავკასიაში სამხედრო მოქმედებების მოკლე მიმოხილვა“ (უგრინოვიჩი 1858), ი. რ. ფონ-დრე-ხოვენის - „ჩემი ნაცნობობა დეკაბრისტებთან და სხვა ღირშესანიშნავი პიროვნებებთან, რომლებიც 1835-1836 წლებში რიგითებად მსახურობდნენ კავკასიურ ჯარებში“ (ფონ-დრე-ხოვენი 1980), ნ.ვ. სიმანოვსკის - „დღიური. 2 აპრილიდან - 3 ოქტომბრამდე 1837 წ., „კავკასია“ (სიმანოვსკი 1999), მ.ფ. ფიოდოროვის - „1835-1842 წ.წ. სალაშქრო ჩანაწერები კავკასიაში“ (ფიოდოროვი 1979).

კვლევისათვის უმნიშვნელოვანეს წყაროებს წარმოადგეს სამხედრო ისტორიკოსების მიერ დაწერილი „საპოლკო ისტორიები“, სადაც წარმოდგენილია დოკუმენტური მასალები საომარი ვითარებების, საბრძოლო და სანიტარული დანაკარგების შესახებ, საქმისწარმოების საბუთები, მოცემულია სტატისტიკური

მონაცემები, საფორმულარო სიები, ამონარიდები მაღალჩინოსანი თუ რიგითი ჯარისკაცების მოგონებებიდან; მოყვანილია ტექსტები საპოლკო სიმღერებიდან და ლექსებიდან. მნიშვნელოვანია თანდართული ილუსტრაციები, სადაც ასახულია სამხედროების ჩაცმულობა და ყოველდღიური ყოფა. ამ წყაროების რიცხვს მიეკუთვნება: ფ. არუტუნოვის ნაშრომი - „გომბორელები. მისი იმპერატორული უდიდებულესობის დიდი თავადის მიხაილ ნიკოლაევიჩის კავკასიური 1-ელი საარტილერიო ბატალიონის ისტორია“ (არუტუნოვი 1898), დ.ფ. შაბანოვის - „მისი უდიდებულესობის მე-13 ლეიბ-გრენადიორული ეროვნული პოლკის ისტორია“ (შაბანოვი 1871), პ.ო. ბობროვსკის - „მისი უდიდებულესობის ერივანის ლეიბ-გრენადიორული პოლკის 250-წლიანი ისტორია (1642-1892)“ (ბობროვსკი 1895), გ. ყაზბეგის - „მისი იმპერატორული უდიდებულების დიდი თავადის კონსტანტინე ნიკოლაევიჩის ქართული საგრენადიორო პოლკის სამხედრო ისტორია, კავკასიური ომთან დაკავშირებული (ყაზბეგი 1865), ა.ლ. ზისსერმანისს - „გენერალ-ფელდმარშალი ბარატინსკის მე-80-ე კაბარდინული ქვეითი პოლკის ისტორია (1726-1880)“ (ზისსერმანი 1881).

1840 წლს შემდეგ იქმნება დიდი რაოდენობით პროექტები, ჩანაწერები, რომლებიც კავკასიაში შექმნილ მდგომარეობის განვითარებას ეხებოდა. მათი ავტორები იყვნენ არამარტო კავკასიის მხედართმთავრობის, არამედ სამეფო ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც, უბრალო ჯარის ოფიცრები, მოგზაურები. პროექტები და ჩანაწერები ხშირად სამხედრო მინისტრის ა.ი. ჩერნიშევის და შემდეგ პირადად ნიკოლოზ I-ის ხელშიც ხვდებოდა. სწორედ ეს ორი ადამიანი, პრაქტიკულად ქმნიდა კავკასიურ პოლიტიკას. მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთი ავტორი ხედავდა და გამოთქვამდა შენიშვნებს გატარებულ პოლიტიკის შესახებ, აკრიტიკებდა რუს ჩინოვნიკებს, სთავაზობდა კონფლიქტის გადასაჭრელად ალტერნატიულ გზებს. დიდ ინტერეს იმსახურებს გ.გ. გაგარინის მოსაზრებები კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის შესახებ (გაგარინი 2004), ბარონ კორფის „ჩანაწერები“ (კორფი 2003), ჩანაწერი „ყოფილ გუბერნატორის თავად ნ.ო. პალავანდოვის მოგონებებიდან“ (ისარლოვი 1900).

მე-19 საუკუნის გერმანულენოვანი წყაროები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ საკმაოდ მრავალფეროვანია და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ასეთია ბოდენშტედტის „ათასი და ერთი დღე აღმოსავლეთში“ (ბოდენშტედტი 1850), მისივე „კავკასიის ხალხი და მათი განმანთავისუფლებელი ბძოლა რუსთის წინააღმდეგ“ (ბოდენშტედტი 1848), ჰაქსთჰაუზენის „ამიერკავკასია“ (ჰაქსთჰაუზენი 1856), კოხის - „მოგზაურობა საქართველოში, კასპიის ზღვით და კავკასიაში“ (კოხი 1847), კოლის - „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში“ (კოლი 1841), ნოიმანის - „ რუსეთი და ჩერქეზეთი“ (ნოიმანი 1840), მ.ვაგნერის - „ კავკასია და კაზაკების დასახლება“ (ვაგნერი 1848).

წყაროდ გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ფ. მარტენსის 15 ტომეული - „რუსეთის მიერ უცხოურ სახელმწიფოებთან დადებული ტრაქტატების და კონვენციების კრებული“ - შეიცავს XVII-XX საუკუნის რუსეთის მიერ უცხოურ სახელმწიფოებთან დადებული კონვენციების და ტრაქტატების დოკუმენტების დედნებს ორიგინალის ენაზე, რომლებიც ნათარგმნია ავტორის მიერ რუსულ ენაზე (მარტენსი 1874-1909). ასევე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს „1853,1854, 1855 და 1856 წლების სამხედრო მოქმედებების ანგარიშების, დიპლომატიური ქაღალდების და აქტების კრებული“ (სობრანიე 1858).

რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის გატარების აუცილებლობას განიხილავს თავის ნაშრომში ვ. ივანენკო, რომელიც შედგენილია სამხედრო-ისტორიული საზოგადოების დაკვეთით: „სამოქალაქო მმართველობა ამიერკავკასიაში საქართველოს შეერთებიდან დიდი თავადის მეფისნაცვალ მიხაილ ნიკოლაევიჩის მმართველობის დრომდე. ისტორიული ჩანაწერები. რუსეთის იმპერიის ნაციონალური გარეუბნები: მმართველობის დამყარება და განვითარება“ (ივანენკო 1998), რ. ფადეევის ჩანაწერი - „აზიური გარეუბნების მმართველობის შესახებ“ (ფადეევი 2010 დ).

საბჭოთა პერიოდში არაერთი ნაშრომი მიეძღვნა რუსეთის და კავკასიის ხალხების ურთიერთობების კვლევას. რუსეთის იმპერიის პოლიტიკური რეჟიმის რეაქციული ხასიათის და კავკასიის ომის კოლონიალური ხასიათის მიუხედავად, თვითონ კავკასიის შესვლა რუსეთის სახელმწიფოს ორბიტაში განიხილებოდა

როგორც პროგრესული მოვლენა, როგორც რუსი, ისევე კავკასიის ხალხისათვის. საინტერესოა ამ ქვეყნების ურთიერთობის განვითარების ისტორიისადმი მიძღვნილი შ. ცაგარეიშვილის რედაქტორობით გამოცემული დოკუმენტური მასალების კრებული „შამილი - თურქეთის სულთანის და ინგლისელი კოლონიზატორების რჩეული“ (ცაგარეიშვილი 1953), ა. მ. ზაიონჩკოვსკის ხუთტომეული - „აღმოსავლური ომი და მისი კავშირი თანამედროვე გარემოებასთან“ (ზაიონჩკოვსკი 2002), ლ. ადამოვისა და ე. კუტაკოვის „კავკასიის ომისდროინდელი საზღვარგარეთის აგენტურის მაქინაციების შესახებ''(ადამოვ 1950)

დიდ ინტერეს იწვევს ვ.გ. გაჯიევის და ხ.ხ რამაზნოვის მიერ შედგენილი დოკუმენტების და მასალების კრებული „ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიელების მოძრაობა 20-50-იან წლებში“ (გაჯიევი 1959), ა.მ. მაგომედ-დადაევის შედგენილი კრებული „მუჰამედ-ამინ (ასიალავი) და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის სახალხო-განმანთავისუფლებელი ხალხის მოძრაობა XIX საუკუნის 40-60-იან წლებში (მაგომედ-დადაევი 1998), ნ.ი. ედელმანის - „შეიძლება კავკასიის ქედის იქეთ...“ (ედელმანი 1900), მ. ნ. პოკროვსკის „XIX საუკუნის მეფის რუსეთის დიპლომატია და ომები“ (პოკროვსკი 1923). საინტერესოა პეტრუშევსკის რედაქციით გამოცემული ნაშრომი „XIX საუკუნის 20-60-იანი წწ. რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა აზერბეჯანში. ნაწილი I. ფეოდალური ურთიერთობები და კოლონიალური რეჟიმი.“(კოლონიალური 1936), კინიაპინას - „მე-19 საუკუნის პირვლ ნახევრის ცარიზმის საშინაო პოლიტიკა“ (კინიაპინა 1968),

რუსეთის სახელმწიფოს კოლონიზატორული პოლიტიკის საკითხის შესწავლისას გასათვალისწინებელია ქართველი ისტორიკოსების - ანთელავას (ანთელავა 1990), შ. ჩხეტიას (ჩხეტია 1940), პ. გუგუშვილის (გუგუშვილი 1957), დ. გოგოლაძის (გოგოლაძე 1959) ნაშრომები.

რაც უფრო იზრდებოდა შავი ზღვის ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა რუსეთისთვის, მით უფრო მძაფრდებოდა ევროპული ქვეყნების ინტერესი კავკასიის რეგიონის მიმართ. ნიკოლოზ I-ის მეფობის დროს ცენტრალური ადგილი დაიკავა აღმოსავლურმა საკითხმა.

აღმოსავლური საკითხის გავლენაზე რუსეთისა და კავკასიის ურთიერთობების განვითარებაზე საუბრობენ თავის ნაშრომებში: ნ.ს. კინიაპინა „ნიკოლოზ I საგარეო პოლიტიკა“ (კინიაპინა 2001), რ. ფადეევი - „აზრი 1869 წლის აღმოსავლურ საკითხზე“ (ფადეევი 2010:635). ინგლისელი ისტორიკოსი მ. ანდერსენი ნაშრომში „რუსეთი და აღმოსავლური საკითხი. ევროპული ძალაუფლების წონასწორობა“, აღნიშნავს, რომ კავკასიური პრობლემა უფრო მეტს ნიშნავდა რუსულ-თურქულ ურთიერთობებში ვედრე ბალაკნეთისა“ (ანდერსენი 1979: 96-97).

ცალკე უნდა გამოვყოთ თანამედროვე რუსი მეცნიერების ნაშრომები XIX საუკუნის კავკასიის თემატიკაზე, რომლებიც ეხებიან კავკასიურ ომს და რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობებს. ნაშრომებს ტენდენციურობა ახასიათებთ, გამართლებულია რუსეთის იმპერიალური დაპყრობითი კოლონიალური პოლიტიკა. ნაშრომებში დასაბუთებულია რუსეთის იმპერიის აღმოსავლეთსაკენ გაფართოების აუცილებლობა. დღესაც თანამედროვე რუსი მეცნიერებისათვის კავკასიის შემოერთების კონცეფცია შეიცავს რამდენიმე ასპექტს: პირველ რიგში, გეოპოლიტიკურს და შემდეგ - იდეოლოგიურს და ეკონომიკურს.

საინტერესოა კაზაკოვის ა. ვ. ნაშრომი - „ადიღები (ჩერქეზები) რუსეთის სამხედრო სამსახურში“ (კაზაკოვი 2007), ვ.ვ.დეგოევის - „კავკასიური საკითხი XIX საუკუნის 30-60-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობებში“ (დეგოევი 1992), „XIX საუკუნის კავკასიური ომის პრობლემები: ისტორიოგრაფიული შედეგები“ (დეგოევი 2000), „დიდი თამაში კავკასიაში: ისტორია და თანამედროვება“(დეგოევი 2001), „კავკასია და დიდი იმპერიები, 1829-1864 წლები:პოლიტიკა, ომები, დიპლომატია“ (დეგოევი 2009).

თანამედროვე რუსი მეცნიერების კვლევებში მიუხედავად იმისა, რომ დომინირებს სამხედრო-პოლიტიკური მიდგომა საკითხის მიმართ, შესწავლილია ამ მოვლენების მონაწილეების, გამოჩენილი მხედართავრების, ოფიცრების და უბრალო ჯარისკაცების როლი კავკასიური ომის განვითარებაზე, გაანალიზებულია მათი აზრები და გრძნობები, პირადი თვისებები, საქციელის მოდელები. საინტერესოა ვ.ლაპინის მონოგრაფია „კავკასიური ომის ნაციონალური ფორმირებები“, რომელიც ეძღვნება რუსეთის არმიის განსაკუთრებულობას, მისივე „ჯარისკაცის მოგონებები“

(ლაპინი 2001), მ. ბლიევის, ვ.დეგოევის „კავკასიური ომი.“ (ბლიევი 1994), ვ.ვ.დეგოევის. „კავკასიური ომის სამი სილუეტი: ა.პ. ერმოლოვი, მ.ს. ვორონცოვი, ა.ი. ბარატინსკი“ (დეგოევი 2000 ა).

ყურადღებას იმსახურებს ავტორთა ნაშრომი „კავკასია და რუსეთის იმპერია: ილუზია, პროექტები და რეალობა“ (გორდინი 2005), ი.ა. გორდინის „კავკასია: მიწა და სისხლი: რუსეთი XIX საუკუნის კავკასიურ ომში“ (გორდინი 2009), „რატომ ჭირდებოდა კავკასია რუსეთს? ილუზია და რეალობა“ (გორდინი 2008), მ.ვ. სიდოროვას - „რამდენიმე დოკუმენტი კავკასიის პრობლემის შესახებ“ (სიდოროვა 2003).

უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის პოლონეთი და კავკასია რუსეთის იმპერიის მესვეურებისათვის დამოურჩილებელი და სახიფათო პროვინციებად იყო მიჩნეული. დღესაც რუსი მოღვაწეების აზროვნებაში კავკასია და პოლონეთი ერთმანეთთან ასოცირდება. ყურადღებას იმსახურებს თანამედროვე რუსი მეცნიერების ნაშრომები, სადაც განხილულია კავკასიაში პოლონელების გადასახლების პოლიტიკური და სოციალური მიზეზები და ხასიათი, ემიგრაციის და დეპორტაციის პროცესის განსაკუთრებულობა, პოლონელი მოსახლეობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მდგომარეობა. ამ თემაზე გამოქვეყნებულია შემდეგ ავტორთა ნაშრომები: ო. მატვეევის „ქალაქ მაიკოპის პოლონელები XIX საუკუნის მეორე ნახევარი - XX საუკუნის დასაწყისი“ (მატვეევი 2009), მისივე „პოლონელები შავი ზღვის სანაპირო ხაზის სიმაგრეებში XIX საუკუნის 30-50-იან წლებში“ (მატვეევი 2008), ა. ბოგოლუბოვის „პოლონელების ბედი ჩრდილოეთ კავკასიაში XIX საუკუნეში“ (ბოგოლუბოვი 2008), ა.კრუგოვისა და მ. ნეჩიტაილოვის „პოლონელები კავკასიურ ომში. Pro et contra“ (კრუგოვი 2009), რ. ნუტრუხინის - „პოლონელები-ფრანკომასონები, რუსული კავკასიათმცოდნეობის დამფუძნებლები“ (ნუტრუხინი 2009).

რუსული და ევროპული წყაროებისა და ისტორიოგრაფიული ნაშრომების სიუხვის მიუხედავად, რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების ისტორიის თემატიკა არასაკმარისად არის შესწავლილი. დღემდე არსებობს აზრთა სხვაობა რუსეთის კავკასიური პოლიტიკის არსის და რუსეთის არმიის ისტორიული

როლის შესახებ, არ არის განსაზღვრული კავკასიური ომის ქრონოლოგია, ყურადღების მიღმაა დარჩენილი არაერთი საკითხის კვლევა. სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა აღნიშნული კვლევის ჩატარება.

## თავი I. აპოლინარი რუკევიჩი და მისი ნაშრომი „მოხუცი ერივნელის[1] მოგონებები“

### § 1. აპოლინარი რუკევიჩის ბიოგრაფია

აპოლინარი რუკევიჩი ვოლინსკის გუბერნიის გაღატაკებული თავადის შვილი იყო. ყმაწვილკაცობაში ვილენსკის უნივერსიტეტში სწავლობდა კამერალურ[2] ფაკულტეტზე და საკმაოდ წარმატებული სტუდენტიც იყო, იცოდა ოთხი ენა, მათ შორის, რუსული. უნივერსიტეტი, რომელშიც რუკევიჩი სწავლობდა, ავსტრიის პოლონეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. რევოლუციურად განწყობილი ქსენძების გავლენის ქვეშ მყოფი რუკევიჩი 16 წლის ასაკში მონაწილეობას იღებს 1830–1831 წლების ამბოხებაში (რუკევიჩი 1914:418). აჯანყება რუსეთის იმპერიის ჯარმა სასტიკად ჩაახშო, მრავალი მონაწილე სიკვდილით დასაჯეს, ხოლო პოლიტიკურად აქტიური პოლონელების დიდი ნაწილი პოლონეთის სამეფოდან რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში გადაასახლეს. აპოლინარი თანამოაზრეებთან ერთად ბრესტ–ლიტოვსკში გაამგზავრეს, სადაც ისინი 24–ე ქვეითთა დივიზიასთან არსებულმა სამხედრო–საველე კომისიამ გაასამართლა. რუკევიჩს დახვრეტა მიუსაჯეს. ეს განაჩენი შესათანხმებლად სამხედრო ოლქის მეთაურს, მე–6 საჯარისო კორპუსის მეთაურს, ბარონ გ.ვ. როზენს წარუდგინეს. მან განაჩენი გააუქმა; დახვრეტის ნაცვლად „ახალგაზრდა მეამბოხე“ წოდების ჩამორთმევის გარეშე კავკასიაში გადაასახლეს და ერთ–ერთი პოლკის რიგითად გაამწესეს (რუკევიჩი 1914:428).

---

[1] ქალაქ „ერევანს“ მე-19 საუკუნეში ერქვა „ერივანი“.

[2] სახელმწიფო ქონების მართვის.

სხვა მსჯავრდებულებთან ერთად რუკევიჩი ქვეითი წესით გაუშვეს სასჯელის მოხდის ადგილისაკენ. აპოლინარი კავკასიაში, ქალაქ ტფილისში[3] ჩამოვიდა, ის კავკასიის გრენადერთა დივიზიის ერივნულ პოლკში იქნა გამწესებული. ამ პოლკის შემადგენლობაში რუკევიჩი შავი ზღვის სანაპირო ზოლის აღებაში მონაწილეობდა მდინარე სოჭი–ფსტის დაბლობის მონაკვეთზე (რუკევიჩი1914ა:782).

რუკევიჩი დააჯილდოვეს „თავდადებისათვის, რომელიც მან 1838 წლის 30–31 მაისს გამოიჩინა შავ ზღვაზე სამხედრო და სავაჭრო გემების ეკიპაჟების გადარჩენისას. როგორც მისი სამსახურეობრივი რეესტრის ჩანაწერი გვამცნობს, მას სამხედრო ორდენი #72226 გადაეცა (რუკევიჩი1914ა : 787).

1839 წელს აპ. რუკევიჩს ოფიცრის პირველი წოდება მიენიჭა: „მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის აყვანილია პრაპორშჩიკის რანგში“, ხოლო 1842 წელს – პოდპორუჩიკის წოდება, 1849 წელს – პორუჩიკის, იმავე 1849 წელს – შტაბს–კაპიტნის, 1851 წელს – კაპიტნის, 1853 წელს – მაიორის. ყველა წოდება აპოლინარიმ საბრძოლო თავდადებისათვის მიიღო, მაგრამ მას ყოველთვის ტვირთად აწვა ჯარიმა, რომელიც სამხედრო–საველე სასამართლომ გამოუტანა 1831 წელს. საბოლოოდ ეს ჯარიმა მას მხოლოდ ყირიმის ომის დროს, 1854 წლის 24 ივლისის *კურიუკ-დარის* ბრძოლის შემდეგ მოეხსნა. ამ ბრძოლიდან ერთი წლის თავზე რუსეთის სამხედრო მინისტრმა ვასილი დოლგორუკოვმა კავკასიის კორპუსის მთავარსარდალს ნიკოლოზ მურავიოვს (კარსკის) მიმართვა გაუგზავნა, რომლითაც აპოლინარი რუკევიჩს ყველა ძველი ჯარიმა ეხსნებოდა: „1854 წლის 24 ივლისს კურიუკ-დარის მახლობლად თურქებთან ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის ეს ჯარიმა მოეხსნას. იმპერატორის მიერ ნაბრძანებია, ჯარიმამ ხელი აღარ შეუშალოს რუკევიჩს სამსახურეობრივ წინსვლაში (ოჩერკი 1885:3).

თურქებთან ომის დასრულების შემდეგ რუკევიჩმა სამსახური უკვე პოდპოლკოვნიკის რანგში განაგრძო და ერივანის ქვეითთა პოლკის ერთ–ერთი ბატალიონის მეთაური გახდა. თავის ჯარისკაცებთან ერთად რუკევიჩი რუსეთის იმპერიის მიერ აღმოსავლეთ კავკასიის დასაპყრობად მოწყობილ მრავალ სამხედრო ექსპედიციაში მონაწილეობდა.

---

[3] ქალაქ თბილისს მე-19 საუკუნეში ტფილისს უწოდებდნენ.

პოლკისა და მისი მეთაურის სამხედრო წარმატებები არაერთხელ აღუნიშნავს უმაღლეს სარდლობას. თავად კავკასიის არმიის მთავარსარდალი, გენერალ–ფელდცეიხმეისტერი, დიდი თავადი მიხეილ ნიკოლოზის ძე ორჯერ შუამდგომლობს პიატიგორსკის 151-ე ქვეითთა პოლკის პოლკოვნიკის, რუკევიჩის მაღალ წოდებაში გადაყვანას. იმპერატორ ალექსანდრე II–ისადმი გაგზავნილ თავის მორიგ პატაკში დიდი თავადი წერს, რომ ა.თ. რუკევიჩის დამსახურება „წმინდა მოვალეობას მაკისრებს, ვუშუამდგომლო მას თქვენს საიმპერატორო უდიდებულესობასთან, რათა გამოიჩინოთ მისდამი თქვენი ყოვლადმოწყალე ყურადღება და მიანიჭოთ მას გენერალ–მაიორის წოდება, ჩარიცხოთ იგი კავკასიის არმიის ქვეითთა საჯარისო დანაყოფში, ვიდრე შესაბამის თანამდებობაზე გადაიყვანთ, დაუნიშნოთ წოდებისამებრ ჯამაგირი და გამოუყოთ ბინა“ (ოჩერკი 1885:3).

1871 წელს, აპოლინარი რუკევიჩი, ოჯახით ეკატერინოდარში გადადის, სადაც ის „მეთაურობის განკარგულებითა და იმპერატორის დანიშნულებით მივლინებულ იქნა ყუბანის გუბერნიის სამხედრო მეთაურის თანამდებობის აღსასრულებლად. მას ამ წელს გენერლის ჩინი მიანიჭეს (რუკევიჩი 1914ა:781). ის 1892 წელს გარდაიცვალა (რუკევიჩი 1914ა:791).

## § 2. პოლონელები რუსეთის იმპერიის სამსახურში

პოლონელების ბრძოლა კავკასიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში არ დაწყებულა. ათასობით პოლონელის გამოჩენას ჩრდილოეთ კავკასიაში XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში პოლონეთში მომხდარი მოვლენები უსწრებდა წინ.

1794 წელს ტ. კოსტიუშკოს მეთაურობით იფეთქა პოლონელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ამბოხებამ, რომელიც სასტიკად ჩაახშო მეფის რუსეთმა. ამ მოვლენების შემდეგ მრავალი პოლონელი „შეთქმული“ გადაასახლეს „არამშვიდობიან“ კავკასიაში, სადაც იძულებულები იყვნენ ემსახურათ მოქმედ არმიაში. სწორედ მათ, 1812 წელს დეპორტირებულებთან ერთად, დაახლოებით 10 000 ადამიანის ოდენობით, შეადგინეს პოლონელ სამხედრო ტყვეთა პირველი ტალღა.

გ. პროზრიტელევი თავის ბროშურაში „1812 წლის ომში ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფ პოლონელ სამხედრო ტყვეთა შესახებ“ (პროზრიტელევი 1914) შიფრავს პოლონურ წარწერებს, რომლებიც აღმოჩენილ იქნა XX საუკუნის დასაწყისში სტავროპოლის გუბერნიის სოფელ ორეხოვკასა და ვისოცკის ახლოს მდებარე კლდეებზე. ერთ-ერთი მათგანი გვაცნობს: „სამშობლოსთვის სიკვდილი, ჭრილობები და ბორკილებია სასიამოვნო. პოლონელები 1813 წელს“ (პროზრიტელევი 1914:11). სხვა ადგილას აღბეჭდილია სამხედრო ტყვეების გვარები: ციემნიევსკი, შნინციერი, პორადოვსკი და სხვ. გ. პროზრიტელევის აზრით, პოლონელები გაათავისუფლეს სტავროპოლში, პიატიგორსკში, მოზდოკში, ყიზლარში, გეორგიევსკში. ორეხოვკაში პოლონელი ტყვეები მუშაობდნენ ქვის სამტეხლოებში. ავტორი გვაუწყებს, რომ სტავროპოლში ინახებოდა საქმე გორიაჩიი ვოდიდან 26 ტყვის გაქცევის შესახებ (პროზლიტერევი 1914:12).

1794-1795 წლების პოლონელთა ამბოხების ჩახშობის შემდეგ დიდი რაოდენობა პოლონელი ლტოლვილებისა თურქეთში ჩავიდა, სადაც ისინი ცდილობდნენ პოლონური ლეგიონის შექმნას. რუსეთთან მებრძოლ თურქეთში პოლონელები თავის მოკავშირეს ხედავდნენ, რომელსაც, მათი აზრით, შეეძლო აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილ სიტუაციაში გარდატეხის შეტანა. ოსმალეთის იმპერიის სამხედრო წარმატებებთან ისინი თავიანთი სამშობლოს გათავისუფლების და პოლონეთის სახელმწიფოს აღორძინების იმედებს აკავშირებდნენ. როგორც ისტორიკოსი ჟ. ტარგალსკი აღნიშნავს „კავკასიელმა მთიელებმა პირველად დაიწყეს ფიგურირება პოლონურ პროექტებში 1797 წელს, და მათ მოუწიათ ამ პროექტებში გადამწყვეტი პოზიციების დაკავება თითქმის მთელი ასწლეულის განმავლობაში მიმდინარე ომის დროს“ (პროზლიტევი 1914:21).

1830-1831 წლების აჯანყება პოლონეთში კიდევ უფრო დიდი სისასტიკით ჩაახშო მეფის რუსეთმა. ამბოხების ჩახშობას ხელმძღვანელობდა კავკასიის მთავარმმართებელი, გენერალ-ფელდმარშალი - ივან პასკევიჩი, რომელიც 1831 წლის 14 ივნისს დაინიშნა პოლონეთში მოქმედი ჯარის მთავარსარდლად, ხოლო შემდგომში მან მიიღო „ვარშავის უგანათლებულესი თავადის“ ტიტული და „პოლონეთის სამეფოს“ მეფისნაცვალი გახდა.

ი. პასკევიჩი ასევე ხელმძღვანელობდა უნგრეთის 1848-1849 წლების რევოლუციის ჩახშობას. ამ ტრაგიკულ მოვლენებს მოჰყვა ტყვედ აყვანილი მეამბოხეების მასიური გადასახლება ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ მთიელთა წინააღმდეგ წარმოებულ ომში. პოლონური და სხვა წყაროების თანახმად, გადასახლებულთა რაოდენობა 10 000 კაცამდე აღწევდა, თუმცა ეს ციფრი წლების მანძილზე იზრდებოდა, ვინაიდან პოლონეთი აგრძელებდა ბრძოლას მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ (1846, 1848, 1863- 1864 წლების ამბოხებები) (ბერგი 1871 :234).

რიგითმა აპოლინარი რუკევიჩმა სამსახური ერივნის კარაბინერთა პოლკში დაიწყო. ის წერდა, რომ ამ პოლკთანაა დაკავშირებული მისი ცხოვრების საუკეთესო მომენტები, მოგონებები საუკეთესო მეგობრებზე, პირველი სამსახურებრივი წარმატებები, რომლებიც არა პროტექციით, არამედ ლაშქრობებში ოფლითა და ბრძოლებში სისხლით იყო მოპოვებული (რუკევიჩი 1914:799).

რუკევიჩი ასე იხსენებს ერივნის პოლკში მოსამსახურე თავისი თანამემამულეების პოზიციების ცვლილებას: *„ჩვენს შორის საკმაოდ ბევრი პოლონელი იყო, მაგრამ 1831 წლის შემდეგ ისინი უფრო დიდი როიალისტები გახდნენ, ვიდრე თავად მეფე, და ერთმანეთსაც კი პოლონურად არ ესაუბრებოდნენ. მახსოვს, ერთხელ ერთ–ერთ წვრთნაზე მოშორებით ვიდექი. უცბად ოფიცერი სწრაფი ნაბიჯით მომიახლოვდა და დაბალი ხმით მითხრა პოლონურად: „დაივიწყე, რომ შენ პოლონელი ხარ. აქ შენ მოსკალი (მოსკოველი) ხარ“ და ვინაიდან, ამ დროს ჩვენ ვიღაცა მოგვიახლოვდა, მან ხმამაღლა დამიწყო შენიშვნების მოცემა ჩემს მხედრულ გამართულობასთან დაკავშირებით“* (რუკევიჩი 1914:803).

რუკევიჩი გულწრფელად აღიარებს, რომ ის კავკასიაში გასახლებულ თანამემამულეებს მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელად ხედავდა, ადვილად დაშორდა, ვინაიდან გატაცემული იყო ეგოისტური ფიქრით მომავალ პერსპექტივებზე, რომლებიც წინ ელოდა (რუკევიჩი-1914:795).

რუკევიჩი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ საუკეთესო, ერევნის კარაბინიერთა პოლკში რომ ჩაირიცხა, გასაკვირი არ იყო. რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლების მონაწილეებს იმპერია აძლევდა უფლებას ცხოვრება „სუფთა

ფურცლიდან“ დაეწყოთ. მათ არჩევანის წინაშე აყენებდნენ: ან სისხლის სამართლის საქმის დაწყება, ან რაპორტი კავკასიის ცალკეულ კორპუსში გადაყვანის თაობაზე (მატვეევი 2008:103).

კავკასიის სარდლობა ცდილობდა ხელი შეეწყო პოლონელებისთვის და სხვა ჩამოქვეითებული პირებისათვის. მათგან ცალკეულ რაზმებსაც კი ქმნიდნენ, რათა თავის გამოჩენის შესაძლებლობა მიეცათ. გ.ი. ფილიპსონი იხსენებდა, რომ მთიელთა წინააღმდეგ ექსპედიციის დაწყების წინ აგზავნიდა თავის ადიუტანტს, პოლონელ ტრჟასკოვსკის *„გემით ყველა გამაგრებულ პუნქტში, რათა შეეკრიბა ყველა ჩამოქვეითებული ჯარისკაცი, რომლებსაც საომარ მოქმედებებში მონაწილეობა სურდათ. ასეთი 200 კაცამდე გროვდებოდა ხოლმე და ჩვენ ამ გუნდს ხუმრობით უცხოურ ლეგიონს ვუწოდებდით. ტრჟასკოვსკი ხშირად მათ მეთაურობდა....“* (ფილიპსონი 1884:370).

პოლონური ჯარის დარჩენილი ნაწილები გადაასახლეს კავკასიის ცალკეულ კორპუსებში და პოლკებში. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იპყრობდა მე–4 სახაზო პოლკი. ეს მამაცი ადამიანები ჯერ კიდევ თავის თხელ, მუქი–ნაცრისფერი მაუდის შინელებში, ყვითელი საყელოებით და იმავე ფერის სამხრეულებით დადიოდნენ, რომლებზედაც აღიბეჭდებოდა ნიშანდობილი მე–4 ნომერი.[4] მათ თავისი თანამოსამსახურეების პატივისცემა არაჩვეულებრივი სიმამაცით დაიმსახურეს, რომელიც ყოველთვის ფასობდა კავკასიის ჯარის რიგებში. ისევე, როგორც რუკევიჩი, ისინი იძულებულნი იყვნენ ბედს შეგუებოდნენ და დაეცვათ რუსეთის იმპერიის ინტერესები.

პოლკებში ერთად მსახურობდნენ რიგით ჯარისკაცებად დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები და დიდგვაროვანი პოლონელები. ამის დამადასტურებელი არაერთი მაგალითია შემორჩენილი მოგონებებში. ოფიცერი ფონ-ხოვენი იხსენებს გრაფ რჟევუსკის, რომელიც რიგითად ტენგინის ქვეით პოლკში მსახურობდა: *„მისი საჯარისკაცო მუნდირის სქელი მაუდი საერთოდ ვერ ჰარმონირებდა მის ახალგაზრდა და ნაზ სახესთან, ხოლო წესიერი მანერები და განათლება აშკარად მის წარმოშავლობას მოწმობდა. მან ვერ გადაიტანა ლაშქრობის სიძნელეები და, როგორც*

[4] კავკასიის ცალკეული კორპუსის ჯარისკაცებს სამხრეულებზე თავისი პოლკის ნომერი ჰქონდათ აღბეჭდილი.

*ჩანს, მალე გარდაიცვალა ჭლექისგან რომელიღაც ჰოსპიტალში“* (ხოვენი 1877:101). თავადი სანგუშკოც ასევე რიგითად იმავე პოლკში მსახურობდა. შეურიგებელი პოლონელი ყოველთვის გაურბოდა რუსების საზოგადოებას. პოლონელები ყოველთვის ფრანგულ ენაზე საუბრობდნენ. რჟევუსკი, თვალში ჩამდგარი ცრემლებით აჩვენებდა ყველას ერთადერთ ორგრივნიანს და ყვებოდა იმ სიმდიდრეზე, რომელსაც მისი მშობლები ფლობდნენ. ფონ-ხოვენი აღნიშნავს: *„საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის ჯარებში განწესებულ პოლონელებს უფრო მეტი ზიანი მოჰქონდათ, ვიდრე სარგებელი. ამის მიზეზი იყვნენ ის ქსენძები, რომლებიც იარაღით ხელში ტყვედ ჩავარდნენ. როგორც კი რომელიმე როტაში (ასეულში) ასეთი ქსენძი გაჩნდებოდა, ეს სიკეთით არასდროს მთავრდებოდა: დღისით მის გარშემო პოლონელ ჯარისკაცთა ჯგუფს შენიშნავდი, რომელთაც ის რაღაცას უქადაგებდა; ასეთი საუბრების შედეგი ყოველთვის ის იყო, რომ ღამე ჯაჭვში რამდენიმე წყვილს ვეღარ ვითვლიდით. გაქცევები მით უფრო ხშირი იყო, იმიტომ, რომ პოლონელებს მთიელები ხალისით ღებულობდნენ და გაცილებით კაცთმოყვრულად ეპყრობოდნენ, ვიდრე რუსებს. როგორც ცნობილია, შემდგომ შამილსაც იმდენი პოლონელი ჰყავდა, რომ მათგან თავისი პირადი მცველების რაზმი შეადგინა“* (ხოვენი 1877: 102).

ხოვენი აგრეთვე იხსენებს თავის მოგონებებში ერთ-ერთ შეთქმულებაში მონაწილე კიევის უნივერსიტეტის სტუდენტებს, პოლონელებს ტრჟასკოვსკის და ლისოვსკის, რომლებიც 1828 წელს აფხაზეთში მოხვდნენ და ათი წლის განმავლობაში ქვედა წოდებით მსახურობდნენ. 1838 წელს ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისათვის მიენიჭათ პრაპორშჩიკების წოდება. ხოვენი აღნიშნავს, რომ პოლონელებს შორის ბევრი ჩინებული ოფიცერი და ჯარისკაცი იყო, ისინი სხვებისაგან გამოირჩეოდნენ, ვინაიდან მათი მდგომარეობა განსაკუთრებულ ორიგინალობას ანიჭებდა (ხოვენი 1877: 103).

საინტერესოა ოფიცერ ანტონოვის მოგონებები კავკასიაში გადასახლებულ პოლონელი და რუსი სამხედროების მეგობრობის შესახებ. საერთო საქმე მებრძოლებს აშკარად აახლოვებდა. პოლონელი ჟეივაროვსკის შესახებ წერს: *„ჟეივარონსკი წარმომავლობით პოლონელი აზნაური იყო და კავკასიაში გადასახლებულ იქნა*

*ვარშავაში მომხდარ არეულობაში მონაწილეობის გამო. აქ ის დაუმეგობრდა რუს ჯარისკაც ფედოტოვს. ორივე გარეგნულად ლამაზი იყო – ერთი ქერა, მეორე შავგრემანი; ჯანიანნი, წარმოსადეგნი, უსაზღვროდ მამაცნი და გამჭრიახნი, ისინი ჩვენთვის საუკეთესო ხელმძღვანელები და ჩვენს ტყის თავგადასავლებში ყველაზე კარგი მეძებრები იყვნენ. მთელი გუნდი მჭიდროდ შერწყმულ სამეგობრო კორპორაციას წარმოადგენდა, მაგრამ ფედოტოვსა და ქეივარონსკის შორის მეგობრობა იმდენად დიდი იყო, რომ ერთი მეორეს გარეშე ერთ ნაბიჯსაც არ გადაადგამდა ხოლმე“* (ანტონოვი 1895:107).

გ.ი. ფილიპსონი გულთბილად იხსენებდა ნოვოტროიცკის სიმაგრის უფროსს, ვიცე–პოლკოვნიკ კაროვს, რომელიც ნაპოლეონთან ყველა ომის დროს პოლონურ ჯარში მსახურობდა: *„1831 წელს ჩვენს წინააღმდეგ მეთაურობდა პოლკს, ხოლო 1840 წელს ჩვენი არმიის რიგებში შესვლის სურვილი გამოთქვა... იმავე წელს განწესებულ იქნა შავი ზღვის სარეზერვო სახაზო №13 ბატალიონში. გულმოდგინე სამსახურისთვის დაჯილდოვებული იყო არაერთი ჯილდოთი და ორდენით“.* (ფილიპსონი 1884:365).

ფრანგი ჯაშუში, გრაფი დე სიუზანე თავის მიმოხილვაში, ყუბის ტყიან მიდამოებში გადასახლებულ პოლონელებთან შეხვედრის შემდეგ აღნიშნავს: *„ის პოლონელები, რომლებიც ქალაქში იმყოფებოდნენ, მიამბობდნენ მწყერის სიუხვისა და მრავალნაირი ნადირობის შესახებ; თავისი ქვეყნიდან განდევნილნი, ისინი ერთადერთ ნუგეშს ამაში პოულობდნენ. მე ხშირად მხვდებოდნენ საქართველოში რიგითებამდე ჩამოქვეითებული ჯარისკაცები პოლონური შლიახტიდან. ...ისინი აფასებდნენ თავის მეთაურებთან ურთიერთობებს, რომლებიც მათ როგორც თანასწორებს ეპყრობოდნენ, აძლევდნენ რა მათ უფლებას თავისუფლად გამოეთქვათ თავისი აზრი მთავრობის ბოროტმოქმედებების შესახებ, რომელიც მათაც ჩაგრავს.“* (სუზანე 1841:77).

მაგრამ რუკევიჩი არ მიეკუთვნებოდა ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელიც თავისუფლად გამოხატავდა თავის აზრებს. მან რომანტიულად და გარკვეული კმაყოფილებით დაწერა თავისი მოგონებები ჯარისკაცთა ყოფის, მისი მონაწილეობით გამართული სამხედრო მოქმედებებისა და კანცელარიაში თავისი

სამსახურის შესახებ. ის განსხვავდება თავის თანამემამულისაგან, რომელმაც ყაზარმის ფანჯარაზე ალმასით ამოჭრა სიტყვები «ma bouche a tait serment, mais mon coeur n'a pas jure»[5] თუმცა მის მემუარებში შემდეგ სტრიქონებსაც ვკითხულობთ: *„მეგონა, რომ არ მოვიწყენდი, მაგრამ ღამე, გაღვიძებისას, მე დავიწყე ჩემ ბედზე ფიქრი და უცბად ნათლად წარმოვადგინე მთელი ტრაგიზმი ჩემი მდგომარეობისა – ყმაწვილისა, რომელიც სამყაროს შორეულ მხარეს იქნა მიგდებული, ახლობლების გარეშე, რომლებსაც შეუძლიათ გამამხნევონ, მხარი დამიჭირონ მძიმე ჟამს, თანამემამულეთაგან შორს, რომლებიც გარკვეულწილად მაინც შემიცვლიდნენ ჩემთვის ახლო ადამიანებს... წინ რაღაა?.. კარგი რა შეიძლება ყოფილიყო წინ?.. და ცხოვრება უმალვე ისეთი უფერული, უღიმღამო მომეჩვენა, რომ იმ მძიმე, სამახსოვრო ღამეს სასოწარკვეთილებისაგან მხოლოდ ღრმა რელიგიურობამ გადამარჩინა..“* (რუკევიჩი 1914:279).

გადასახლებულ პოლონელის მ. გრალევსკის ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს პოლონელების რთული ყოფა და კიდევ უფრო ურთულესი გზა წარმატებული კარიერისკენ. ის წერდა პოლონელების შეზღუდულ უფლებებზე და მთელ რიგ აკრძალვებზე. მათ არ ნიშნავდნენ შტაბში მაღალი თანამდებობებზე. ერთ მოსახლე პუნქტში მხოლოდ ერთ პოლონელს ეძლეოდა ცხოვრების უფლება, თუ მეორე პოლონელი გამოჩდებოდა იქ, განკარგულების მიხედვით, რომელიმეს ატოვებინებდნენ საცხოვრებელ ადგილს 24 საათის განმავლობაში. გადასახლებული პოლონელებს არ ეძლეოდათ უფლება ქონოდათ 30 რუბლზე მეტი თვეში. ამასთანავე მათ არ ჰქონდათ ოფიცრის სახლების დასწრების უფლება, ემუშავათ რეპეტიტორად ახალგაზრდებთან (ბოგოლუბოვი 2009:163).

არქივში მოძიებული საიდუმლო მასალები მეტყველებს გადასახლებული პოლონელების მძიმე მდგომარეობაზე. იმპერატორი ნიკოლოზ I, მინისტრი ჩერნიშევი და სხვა მაღალჩინოსნები პირადად ეცნობოდნენ ყველა პოლონელი გადასახლებულის საქმეს. ამას ადასტურებს ნიკოლოზ ვორცელის საქმე. საქმე შედგება 3 რაპორტისგან:

*„რაპორტი N 1*

---

[5] მე შევფიცე, მაგრამ ჩემმა გულმა არა.

ნიკოლოზ ვორცელის 1837 წლის 20 დეკემბრის საქმე, რომელსაც ჩამოერთვა თავადის წოდება პოლონურ საიდუმლო საზოგადოებებთან კონტაქტების არსებობის გამო ( იმპერატორი თავად განიხილავდა მეამბოხე პოლონელთა საქმეებს).

სამხედრო სამინისტრო, საინსპექტორო კანცელარიის დეპარტამენტი.

1837 წლის ნოემბერი, №14691

ცალკეული კავკასიის  კორპუსის მეთაურს

იმპერატორმა, თქვენი აღმატებულების წარდგინებით, წინა თვის, ოქტომბრის 11 რიცხვში, მოისურვა ებრძანებინა, რომ აფშერონის პოლკის რიგითი ნიკოლოზ ვორცელი, რომელიც ჩამოქვეითებულ იქნა ამ წოდებამდე პოლონურ საიდუმლო საზოგადოებებთან ურთიერთობის გამო, ჩინების და გრაფის წოდების ჩამორთმევით, სამწყობრო სამსახურში მისი უვარგისობიდან გამომდინარე, ჩარიცხულ იქნას კანცელარიის მოსამსახურედ.

მონარქის ნებაზე არის დამოკიდებული, ზუსტად რომელ სამოქალაქო კანცელარიაში დაინიშნებოდა ვორცელი, ამის შესახებ სამთავრობო სენატისთვის პატაკი უნდა ჩაბარდეს.

ნამდვილად ხელი მოაწერეს: სამხედრო მინისტრმა ჩერნიშოვმა და მორიგე გენერალმა კლეინმიხელმა.

*რაპორტი N 2*

რუტეს რაპორტი გენერალ–მაიორ კოცებუს მიმართ თხოვნით: ...კარგი და ბეჯითი ყოფაქცევისთვის დაენიშნოს სარგო 120 რუბლის ოდენობით.

*რაპორტი N 3*

გენერალ–მაიორ კოცებუს წერილი სამოქალაქო კანცელარიაში.

საიდუმლოდ 1838 წლის 30 სექტემბერი, განსაკუთრებული განყოფილება.

ჩემი 9 მაისის №753 მიმართვასთან ერთად დამატებით ვაცნობებ სამოქალაქო კანცელარიას, რომ ნიკოლოზ ვორცელი, რომელსაც კანცელარისტის წოდება ებოძა, 1829 წლიდან სამხედრო სამსახურში რიგითად იმყოფებოდა და ჩამორთმეული ჰქონდა გრაფის წოდება და ჩინები პოლონურ საზოგადოებასთან კუთვნილების გამო და რომ მთავარი შტაბის მმართველის გამოხმაურების (შეფასების) საფუძველზე მისი ი.უ. (იმპერატორული უდიდებულესობის) 1829 წლის მარტის №177 ბრძანებით უნდა

დაწესდეს საგანგებო მეთვალყურეობა ვორცელის ქცევაზე და, თუ რაიმე კეთილი ზნეობის წინააღმდეგი ან რაიმეს შესახებ უწესო მსჯელობა იქნა შემჩნეული, უმალვე პატაკი უნდა ჩაბარდეს ბატ. სამხედრო მინისტრს.

შტაბის უფროსი

გენერალ–მაიორი კოცებუ.“

კიდევ ერთი წერილი ამ საქმიდან ნიკოლოხ ვორცელის შესახებ:

„დაღესტანში სამხედრო საოლქო მეთაურის თანამდებობის შემსრულებელს:

თქვენო აღმატებულებავ, ვითხოვ 1837 წ. 28 დეკემბრის №8377 მითითებას, შტაბის მმართველის, მისი იმპერატორული უდიდებულესობის ჯერ კიდევ 1829 წლის მარტის შეფასების თანახმად ყუბის საკომენდანტო სამმართველოში მოსამსახურე კანცელარისტ ნიკოლოზ ვორცელის ქცევაზე გქონდეთ ყურადღებიანი მეთვალყურეობა, და თუ რაიმე, კეთილი ზნეობის წინააღმდეგი ან რაიმეზე უწესო მოსაზრებები იქნება შემჩნეული, იმავე დროს მომახსენოთ მე.

ნამდვილად ხელი მოაწერა მთავარმა მმართველმა, გენერალ–ლეიტენანტმა გოლოვინმა“ (16-1-4433).

საინტერესოა ნავაგინსკის პოლკის სააღრიცხვო ჟურნალიდან ამონაწერი, საიდანაც ვიგებთ, რომ პოლონელებზე საიდუმლო მეთვალყურეობა იყო დაწესებული და გაცემული იყო ინსტრუქცია პოლონელთა ყველა წერილის გახსნის თაობაზე (11-2 -243).

ზემოთ მოყვანილი დოკუმენტები გვაძლევს მსჯელობის საფუძველს აპოლინარი რუკევიჩის იმ საქციელზე, როდესაც გაურბოდა თავის თანამემამულეებს და არ „მეგობრობდა’’ მათთან. რუსების მხრიდან მუდმივმა დაკვირვებამ, რასაც ის ისევე განიცდიდა, როგორც ყველა პოლონელი, მასში შიშის გრძნობა ჩასახა. მისი ცხოვრების მიზანი სამხედრო კარიერა გახადა. მას სისხლის ფასად უნდა გამოესყიდა დანაშაული რუსეთის იმპერიის წინაშე და ამისთვის ის ყველაფერს გააკეთებდა. მისი საბოლოო გადაწყვეტილება კი ასეთი იყო: *„უნდა ვაღიარო, ჩემ თანამემამულეებს მე ადვილად ვშორდებოდი, ვინაიდან გატაცებული ვიყავი ეგოისტური ფიქრით მომავალ პერსპექტივებზე, რომლებიც წინ მელოდა. ზოგიერთთან მე არაერთხელ*

*მომიწია შემდგომ შეხვედრა, ხოლო სხვებს ბოლოჯერ ვხედავდი“* (რუკევიჩი 1914:795).

## §3. ცალკეული კავკასიის კორპუსის[6] ისტორიიდან

1815 წლის 21 დეკემბერს ალექსანდრე I-ის უმაღლესი ბრძანებით ამიერკავკასიაში რუსეთის არმიის მე-19 და 20-ე დივიზიებიდან შეიქმნა ცალკული ქართული კორპუსი. 1820 წელს მას მიენიჭა ცალკეული კავკასიის კორპუსის სახელწოდება.

რუკევიჩი თავის ნაშრომში დიდ ადგილს უთმობს ამ კორპუსის მოღვაწეობის აღწერას, მათ მიერ წარმობულ ბრძოლებს. განსაკუთრებით დეტალურად მოგვითხრობს ოცდაათიანი წლების კავკასიელი ჯარისკაცის უზომოდ მძიმე ყოფა-ცხოვრებას.

პოლონელი საუბრობს სამხედრო ნაწილების მეტნაკლებად კეთილმოწყობილ შტაბ–ბინებზე, აუცილებელი პატარა დაბით, რომელიც ხელოსნებით, გადამდგარი ან დაქორწინებული ჯარისკაცებით იყო დასახლებული, მათ ნებადართული ჰქონდათ ხაზინის ხარჯით რუსეთიდან ცოლების ჩამოყვანა. „დაქორწინებულ ასეულეთა“ განსაკუთრებული როტებიც კი არსებობდა. ცოლებსა და ბავშვებზე სახაზინო ულუფა იყო გამოყოფილი, ხოლო შემდგომში ჯარისკაცთა ოჯახებს მიწას უწყალობებდნენ, 35–35 დესეტინას და ასეთი დაბებიდან დროთა განმავლობაში მთელი სოფლები იქმნებოდა, რომლებსაც სინორს უწოდებდნენ, ასეთებია მანგლისი, Белый Ключ, (თეთრი წყარო), Царские Колодцы (დედოფლისწყარო), გომბორი, ლაგოდეხი და სხვ. (რუკევიჩი 2014:793).

რუკევიჩი მანგლისში, ტიფლისიდან 60 ვერსში, 1832 წელს ჩადის, სადაც ამ დროს ერივნის კარაბინერების პოლკი იმყოფებოდა. მანგლისი, როგორც სამხედრო დასახლება მოგვიანებით გაჩნდა - 1840 წლის ზაფხულში, იმპერატორის მიერ დამტკიცებული 1837 წლის 10 ოქტომბრის დებულების თანახმად კავკასიაში

[6] Отдельный Кавказский корпус - ჩვენ მიერ ნათარგმნია როგორც „ცალკეული კავკასიის კორპუსი“.

სამხედრო დასახლებების შესახებ. საოჯახო ქვედა პოლკების მიერ მოწყობილ იქნა ელიზავეტინსკის დასახლება. მანგლისსა და ელიზავეტინსკის დასახლებას შორის ფართო მდელოები იყო, სადაც ჯარისკაცები პოლკისთვის განკუთვნილი ცხენებისა და საქონლის გამოსაკვებად თივას ამზადებდნენ. იქვე იყო ფიჭვების შესანიშნავი კორომი, რომელიც განლაგებულია პატარა ოდისეს მდინარის გასწვრივ. მანგლისში არსებული ტაძრისთვის საქართველოს ეგზარქოსის ისიდორეს და თავად ბაგრატიონ მუხრანელის თხოვნით (ხელშეწყობით) ოფიცერთა და დაბალჩინოსანთა მიერ ფულადი შემოწირულობანი გაკეთდა (ზობროვსკი 1895: 251).

საინტერესოა პოტტოს მიერ 1837 წელს აღწერილი მანგლისი: "როდესაც კარაბინერები მანგლისში შევიდნენ, გაუვალი ტყით დაფარულ ამ ე.წ. სინორში (უროჩიშჩეში) ველური მხეცები ბინადრობდნენ და თათარი და ლეკი ყაჩაღები დროდადრო ძარცვავდნენ გარშემო მდებარე სოფლებს. ძველი მანგლისი ნანგრევებში იდგა და იქ ხშირი ტყის შუაგულში უზარმაზარი მანგლისის ტაძარი იყო აღმართული – ივერთა ერთ–ერთი უძველესი სალოცავი.. პოლკის მზრუნველობით ეს ტაძარი აღსდგა ნანგრევებიდან და უნდა გენახათ ადგილობრივი მოსახლეობის სიხარული და მოგესმინათ ხალხის ლოცვა–კურთხევა... მანგლისის ტაძარი ერივნის პოლკის სამუდამო ძეგლია. მანგლისი კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბი. ხელნაწერი (1087 -1 -1280).

მანგლისი შედარებით კეთილმოწყობილი კოლონია იყო. მთის სუფთა ჰაერი აქ საზაფხულოდ ტიფლისის შეძლებულ მაცხოვრებლებს იზიდავდა, ხოლო ზამთარში უხვი თოვლი მოდიოდა და ყინვები იდგა.

არსებობდა სამუშაო ჯგუფები სხვადასხვა მასალების დასამზადებლად: კირის, აგურის, ხის, საწვავი შეშის, ნახშირის, ქართლის გორაზე ქვის მტვრევის; ქვის ყაზარმების, ლაზარეთის, ჰაუპტვახტის მშენებლობის, ეკლესიის რესტავრაციის. ოფიცერთათვის ქვის ფლიგელი იყო აშენებული. პოლიცმეისტერი ვალდებული იყო თვალი ედევნებინა და დაეცვა მაცხოვრებელთა სიმშვიდე და ქუჩების სისუფთავე.

გარდა დაქორწინებულთა ასეულებისთვის (როტებისთვის) გაშენებული პატარა დაბებისა, 40–იან წლებში სამხედრო დასახლებულთა დაბებიც გაჩნდა.

*„სასიხარულო იყო რუსი ადამიანისთვის ეს რუსული საუბარი, რუსული სიმღერა, რომელიც ჩვენს ყურს სიამოვნებდა უცხო დიალექტებსა და მოტივებს შორის“*- წერდა პოტტო თავის მოგონებებში ( 1087-1-1280).

ეს სამხედრო დასახლებები ძირითადად მთელ კავკასიაში რუსული კოლონიის განმტკიცების მიზნით იყო შექმნილი. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში მოთავსებულია ინფორმაცია, რომ საქართველოს სამხედრო გზის უზრუნველყოფის მიზნით მასზე სამხედრო მოსახლეობის დაბინავებას შეუდგნენ. გზაზე ორი სამხედრო დასახლება ააშენეს: ალექსანდროვსკოე და ნიკოლაევსკოე – რეგულარული ჯარების დაქორწინებული ქვედა ჩინებისათვის და ოთხი სტანიცა: პრიშიბისკაია, ურუხსკაია, არდონსკაია, არხონსკაია, სადაც კაზაკები იქნენ დაბინავებული. ვლადიკავკაზსა და მოზდოკს შორის ორი, ელისავეტისკი და კონსტანოვსკი, რედუტი ააგეს. საკორდონე ხაზის გასაძლიერებლად მდინარე კურპზე მოთავსდა გადასახლებული ოსების 90–კომლიანი აული, ხოლო მდინარე თერგზე – უზდენი ანზოროვის აული 100–მდე კომლით“ (აქტები 1881ა: 281).

დაქორწინებულთა ასეულში (როტაში), ხოლო შემდგომ საინვალიდო ან უმწყობრო ასეულებში ორივე სქესის ბავშვები, გარკვეულ ასაკამდე, მთავრობის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. ზუსტად ასევე ობლებს და სამხედრო დასახლებულთა და გადამდგარ ჯარისკაცთა ბავშვებს ხაზინა ინახავდა.

1837 წელს გენერალ–ადიუტანტმა ბარონმა როზენმა გასცა ბრძანება ერივანის პოლკთან არსებულ სამხედრო სკოლაში სამი ბიჭის: საგუბერნიო მდივნის ძმის, სოლომონ ანდრონიკოვის (12 წლის), მისი ძმისშვილის და ქვრივი გლურჯზევის შვილის, ივან აბელოვის (9 წლის) და ... ასევე გიორგი ამილახვაროვის (12 წლის), და კიდევ 10–დან 14 წლამდე თავადებისა და აზნაურების ხუთი ვაჟის სახაზინო ხარჯით ჩარიცხვის შესახებ. ყველა მათგანი სურსათის მისაღებად ჩარიცხული იქნა მე–10 საეგერო დაქორწინებულთა ასეულში (ბობროვსკი 1895: 255).

1838 წლის დასაწყისში ერივნის პოლკთან არსებულ სამხედრო აღმზრდელთა სკოლაში ამიერკავკასიის მხარის ღარიბ აზნაურთა და სხვა წოდებათა შვილებიდან 35 სული იმყოფებოდა, თუ არ ჩავთვლით კანტონისტებს. 10 წლის შემდეგ მანგლისის სკოლაში უკვე 91 ადამიანი იყო. მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ

1848 წელს სიიდან ქართული სახაზო №1 ბატალიონის 28 ბიჭის ამორიცხვა გახდა აუცილებელი (ბობროვსკი 1895:256).

ნამსახურეობის ნუსხების მიხედვით ერივნის პოლკის შტაბ და ობერ ოფიცერთა შემდეგი შემადგენლობა ირკვევა (წარმომავლობის, ქვედა ჩინებში წოდების და ასაკის მიხედვით):

| წარმომავლობა | 1830 წელი | | 1841 წელი | |
|---|---|---|---|---|
| რუსი თავადაზნაურები | 32ად. | 46% | 44ად. | 47% |
| ქართველი თავადები და აზნაურები | 19ად. | 27% | 16ად. | 16% |
| ოფიცერთა შვილები | 12ად. | 17% | 19ად. | 20% |
| ჯარისკაცთა შვილები | | | 4ად. | 4% |
| სამოქალაქო პირთა შვილები | | | 5ად. | 5% |
| სხვა თავისუფალი წოდებიდან: (ეკლესიის მსახურნი, ერთმორწმუნეები, შლიახტა, მეშჩანი, გლეხები) | 7ად. | 10% | 7ად. | 7% |

აზნაურები, ოფიცერთა და სამოქალაქო მოხელეთა შვილები მუდმივად მადომინირებელ ელემენტს შეადგენდნენ 70%– 90%–მდე.(16-1-44).

სამხედრო ობოლთა განყოფილებებში მცირეწლოვანი პოლონელი ობლების განწესებაც ხდებოდა, რის ხარჯზე შემდგომ რიგითი ჯარისკაცებისა და ოფიცრების შემადგენლობის შევსება მიმდინარეობდა.

საიდუმლო მრჩეველი ნოვოსელცევი თავის 1831 წლის 13 ივლისის ცირკულარულ დანაწესში აუწყებს იმპერატორს: *«იმისათვის, რომ 1823 წლის 23 თებერვლის უმაღლესი (იმპერატორის) ბრძანებულების თანახმად ის ადამიანები, რომლებიც წერილობითი საბუთების გარეშე არიან დაკავებული და პოლონეთის სამეფოში დაბადებულებად ასაღებენ თავს, ციმბირში იქნან გაგზავნილი, მეფის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს 1828 წლის 22 მარტის ბრძანების საფუძველზე დაჩანაკებულები და მცირეწლოვნები, ე.ი. ორივე სქესის დაჩანაკებულნი და ქალთა სქესის მცირეწლოვნები განწესდნენ საზოგადოებრივი შეფარების*

*დაწესებულებებში, ხოლო მამაკაცთა სქესის მცირეწლოვნები – სამხედრო ობოლთა განყოფილებებში. და ამის საფუძველზე, პოლონეთის სამეფოში სრული წესრიგის დამყარებამდე ამიერიდან ასე მოექცნენ იქ დაბადებულ ყველა ასეთ ადამიანს»* (16-1-44).

რუკევიჩი ეხება ჯარისკაცების კვების საკითხს, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო: *„მთავარ საკვებ პროდუქტად, რა თქმა უნდა, პური ითვლებოდა, რომელსაც, როგორც ახლა, სამ–სამ ფუნტს გასცემდნენ, ხოლო ლაშქრობისას ორ–ორ ფუნტს (შემდგომ ეს უკანასკნელი ულუფა ოდნავ გაზრდილ იქნა). ფაფა, ფუნტის მესამედის ოდენობით, ყოველ მესამე დღეს გაიცემოდა; სადილი კი ბორშისა ან შჩისგან შედგებოდა, რომელშიც უხვად ყრიდნენ კარტოფილს, კომბოსტოს, ზოგჯერ ახალგაზრდა ჭინჭარს, ან საველე მჟაუნას. ხორცი დღეგამოშვებით მეოთხედი ფუნტის ოდენობით გაიცემოდა, სხვა დღეებში კი ბორშში გადამდნარ ქონს და ფქვილის საკმაზს აზავებდნენ. ლაშქრობებისას ზოგადად მხოლოდ ორცხობილით იკვებებოდნენ, მაგრამ როდესაც მოწინააღმდეგეს საქონელს ართმევდნენ, მაშინ თითოეულ ადამიანზე ფუნტი და მეტი ხორცი გაიცემოდა, და მაშინ კოცონებთან კერძების ორიგინალური სამზადისი იწყებოდა: ზოგი მწვადს წვავდა, ზოგი კიდევ სალაშქრო მათარებში ე.წ. კროშენკას ამზადებდა – ვინეგრეტი წვრილად დაჭრილი ხორცისა და ყველაფრისგან, რაც საჭმელად ვარგისი იყო და ხელთ უვარდებოდათ: ბურღულეული, ხახვი, ნიორი, წიწაკა, კარტოფილი, ადგილობრივი ბოსტნეული, ქონი, მცენარეული ზეთი, მარილი, წყალი და ა.შ. გამოდიოდა რაღაცა სქელი, წებვადი, რისი გადახარშვა მხოლოდ ჯარისკაცის მშიერ კუჭს თუ შეეძლო. ლაშქრობებისას ყოველდღიურად, ხოლო შტაბებში საზეიმო დღეებში, გარდა ამისა, ადამიანები ნორმალური სიმაგრის (65 გრადუსიანი) სპირტის ნახევარფიალას ღებულობდნენ. ცხოვრება იმ დროს ძალიან იაფი იყო. ხორცი, როგორც მახსოვს, ერთ ფუნტი ასიგნაციებით 1–2 კაპიკი ღირდა, ღვინო ერთი ტუნგა (ღვინის საზომი, ხუთი ბოთლის ტოლი) 5–10 კაპიკად; ადგილობრივი ბოსტნეული გროშები ღირდა; რძე, ყველი – იგივე; თამბაქო, თანაც ძალიან კარგი – აბაზი ან ორი აბაზი (20–40 კაპიკი) ერთ თვალში, ანუ სამ ფუნტში და ა.შ. მაგრამ მსგავსი სიიაფისას მაცხოვრებლები უხალისოდ, რაღაც შიშით ყიდდნენ თავის ქონებას, იმდენად დამკვიდრდა მათში*

*სამხედრო რეკვიზიციების შიში, რომლითაც ისინი მუსლიმანთა ურდოებმა დააფრთხეს“*(რუკევიჩი 1914:792).

კავკასიის ცალკეული კორპუსის ნაწილების მატერიალური მომარაგება სამხედრო ქმედებების პერიოდში სხვადასხვა ხერხით ხორციელდებოდა: რუსეთის გუბერნიების სამხრეთი საზღვრებიდან პროდუქტების დამზადებით და მოწოდებით, ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან შესყიდვით და არმიის საჭიროებებისთვის ნადავლი მატერიალური საშუალებების გამოყენებით.

ომის პირობებში მეთაურობა იძულებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე და ამიერკავკასიის სხვა პროვინციებში ეძებნა რესურსები, რისთვისაც შემდეგი განკარგულებები გაიცა:

*„1. მუსლიმანური პროვინციების სამხედრო–საოლქო უფროსს, პოლკოვნიკ თავად ი.ნ. აბხაზოვს – განახორციელოს პურის შესყიდვა მის საქვეუწყებო პროვინციებში…*

*2. მთელი დამზადებული პური უმალ ორცხობილად იქნას გადაქცეული.*

*3. დაიქირაოს საზიდარები ჯარის კვალდაკვალ სასურსათო მარაგების გადასაზიდად.*

*4. გადაწყვეტილი იყო ბაქოს, ქუბის და ნაწილობრივ შირვანის პროვინციიდან შეგროვებული პროვიანტის ზარდობში, მტკვრის აყოლებით წყალზე გაცურება, ამ მიზნისთვის შექმნილი ფლოტილიის მეშვეობით.*

*5. ზაბორში, და ასევე მდინარე მტკვრის აყოლებაზე, სოფელ პირაზახში ნაბრძანები იყო მდინარის გადასასვლელების აგება და შუშიდან გირუსამდე გზის გაყვანა, რათა მასზე შესაძლებელი იყოს თუნდაც საპალნე ტრანსპორტით მგზავრობა.*

*6. ასტრახანიდან პურის გადაზიდვის მიზნით ნაბრძანები იყო კასპიის ზღვის ყველა სამხედრო ხომალდის გამოყენება“*(ზატლერი 1860-100-102).

ნავმისადგომიდან და შეგროვების პუნქტებიდან საომარი მოქმედების რაიონის საწყობებამდე მარაგების მისაწოდებლად ჩამოყალიბებული იქნა მოძრავი მაღაზიები.

*პროვიანტით და ულუფას ფულით მომარაგება ტაბელით განისაზღვრებოდა. ქვედა ჩინს წელიწადში: 25 ფუთი და 30 ფუნტი ფქვილი, 27 ფუთი პური, 15 ფუთი და*

*30 ფუნტი ორცხობილა, 2 ფუთი და 10 ფუნტი ბურღულეული, ულუფას 3 რუბლი და 96 კაპიკი, მარილის შესაძენად 22,5 კაპიკი ეკუთვნოდა.*

*საქართველოში მიმოქცევაში თითქმის ყველგან ვერცხლი იყო, სხვა ფულს მაცხოვრებლები არ ღებულობდნენ. ამიტომ სარგო კავკასიის ჯარებზე უკლებლივ ვერცხლით გაიცემოდა.*

*სარგო – 1835 წ.: პოლკოვნიკის – 1500 რ., ვიცე–პოლკოვნიკის – 1200, კაპიტნის – 900, შტაბს–კაპიტნის – 800, პორუჩიკის – 700, ვიცე–პორუჩიკის 650, პრაპორშჩიკის – 600. 1838 წელს ის 25%–ით იყო გაზრდილი.*

*ექსპედიციებსა და ლაშქრობებში ქვედა ჩინების სასარგებლოდ ხშირად მტრისაგან წართმეული საქონლის და სურსათის სახით ნადავლი შემოდიოდა.* (ზატლერი 1860-107)

ძარცვავდნენ რა დაკავებულ დასახლებულ პუნქტებს, რუსის ჯარები თავის თავს საზრდოთი უზრუნველყოფდნენ. ასე მაგალითად, სპარსეთის ტერიტორიაზე დაკავებულ დასახლებულ პუნქტ სარდარაბადში მათ იარაღის გამოყენებით 10 ათასი ჩარექი პურის მარაგი მიითვისეს.

1827 წ. 14 ოქტომბერს რუსმა ჯარებმა სარდარაბადს ალყა შემოარტყეს, ხუთ დღეში გარნიზონი დანებდა. მიტაცებულ იყო 16 ქვემეხი, სხვადასხვა მარაგის დიდი ოდენობა. ამან რუსის ჯარებს იერიშის შემდგომ გაგრძელებასა და ერივანის ციხე–სიმაგრე ექვსი დღის შემდეგ აღებულ იქნა. იქ მოპოვებული მატერიალური სახსრების მარაგებით ხუთი თვის განმავლობაში შეიძლებოდა რუსი ჯარების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რამაც შემდგომში გადაწყვიტა ომის ბედი რუსეთის სასარგებლოდ. 1828 წ. 10 თებერვალს ხელი მოეწერა თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, გარდა ერივანის და ნახიჩევანის გადაცემისა, სპარსეთმა რუსეთის იმპერიას კასპიის ზღვის გამოყენების განსაკუთრებული უფლება მიანიჭა და 20 მილიონი ვერცხლის რუბლი გადაუხადა. მსგავს პრობლემებს ცალკეული კავკასიის კორპუსის ჯარები რუსეთ–თურქეთის 1828–29 წწ. ომის დროს აზიის თურქეთის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებების ორგანიზაციისას წააწყდნენ. საომარი მოქმედებების დაწყებისათვის დამზადებული იყო: ფქვილი და ორცხობილა – 12 ათ. ჩარექი, ბურღულეული – 1 ათ. ჩარექი, ქერი – 4 ათ. ჩარექი,

საქონელი – 5 ათ. სული და არაყი – 5 ათ. სათლი (ვეშჩიკოვი 2008:149) აქედან თითქმის მესამედი ნაწილი გაიგზავნა მოქმედი ჯარების მოძრავ მაღაზიაში, რომელიც „540 სახაზინო, 530 ნებით დაქირავებული ურმისა და 2250 ნებით დაქირავებული საპალნისგან“ შედგებოდა ჯარის განკარგულებაში ასეთი დიდი მარაგის არსებობა 12–ათასიანი კორპუსისთვის „სანოვაგეს 40–დღიანი ულუფას“ ქონის შესაძლებლობას იძლეოდა (ზატლერი 1860:127).

შემდგომშიც ჯარების უზრუნველყოფა მტრის მარაგის ხარჯზე იყო ორგანიზებული.

ყაინლისთან, მილი–დუზთან და მოგვიანებით გასან–კალესთან ბრძოლების შემდეგ მიტაცებულ იქნა პურის დიდი მარაგები, წართმეულ იქნა 2 ათ. სული საქონელი. ერზურუმის დაკავებისას ასევე აღმოჩენილ იქნა „სანოვაგით სავსე მაღაზიები“ (ვეშჩიკოვი 2008:423).

თავად რუკევიჩი წერს „წართმეული სურსათის“ შესახებ: *„რუსის ჯარების საპატივსაცემოდ უნდა ითქვას, რომ ისინი კავკასიაში თავისი მოსვლის პირველი დღიდანვე ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან აღებულ სურსათში ფულს იხდიდნენ: ერთადერთი ჩვენი კაზაკები თუ ცელქობდნენ დროდადრო. მაგრამ მოსახლეობას უჭირდა ყველანაირი სახის ჯარების წინაშე ისტორიულად ჩამოყალიბებული შიშისაგან გადარჩევა. მაგონდება, როგორ ჯერ კიდევ ორმოციან წლებში, ჩვენი ავანგარდის ერთ–ერთ სომხურ სოფელში შესვლისას მისი მკვიდრები პანიკით გარბოდნენ, მამაკაცები მიერეკებოდნენ საქონელს, ქალები მიათრევდნენ ბოხჩებს და პატარა ბავშვებს, და ყველაფერი ეს ყვიროდა, ღმუოდა, წიოდა... მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ მაცხოვრებლები უკან დაბრუნდნენ უმდაბლესი სალმით, დამნაშავე სახეებით და პატივისცემის და ერთგულების ზედაპირული, მაგრამ, ცხადია, თვალთმაქცური განცხადებებით“* (რუკევიჩი 1914 : 793).

თუმცა შედარებისთვის ერივნის პოლკის ისტორიიდან ისევ სხვა ხასიათის ქმედებების აღწერა უნდა მოვიყვანოთ, საიდანაც შეიძლება გაკეთდეს დასკვა, რომ რუსი ჯარისკაცები არა მარტო მებრძოლ „მხეც“ მთიელებს ართმევდნენ სურსათს, არამედ მშვიდობიან მოსახლეობასაც არ ერიდებოდნენ და სასტიკად ეპყრობოდნენ მათ: *„თითოეული სახლის შტურმით აღება, ან სახლების დამცველთა ცეცხლის*

*დაშენით ამოწვა გვიხდებოდა. ერთ–ერთ მეჩეთში 400 ადამიანი დაიწვა. განსაკუთრებით დიდხანს კათოლიკურ ეკლესიას ედავებოდნენ უტევდნენ. გარნიზონი და მაცხოვრებლები გააფრთებით იბრძოდნენ – ქალებიც კი წარმოუდგენელი სიმამაცით იღწვოდნენ და გაშმაგებამდე მისულები, ცეცხლშივარდებოდნენ. მღვდლები ქრისტიანი ბებრების, ქალებისა და ბავშვების თანხლებით ცეცხლმოდებული ქალაქიდან ჩვენი ჯარის შესახვედრად გამოვიდნენ, და ჯვრები მოჰქონდათ. ქალები, რომლებმაც დაივიწყეს აზიური ადათი, რომელიც მათ სახის ჩვენებას უკრძალავს, უახლოვდებოდნენ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, ითხოვდნენ რა შეწყალებას" (ახალქალაქის დაცემა)* (შაბანოვი 1871:62).

პოლკის მემატიანე ბობროვსკი აღნიშნავს, რომ ყველა იმ აულის ჩამოთვლა, რომელთა განადგურებასა და დაწვაში მონაწილეობდა ერივნის საკარაბინერო პოლკის ორივე ბატალიონი, სულაც არ არის აუცილებელი და რომ განადგურებულ აულთაგან ბევრი სამუდამოდ გაქრა (ბობროვსკი 1895:200).

რუკევიჩი ვრცლად აღწერს პოლკის სამეურნეო ორგანიზაციის შესახებ: *„ამაზე მსჯელობისათვის უნდა იცოდეთ იმ დროის სამეურნეო ორგანიზაცია. ერთ–ერთმა ყოფილმა საპოლკო მეთაურმა, ნ.ნ. მურავიოვმა, რომლის უფროსობა პოლკის ისტორიის ბრწყინვალე ეპოქას წარმოადგენს, გარკვეული სახის ავტონომია დაადგინა ასეულის მეურნეობაში. ყველა განაწესს განაგებდა ფელდფებელისა და ოთხ არჩეულთაგან უპირატესად გამოყოფილთაგან შემდგარი კომიტეტი, მაგრამ იყვნენ უბრალო რიგითებიც, რომლებმაც რაღაცით გამოაჩინეს თავისი ყაირათიანობა. მაქსიმიჩი გარკვეული დროის მანძილზე იყო ამ კომიტეტში, მაგრამ თავად განაცხადა უარი და მხოლოდ ასეულის ხატი დაიტოვა. ასეულთა მეთაურები თვალს ადევნებდნენ ადამიანთა არსებული რაოდენობის სწორ ჩვენებას ნატურით ფქვილის, ხორცის და საჭმლის მოსამზადებელი ულუფის გაცემისას. მომარაგებიდან მიღებული მთელი ეკონომია გადადიოდა ასეულის საკუთრებაში და ზოგჯერ საკმაოდ შთამბეჭდავ ციფრს, რამდენიმე ასეულ რუბლს აღწევდა, რომელიც პოლკის კარადაში ინახებოდა. ამ ფულით ყიდულობდნენ ხატებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს მომღერალთათვის – დაირებს, კლარნეტებს, ლირებს, თუღებს და კოვზებს – და საარტელო ოთხთვალებს თავისი ცხენებით, რომლებიც ჯარისკაცის განსაკუთრებული ზრუნვის*

*საგანი იყვნენ. ამ ვასკას, ეროშკას, ბულანკას ნებისმიერი ადამიანის გაოცება შეეძლოთ თავისი ნაპატივეობით, სიგლუვით და ბზინვარე ბეწვით. ჩვენს ასეულში იყო თითო–ოროლა ძალიან კარგი ცხენი, დედა ერთწლიან შვილ–კვიცთან – კარგი ნაჯვარი წმინდაწყლის ყარაბაღის ცხენთან. ერთი წლის შემდეგ კვიცი ერთ დრაგუნ იუნკერზე უჩვეულოდ მაღალ ფასად – ას რუბლად გაყიდეს. თავისი და ასეულის მეთაურის ცხენებისთვის ალაფს ასეულები თვითონ ამზადებდნენ პოლკის სათიბებზე, ხოლო ლაშქრობებისას ყიდულობდნენ, ან კიდევ გზაში თავად გლეჯდნენ ბალახს და სავსე უბით მიქონდათ ღამის სათევ ადგილამდე. ბალიშები, ლეიბები, საწოლები, ნაალები, ცხადია, არ იყო. თავის თავს ასეთი ფუფუნების უფლებას მხოლოდ ცოტანი- ძველი მოსამსახურე ფელდფებელები და ზოგიერთი იუნკერები თუ აძლევდნენ. ეძინათ ცარიელ ტახტებზე და დიდ ბედნიერებად ითვლებოდა, თუ მოხერხდებოდა ჩალის ძნის მოპოვება. ბალიშის როლს ზურგჩანთა ასრულებდა, იფარებდნენ შინელს, ზამთარში მეტწილად გაუხდელად ეძინათ, ზოგჯერ ჩექმებშიც კი. თუმცა, ხშირი ლაშქრობებისას არც საწოლებს და არც სხვაგვარ დიდი ზომის ნივთებს არ იმარაგდებდნენ ხოლმე. ჯარისკაცის მთელი სიმდიდრე ერთ ტყავის ზურგჩანთაში უნდა ჩატეულიყო, ფაქტიურად ანდაზის თანახმად: omnia mea mecum porto*[7] (რუკევიჩი 1914:793).

საბრალო რუკევიჩმა ლოგინის თეთრეული საყვარელთან ერთად გაქცეული ოფიცრისგან ვერცხლის სამი რუბლის ფასად იყიდა.

საპოლკო ჟურნალის ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ ჯარისკაცთა თანხები შედგებოდა: 1) საარტელო ფულისგან; 2) დაზოგილი, საკვების ან საჭმელ–სასმელი თანხებისგან; 3) ქვედა ჩინების საკუთარი ფულებისგან. საარტელო თანხა იქმნებოდა: 1) სარგოდან დაქვითვებისგან; 2) მეფის დასწრებით ჩატარებულ დათვალიერებებში, აღლუმებსა და წვრთნებში ყოვლად მოწყალებით ბოძებული ფულებისგან; 3) ნებსით დაქირავებულ სამუშაოებში გადახდილი ფულებისგან. 1837 და 1838 წლებში ქვედა ჩინების მიერ 8 ათას რუბლზე მეტი იყო გამომუშავებული.

[7] ყველაფერი რაც მაქვს – თან მაქვს.

ქაღალდზე ყველაფერი ჩინებულ წესრიგში იყო, მაგრამ სინამდვილეში სამსახურის წესში და კანონის მოთხოვნებში დანაკლისები და უზუსტობანი ვლინდებოდა. ამის მაგალითად შეიძლება ერივნის საკარაბინერო პოლკში დადიანის მეთაურობის პერიოდი მოვიყვანოთ. მის დროს არქივიდან რამდენიმე წლის ბრძანებები გაქრა, ან ბევრი ფურცელი ბრძანებებიდან ამოგლეჯილი იყო (ზობროვსკი 1895:280).

ამიტომაც რიგითი რუკევიჩი გაბრაზებული აღნიშნავს: *„ჭეშმარიტებას რომ არ გადავუხვიოთ, თამამად შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ამ ვასკებსა და ბულანკებს უკეთესი ცხოვრება ჰქონდათ, ვიდრე ჯარისკაცებს“.* (რუკევიჩი 1914:808)

ეს სავალალო მდგომარეობა იყო სახეზე, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული კავკასიის კორპუსი რუსული ჯარის ერთ–ერთ ყველაზე ბრძოლისუნარიან, საომარი მოქმედებების მდიდარი გამოცდილების მქონე შენაერთად ითვლებოდა. ის სამხედრო სამსახურის განსაკუთრებული პირობებით გამოირჩეოდა. კავკასიის რეგიონში გამართულმა სამხედრო მოქმედებებმა აქ მყოფი და მებრძოლი რუსი ჯარის ცხოვრების და საბრძოლო საქმიანობის სხვადასხვა მხარეებზე მოახდინეს გავლენა. ეს გამოყოფდა მათ რუსული არმიის მთელი დანარჩენი მასისაგან, ქმნიდა კავკასიელი ჯარისკაცის თავისებურ ტიპს, რომელიც ჩინებული საბრძოლო თვისებებით და გარეგნობით გამოირჩეოდა.

უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმდროინდელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გარეგნობის რუკევიჩის მიერ მოყვანილ აღწერაზე. რუკევიჩი აღნიშნავს, რომ თითოეულ ჩამოსულს, განსაკუთრებით კი დედაქალაქებიდან, სადაც მუშტრა და მარშირება ბატონობდა, კავკასიაში ოფიცრებსა და ჯარისკაცებში მხედრული გამართულობის არარსებობა აოცებდა. პოლონელი იხსენიებს გრაფ პასკევიჩის ცნობილ გამოხმაურება–შეფასებას იმ პირველ უკიდურესად არახელსაყრელ შთაბეჭდილებასთან დაკავშირებით, რომელიც დედაქალაქის აღლუმების ამ გმირზე კავკასიის ჯარებმა მოახდინა. რამდენიმე თვის შემდეგ ამ „არაფრად ვარგისმა“ ჯარების რაზმმა, არაუმეტეს 5–6 ათასი მეომრის ოდენობით, შამქორთან აბას–მირზას ორმოცათასიანი სპარსული რაზმი გაანადგურა. იმავე ჯარებმა მოუტანეს თავად პასკევიჩს „ერივანსკის“ ტიტული და შემდეგ მის თვალწინ მთელი რიგი სხვა

გამარჯვებები მოიპოვეს. პავლეს სკოლის ფრონტელმა ბოლოსდაბოლოს აღიარა, რომ გარეგნული მხედრული გამართულობის არარსებობა სრულიად არ უშლის ხელს კავკასიის არმიის გამორჩეულ სამხედრო ღირსებებს (რუკევიჩი 1914:791).

რუკევიჩი აღწერს ერივინის პოლკის ჯარისკაცების გარეგნულ სახეს, მათ ჩაცმულობას: *„ჯარისკაცები მოუქნელები იყვნენ, დადიოდნენ ბაჯბაჯით, თავზე ფაფახი ეხურათ, რომელიც ან კეფისკენ იყო გადაწეული ან კიდევ თვალებზე ჰქონდათ ჩამოფხატული, ხშირად ფორმის გარეშე იყვნენ, პერანგებში, ჯუბებში, ფლოსტებში ჩექმების ნაცვლად; მათ სამწყობრო სიარულს არ ჰქონდა ის სიმტკიცე, რომელსაც მაშინ ითხოვდნენ, თოფით გამკლავების ილეთები არ იყო ზუსტი; ჯარისკაცები არც თუ ისე სწრაფად და იხრიდნენ ქედს უფროსობის წინაშე, როგორც ეს ცენტრებში კეთდებოდა, მაგრამ ოფიცრები ყოველთვის წინ მიუძღვოდნენ და ჯარისკაცები მათ ცეცხლშიც მიყვებოდნენ და წყალშიც. კავკასიაში ჯარისკაცი გაცილებით ახლო იყო ოფიცერთან, ვიდრე რუსეთში* ( რუკევიჩი 1914 :790)

პოლკოვნიკი ბარტოლომეი, ნიკოლოზ I-ის რწმუნებული პირი, რომელიც 1827 წელს კავკასიაში ინსპექციით გაიგზავნა, თავის რაპორტში, გრაფაში „სამსახურის წესი“ ლაკონურად აღნიშნავდა: „საერთოდ არ არსებობს“, და შემდგომ მიწერილი ჰქონდა: *„...ადამიანები აქ არ გამოირჩევიან გამართულობით, განსწავლულობით და მხოლოდ მუნდირი, რომლსაც იშვიათად იცვამენ (მეტწილად აქ გახეული შინელებით დადიან, ნაბადებში, ახალუხებში, ჩერქეზულ ქუდებში და ა.შ.) ზოგჯერ მიგვახვედრებს, რომ ეს სავარაუდოდ ჯარისკაცები არიან“* (საიდუმლო ინსტრუქცია 1910:142). მომარაგების ბაზებისგან და მაღალი უფროსობის მკაცრი მზერისგან სიშორე, ადგილობრივი პირობების მიმართ ადაპტაციის აუცილებლობა და ასევე თითქმის მუდმივი საბანაკო ყოფა გახდა მიზეზი იმისა, რომ კავკასიაში ომის უკვე პირველ წლებში ჯარის ფორმაში გამოწყობა მიახლოებით თუ გვაგონებდა წესდებით განსაზღვრულს. ევროპულ კამპანიებში ბრძოლებს შორის ხანგრძლივი შესვენებების დროს ჯარისკაცები ახერხებდნენ უნიფორმის დაკარგული ნაწილების აღდგენას. კავკასიაში კი თავად ომის რიტმი გამორიცხავდა ასეთ პაუზებს. გარდა ამისა, ადგილობრივი მეთაურობა შეგნებულად ზერელედ უყურებდა ფორმის ჩაცმულობის დარღვევებს, განსაკუთრებით კი იმ დეტალებს, რომლებსაც პრაქტიკული

მნიშვნელობა არ ჰქონდა (ფილიპსონი 1884:354). *„გახეული, გახუნებული და დამწვარი შინელი არ იყო რაიმე განსაკუთრებული კავკასიური პეწის ნიშანი, თუმცა ასეთი რამეების ეპატაჟისათვის გამოყენების მოყვარულებიც გვხვდებოდნენ... მოკლედ, კავკასიელები გარეგნულად შეუხედავები იყვნენ, არც აღლუმები უყვარდათ, მათი დათვალიერებები, როგორც წესი, წარუმატებელი იყო, მაგრამ ეს სრულიად არ უშლიდა მათ სასწაული სიმამაცის და გამძლეობის გამოჩენაში“* – წერდა ტენგინსკის პოლკის ისტორიოგრაფი (რაკოვიჩი 1900:128-129).

ცვლილებები პოლკების ფორმის ჩაცმულობაში და აღჭურვილობაში იმ ეპოქაში საკმაოდ ხშირი იყო, განსაკუთრებით თავსაბურავებში და ამუნიციის მორგებაში. 1828 წელს სამწყობრო ჩინებისთვის დადგენილი ტანსაცმლის ფორმა 1848 წლამდე უცვლელი რჩებოდა.

უმწყობრო ჩინებს კი 1828 წლის 24 აპრილის ბრძანებულებით დაუწესდა ერთბორტიანი მუქი–მწვანე სერთუკები, ნაცრისფერი პანტალონები ბეწვის წითელი ღარით გვერდით ნაკერებზე; ხელოსნებს და ლაზარეთის მოსამსახურეებს მუნდირების ნაცვლად ქურთუკები და ნაცრისფერი პანტალონები ეცვათ. ოფიცრებს სერთუკების წითელი ყოშები მუქი–მწვანეებით შეუცვალეს (1829 წ.).

ნაცვლად გლუვი ღილებისა მუნდირებსა და შინელებზე შემოღებული იქნა ღილები გრენადის ამოზნექილი გამოსახულებით და ციფრით, როგორც გერბზე იყო (1829 წლის 26 დეკემბერი). შემდეგ გააუქმეს მაუდის ნახევარშტიბლეტები (1833 წ. 3 იანვარი) და ყველა სამწყობრო ჩინს დაურიგეს ახალი ფორმები – საზაფხულო პანტალონები საჩეხის გარეშე და იმავე რაოდენობის ფლამის ნაქსოვი ტილო (1833წ. 20 თებერვალი). ერივნის პოლკის სამხრეულებზე ოფიცრებს და დაბალ ჩინებს უნდა ჰქონოდათ ლიტერა Э (1833წ. 28 იანვარი), რომელიც შემდგომ კურსივის *Э*-თი იყო შეცვლილი (1843 წ. 8 აპრილი).

შავი ზღვის ნაპირებისკენ, აფხაზეთში, კარაბინერთა ლაშქრობის წინ მთელ პოლკს მიწერილობით დაევალა მხრებს ზემოთა ჩექმების და ჯუბაჩების დამზადება დაზოგილი თანხების ხარჯზე (ბრძანება №25 1837 წლის 1 თებერვალი).

ზურგჩანთები იგივე იყო: ხბოს ტყავის, შავი ტყავისვე არშიებით. კივერების და საპატრონე ჩანთების შალითები გაუქმებულ იქნა (1833). ოფიცრებს დაშნების

ნაცვლად დაევალათ ნახევარხმლების ტარება. მათ ულვაშების ტარების ნებაც დართეს (1832 წ. 8 ივნისი). ოფიცრებს ახალი ტიპის შარფები მიეცათ (1839 წ. 15 ივლისი).

კავკასიის კორპუსის ჯარები, ვინაიდან წლის უმეტეს ნაწილში ლაშქრობებში, მუშაობასა და გადაადგილებებში ატარებდნენ, მუნდირებს გაცილებით უფრო დიდხანს ინახავდნენ, ვიდრე შინელებს; ეს უკანასკნელი უკვე ლაშქრობების მეორე წელს ძველდებოდა, ხოლო მესამე წელს ძონძებად იქცეოდა (ზობროვისკი 1895:260-261).

კავკასიის კარგი მცოდნე გენერალი რ.ა. ფადეევი საერთოდ თვლიდა, რომ ამ მხარეს ვერც კი დაიპყრობდნენ, ჯარისკაცებისათვის რომ არ მიეცათ საკუთარი ხარჯით ჩაცმის უფლება (ფადეევი 2010 ა:573).

იმ მიზეზთა შორის, რომლებიც უბიძგებენ სამხედრო ჩამცმულობის წესიდან გადახვევისკენ, მთავარი კონკრეტულ გარემოებებთან შეწყობა იყო. კავკასიაში რუსი ჯარის კოსტუმისა და აღჭურვილობის ევოლუციის განმსაზღვრელ ფაქტორებს სამთო–სატყეო ომი, მოძრავი მოწინააღმდეგე და კლიმატი წარმოადგენდა. ტანისამოსის ფორმა და აღჭურვილობა, რომლებიც თავდაპირველად არ იყო შეწყობილი მთებში საომარ მოქმედებებთან, ადგილობრივი პირობების და სამხედრო–სალაშქრო გარემოებების გათვალისწინებით იცვლებოდა. სამთო ტანისამოსის და აღჭურვილობის მახასიათებელი ელემენტები კავკასიის სახაზო და შავი ზღვის კაზაკებმა ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან ისესხეს.

ოფიცერი სიმანოვსკი თავის მოგონებებში წერს: *„დილის 10 საათზე ველიამინოვი შემოუვლიდა ბანაკს, ჯარები ასეულების მიხედვით იყვნენ ჩამწკვრივებული ბატალიონის კოლონებში (ჯარისკაცები – შინელებსა და ფორმის ქუდებში, ოფიცრები – სერთუკებში, ფორმის ქუდებში და ხმლებით). ველიამინოვის წინ სამი მეხაზე მოდიოდა, შემდეგ თავად ველიამინოვი ამალით და უკან მცველთა რაზმი, რომელიც 50 სახაზო კაზაკისგან შედგებოდა. მათი კოსტუმი ძალიან მომწონს: ისინი ჩერქეზებივით არიან ჩაცმული და შეიარაღებული, ხოლო ბრძოლაში სიმარჯვით და დახელოვნებით თავად ჩერქეზებსაც კი ბევრად აღემატებიან, მათი ტანისამოსი მსუბუქი და მოხერხებულია როგორც ცხენოსნებისთვის, ისე*

*ქვეითთათვის, ბევრი მათგანი „გაჭენებულ ცხენზე მჯდარი მიწიდან მანეთიანს სწევს“, ისინი ახოვანები და კარგი აგებულების იყვნენ“* (სიმანოვსკი 2000 : 189).

იმ დროს ოფიცრის სამხრეულები არ არსებობდა. ეპოლეტების გარდა, ჩინებს შორის გამორჩევის სხვა არავითარი ნიშანი არ იყო. ოფიცრები და კაზაკები ერთნაირად, უბრალო ჩოხებში იყვნენ გამოწყობილნი და ვერც კი გაარჩევდი, რომელია ოფიცერი და რომელია ჯარისკაცი. არც ერთი ოფიცერი არ იტარებდა გამორჩევის სხვა ნიშნებს, ანუ ჯვრებს; ყველაფერი ეს ერთადერთი სამუნდირე ტანისამოსს მიეკუთვნებოდა, რომელსაც უპირატესად აღლუმების ან უფროსობის წინ წარდგენისას იცვამდნენ, რაც წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ხდებოდა, ამიტომ მათ შორის სხვების დამსახურებების მიმართ არანაირი შური არ იყო. ხასიათის ეს განმასხვავებელი თვისება – სამსახურის მოვალეობის შესრულება აუცილებელი ვალდებულების და არა რაიმე ჯილდოს მიღების მიზნით ყველას აიძულებდა პატივი ეცა მათთვის (ვოსპომინანია 1879 :12).

როგორც შედეგი, ოფიცერთა და ჯარისკაცთა იდენტიფიკაცია პირველ რიგში სწორედ პოლკისადმი მათი კუთვნილების მიხედვით ხდებოდა: კურინსკის პოლკის წარმომადგენლები საკუთარ თავს კურინელებს უწოდებდნენ, აფშერონის პოლკის – აფშერონელებს, შირვანის – შირვანელებს და ა.შ., იმ ქვედანაყოფების წარმომადგენლებს, რომლებიც გაუპიროვნებელ ფორმალისტურ სახელწოდებას ატარებდნენ, თავისი საკუთარი არაფორმალური დასახელება ჰქონდათ, მაგალითად, პირველი კავკასიური სასროლო ბატალიონის წევრებს, გომბორში შტაბ–ბინის განლაგების ადგილის მიხედვით, გომბორელებს უწოდებდნენ. კავკასიის ომის მსვლელობისას ხდებოდა პოლკების სახელების გადარქმევა იმ სახელოვანი გენერლების სახელთა მიხედვით, რომლებიც მათი შეფები ხდებოდნენ. ასე, 79–ე ეგერთა კურინსკის პოლკი „გენერალ–ადიუტანტ თავად ვორონცოვის ქვეითი“ პოლკი გახდა, მე-80 ეგერთა ყაბარდული პოლკი – „გენერალ–ადიუტანტ თავად ჩერნიშოვის ყაბარდულ პოლკად“ იქცა, ხოლო შემდეგ „გენერალ–ფელდმარშალ თავად ბარიატინსკის ქვეით პოლკად“. მიუხედავად ხელახლა გადარქმევისა პოლკების წევრები კვლავაც თავის თავს ძველი ტერიტორიული სახელწოდებებით მოიხსენიებდნენ. თუმცა, შირვანელებს, რომელთა პოლკს ხელახლა „გენერალ–

ფელდმარშალ გრაფ პასკევიჩ–ერივანსკის ქვეითი პოლკი“ გადაარქვეს, ალტერნატიული დასახელება – „გრაფელები“ განუმტკიცდა (გიზეტტი 1896).

საესქპედიციოდ ორი, ან სამი ბატალიონი ინიშნებოდა. 1832 წლიდან წესად იყო დადგენილი თუ ექსპედიციაში ორი ბატალიონი ინიშნებოდა, მაშინ მესამე ტიფლისში საყარაულო სამსახურს ასრულებდა, ან მანგლიშში რჩებოდა დასასვენებლად და სამუშაოდ. სარეზერვო მე–4 ბატალიონი არასდროს არ გადიოდა მთიელთა წინააღმდეგ ექსპედიციებში. მე–4 ბატალიონის შემადგენლობაში რუკევიჩი ირიცხებოდა. ზუსტად ასევე პირველი, მე-2 და მე-3 მოქმედ ბატალიონს უპირატესად საქართველოს სამხედრო, ახალციხის სამხედრო, იმერეთის სამხედრო გზებზე და ალექსანდროპოლის ციხე–სიმაგრეში სამუშაოების ჩატარება ეკისრებოდათ. მხოლოდ 40–იან წლებში ერივნის პოლკმა დაიწყო საკმაოდ ქმედითი მონაწილეობა მიურიდიზმთან ბრძოლაში, როდესაც შამილი უკვე დაღესტანში დამკვიდრდა (ზობროვსკი 1895 :228).

ცალკეული კავკასიის კორპუსის პოლკების ბირთვს რეკრუტები წარმოადგენდნენ.

საჭირო იყო კავკასიაში უპირატესად ისეთი რეკრუტების გაგზავნა, რომლებმაც განიმტკიცეს ძალები და გზის სიძნელეების ამტანნი იყვნენ. თითოეულ რეკრუტს ამარაგებდნენ სამუნდირე ტანისამოსით და კმაყოფის ატესტატით. ისინი დანიშნულების ადგილში 200–300 კაციანი პარტიის ან სამარშო ბატალიონების შემადგენლობაში მიემგზავრებოდნენ; რეკრუტთა ჩასვლისას შტაბ–ბინაში პოლკის უფროსებისგან უწყისი იგზავნებოდა ( 1087—1- 1279).

პოტტო ძალიან საინტერესოდ წერს: *“საკუთარ საკომლოს ესესაა მოწყვეტილი რეკრუტი ... ერთი–ორი წლის განმავლობაში ფიზიკურად, ზნეობრივად და გონებრივად ჯარისკაცად გარდაიქმნებოდა... ყოფილი რეკრუტი უკვე ამაყობს იმით, რომ ის ჯარისკაცია და საუბრითა და ქცევებით პატივისცემას აძღრავს და მოითხოვს კიდევაც. ესაა ბრძოლებში გამოწრთობილი, საქმეში გამოცდილი მეომარი. ქუდი, გრძელი ბღუჯა თმებით, ჯუბაჩა მკერდზე მიკერებული პატრონტაშით, ქამრით შემოჭერილი, რომელზეც პატრონების ჩანთაა, მარცხენა მხრიდან მძიმე ხანჯალი, მარჯვენა მხრიდან კი - დანა–ჩანგალი, რომელიც სადღაც ბრძოლის დროსაა*

*წართმეული, ქონი თოფის დასაზეთად, ფეხებზე მუხლს ზემოთა ჩექმები, ხოლო მხრებზე ნაბადის ნაცვლად ძველი შინელი. თბილ ამინდში ის ყველაფერს ისე მოიმარჯვებს, რომ ლაშქრობისას სხვა არაფერი დაჭირდეს და არაფერმა რომ არ შეუშალოს ხელი, მას შეუძლია იყოს ცქვიტი და მარჯვე, მთიელის დარად იძრომიალოს კლდეებზე, ყველა შემთხვევითი საფარი გამოიყენოს და საბედისწერო წუთს მიუვარდეს ქვებისგან აწყობილ ზღუდეს „ურას" ისეთი შეძახილებით, რომლის წინაშე ვერც ზღუდე გაძლებს და ვერც აულების და მთიელთა სახლების კედლები. და რა სიხარულით, თითქოს საქეიფოდ მიემართება კოლონა, ხშირად ძლიერ დამხუთველ პაპანაქება სიცხეში, თუ ყინვაში... წინ სიმღერებით, და მოცეკვავეთა ბუქნაობით. საოცარია, თუ რანაირად ახერხებს ეს გმირი ჯარისკაცი, რომელიც თავის საკომლოს მოწყვიტეს, რომელიც ჩვენი ტრამალიანი გუბერნიის ვაკეებიდანაა წამოყვანილი, შეხლა–შემოხლაში მთიელთან შეჯიბრებას და თითქმის ყოველთვის როგორ ღირსეულად ასრულებს ბრძოლას"* (1087-1-1280).

მათი პირადი შემადგენლობის შესახებ სამხედრო სამინისტროში წარსადგენად კორპუსის მეთაურისაგან იგზავნებოდა. რეკრუტებისა და ქვედა ჩინებისთვის დაწესებული იყო მარშის დროს კვირაში 2,5 ფუნტი ხორცის გაცემა, ხოლო ღვინო 2 ფიალა კაცზე. უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც რეკრუტების სამწყობრო სამსახურში სისტემატური წვრთნისთვის დრო არ რჩებოდა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა გაფანტული მწყობრის და მიზანში სროლის წვრთნას. საერთოდ იმპერატორ ნიკოლოზ I მეფობის დროს რეკრუტების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა (1087-1- 1280).

## § 4. ნიკოლოზ I-ის ვიზიტი კავკასიაში. სამშვიდობო პროექტების ილუზია და რეალობა

თავის მოგონებებში პოლონელი ა. რუკევიჩი დიდ ადგილს უთმობს 1837 წელს კავკასიაში იმპერატორი ნიკოლოზ I-ის ვიზიტს და ვრცლად საუბრობს ამის თაობაზე. აღნიშნავს, რომ იმპერატორის ტიფლისში ჩამოსვლის დროს „მოხდა თავად დადიანთან დაკავშირებული კატასტროფა, რომელმაც მისი ესოდენ ბრწყინვალედ

დაწყებული კარიერა დაასრულა“. ყუბანის ლაშქრობის შემდეგ რიგითი რუკევიჩი მივლინებული იქნა პოლკის კანცელარიაში „წერითი მეცადინეობების ჩასატარებლად“ (რუკევიჩი 1914 :809). იქ ის პირადად თავად დადიანს, რომელიც გენერალ-გუბერნატორის როზენის სიძე გახლდათ, გაეცნო და მისი პირადი მდივანი გახდა, გადაწერდა და ასწორებდა რა მის მიერ შედგენილ კავკასიისა და მცირე აზიის დაპყრობის უვარგის პროექტებს, რომლებსაც არავინ არ კითხულობდა. კანცელარიაში სამსახურის დროს რუკევიჩს უნტერ–ოფიცრის წოდება მიანიჭეს „ბეჯითი სამსახურისა და ჩინებული ქცევისათვის“. მეფის ნება-სურვილი 1836 წლის 18 აპრილს განხორციელდა. რუკევიჩი თბილად იხსენებს დადიანის ოჯახს, რომელიც ერივნის პოლკის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს არ უყვარდათ.

რუკევიჩის მოგონებებში ვკითხულობთ: “... თავის პოლკის მეთაურზე ჯარისკაცები ირონიით ამბობდნენ: – ფუჭი ადამიანია! თავის ქართველებს მოშორდა, ჩვენ კი ვერ დაგვიახლოვდა. ჩვენ, ჯარისკაცებს, როგორც მუშა პირუტყვს გვიყურებს... ის ასეულს უნდა მეთაურობდეს და არა პოლკს. ოჰ, როგორ უყვარს მამლაყინწაობა.

...ყველას ახსოვდა, ერთხელ ლაშქრობაში, დადიანმა „რა რიგი უტაქტობა დაუშვა ქართველებთან მიმართებაში და შენიშვნაზე, არიქა ეს ხომ ჩვენი ყონაღები, ანუ ძმობილები არიან, ძალიან უხეში გამოთქმა გამოიყენა მათი მისამართით. ქართველებს ეწყინა და ამას შედეგად ურთიერთობების გაცივება მოჰყვა, რომელმაც თავი ქვემოთ აღწერილი კატასტროფის დღეს იჩინა. ქართველები ჩვენგან ნახევარ ვერსში ბაღებს ჩეხავდნენ და როდესაც სროლა, ბრძოლის ხმაური და ყვირილი მოისმა, ისინი არ მოვიდნენ ჩვენს დასახმარებლად. სავსებით შესაძლებელია, რომ მათ ეს არც შეეძლოთ, თავადაც გაფანტულნი იყვნენ ტყეში, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ფიქრადაც არ მოსდიოდათ თუ რა ზომის კატასტროფა ხდებოდა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, დადიანი, რომელმაც პირველმა დაარღვია ყონაღობის წმინდა წეს-ჩვეულება, ახლა ამაში ქართველებს ადანაშაულებდა, და ამ სახელოვან, ერთნაირად ღირსეულ პოლკებს შორის არსებული კეთილი განწყობილება დარღვეულ იქნა და ეს მრავალი, მრავალი წლის განმავლობაში, ჩემი ყოფნის დროს და ჩემს შემდეგაც გრძელდებოდა. შემდგომში ყველამ იცოდა ამ ურთიერთობების შესახებ, უმაღლესი

მეთაურობაც ბევრჯერ ცდილობდა მხარეთა შერიგებას, როგორც მოსმენილი მქონდა, შერიგების სადილებიც კი ეწყობოდა, მაგრამ სიცივე მაინც რჩებოდა. ცხადია, რომ ეს გაუგებრობა, რომელიც ბრძოლის დროს დაიწყო, ვერ გამოისყიდებოდა სადღეგრძელოებით და სუფრული ბაასით, და ეს მხოლოდ ბრძოლაში გამოჩენილი თვალნათლივი თავგანწირვით თუ მოხერხდებოდა" (რუკევიჩი 1914 ა:41).

მმართველი ბარონი როზენიც არ იყო საუკეთესო მდგომარეობაში. კავკასიის ცალკეული კორპუსის მეთაურად და საქართველოში მთავარსარდლად არა მისი ადრინდელი სამხედრო და ადმინისტრაციული, საკმაოდ მოკრძალებული გმირობების საპატივცემულოდ, არამედ ნაცნობობით და მეფისა და პასკევიჩის შეუცნობელი ახირებით დანიშნული, ბარონი როზენი მისთვის სრულიად უცნობ მხარეში ჩავიდა, და მისთვის სრულიად უცხო საქმისთვის უნდა ეხელმძღვანელა. 1832 წელს ის შეეცადა პირადად აეღო თავის თავზე უფროსობა ყაზი–მულას წინააღმდეგ მოქმედ ჯარებზე. რა თქმა უნდა ექსპედიცია რთული იყო, გიმრის აღებამ და ყაზი–მულის განადგურებამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია, მაგრამ ალბათ ერთ–ერთი იყო იმ გმირობებისაგან, რომლებსაც უფრო მეტი სახელი მოაქვს, ვიდრე სარგებელი. ამის შემდეგ როზენი ტიფლისის „ქაღალდის ადმინისტრაციის" მორევში ჩაიძირა, თავისთვის მხოლოდ კავკასიაში სამხედრო მოქმედებების საერთო მიმართულების დაგეგმვა დაიტოვა (ფილიპსონი 1883:242).

თუმცა რუკევიჩი ამდაგვარად წერს როზენზე: „..იყო რა ბუნებით დიდი გონებით დაჯილდოებული, მან, თავისი პატიოსნებით და უზარმაზარი გამოცდილებით, სამწუხაროდ, ბევრი მტერი შეიძინა, როგორც პეტერბურგის უმაღლეს სამთავრობო წრეებში, ისე თავად ტიფლისში, სადაც მის წინაშე ღიად სენატორი ჰანი გამოდიოდა (რუკევიჩი1914ა:400).

მთელი ალიაქოთი, როგორც ცნობილია, ატყდა იმ დასმენის პატაკის გამო, რომელიც ხელმწიფეს სენატორმა ბარონმა ჰანმა ჩააბარა, მაგრამ ყველასათვის არ არის ცნობილი ამ უკანასკნელის სიბეჯითის მიზეზი. როზენის და დადიანის ოჯახებში ამაზე სრულიად ღიად საუბრობდნენ" (რუკევიჩი 1914 ა :400).

თუმცა თავად რუკევიჩი ასე ხსნის დადიანების და როზენის „კატასტროფას"და მეტად საინტერესო ფაქტებს იხსენებს. ბარონი როზენის კავკასიაში ჩასვლამდე

თავადი ჩერნიშოვი, მაშინდელი სამხედრო მინისტრი, რომელიც მეფის კარზე დიდი ძალაუფლებით სარგებლობდა, ნუხაში არსებული მეაბრეშუმეობის კომპანიის ერთ–ერთი მთავარი აქციონერი გახდა. როდესაც ბარონი როზენი კავკასიაში ჩავიდა, თავადმა ჩერნიშოვმა, რათა გაეფართოვებინა თავისი საწარმოო წამოწყება და გაეზარდა კომპანიის დივიდენდები, ბარონს რაღაც განსაკუთრებული შეღავათები სთხოვა და ამავდროულად მას საქმეში მნიშვნელოვანი მონაწილეობა შესთავაზა. „უპატიოსნესი და უკეთილშობილესი ბარონი როზენი“, სწორედ ამ სიტყვებიტ აფასებს ბარონს რუკევიჩი, ძალიან აღშფოთდა ამ შეთავაზების გამო და საკმაოდ უხეშ ფორმაში უარი თქვა პირად მონაწილეობაზე და მფარველობაზე. „ბედის ძლევამოსილი ნებიერი“ ჩერნიშევი, ცხადია, ვერ აპატიებდა მსგავს წყენას და შურისძიება გულში ჩაიდია. ბედიც წყალობდა მინისტრს. მეაბრეშუმეობის კომპანიის აგენტებმა, კავკასიის საქმეების აღწერისას, სხვათა შორის, მას მთავარსარდლის სიძის ქმედებების შესახებაც აცნობეს, და ამ ნიადაგზე თავადმა ჩერნიშოვნა თავისი შურისძიება ააგო.

იმ დროს კავკასიაში სამოქალაქო მმართველობის შემოღება ხდებოდა განსაკუთრებული კომისიის მიერ, რომელიც ინიშნებოდა პეტერბურგიდან და რომლის თავმჯდომარე ბარონი სენატორი ჰანი იყო. სენატორი, როგორც მაშინ ამბობდნენ, ოცნებობდა სამხედრო უწყებაში გადასვლაზე და მხარის მმართველობის სათავეში ჩადგომაზე. თავადი ჩერნიშოვი მხარს უჭერდა ბარონ ჰანს მის პატივმოყვარე ჩანაფიქრებში და მათ ერთად გამოიმუშავეს როზენის წინააღმდეგ გალაშქრების გეგმა, დაიწყეს რა სუსტი ადგილიდან – დადიანისგან. სენატორმა ჰანმა მოკიდა საქმეს ხელი და კავკასიაში ჩასულმა, დაავალა ერთ–ერთ თავის მოხელეს, ნადვორნი სოვეტნიკს ბაზილის, საიდუმლოდ დასახლებულიყო მანგლისში და გამოარკვია ყველაფერი , რაც დადიანის დადანაშაულებას ხელს შეუწყობდა. ჩვენ, იმ დროს დაბაში მცხოვრებთ, აქ საიდუმლო მეთვალყურის ყოფნის არანაირი ეჭვი არ გვქონდა. ასეთი ხერხით მოპოვებული ცნობების საფუძველზე ბარონმა როზენმა მოხსენებითი ბარათი შეადგინა, რომელიც პირადად ხელმწიფეს გადასცა, მალევე ტიფლისში მისი ჩამოსვლის შემდეგ (რუკევიჩი 1914 ა : 401-410).

ამ ფაქტს ემატება ეჩმიაძინის ეპისკოპოსის საჩივარი როზენის მეუღლის წინააღმდეგ. ეჩმიაძინში, ეპისკოპოსის წირვის შემდეგ, სამონასტრო იშვიათობებისა და ძვირფასეულობების დათვალიერების მერე ნიკოლოზ I-მა პატრიარქის გვირგვინზე ყალბი საფირონები აღმოაჩინა. ხელმწიფეს უპასუხეს, რომ თვლები ნამდვილი იყო, მაგრამ დაკარგეს თავისი ფასი ბარონ როზენის მეუღლისგან გვირგვინის დაბრუნების შემდეგ, რომელმაც გამოითხოვა ის დეტალური და უახლოესი დათვალიერების მიზნით"(1087-1-1045).

რუკევიჩი ხატოვნად აღწერს იმპერატორის ჩასვლას ტიფლისში და როზენის ოჯახის კრახს. ყველას წინაშე თავად დადიანის დასჯამ შემდეგი მითქმა–მოთქმა გამოიწვია ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შორის. ისინი დარწმუნებული იყვენენ, რომ დადიანის საჯარო დასჯით, ნიკოლოზ I-ს უნდა ეჩვენებინა, აზიატისთვის რომ მათი პირველთაგან პირველი თავადიც კი არაფერს ნიშნავს, განსაკუთრებით თუ დააშავა და კიდევ ეს იყო ნიკოლოზ პავლეს-ძის განზრახ სურვილი შეესუსტებინა ადგილობრივი დიდგვაროვნების მნიშვნელობა... (რუკევიჩი 1914ა :407).

საერთოდ, რუკევიჩის და ბევრი მისი თანამედროვის აზრით, რომლებიც ბევრს წერდნენ შემდგომ ამ სკანდალის შესახებ, ხელმწიფის ჩასვლას კავკასიაში თან მრავალი წვრილმანი უიღბლობა ახლდა, რაც აფუჭებდნენ მგზავრობისგან მიღებულ შთაბეჭდილებას, და ხელმწიფე მუდმივად ცუდ გუნებაზე იყო. ამ განწყობას კი კავკასიის წესებით უკმაყოფილებას მიაწერდნენ (რუკევიჩი1914 ა:408).

იმპერატორის ჩამოსვლას კავკასიაში თან ახლდა, როგორც თავად რუკევიჩი აღნიშნავს „რამდენიმე კურიოზი": იმპერატორის ჩამოსვლის დღეს უგზოუკვლოდ დაკარგული ბარონი როზენის მზარეული, რომელსაც უყვარდა ღვინოში თავისი მწუხარების განელება. საქართველოს ეგზარქოსს, არქიეპისკოპოს ევგენის, გვიან გამოეღვიძა იმპერატორის ტიფლისში ჩამოსვლისას. ასევე ტიფლისიდან იმპერატორის გამგზავრებისას შემდეგ გვიან გამოეღვიძებული როზენი, რომელიც თავისთავად ცხადია ვერ გამოემშვიდობა თავის იმპერატორს. (1087-1-1045) ანეგდოტური სიტუაციაა.

დასრულადა „კურიოზები" შემდეგი ცვლილებებით: დადიანის ნაცვლად, რომელიც გადასახლებაში გაუშვეს და ჩინები, ორდენები და თავადის წოდება

ჩამოართვეს, პოლკის მეთაურად ბარონი კარლ კარლის–ძე ვრანგელი დაინიშნა. გენერალ გესეს ნაცვლად ბრიგადის მეთაურად- გენერალ სიმბორსკი (რუკევიჩი 1914ა :412-413).

იყო თუ არა ეს მიზეზები იმ „საყოველთაო დარბევის“ საბაბი, რომელიც ნიკოლოზ I-მა თავის ქვეშევრდომებს მოუწყო, თუ სხვა უფრო სერიოზული მიზეზები არსებობდა?

ამიერკავკასიის და კავკასიის ცნობილი ისტორიკოსი ა. ბერჟე ერთ–ერთ თავის ნაშრომში წერდა: *„კავკასიაში რუსეთის ბატონობის მატიანეში აღწერილია მოვლენები, რომლებიც თითქოს და შეუმჩნეველი დარჩა, მიუხედავად მათი უდავო ისტორიული მნიშნელობისა. ასეთ მოვლენებს განეკუთვნება, სხვათა შორის, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მოგზაურობა კავკასიაში, რომელიც მან დაღესტანში პეტრე დიდის ლაშქრობის შემდეგ ზუსტად 115 წელიწადში განახორციელა...“* (გორდინი2007:69)

მაგრამ იმპერატორის ვოიაჟის ისტორიული მნიშვნელობის ჩვენება ა. ბერჟემ ვერ მოახერხა. თავისი ნარკვევი მან ასე დაასრულა: *„კავკასიის მხარის ფარგლებში იმპერატორ ნიკოლოზ პავლეს–ძეს გადაადგილების საგზაო დანახარჯებმა 143 438 ვერცხლის რუბლი 59 კაპიკი შეადგინა. მხოლოდ ქანცგაწყვეტილი ცხენების რაოდენობამ -170. ხელმწიფის მოგზაურობა კავკასიაში, რომელიც წინასწარ ცნობილი იყო ევროპაში და რომელმაც ერთობ უფრო ახლოს გააცნო იმპერატორს მისი იმპერიის ეს დაშორებული განაპირა მხარე,დასრულდა იმით, რომ მოხდა ბარონ როზენის გამოხმობა და მის ადგილას გენერალ–ადიუტანტ ევგენი ალექსანდრეს–ძე გოლოვინის დანიშვნა “*(გორდინი 2007 :70).

ამასობაში კავკასიაში იმპერატორის მოგზაურობა სულაც არ იყო გასართობად გამიზნული და წამოწყებული. ისევე, როგორც რუსი თვითმპყრობელის ნებისმიერი სხვა მგზავრობა თავის იმპერიაში, ის დიდ პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა.

რაში გამოიხატებოდა ეს მიზნები 1837 წლის გაზაფხულზე, ამისათვის კავკასიაში შექმნილი სამხედრო–პოლიტიკური სიტუაცია უნდა გავარკვიოთ.

1832 წლიდან 1839 წლამდე აღმოსავლეთ კავკასია თავის ნებაზე იყო მიშვებული. ამ პერიოდში მხოლოდ რამდენიმე სამხედრო „გასეირნება“ გაიმართა

დაღესტანში, ისიც მცირე საშუალებებით, უფრო სანახაობის მიზნით, ვიდრე ეს საქმეს სჭირდებოდა“ (ფადეევი 2010 ბ :147). სერიოზული ძალისხმევა კი დასავლეთ კავკასიისაკენ იყო მიმართული, სადაც დაიწყეს შავი ზღვის სანაპირო ზოლის ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომ შავ ზღვაზე მტრის პირველივე გამოჩენისას იქნა მიტოვებული.

საბოლოოდ 1836 წ. შამილმა დაღესტნის, ავარეთის ნაწილის დამორჩილება მოახერხა და მის მოწოდებებს ჩეჩნეთშიც ჰქონდა წარმატება (აქტები 1881:711-712). კავკასიის ომმა, რომელიც 1817 წლიდან დაიწყო, გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. ეს იმპერიას უზარმაზარი ფინანსური დანახარჯების და ადამიანური დანაკლისის ფასად დაუჯდა. ნიკოლოზ I მიხვდა, რომ ახალი გზები უნდა მოიძებნოს, სტრატეგია უნდა შეიცვალოს და კომპრომისზე წასვლაა საჭირო. თავად ჩერნიშოვის 1836 წლის 14 ოქტომბრის წერილში, რომელიც გენერალ ველიამინოვის მისამართით იყო გაგზავნილი (ერმოლოვის ტაქტიკის მიმდევარი, რომელიც უარყოფდა კავკასიაში პრობლემების მშვიდობიანი მოგვარების გზებს), ასე წერია: *„1834 წლის დასაწყისში ე.ვ. (ეკატერინე მეორე) მიერ დასახულ, კავკასიის დაშოშმინების ძირითად გეგმაში ამ მხარის დაპყრობა პირველ ადგილზე იდგა. ამ მიზნის მისაღწევად შემოთავაზებული იქნა ჯერ მთიელ ტომთა მხრიდან მორჩილების წინასწარი ნებაყოფლობითი გამოცხადება და ქვეშევრდომობის ყველა პირობის დაცვა და უკვე ამის შემდეგ მიემართათ იარაღისთვის, განურიდებლად დაეცარიელებინათ მათი მინდვრები და აეკრძალებინათ ჩვენივე საზღვრებში პურისა და მარილის შესყიდვა, სანამ ისინი არ გახდებიან იძულებული გამოიჩინონ უპირობო მორჩილება და არ ჩააბარაბენ იარაღს“* (აქტები 1881:647).

თავად ველიამინოვმა ჯერ კიდევ 1832 წელს წარადგინა კავკასიის დაპყრობის გეგმა, რომელიც პეტერბურგის მიერ უარყოფილ იქნა. ჯერ კიდევ 1830 წელს სიმაგრე ანაპის აღების შემდეგ ველიამინოვმა უარყო საკორდონე ხაზის საიმედოობა და თვლიდა, რომ კავკასიის ხაზის ჯარების რიცხოვნობა (42 ბატალიონი) არასაკმარისი იყო 1500 ვერსის მანძილზე საიმედო დაცვის განსახორციელებლად და საბოლოოდ მთიელთა დასამორჩილებლად ერთადერთი საშუალების გამოყენებას სთავაზობდა – მათ დაუძლურებას შიმშილით. საინტერესოა ველიამინოვის მოსაზრება მთიელთა

დამორჩილების თაობაზე: *„გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მთიელები თავდასხმებში ყოველთვის მეტნაკლებ წარმატებას აღწევენ. კავკასიაში ჩემი მომდევნო სამსახურის დროს მე არაერთხელ ვცდილობდი მომეფიქრებინა ამ თავდასხმების მოგერიების საშუალებები და უნდა ვაღიარო, რომ რაიმე დამაკმაყოფილებელ ხერხს ვერ ვპოულობ. მტაცებელთა დევნისა და განადგურებისათვის საკორდონე ხაზი უვარგისია. და აი ეს მფრთხალი პირუტყვული სულმოკლეობა. მხეცთა თუნდაც უმნიშვნელო ხროვასთან შეხვედრისაგან თავის აცილება მიუხედავად თავისი მრავალრიცხოვნობისა. ამან განაპირობა საქმის ჩაშლა და რუსული იარაღის სახელის გატეხვა. ხშირი ექსპედიციები მხოლოდ მთიელთა შესასუსტებლადაა სასარგებლო. როგორ დავიმორჩილოთ მთიელები? გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მტრის მიწების და სამაგრების თანდათანობითი დაკავება და კაზაკთა დასახლებების შექმნა ნელ–ნელა გამოდევნის მთიელებს და დროთა განმავლობაში შეიძლება მათ სრულ დამორჩილებამდე მიგვიყვანოს... მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად დაახლოებით 30 წელია საჭირო (წერილი დაწერილია 1832 წ. - ა.მ.). ამას მოყვება ინსტრუქცია (ა.მ.) მთიელთათვის ყველაზე მგრძნობიარე დარტყმის მიყენება აუცილებელ საარსებო საშუალებებთან მიმართებაში. მინდვრების განადგურება ზედიზედ რამდენიმე წლის განმავლობაში* (1087- 1- 353).

პეტერბურგში მშვიდობიანი მოლაპარაკების მეშვეობით და ჩერქეზთა ნეიტრალიზების გზით დასავლეთ კავკასიის დაშოშმინების გეგმა მომწიფდა. ამ ქმედებით ხდებოდა რუსული ჯარის მარჯვენა ფლანგის უზრუნველყოფა, რასაც, თავის მხრივ, შამილის პოზიციების შესუსტება და მისი თურქებსა და ინგლისელებთან კავშირების შეწყვეტა უნდა გამოეწვია. ერთდროულად შამილთან მოლაპარაკებების გეგმა ისახებოდა. მოლაპარაკებებისათვის თვალის დევნება და მათი მართვა კავკასიის მთავარსარდალს ბარონ როზენს უნდა განეხორციელებინა.

ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი პოზიციების გამყარებაში რუსეთის იმპერია უკვე ოდითგან მის მიმართ ერთგულ მთიულ ელიტას ეყრდნობოდა. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1828 წელს ნიკოლოზ I-ის უზენაესი ბრძანებით კავკასიის მთიელთა უმაღლესი წარმომადგენლებისგან ჩამოყალიბებულ იქნა კავკასიის-მთიელთა ნახევარესკადრონი, რომელიც საიმპერატორო კარზე სათანხლებო სამსახურისთვის

იყო განკუთვნილი. ამ ნაწილს ლეიბ–გვარდიის კავკასიის–მთიელთა ნახევარესკადრონი უწოდეს[8]. ესკადრონმა განსაკუთრებული ერთგულება გამოიჩინა 1830-1831 წლების პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში თავისი მონაწილეობით, ამასთან გამოავლინა რა სიმამაცის მაგალითები და განსაკუთრებული სისასტიკე. გენერალ ბენკენდორფი ასე წერდა ნახევარ–ესკადრონის მთიელთა შესახებ: *„მე ეჭვი არ მეპარება მთიელთა მამაცობაში და სიბეჯითეში, მაგრამ განსაკუთრებული კმაყოფილებით ვნახე, რომ ისინი ნამდვილად ამართლებენ იმ შექებას, რომელიც მე მაქვს მათ მიმართ, რომ ისინი, ივიწყებენ რა მათი სიცოცხლისთვის არსებულ საშიშროებასდა ამით ცდილობენ გამოხატონ თავისი მადლიერების გრძნობა იმპერატორის წყალობის მიმართ... სულ მალე ნახევარ–ესკადრონი მამაცობის და რუსეთის ტახტისადმი ერთგულების ახალ მაგალითებს გვიჩვენებს“* (პენტინი 1870:70).

„ახალი მაგალითების“ დროც მალე დადგა. მშვიდობიანი მოლაპარაკებებისთვის დეპუტაცია ნახევარ–ესკადრონის ოფიცერთაგან, წარმომავლობით ჩერქეზთაგან იქნა შერჩეული, შტაბს–კაპიტან ხან–გირეის მეთაურობით. დეპუტატთა მისია, რომლებიც ხელმწიფე იმპერატორის სახელით გამოდიოდნენ, მომდევნო შემოდგომაზე კავკასიასა და საქართველოში ნიკოლოზ მოგზაურობისთვის ნიადაგის მომზადებაში მდგომარეობდა.

საბოლოო მიზანი იყო მთიელთა დარწმუნება, რათა მათ თავისი მორჩილება გამოეცხადებინათ მისი უდიდებულესობისადმი.

მინისტრ ჩერნიშოვის მიერ ხან–გირეისთვის მიცემულ ინსტრუქციაში ნათქვამი იყო, რომ *„ანდრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების დადების დროიდან, რომლითაც აღიარებული იქნა რუსეთის უფლებები კავკასიის მთიელ ხალხთა მიმართ, იმპერატორმა, რომელიც ერთნაირად ზრუნავდა რა ყველა თავის ქვეშევრდომზე, უბრძანა ადგილობრივ უფროსობას უწყინარობისა და დარწმუნების ზომებით დაეყოლიებინა მთიელები ნებაყოფლობითი მორჩილებისკენ“* (პენტინი 1870:98)

[8] ნათარგმნია რუსულიდან - Лейб-гвардии Кавказско –Горский полуэскадрон.

ხან-გირეის მიეცა დავალება მოეთხრო რუსეთის ძალისა და ძლევამოსილების, მისთვის წინააღმდეგობის გაწევის შეუძლებლობის და დამორჩილების გარდაუვლობის შესახებ; მას ნათლად უნდა ეჩვენებინა სხვაობა ძალისმიერი დაპყრობისა და საკუთარ თავზე მეფის ძალაუფლების ნებაყოფლობითი აღიარების შედეგებს შორის; ბოლოს და ბოლოს, დაერწმუნებინა მთიელები, რომ მათი მორჩილება ნაკლებად მნიშვნელოვანია ძლევამოსილი რუსეთისთვის და ის საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ ხელმწიფის გულმოწყალეობის მოპოვებისათვის, რომელიც ესოდენ ზრუნავს თავისი ქვეშევრდომების კეთილდღეობაზე.

მაისში, პეტერბუგრის ბრძანებით განსაკუთრებული დავალების შესასრულებლად კავკასიაში ლეიბ–გვარდიის კავკასიურ–მთიულთა ნახევარ–ესკადრონის მეთაური, პოლკოვნიკი ხან- გირეი გაემგზავრა. მასთან ერთად შტაბ–როტმისტრები პედისოვი, ტუგანოვი, იუნკერი ალხაზ შერეტლუკოვი და მეაბჯრე კუდენეტოვი იყვნენ მივლინებულნი.

ჩავიდა რა ჩერქეზეთში დელეგაცია საკორდონე ხაზის დანიშნულ პუნქტებში, მთიელთა ზემდეგებს შეხვდა. ხან–გირეიმ აუწყა მათ კავკასიაში იმპერატორის მომავალი ვიზიტის შესახებ და მონარქისათვის მათი საჭიროებების, დანაკლისების, იმედების და გულმოწყალეობის ახსნის შესაძლებლობის შესახებ.

*„სასიხარულო გაოცება – წერდა თავის დასმენაში ხან–გირეი – დაეუფლა ზემდეგებს. ისინი ერთხმად აცხადებდნენ, რომ მათი მამები ევედრებოდნენ უფალს ამ ბედნიერ დღემდე მიეღწიათ. ხან–გირეის ყველა რჩევა მიღებულ იქნა მთიელი ზემდეგების მიერ“* (პენტინი 1870:100).

სინამდვილეში კი ხან–გირეის მისია ჩავარდა. ჩერქეზთა „დაშოშმინების“ უფრო ფანტასტიკური გეგმის მოგონება არც კი შეიძლებოდა. უკვე დაშოშმინებულ მთიელთათვის მორჩილებაში ცხოვრების ქადაგება უაზრობა იყო, ხოლო ურჩებისთვის – რუსებს დაემონეთო – ორმაგი უაზრობა.

ამას მოწმობს ცალკეული კავკასიის კორპუსის მეთაურის ბარონ როზენის სახელზე გენერალ სიმბორსკის მიერ 1837 წლის 22 ივლისს გაგზავნილი წერილი: *„ამა თვის 17 რიცხვამდე მთიელებთან არანაირი მოლაპარაკება არ იმართებოდა, 17–ში კი ბანაკს ჰასან ბარზეხოვი ეწვია. მისი სიტყვების მიხედვით როგორც ადლერისა და*

*მამაის, ისე მათი მიმდებარე აულების მაცხოვრებელთა მორჩილების არანაირი იმედი არ ჩანდა. მთავრობის სურვილი, რომელიც ცნობილ პირობებში მდგომარეობდა, მე მას თურქულ ენაზე თარგმანის სახით გადავეცი. მეორე დღეს მან დამიბრუნა ის წარწერით, რომელიც სხვა ტომების დეპუტატთა მიერ იყო გაკეთებული. პატივი მაქვს ეს ქაღალდი ორიგინალის სახით დავურთო. მასში გაკეთებული ჩანაწერის შინაარსი ნათლად აჩვენებს, თუ როგორი დიდი იყო მთიელთა შფოთი და სულიერი დაბრმავება. 18 რიცხვში დიდი სროლა იყო. მთიელები თავს დაესხნენ ჩვენს მოწინავე ჯაჭვს. ეს უტიფრობა ძვირად დაუჯდათ. მათ 100 ადამიანი დაკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით. მაგრამ ჩვენი მხრიდანაც ზარალი საგრძნობი იყო: 73 ადამიანი, მათ შორის ერთი ობერ–ოფიცერი“* (1087-1-346).

გენერალ სიმბორსკის სახელზე გაგზავნილ საპასუხო წერილში ადლერის შემოგარენის მთიელები წერდნენ: *„ო, ურჯულო რუსებო, ჭეშმარიტი რელიგიის მტრებო. თუ თქვენ იძახით, რომ ჩვენმა პადიშახმა მოგცათ ეს მთები, ჩვენთვის არ უცნობებია, რომ ჩვენი თავებიც პირადად თქვენ გადმოგცათ, და რომ გვცოდნოდა, ეს მიწებიც თქვენ მოგაკუთვნათ, ჩვენ არც კი დავრჩებოდით აქ საცხოვრებლად. ჩვენ სულთან მახმუდის, მეხმედ–ალი ფაშის, ინგლისის და საფრანგეთის დესპანები გვყავს მოვლინებული. თუ არ გჯერათ ეს, ჩვენ კონსტანტინოპოლში თითო–თითო მინდობილ პირს გავაგზავნით თქვენი და ჩვენი მხრიდან ჭეშმარიტების დასადგენად და თავად დარწმუნდებით, რომ უნდა დატოვოთ ეს ადგილები და გაგრა და გადახვიდეთ ჩორჩა–აბაზას მდინარის გაღმა (სავარაუდოდ ბზიფი, როგორც ბესლან–ბარზიხმა აგვიხსნა) და მხოლოდ მაშინ ვიცხოვრებთ თქვენთან და აფხაზებთან მშვიდობიანად. გენერალო, თქვენ ვერ მიიღეთ უცხოური გემი (მხედველობაშია ჰასან სოლომონ–ოღლის გემი); ჩვენ კიდევ პირიქით, თუ მოხვალთ ჩვენთან, ჩვენ დიდ–პატარიანად, მზად ვართ თქვენც დაგიცვათ და თქვენი ოჯახებიც. ჩვენ რწმენას ვიფიცებოდით და გაცნობებთ, რომ არ შევასრულებთ იმას, რაც ამ ქაღალდში წერია. ღმერთი ან ჩვენსკენ იქნება ან თქვენსკენ“* (1087-1-343).

წარმომავლობით ჩერქეზი, თავადი ხან–გირეი, რომელიც 1826-1828 წლების რუსეთ–სპარსეთის ომში მონაწილეობდა და სამხედრო დამსახურების მედალი მიიღო და ასევე თურქეთთან 1828–1829 წლების ომის მონაწილეც იყო, რომელიც

1830-1831 წლებში პოლონეთში მომხდარი აჯანყების ჩახშობისას სიმამაცით გამოირჩეოდა, რის გამოც ჩინი მიიღო, კავკასიაში მიმდინარე სამხედრო ქმედებებში მონაწილეობას არ ღებულობდა, მაგრამ ეს მოვლენები, ცხადია, მასაც აღელვებდა. არ იზიარებდა რა რუსეთის მოთხოვნათა ულტიმატურ ხასიათს, მან იმავე 1837 წელს ბოლომდე მიიყვანა კავკასიის მშვიდობიანი დაპყრობის პროექტის დამუშავება. ეს პროექტი მის ხელნაწერში „ჩერქეზეთზე ჩანაწერები" გამოქვეყნდა, ბოლო ნაწილში სახელწოდებით „ზოგიერთი მოსაზრებანი იმ ზომებისა და საშვალებების შესახებ, რომელიც მოიყვანს ჩერქეზ ხალხს სამოქალაქო მდგომარეობაში მოთვინიერების ზომებითა და სისხლის დაღვრის შესაძლო თავიდან აცილებით" (ხან-გირეი 1978: 56). ხელნაწერი განსახილველად გენერალ ველიამინოვს წარედგინა. მოგვიანებით სენატორი ფილიპსონი თავის მოგონებებში დაწერს: *„1837 წლის გაზაფხულს ვუბრუნდები... ველიამინოვი ... დადის აქეთ–იქეთ, დროდადრო ალმაცერად უყურებს რა ჩემს პორტფელს; ბოლოს ვეღარ მოითმინა და უკმაყოფილებით მკითხა: „რა გაქვს, უძვირფასესო, ესოდენ ბევრი მოსახსენებელი?" მხოლოდ მაშინ გამახსენდა. – „ეს, თქვენო აღმატებულებავ, ფლიგელ–ადიუტანტის, პოლკოვნიკ ხან–გირეის მიერ შედგენილი კავკასიის დამორჩილების პროექტია, რომელიც სამხედრო მინისტრმა თქვენთან გადაწყვეტულების მისაღებად გამოგზავნა". – „ცარიელი ყბედობაა! დადე, ძვირფასო, მაგიდაზე და განვიხილავ". მე ჩავდე ის მისი საწერი მაგიდის ერთ–ერთ განყოფილებაში და წელიწადზე მეტხანს მას იქვე ვხედავდი, ოღონდ მტვერის ფენა ემატებოდა"*(ფილიპსონი 1883:185).

აღმოსავლეთ კავკასიაშიც ჩაიშალა მოლაპარაკებები.

გენერალ ფეზეს საიდუმლო ინსტრუქციები გადაეგზავნა, რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ მან უმალვე ყველაფერი უნდა იღონოს, რათა დაიყოლიოს შამილი შეხვდეს იმპერატორს ტიფლისში, ამ უკანასკნელის კავკასიაში მოგზაურობის დროს.

გენერალი ფეზე კალმის დიდი ოსტატი იყო და მისი ანგარიში კამპანიის შესახებ ისეთნაირად იყო შედგენილი, რომ შორეულ პეტერბურგში ხელისუფლებაში შექმნილიყო შთაბეჭდილება, რომ ის წარმატებული სამხედრო მხედართმთავარია, რომ მიურიდიზმი კავკასიაში ამოძირკვულია, ხოლო რუსეთის ბატონობა განტმიცებული. მისერთერთ რაპორტში ვკითულობთ: *„22 ივლისის №732.*

*მოხსენებაში წერია გენერალ–მაიორ ფეზეს წინამძღოლობით რაზმის მიერ გამაგრებული სოფელ ტილიტლის აღების შესახებ, რის შემდეგ „დაღესტნელი იმამი შამილი დანებდა, მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობის ფიცი და გასცა ამანათები (მძევლები)“*(1087-1-346).

ფეზემ, რომელიც იმ დროს სამხრეთ დაღესტანში იმყოფებოდა, შამილთან მოლაპარაკების წარმართვა კლუგენაუს დაავალა, რომელიც არა მარტო თავისი სიმამაცით და მხედართმთავრის უნარით იყო ცნობილი, არამედ ადგილობრივი მაცხოვრებლების ხასიათის ღრმა ცოდნითაც.

1837 წლის 10 აგვისტოს რაპორტში წერია: *„ბატონმა გენერალ–ადიუტანტმა ადლერბერგმა თავისი 10 აგვისტოს №159 მომართვით მაცნობა იმპერატორის უზენაესი ნება, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ შამილს, მის მთავარ თანამზრახველებთან ერთად, ებრძანა ესარგებლა ხელმწიფის ჩამოსვლით ამიერკავკასიაში და მიეღო წყალობა წარდგენილიყო თავად მონარქის წინაშე, რათა პირადად ეთხოვა მუდარით ყოვლადმწყალობელი პატიება“*(1087-1-346).

მითითებული უზენაესი ნების აღსრულება თავდაპირველად გენერალ–მაიორ ფეზის დაევალა. მაგრამ ყუბის პროვინციაში წარმოშობილი მღელვარების გამო მან (ადლერბერგმა) ეს საქმე მე–19 ქვეითი დივიზიის პირველი ბრიგადის მეთაურს გენერალ–მაიორ ფონ კლიგენაუს დაავალა. ამ უკანასკნელმა პირადი კეთილგანწყობის საბაბით დაარწმუნა შამილი ესარგებლა „ესოდენ ბედნიერი შემთხვევით“ ყოვლადმწყალობელი პატიების სათხოვნელად. შამილმა უპასუხა, რომ გრძნობს გენერლის დარიგების მთელ საფუძვლიანობას და თითქოსდა ისურვებდა კიდევაც მის შესრულებას, მაგრამ დაიფიცა არაფერი მოიმოქმედოს კიბიტ–მაგომეტ ტაშევის, გაჯი–აბდულ–რახმანის და კადი კარაგსკის თანხმობის გარეშე. რამდენიმე დღის შემდეგ მან მიიღო შამილის პასუხი უარით. არცერთი მათგანი არ დათანხმდა ტიფლისში მის (შამილის) გამგზავრებაზე და მისი საიდუმლო მცდელობის შემთხვევაში, ისინი მას მოკლავენ“ (1087-1-346).

კიდევ უფრო ხისტი ხასიათის წერილი: *„ამ წერილის საბრალო ავტორისგან, შამილისგან, რომელიც ყველაფერს ღმერთს ანდობს – 1837 წლის 28 სექტემბერი. ამით გაცნობებთ, რომ გადავწყვიტე არ წავიდე ტიფლისში, უარის თქმის გამო ნაკუწ–ნაკუწ*

*რომც დამჩეხონ. მე ბევრჯერ ჩემ თავზე განვიცადე თქვენი ვერაგობა და ეს ყველასათვისაა ცნობილი“* (ტანტუროვი 2000:89).

იმპერატორი და მინისტრი ჩერნიშოვი შამილს დამარცხებულ მოწინააღმდეგედ თვლიდნენ, რომელიც მხოლოდ ფსიქოლოგიურად, მონარქის პირისპირ წარდგენის გზით უნდა დაეთრგუნათ და შესაბამისადაც მოქმედებდნენ.

მიიღო რა ესოდენ კატეგორიული მითითება, კავკასიის კორპუსის მეთაური გენერალ როზენი კიდევ უფრო რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, ვიდრე ველიამინოვი. ველიამინოვს, იმ ამოცანის მასშტაბურობის მიუხედავად, რომელიც მას პოლკოვნიკ ხან–გირეისთან ერთად უნდა გადაეჭრა, გაცილებით მეტი მანევრირების თავისუფლება ჰქონდა, რითაც მან ისარგებლა კიდეც. როზენის ამოცანა კი უკიდურესად კონკრეტული იყო – ასე თუ ისე იძულებული გაეხადა შამილი იმპერატორთან გამოცხადებულიყო დანაშაულის აღიარებით.

როზენმა ვერ გაამართლა პეტერბურგის მიერ მასზე დამყარებული იმედები. მოლაპარაკებები ყველა მიმართულებით ჩაიშალა. როზენი თანამდებობოდან გადააყენეს და მოსკოვში სენატორად დანიშნეს. დარდით განადგურებულმა და დაავადებულმა, მან ეს მხარე დატოვა და დანიშნულების ადგილისაკენ აიღო გეზი, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1841 წელს (აქტები 1881:XXI).

### §5.1834-1838 წლების საბრძოლო მოქმედებები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში

1834-1838 წლებში რუსეთის მზერა დასავლეთ კავკასიის დაპყრობისკენ იყო მიმართული. მათ ამ გეგმის განსახორციელებლად შავი ზღვის სანაპირო ხაზის დაწესება დაისახეს მიზნად.[9]

ამ პროექტის მიზანი მდგომარეობდა, ჯერ ერთი, შავ ზღვასთან მთიელთა კავშირის გაწყვეტაში და ამით მათი თურქეთთან ურთიერთობების შეწყვეტაში, სადაც ისინი მონებს და ტყვედ აყვანილ ქრისტიანებს ყიდდნენ; მეორე, იძულებული

---

[9] შავი ზღვის სანაპირო ხაზი - რუსეთის იმპერიის შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ანაპის და ოსმალეთის იმპერიის საზღვარს შორის 1830 წელს აგებული ციხე-სიმაგრეები, ფორტები. დემონტირებული იქნა 1854 წელს.

გაეხადათ ისინი რუსებთან მჭიდრო ურთიერთობაში შესულიყვნენ. პროექტის ავტორი როზენი იყო.

ხელმწიფემ დაამტკიცა ბარონ როზენის გეგმა და ამიტომაც 1834 წლიდან კავკასიის უფროსობის ყურადღების მეტი წილი დასავლეთ კავკასიისკენ იყო მიმართული. ამ დროიდან, კავკასიაში სამხედრო ქმედებების ყოველწლიურად შედგენილი გეგმა წინასწარ პეტერბურგში იგზავნებოდა დასამტკიცებლად. შაბანოვი ასე აფასებს შექმნილ სიტუაციას: *„ამრიგად, როზენი, რომელიც მისთვის მიცემული პროგრამის მიხედვით, მოქმედების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა, ცდილობდა ზუსტად შეესრულებინა პეტერბურგის ბრძანებები, მაგრამ ზოგჯერ სრულიად გამორჩებოდა მხედველობიდან უფრო სერიოზული საკითხები, რომლებიც ერთდროულ მოქმედებას მოითხოვდა. ასე მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ 1840 წლამდე ჩეჩნეთი ჩვენი მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა, აქ არცერთი ციხე-სიმაგრე არ იყო აგებული, გარდა ერმოლოვის მიერ აშენებულისა. ასე და ამგვარად, აღმოსავლეთ კავკასიის მიმართ გულგრილობამ ის შედეგი გამოიღო, რომ მიურიდიზმი, რომელიც ხიშტის ძალით იყო დახშობილი, მაგრამ სისტემატურად არ იდევნებოდა ჩვენი მხრიდან, მალე, როგორც შემდგომ ვნახავთ, საშინელ ძალაში გადაიზარდა“* (შაბანოვი 1875: 88).

როზენი ვარაუდობდა, რომ გიმრის ექსპედიციის დროს აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთა მიმართ განხორციელებული დასჯა და დანაკარგები სავსებით საკმარისი იყო ამ რეგიონში ძალაუფლების შესანარჩუნებლად (მილუტინი 2012:35).

1834 წელს ერივნის კარაბინიერების პოლკი ჩაება აქტიურ საბრძოლო ქმედებებში დასავლეთ კავკასიაში. ზუსტად ამ წელს შედგა რუკევიჩის პირველი საბრძოლო ლაშქრობა ყუბანში. საინტერესოა რუკევიჩის მოსაზრება ამ ლაშქრობაზე საუბრისას, რომელმაც არავის რეალური სარგებელი არ მოუტანა და პირადად მას პოლკოვნიკ კატენინის წინააღმდეგ ქვედა ჩინების „ბუნტით“ დაამახსოვრდა, რომელიც ორ ბატალიონს მეთაურობდა: *„ეს პოლკოვნიკი კატენინი, რომელიც სულ ახლახან იყო გადმოყვანილი ჩვენს პოლკში გვარდიიდან, ჩვენი პოლკის მეთაურის თავად დადიანის მეგობარი და თანამოსამსახურე, პეტერბურგის ოქროს ახალგაზრდობას განეკუთვნებოდა. შემდგომ მიყვებოდნენ, რომ ეს იყო კარგად*

*გაზრდილი, ძალიან განათლებული ახალგაზრდა, საკმაოდ მდიდარი, პურმარილიანი, გონებამახვილი, მაგრამ საშინლად გარყვნილი და რომელიც მჟღერ ლექსებს წერდა პოეტ ბარკოვის სტილში, სადაც ხოტბას ასხამდა ლამაზ ყმაწვილებს და სიძულვილს გამოხატავდა ქალებისადმი. პოლკში ბევრს ჯერ კიდევ დიდხანს ჰქონდა შემონახული მისი ლექსების ხელნაწერი რვეულები. მე არ ვარ მსგავსი ლიტერატურის მოყვარული, მაგრამ ერთ–ერთი თანამოსამსახურის სიტყვებიდან მახსოვს რომელიღაც ლექსის დასაწყისი.*

*Заброшенный в далекий, чуждый край,*

*Я разлучен с тобой, о юноша прекрасный!..*

*Нарушен наш блаженный рай*

*Судьбой слепою, властной!..*

*Где же ты теперь, Нарцис прекраснοокий?*

*Все так же ль нежен пух твоих ланит?.. и т. д* (რუკევიჩი 1914: 807).

კატენინმა თავისი მანკიერი გადახრები რომ გამოამჟღავნა, ბუნებრივია, ჯარისკაცებში შფოთი გამოიწვია. თავადმა დადიანმა ვერ შეძლო საქმის მიჩქმალვა, მაგრამ მაინც მოახერხა ბარონ როზენის დაყოლიება, პოლკოვნიკი კატენინის ყიზლარში კომენდანტად გადაყვანით შემოფარგლულიყო, რაც გადასახლების ტოლფასი იყო. იქ, როგორც ამბობენ, ის საბოლოოდ გალოთდა და მალე გარდაიცვალა.

რუკევიჩი აღნიშნავს, რომ კავკასიის ხაზზე ნახევარწლიანი ყოფნის პერიოდში ის მხოლოდ ერთ საბრძოლო გამოსვლაში იღებდა მონაწილეობას დეკემბრის თვეში აბაძეხების აულის ასაოხრებლად გამართული ექსპედიციაში, რომელსაც გენერალ ზასი[10] ხელმძღვანელობდა. 1835 წელს კი ის მანგლისში დაბრუნდა (რუკევიჩი 1914 : 806).

მეტად ნიშანდობლივია ეს ლაშქრობა, რომელსაც მთიელების კიდევ ერთი დასახლებული სოფელი უნდა გაენადგურებინა.

1834 წელს გენერალი ველიამინოვი აპირებდა ყუბანის გაღმა ქმედების გაშლა–განვითარებას, რათა ჩერქეზთა დამორჩილებით გაეადვილებინა შეტევითი

[10]გენერალი ზასი - კავალერიის გენერალი. 1820-1840 წლებში მსახურობდა კავკასიაში.

ოპერაციები შავი ზღვის სანაპიროზე. იმისათვის, რომ მხარი დაეჭირა ზასისათვის, ურჩი აულების წინააღმდეგ მის ლაშქრობებში და ნადავლის ძებნაში, ბარონმა როზენმა შესაძლებლად ჩათვალა საქართველოდან კავკასიის ხაზის მარჯვენა ფლანგზე ერივნის კარაბინერთა პოლკის ორი ბატალიონის და კავკასიის მესანგრეთა ბატალიონის ორი ასეულის გაგზავნა.

ხანგრძლივ ლაშქრობებში 1–ელი და მე–2 ბატალიონები პოლკოვნიკ კატენინის მეთაურობით 1 ივნისს მანგლისიდან ტიფლისის მიმართულებით გამოვიდნენ. დეკემბერში მე–2 ბატალიონი აბაძეხის წინამძღოლ ალლი–ხარციზოვის წინააღმდეგ ზასის სადამსჯელო ექსპედიციაში მონაწილეობს, 258 სამწყობრო ჯარისკაცის შემადგენლობით. ზასმა მოახერხა მისგან 1500 ცხვრის და 100 თავამდე მსხვილი პირუტყვის წართმევა, თივის და ბარანკოშის დაწვა. აული არ იყო აოხრებული, ვინაიდან მის დაუფლებას ადამიანთა მნიშვნელოვანი დანაკარგი შეეძლო გამოეწვია (ზობროვსკი 1895:229).

1835 წელს ანალოგიური შემოსევები უბიხებზე ჩადაგოს მდინარის სათავესთან განხორციელდა. მის რაზმში, 730 ქვეითის და 860 ცხენოსანი გარდა, ერივნის პოლკის მე–2 ბატალიონის 100 კაციც იმყოფებოდა. ამის შემდეგ ზასმა ბოგოსის აულზე თავდასხმა განახორციელა, მაგრამ აული ცარიელი აღმოჩნდა. კარაბინერებს არანაირი დანაკარგები არ განუცდიათ. გენერალი ზასი ჩერქეზთა საფრთხობელა იყო. ექსპედიციები მისთვის გართობის მსგავს რაიმეს წარმოადგენდა, როგორც დევნა მონადირისთვის, წყალი თევზისთვის... თავისი პიროვნებით ის უდიდეს შიშს ბადებდა უშიშარ ჩერქეზებში (როზენი1984 : 374).

*ზასმა, ჩვეულებრივ, თავის ჯარისკაცებს მოკლულთა თავების მოკვეთა უბრძანა და ამ ნადავლით დაბრუნდა თავის გამაგრებულ პუნქტში - პროჩნი აკოპში. ერთი წლის შემდეგ მე გენერალი ზასი სტავროპოლში შემხვდა. ის მარხილით მიემგზავრებოდა, ხოლო მეორე მარხილი, საფარით დაფარული, მას მიყვებოდა. „საით მიბრძანდებით, თქვენო აღმატებულებავ, და რა მიგაქვთ თან?“ – „შვებულებაში მივდივარ, თანამემამულევ, და ველიამინოვთან დასრულებული საქმეები ჩასაბარებლად მიმაქვს“. ამ სიტყვებით მან გადახსნა საფარი და მე ზიზღით ორმოცდაათი ცალი გაშიშვლებული თავის ქალა დავინახე. ველიამინოვმა ისინი*

*მეცნიერებათა აკადემიაში გააგზავნა. თითოეულ თავში ველიამინოვი ოქროს თუმნიანს იხდიდა და თავის ქალებს მეცნიერებათა აკადემიაში აგზავნიდა. ამიტომაც თითოეული მოკლული მთიელის ხელში ჩასაგდებად შეუპოვარი ბრძოლა ჩაღდებოდა, რომელიც ბევრს სიცოცხლის ფასად უჯდებოდა, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. გვამებისთვის ბრძოლა და თავების მოკვეთა კავკასიელი ჯარებისთვის წეს–ჩვეულებად იქცა* (ფილიპსონი 1883:280).

მარტში 1–ელი და მე–2 ბატალიონი უკან საქართველოში გამოიძახეს.

არ არის ცნობილი როგორ დააჯილდოვეს ერივნული პოლკის ჯარისკაცები, მაგრამ ნავაგინსკის პოლკის ჯარისკაცები „უხვად“ დააჯილდოვეს. *„პეტერბურგში ლაშქრობა წარმატებულად ჩათვალეს და ქვედა ჩინებს ჯილდოს სახით 2 ფიალა ღვინო, 2 ფუნტი ხორცი და 2 საპონი უბოძეს“* (ნავაგინსკის პოლკის ისტორია) (1087-1-843).

როზენის პროექტის მიხედვით შავი ზღვის სანაპირო ხაზის მოწყობა ერთდროულად სამხრეთიდან, აფხაზეთის მხრიდან იყო ნავარაუდევი, ხოლო ჩრდილოეთიდან – ეკატერინოდარის მხრიდან.

1836 წლიდან ერევნელი კარაბინერთა პოლკის 5 როტა აგებდა გზას. 1837 და 1838 წლებში გაგრამდე გზის გაყვანის ხარჯზე რიგი გამაგრებითი ნაგებობებისათვის შეირჩა ადგილები და ციხე–სიმაგრეების აშენება დაიწყო. ბარონ როზენმა, ესმოდა რა შავი ზღვის გამაგრებისთვის პუნქტების შერჩევის მნიშვნელობა, თავად წამოიწყო 1837 წლის 23 აპრილს ხომალდებით რეკოგნოსცირება ადლერის კონცხისკენ, დაიკავა რა ის დესანტის დახმარებით. 1838 წელს საბოლოოდ გადაწყდა შავი ზღვის ნაპირის ხელში ჩაგდება და რედუტების რიგით მისი გამაგრება. ამ ამოცანის შესასრულებლად გენერალმა გოლოვინმა, რომელმაც როზენი შეცვალა, შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე გადმოსასხმელად ორი სადესანტო რაზმი დააწესა: პირველი, გენერალ სიმბორსკის მეთაურობით, სოხუმის მხრიდან, ხოლო მეორე, გენერალ რაევსკის მეთაურობით, ანაპის მხრიდან (აქტები 1881ა :278).

ჯარისკაცი რუკევიჩისათვის სერიოზული გამოცდის დღე დადგა. 1838 წელი, როგორც რუკევიჩი აღნიშნავს, გარდატეხის წელი გახდა მის ცხოვრებაში (რუკევიჩი 1914ა :769).

რუსული ჯარის გადმოსხმის მიზანი სოჭის სინორის დაკავებაში მდგომარეობდა, რომელიც ციხე-სიმაგრის ასაგებად იყო შერჩეული. გენერალმა სიმბორსკიმ დესანტი სამ საბრძოლო კოლონად დაყო: პირველი მეგრელთა პოლკის ორი ბატალიონისაგან, 6 ქვემეხის და 200 მილიციელისაგან შედგებოდა; მეორე - ერივნის პოლკის მე–2 და მე–3 ბატალიონისაგან, 9 ქვემეხისა და 150 მილიციელისაგან, პოლკოვნიკის, ბარონ ვრანგელის მეთაურობით, ხოლო მესამეში შედიოდა ერივნის პოლკის 1 ბატალიონი, 4 ქვემეხი და 75 მილიციელი, ლეიტენანტი, თავადი შერვაშიძის მეთაურობით. (შაბანოვი1871 :123).

რუკევიჩის მოგონებებში ვრცლადაა აღწერილი სოჭის მახლობლად განვითარებული მოვლენები. ის წერს: *„დაახლოებით სამ საათზე ჩვენ სოჭთან მივედით. დაბალი ნაპირი აქეთ–იქით იწეოდა და ფართო ხეობას ქმნიდა, რომელზედაც მთიანი მდინარე სოჭი–ისტა მიედინებოდა, რომელმაც მთელ ამ ადგილს სახელწოდება მისცა. ხეობის მარჯვენა, სამხრეთი მხარე ტერასით მთავრდებოდა, რომელზეც მაღალი წაბლის და კაკლის ხეებს შორის მთიანი აულის ქოხები თეთრად მოჩანდა. ხეობის სიღრმეში მწვანედ მოჩანდა ტყიანი მთები, ხოლო კიდევ უფრო მაღალ, მაგრამ უკვე ლურჯ და ლილისფერ ქედებს გაღმა, კაშკაშა თოვლიანი მწვერვალები ბრწყინავდა. ეს საოცარი პანორამა სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში“*(რუკევიჩი 1914ა:771).

რუსებმა მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ მძლავრი არტილერიული დაშენა საბრძოლო გემებიდან დაიწყეს: *„კვამლის გარღვეულ ბოლქვებს შორის ჩვენ ვხედავდით, როგორ დაღარეს ყუმბარებმა ტერასა, ამოგლიჯეს რა მიწიდან ქვები და მტვერი აწიეს. აულში, რომელიც მანამდე ამომწყდარი გვეგონა, დიდი ალიაქოთი ატყდა. ჩანდა, თუ როგორ ამოძრავდნენ ქალები თავისი ფერადი კაბებით, როგორ მოჰქონდათ კაცებს სხვადასხვა ბარგი–ბარხანა და გაჰყავდათ საქონელი. ახალი ზალპის შემდეგ მთელი ზოლის ხშირი დაბომბვა დაიწყო.... და ჩვენ მოგვეჩვენა, რომ არაფერი ცოცხალი აღარ უნდა დარჩენილიყო აულში. .... შემდეგ დესანტის გადმოსხდომა დაიწყო“* (რუკევიჩი 1914 ა:772). პირველი საბრძოლო ნათლობა ახალგაზრდა აპოლინარისთვის იღბლიანად დამთავრდა, ამ ხათაბალიდან ცოცხალი მხოლოდ ექვსი ჯარისკაცი გადარჩა.

პოლკის ჟურნალში წერია: *საბოლოოდ, 3–საათიანი ბრძოლის შემდეგ გამაგრებისათვის განკუთვნილი ადგილი წართმეულ იქნა ჩერქეზთაგან, ის ერივნელებს 3 მოკლულის და 25 დაჭრილის ფასად დაუჯდა, მთლიანი დანაკარგი კი 30 მოკლულ ადამიანს და 128 დაჭრილს შეადგინა* (რუკევიჩი 1914ა :773).

1838 წლის 11 ივლისის, მთავარსარდალ გოლოვინის სახელზე გენერალ სიმბორსკის მიერ გაგზავნილ რაპორტში დანაკარგი უფრო მოკრძალებული ჩანს: *„მტრის დანაკარგებზე ცოცხალ ძალაში დანამდვილებით მსჯელობა არ შეიძლება, მაგრამ ის უკიდურესად მნიშვნელოვანი უნდა იყოს და, სხვათაშორის, რამდენიმე დიდგვაროვან ჩერქეზსაც უნდა მოიცავდეს, ვინაიდან მოკლულთაგან მოპოვებული იარაღი ვერ იქნებოდა უბრალო მეომრების კუთვნილება. ჩვენი მხრიდან მსუბუქად დაჭრილები არიან – რეგულარული ჯარებიდან: ერივნის საკარაბინერო პოლკიდან: მაიორი ეგაძე, შტაბს–კაპიტანი სავიცკი, ტიფლისის საეგეროდან – პრაპორშჩიკი ტროცკი–სენატოვიჩი, დაბალი ჩინებიდან 26 ადამიანია მოკლული: დაბალი ჩინების 8 კაცი და ირეგულარული ჯარებიდან: დაჭრილია: მინგრელიის მილიციის ასმეთაური, თავადი ფაღავა, დონის კაზაკთა ჯარის გუნდის კაზაკი-1 , ტაგაურის ზემდეგი- 1, მილიციელი – 6; სულ მწყობრიდან რეგულარული და ირეგულარული ჯარების 47 ადამიანი გამოვიდა“* (აქტები 1881ა: 457).

მთიელთა მხრიდან მოკლულთა რაოდენობაში რუკევიჩმა რამდენიმე ათასი დაითვალა. მთიელთა პარლამენტიორები სთხოვდნენ გენერალ სიმბორსკის მოკლულთა ცხედრები გაეცა. ჯარისკაცები კი ერთმანეთს უზიარებდნენ და უყვებოდნენ დღის შთაბეჭდილებებს, იხსენებდნენ ღამის ბრძოლის ეპიზოდებს. ზოგიერთი მათგანის საუბარში აშკარად იგრძნობა არსებული მდგომარეობის რეალური შეფასება.

*„ – ეს რა ავი ხალხია უბიხები!.. – ამბობდა ერთი – რომ შემოგხედავს, სახეც კი ებრიცება, აკანკალდება მთლად... მათზე მომართული ქვემეხები რომ არა, თავს დაგვესხმეოდნენ და ხოცვა–ჟლეტას მოგვიწყობდნენ...*

*– ნუღარ იტყვი, ეხლა სჯობს არ გადავეყაროთ... გაბოროტდნენ... – აღნიშნა მეორემ.*

– *აი, შენ ამბობ, „გაბოროტდა“... რა თქმა უნდა გაბოროტდებოდა!.. ხრინწიანი ხმით მომიგო ერთმა ჩემმა ნაცნობმა, პირველი ბატალიონის ნერვიულმა და არაჯანსაღი გარეგნობის ჯარისკაცმა – როგორ არ გაბოროტდები, როდესაც ჩვენ აქ მოვედით და მათივე ადგილიდან გავაგდეთ. იქნებ, ის აქ ოდითგანვე ცხოვრობს და დღემდე არავინ ჯობნიდა. ნებისმიერი გაბოროტდება ასეთ დროს...*

– *ეს კი ასეა... მაგრამ, ის მაინც უნდა დაემორჩილოს ჩვენს არწივს. იმიტომ რომ ჩვენს არწივს თათებში ჯვარი აქვს, ამათსას კი არაფერი, ერთადერთი თურქული მთვარე, ისიც მილეული... სად შეუძლია ჯვართან დავა?.. მთელი აზია უნდა დაემორჩილოს დროულად ჯვარს!.. ამაზე წიგნებშიც კი წერია...“* (რუკევიჩი 1914ა :778).

შემდგომში ერთ–ერთი ოფიცერი ერთდროულად კმაყოფილებით და გარკვეული სინანულითაც აღწერს ბრძოლის შემდგომ მოვლენებს: *„დღეს მე აბსოლუტურად ჯანმრთელი ვარ და ამიტომაც ჩავედი ზღვაში საბანაოდ. ის ძალიან წყნარია, საერთოდ არც ღივლივებს. ზღვაში რომ იბანავებ, თავსაც გაცილებით უკეთ გრძნობ, წყალი კი მომწარო–მომლაშოა. ციხე–სიმაგრისთვის ადგილი მთლიანად გასუფთავდა, ყოველდღე ათასი კაცი მუშაობს, ტყე გაკაფულია და ახლა აგურს აკეთებენ, დღეში 20 ათასი ცალის გაკეთებას აპირებენ. ციხე–სიმაგრისთვის ადგილი ველიამინოვმა პალოებით მონიშნა, აგურიც მალე მოესწრება და მაშინვე ციხე–სიმაგრის აგებას შეუდგებიან. შავი ზღვის ნაპირზე ადრე არსებული საუცხოო კორომი უკვე მთლიანადაა გაკაფული – როგორ მეცოდება ის! ასეთ კორომებს იშვიათად თუ შეხვდები; შუა კორომში პატარა აული იყო, ალბათ, რომელიმე თავადის, შესაძლოა, ჩერქეზები თავისუფალ საათებში ისვენებდნენ ვაზშემოხვეული ხეების ჩრდილში ან სეირნობდნენ, ტკბებოდნენ რა სუფთა, სურნელოვანი ჰაერით. მე უძლური ვარ კარგად აღვწერო ეს ადგილი, ერთს ვიტყვი მხოლოდ, რომ ის მომხიბვლელია, მაგრამ ეხლა ის თითქოს არც კი იყო: საუკუნოვანი ხეებისგან და სურნელოვანი თხილნარისგან მხოლოდ კუნძებიღა დარჩა, მაგრამ მათაც დროთა განმავლობაში ამოთხრიან. ჩუგლუმმა ყველაფერი მოსპო“.* (სიმანოვსკი 1999:214).

ოფიცერ ფედოროვმა ლექსებიც კი მიუძღვნა ამ დრამატულ მოვლენას:

*„А здесь стрелки в пылу атаки*

*В аул штыками ворвались…*

*И плачь, и крик в огне сраженья;*

*Клубится дым, аул горит, –*

*Черкес с семействами бежит*

*В лесах, горах искать спасенья,*

*А русский – лагерь свой разбил*

*У саклей обгорелых,*

*Рыданье вдов и плачь детей осиротелых*

*Веселой песнью заглушил“* ( ფიოდოროვი 1879 :102).

21 აპრილს, იმპერატორ ალექსანდრა ფიოდოროვნას დაბადების დღეს, საზეიმო წირვის შემდეგ, სიმაგრის სამირკვლის ჩაყრა–დაფუძნება გაიმართა, რომელსაც ალექსანდრიისკი უწოდეს.

რუკევიჩი შეფასებას აძლევს ალეკსანდრიისკის სამაგრის მდებარეობის დადებით და უარყოფით მხარეებს: *„ადგილი კარგადაა შერჩეული და არანაკლებ ხეირიანად არის აშენებული, მაგრამ მისი დიდი ნაკლი იყო წყლის არარსებობა, რომლის მოსატანად გვიწევდა ქვევით მდინარესთან ჩასვლა და აქ, ჩვეულებრივ, მთიელები გვიდარაჯებდნენ. ამიტომ გენერალმა სიმბორსკიმ ბრძანა დიდი კოლონის გაგზავნა, რომელმაც ორივე ნაპირი ტყისგან გაასუფთავა და სარწყულებლის ადგილას მცირე ბლოკგაუზი ააგო, რომელიც ორ ასეულსა და ორ ქვემეხზე იყო გათვლილი“* (რუკევიჩი 1914ა:782).

იგივე შეფასებაა მინისტრ ჩერნიშოვისადმი გენერალ გოლოვინის რაპორტში: *„დამატებით ჩემი 28 აპრილის №552 რაპორტისა, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ გენერალმა სიმბორსკიმ გასამაგრებლად სოჭისთან ახლოს შეარჩია ადგილი, პირდაპირ ზღვის ნაპირზე, შემაღლებაზე, სადაც ყოფილი აულის ძირითადი მოსახლეობა იყო. ეს ადგილი წმ. სულის გამაგრებული პუნქტისგან ახლო მანძილზე მდებარეობს,ის მნიშვნელოვანია, როგორც უცხოელებთან ვაჭრობის მნიშვნელოვანი პუნქტი, ამიტომ, მისი აზრით, უმთავრეს პირობებს პასუხობს. ამასთან თავს ვალდებულად ვთვლი ვთხოვო თქვენს უბრწყინვალესობას, გენერალ სიმბორსკის*

*წარდგენის თანახმად, გამოხატოთ უზენაესი ნება ამ გამაგრების ალექსანდრიისკის ფორტად დასახელებაზე, 21 აპრილს, მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, იმპერატორის დაბადების დღეს საძირკვლის ჩაყრის ნიშნად, გენერალ სიმბორსკის მიერ დაკავებულ პუნქტთან დაკავშირებით რჩება ერთი ეჭვი, რომელიც მის მოხსენებაში არ არის განმარტებული, კონკრეტულად კი შემდეგი: იქნება ის სრულად უზრუნველყოფილი წყლით? ციხე–სიმაგრის ასაგებად საჭიროა 50 ათასი მუშა, ხოლო რაზმის მდგომარეობის და რაოდენობის გათვალისწინებით სამუშაოდ შეიძლება ყოველდღიურად 1300–დან 1400 ადამიანის გაგზავნა. გენერალ სიმბორსკის რაზმს მიუერთეს ტიფლისის ეგერთა პოლკის მე-6 როტა, რომელსაც სახეზე მხოლოდ 500 კაცი ჰყავდა“* (აქტები 1881ა :456).

აპრილიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე საბრძოლო პოლკები ტერიტორიის გასუფთავებაში მონაწილეობდნენ, დაკავებულნი იყვნენ ტყის დამზადებით, ზვინულების, ბატარეების, სარდაფების, ალექსანდრიისკის გამაგრების უმთავრესი შენობების ამოყვანით. მთელი ამ დროის განმავლობაში არ წყდებოდა ადგილობრივ ტომებთან საბრძოლო შეტაკებები, რომელთაც არ სურდათ შეგუება იმასთან, რომ ისინი დასახლებული ადგილებიდან გამოდევნეს სოჭი–პსტას მდინარის ხეობაში. ჯარისკაცებს მუდმივად, დღისითაც და ღამითაც, საბრძოლო მზაობაში ყოფნა უწევდათ.

ტვირთი ახალი ფორტის ასაშენებლად და აღსაჭურვად ძირითადად ზღვით მიეწოდებოდა. ნავსადგურში შესული სამხედრო და სავაჭრო ფლოტილიების განტვირთვით ქვეითები იყვნენ დაკავებულნი. ნაპირზე ნავებით ტვირთის ერთ–ერთი ასეთი გადმოტანისას ძლიერი შტორმი დაიწყო; ზღვის სტიქიასთან ბრძოლას მოულოდნელად ფლატებიანი ნაპირის მხრიდან მომავალი საფრთხე დაემატა, საიდანაც მტერი გამოჩნდა. რუს ჯარისკაცებს მოუწიათ საბრძოლო მწყობრში ჩადგომა და მთიელთა თავდასხმის მოგერიება. სამაშველო ოპერაცია ამჯერად უკვე მთების მხრიდან უწყვეტი ტყვიების დაშენის ქვეშ მიმდინარეობდა. მაგრამ რუსებმა მცირე დანაკარგით მაინც მოახერხეს ბანაკამდე მისვლა. „ბანაკში ჩვენ როგორც მკვდრეთით აღმდგარებს შეგვხვდნენ. და მართლაც, სასწაული არაა, თუ როგორ არ

დავიხოცეთ უკლებლივ ყველა“ – წერს თავის მოგონებებში რუკევიჩი (რუკევიჩი 1914ა : 787).

ოფიციალურ რელაციაში კონსტატირებული იყო: 1838 წლის ექსპედიცია შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე სამწუხარო, მაგრამ ნიშანდობლივი მოვლენით აღინიშნა. 30–დან 31–მაისის ღამეს ძლიერმა ქარიშხალმა სოჭისა და ტუაპსეს შესართავთან ფრეგატი „ვარნა“, კორვეტი „მისემვრია“, ერთი ტრანსპორტი, ერთი ბრიგი, ორი ტენდერი, შესანიშნავი გემი „იაზონი“ და 15 სავაჭრო ხომალდი გაანადგურა (აქტები 1881ა: 455).

აპოლინარი რუკევიჩი სახელობითი, ე.ი. განსაკუთრებული წარდგინებით, საჯარისკაცო გეორგიევსკის ჯვრით (№ 72226) იქნა დაჯილდოებული. გარდა ამისა, სხვებთან ერთად მან კიდევ „რუბლი ასიგნებებით, ღვინის ფიალა და თევზის ფუნტი“ მიიღო.(რუკევიჩი 1914ა: 787)

## თავი 2. გრაფი დე სუზანე რუსეთის კავკასიური პოლიტიკის შესახებ

### § 1. გრაფი დე სუზანეს ვიზიტი კავკასიაში

გრაფი დე სუზანეს ბიოგრაფია უცნობია. მისი ხელნაწერი სათაურით „კავკასიური პროვინციები რუსეთის ბატონობის ქვეშ. საქართველო, დაღესტანი, კასპიის ზღვის სანაპირო და შავიზღვისპირეთი“ გამოქვეყნებული იყო საფრანგეთში ჟურნალ „Revue des deux Mondes“ 1841 წელს 26 ივნისს N505-ში. ჯერ კიდევ 1835 წელს 31 ოქტომბერს გრაფი დე სუზანე პირველად ეწვია კავკასიას, კერძოდ, ტიფლისს (11-1-389). 1840 წელს კი მეორე, უფრო ხანგრძლივი მოგზაურობა განუხორციელებია. კონსტანტინოპოლიდან ტიფლისში, შემდგომ დაღესტანში, ბაქოში, განჯაში და ისევ უკან ტიფლისში დაბრუნებულა. მოგვიანებით ტიფლისიდან საქართველოს სამხედრო გზით სტავროპოლში ჩავიდა. შემდეგ მისი მარშრუტი გაგრძელდა ყუბანში, ტამანიდან ქერჩში, შემდეგ ოდესაში და იქიდან ბრუნდება საფრანგეთში. როგორც გრაფის ხელნაწერიდან ირკვევა, მის ამოცანას 1840 წლის 15 ივნისის

ლონდონის კონვენციის ხელშეკრულების[11] დადების შემდეგ კავკასიაში რუსეთის პოზიციების გარკვევა წარმოადგენდა (სუზანე 1841:51).

ის, რომ დე სიუზანე ამ მნიშვნელოვანი კონფერენციის შემდეგ ჩამოდის სწორედ კავკასიაში და არა იმპერიის სხვა რეგიონში, მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კავკასიას „აღმოსავლეთის საკითხში“.

მნიშვნელოვანია გარფ დე სუზანეს მიერ ამ პოლიტიკური მოვლენის შეფასება. ის აღნიშნავს, რომ რუსეთს აღმოსავლეთში ბატონობის მთელი ძალაუფლება დათმობილი აქვს ინგლისისთვის 15 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე და ინანებს ამაზე, დარწმუნდება რა, რომ მისი ყველაზე უფრო გააფთრებული მტერი ინგლისია და ყველა საკითხში წინააღმდეგობაში მოვა მასთან. დე სუზანე თვლის, რომ ევროპული კაბინეტების შეცდომებმა გამოიწვია ინგლისის გაბატონება, და ამით „... მისი უსაზღვრო სიამაყე გამოიწვია“ და ეს მდგომარეობა, დაიმსხვრევა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი და საფრანგეთი შეძლებენ მათი პოლიტიკური შეხედებულებების არსებული განსხვავების დავიწყებას, მიზნად დაისახავენ მხოლოდ მატერიალური ინტერესებს და გაერთიანდებიან. რუსებმა და ფრანგებმა ვერ შეძლეს ინტერესების გაერთიანება და არც იყო ამის სურვილი (სუზანე 1841: 106).

---

[11] “აღმოსავლეთის საკითხისადმი” მიძღვნილი კონფერენცია ლონდონში 1840 წლის იანვარში გაიხსნა. მასში მონაწილეობა ხუთმა ევროპულმა სახელმწიფომ - ინგლისმა, რუსეთმა, საფრანგეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ - მიიღო. სხდომაზე განიხილეს ორი საკითხი: თურქეთის და ეგვიპტეს ურთიერთობების დარეგულირება და შავი ზღის სრუტეების გაკონტროლების რეჟიმი. საფრანგეთმა პირველ საკითხთან დაკავშირებით დადებული პროექტი არ მოიწონა და ხელშეკრულებაზე ხელი არ მოაწერა. შიდა ოპოზიციის წნეხის ქვეშ მყოფი ლონდონი იძულებული იყო პარიზის გარეშე კონვენციისთვის ხელი მოეწერა. ნიკოლოზ I ჩათვალა, რომ კონვენციის ხელშეკრულების დადება საფრანგეთის გარეშე „აღმოსავლეთის საკითხის“ საუკეთესო გადაწყვეტა იყო, ვინაიდან საფრანგეთის იზოლაცია და რუსეთის ინგლისთან დაახლოვება მიიღო შედეგად. 40-იან წლების ინგლისის დიპლომატია განზრახ უსვამდა ხაზს ინგლის-საფრანგეთის უთანხმოებას კოლონიალურ საკითხებთან დაკავშირებით და ამით ნიკოლოზ I უქმნიდა მცდარ აზრს. რუსეთის იმპერატორი გვიან მიხვდა, რომ საფრანგეთის დროებითი იზოლაციით, რუსეთმა დაკარგა თავისი უწინდელი უფლება თურქეთთან ერთად ორმხრივი მოლაპარაკებების გზით მოპოვებული უფლება, გაეკონტროლებინა შავი ზღვის სრუტეში შემომავალი სამხედრო გემები. 1840 წლის ლონდონის კონვენციის მოლაპარაკების შედეგების მიხედვით ახალი რეჟიმი ჩამოყალიბდა, რის მიხედვითაც ყველა ევროპულ ქვეყანას შეეძლო გაკონტროლებინა შავი ზღვის სრუტეები. ეს იყო ინგლისის დიპლომატიური გამარჯვება. ლონდონის კონვენცია მოწმობდა რუსეთის პოზიციების შესუსტებას ახლო აღმოსავლეთში (კინიაპინა 2001). საფრანგეთის ხანგრძლივი იზოლაციით არ იყვნენ დაინტერესებულნი ლონდონი, ვენა, ბერლინი. შემდგომ ახლო აღმოსავლეთის საკითხის დარეგულირების პროცესში ინგლისის ინიციატივით საფრანგეთიც ჩაერთო. რუსეთის დიპლომატია ამას წინ ვერ აღუდგა. ლონდონის 1840 წლის კონვენცია, ფაქტობრივად, იყო ყირიმის ომის შესავალი (კინიაპინა 2001).

დე სუზანეს ხელნაწერი მეტად გავლენიან, საფრანგეთის ინტელექტუალურ ელიტაში პოპულარულ ჟურნალში[12] იყო გამოქვეყნებული (ოსლი 2017:42). რასაკვირველია გრაფ დე სუზანეს ნეგატივით სავსე ამ ჩანაწერს გაეცნობოდა იმდროინდელი ევროპის ფართო მკითხველი. ამ ჟურნალის თანამშრომლები იყვნენ - ჰიუგო, ბალზაკი, დიუმა, ჰეინე, ბოდლერი და ა.შ.[13]

## § 2. პოლიტიკური და სამხედრო ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში

დღესაც არ არსებობს ერთიანი მოსაზრება მკვლევარებსა და მეცნიერებს შორის კავკასიური ომის დაწყების მიზეზებსა და ხანგრძლივობაზე. ამ ომის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ საბჭოთა და შემდგომ თანამედროვე პერიოდის ზოგიერთ ისტორიკოსს - მ.ბლიევს, ვ.ლაპინს, ი.გორდინს - 1817-1864 წლები მიაჩნია, ანუ, გროზნოს ციხე-სიმაგრის დაარსებიდან ჩერქეზი თემების ორგანიზებული წინააღმდეგობის შეწყვეტამდე. საინტერესოა რევოლუციამდელი ისტორიკოსის დ.ი. რომანოვსკის და კავკასიური ომის შესახებ ფუნდამენტალური შრომების ავტორის რ. ა. ფადეევის მოსაზრებები. ისინი ასაბუთებენ, რომ ომი 1801 წელს დაიწყო, როდესაც რუსეთმა აღმოსავლეთ საქართველო მიიერთა. ამ მოვლენის შემდეგ, რუსეთის იმპერიამ დაიწყო კავკასიის სხვადასხვა ნაწილების დაპყრობა და იმპერიის საზღვრების გაფართოება. დღესაც რუსი მეცნიერები და პოლიტიკოსები სვამენ კითხვას: რატომ სჭირდებოდა რუსეთს კავკასია? დღესაც არაა დათვლილი ამ ომის როგორც ფინანსური დანახარჯი, ასევე მსხვერპლის რაოდენობა.

XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში კავკასიური ომი საკმაოდ მძაფრ ეტაპზეა. სწორედ 1840 წლის აგვისტოში, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, გრაფმა დე სუზანემ სამი თვე კავკასიაში იმოგზაურა. ის წერს, რომ დაღესტანსა და ჩერქეზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებსა და სამოქალაქო რეფორმაზე

---

[12] ჟურნალი „რევიუ დე დიუ მონდე“ დღემდე გამოიცემა და პოპულარობით სარგებლობს საფრანგეთში.

[13] Revue des deux Mondes n wikipedia .org/wiki/ Revue des deux Mondes/.

მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება მოახერხა, მიუხედავად იმისა, რომ რუსები სრულიად ასაიდუმლოებდნენ ინფორმაციას ამ მოვლენების შესახებ.

ნარკვევის დასაწყისში დე სუზანე აღნიშნავს, რომ კავკასია სხვადასხვა ხალხითაა დასახლებული, რომლებიც ერთმანეთისაგან სარწმუნოებითა და ზნე–ჩვეულებებით განსხვავდებიან. მიწა და მისგან მიღებული ნაყოფი ისევე მრავალფეროვანია, როგორც ამ მიწის მკვიდრნი და ამ მხარის პროვინციათა ნაწილი მხოლოდ დასახელებებით ეკუთვნის რუსეთის მთავრობას. დაღესტანი და ჩერქეზეთი სრული დამოუკიდებლობით სარგებლობენ. მხოლოდ უდიდესი ფულადი და ადამიანური შეწირულობების ფასად ინარჩუნებს რუსეთი დაღესტანში ზოგიერთ გამაგრებულ ადგილს. ჩერქეზეთის დაკავება კი მხოლოდ სანაპირო სიმაგრით შემოიფარგლება. ყველა მხრიდან შემოსაზღვრულ ამ ფორტებს, არანაირი კავშირი არა აქვთ მოსახლეობასთან, ისინი მუდმივ ალყაში იმყოფებიან, რასაც უამრავი სიცოცხლე ეწირება (სუზანე 1841:51).

გრაფ დე სუზანეს უდიდესი სურვილი ჰქონდა კავკასიური ტომების დიადი ბრძოლის მოწმე რომ გამხდარიყო, მაგრამ ვინაიდან მოგზაურობა მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული, მას ამ პროექტზე უარის თქმა მოუწია.

რა მდგომარეობა იყო ჩრდილოეთ კავკასიაში 1840 წლისათვის, რამაც გრაფის ჩერქეზეთსა და დაღესტანში მოგზაურობაზე თავშეკავება გამოიწვია?

1840 წლის დასაწყისი სისხლიანი ასოებითაა ჩაწერილი შავიზღვისპირეთის მატიანეში. პურის მოუსავლიანობით არსებულმა შიმშილმა და მთის მოსახლეობის სწრაფვამ სანაპირო ზოლში არსებული სიმაგრეებისაკენ, სადაც სურსათი ინახებოდა, დასავლეთ კავკასიაში აქამდე არნახული ვნებათაღელვა გამოიწვია.

მოუსავლიანობა მხოლოდ ერთი მიზეზთაგანი იყო. მეორე – არანაკლებ მნიშვნელოვანი – რუსული ჯარის მიერ აულების ბლოკადა, რის გამოც მთიელებს სანაპიროზე სურსათის შეძენის საშუალება აღარ ჰქონდათ.

იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა ბრძანება გამოსცა, რომ კავკასიისა და იქ მცხოვრები ტომების სრული დაპყრობისაკენ მიმართული ყველა ქმედება მთიელთა საარსებო ყველა წყაროს თანდათანობით დაუფლებისაკენ ყოფილიყო მიმართული, რათა მთიელები იძულებული გამხდარიყვნენ უპირობოდ დამორჩილებოდნენ

მთავრობას. შესაბამისად, ყველა ქმედებას, ერთი მხრივ, მთის მოსახლეობის საკუთარ მიწაზე შევიწროვება უნდა მოჰყოლოდა, ეს მიწები რუსულ დასახლებებს უნდა დაეკავებინათ, ხოლო მეორე მხრივ, გარე სამყაროსთან ურთიერთობის ყველა საშუალება უნდა აღკვეთილიყო და მთიელებს სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებები მხოლოდ მთავრობის თანხმობით უნდა დაეკმაყოფილებინათ.

ასეთი იყო იმპერატორის გეგმა 1840 წელს, მაგრამ ამ ჩანაფიქრს ასრულება არ ეწერა როგორც კავკასიის ხაზის მარცხენა და მარჯვენა ფლანგებზე, ისე შავი ზღვის სანაპიროზე.

ნაგებობების აშენებას მეტი სახსრები დასჭირდა, ვიდრე მთავრობას შეეძლო ასიგნაცია, გარდა ამისა, ყურადღების მიღმა დარჩა მთიელების გაჭირვებული მდგომარეობა. მათ შიმშილისაგან სიკვდილს, ბრძოლის ველზე დაღუპვა ერჩიათ (1087–1–295).

დიდმა სიკვდილიანობამ, რომელიც 1839 წლის შემოდგომიდან აქ გამძვინვარებულმა დიზინტერიამ და ავთვისებიანმა ციებ–ცხელებამ გამოიწვია, იმდენად დაასუსტა რუსეთის არმიის გარნიზონები, რომ ისინი თავდაცვისათვის სავსებით გამოუსადეგარი შეიქნენ, ხოლო მაშველი ჯარის ჩამოსვლაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო.

ზღვის მიყრუებულ და შიშველ ნაპირზე მიგდებულები, სადაც მხოლოდ მიწის პატარა ნაგლეჯს ფლობდნენ, რომელზეც სიმაგრე იყო აღმართული, ჯარისკაცები განწირულები იყვნენ ყველაზე მძიმე, საშიშროებებით სავსე მსახურებისათვის; საჭიროების შემთხვევაში მათ გარედან დახმარების არანაირი იმედი არ გააჩნდათ. თუ ამას კიდევ იმ მორალურ გასაჭირსაც დავუმატებთ, რომელიც ამ ადგილებში ხშირი ეპიდემიების, მთიელების ფანატიზმის, ცუდი კვების და სხვა გასაჭირის გამო სიცოცხლის დაკარგვის გამუდმებული შიშით იყო გამოწვეული, მაშინ შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ უფრო უიმედო მდგომარეობის წარმოდგენა ყველაზე მგზნებარე წარმოსახვასაც კი არ შეუძლია (1087-2-318/648).

მ.ი. ოლშევსკი[14] წერს რუსების საშინელ მდგომარეობაზე: *„...სიმაგრეებსა და ფორტებში ჩასმულ გარნიზონებსაც გამუდმებით დაავადებებთან ბრძოლა უხდებოდათ. შაფსუღები და უბიხები დაუღალავად ადევნებდნენ თვალს ჩვენს ჯარისკაცებს და მესერს მიღმა, მას ხმალი თუ არა, ტყვია მაინც ემუქრებოდა; ხოლო ზოგ ციხე–სიმაგრეში მესერიც ყოველთვის ვერ იცავდა მას მტრის გასროლისაგან. ამაზე უფრო საშინელი და მომაკვდინებელი, ციებ–ცხელება და სურავანდი იყო. ამ სნეულებებისაგან 3–4 წელიწადში გარნიზონი ან წყდებოდა, ან შემდგომი მსახურებისათვის უვარგისი ხდებოდა“*(ოლშევსკი 2003 :305).

მთაში არსებული სიტუაცია კიდევ უფრო მძიმე იყო. მიყოლებით რამდენიმე წლის მოუსავლიანობამ ჩერქეზებს მანამდე არნახული შიმშილი მოუტანა, რომელმაც მათ წრეში საყოველთაო აჯანყება გამოიწვია. ამ შემაწუხებელ ვითარებაში შაფსუღებმა, უბიხებმა და ჯიქებმა სასურსათო მარაგის მოპოვება ღიად, ძალის გამოყენებით გადაწყვიტეს. ამ ჩანაფიქრის ასრულება მათთვის განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენდა, რადგან ფხიზლად ადევნებდნენ თვალს ყველაფერს, რაც ციხე–სიმაგრეებში ხდებოდა და გამოქცეული პოლონელებისაგან რუსების ჯარის გარნიზონების მდგომარეობის შესახებ ყოველთვის ყველაზე სარწმუნო ცნობებს იღებდნენ (1087-1-295).

რუსები თავის წარუმატებლობას კავკასიის მკაცრ ბუნებასა და შავი ზღვის მღელვარებას აბრალებდნენ. მ.ი.ოლშევსკი იხსენებს თავის მოგონებებში: *"არ შეიძლებოდა არ გაოცებულიყავი ჩვენი მოწინააღმდეგისა და თურქი კონტრაბანდისტების გამბედაობითა და მონდომებით. შავი ზღვის სანაპირო ზოლი სამხედრო მიმართულებით კავკასიისათვის ანომალია იყო. და მართლაც, ეს ქრონიკული სატკივარი იყო, ვინაიდან უამრავ ადამიანს იწირავდა და მთავრობისაგან უამრავ ფულად სახსარს მოითხოვდა“*(ოლშევსკი 2003:310).

ამ მძიმე ვითარებიდან გამომდინარე 1840 წლის დასაწყისში რუსი მეთაურების გაანგარიშებები, როგორც იტყვიან, პირუკუ სიზუსტით გამართლდა. შიმშილისაგან სასოწარკვეთამდე მისულმა მთიელებმა გაშმაგებით შეუტიეს სანაპიროზე არსებულ

[14] მ. ი. ოლშევსკი (1816-1895) - სამხედრო მწერალი, ინფანტერიის გენერალი, ყირიმის ომისა და კავკასიის დაპყრობისათვის ბრძოლების მონაწილე.

რუსულ სიმაგრეებს, მათი უმრავლესობა აიღეს და დაარბიეს, ხოლო საჯარისო შემადგენლობა ამოხოცეს...

1840 წლის 19 თებერვალს ჩერქეზებმა აიღეს და დაანგრიეს შავი ზღვის პირას არსებული რედუტი ლაზარევი. ამის კვალდაკვალ თავდასხმა მოხდა სხვა სანგრებსა და ციხე–სიმაგრეებზე: ველიამინოვსკოეზე (12 მარტს), მიხაილოვსკოეზე (2 აპრილს), ნიკოლაევსკოეზე (15 აპრილს) და ნავაგინსკიზე. ეს უკანასკნელი ნაწილობრივ იქნა აღებული (6 მაისს), მაგრამ შემდგომში რუსებმა უკან დაიბრუნეს. უკანასკნელი თავდასხმა რედუტ აბინზე განხორციელდა (7 ივნისს), მაგრამ მოგერიებულ იქნა. რუსებს მოულოდნელად დაესხნენ თავს, მაგრამ მცირეხნიანი დაბნეულობის შემდეგ ისინი მოქმედებაზე გადავიდნენ: ყირიმიდან მაშველი ჯარი ჩამოვიდა და 1840 წლის ნოემბრისათვის ყველა სანგარი და ციხე–სიმაგრე აღდგა. მიუხედავად ამისა, ჩერქეზების ქმედება სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა კავკასიის დაპყრობის გზაზე და მისი შედეგები მრავალი წლის განმავლობაში საგრძნობი იყო (გორდინი 2008:65).

ლაზარევსკის რედუტზე თავდასხმამ და შემდგომმა მოვლენებმა სამხედრო სიტუაცია არა მხოლოდ დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში დაძაბა. ჩეჩნეთსა და დაღესტანში, სადაც უფრო ადრე სადამსჯელო ექსპედიციათა სერიით ვითარება დროებით დაშოშმინდა და მართვა სამხედრო ადმინისტრაციას გადაეცა, მალევე მასობრივი აჯანყება დაიწყო.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით უმნიშვნელოვანესია დაღესტანში და ჩეჩნეთში არსებული მდგომარეობის შეფასება.

ყუბაში დე სუზანემ გენერალი ვრანგლერი გაიცნო, რომლის მონაყოლის საფუძველზე ასე აღწერს 1839 წლის შამილის დამარცხებასა და ახულგოს შტურმის დეტალებს:

*„გენერალმა გრაბემ, შეტევაზე წასვლის ნიშანი მისცა და პოლკოვნიკი ვრანგლერი, რომელსაც 1500 რჩეული ჯარისკაცი ჰყავდა, თავის პოლკს სათავეში ჩაუდგა და პირველი გაემართა იერიშზე. მოწინააღმდეგემ რუსებს მიახლოება აცადა და ცეცხლი გაუხსნა. ოფიცრები, ჯარისკაცები მიწაზე ეცემოდნენ, სასიკვდილოდ დაჭრილები, მაგრამ პირველების დაცემას სხვების დაცემა მოჰყვებოდა და კლდეები*

*გვამებით დაიფარა. პოლკოვნიკი სამჯერ გაემართა შეტევაზე, ბოლოს გაჩერდა და დაჭრილი, მხოლოდ საკუთარი ჯარისკაცების ერთგულებამ გადაარჩინა. 1500 კაციდან, რომლებიც მას იერიშზე მიჰყავდა, 50 დარჩა. 34 ოფიცრიდან – 2. ალყა დიდხანს გაგრძელდა. ჩეჩნებმა, შამილის იქ ყოფნით გამხნევებულებმა, ფანატიზმი გამოავლინეს, რის გამოც ნებისმიერ საფრთხეს არად აგდებდნენ“*(სუზანე1841:72).

მაგრამ 1840 წლისთვის რუსებისთვის მოულოდნელად შამილის პოზიციები გამყარდა და მიურიდიზმმა მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწყო გავრცელება. ამის მიზეზი რუსების სასტიკი პოლიტიკა იყო. ჩეჩნეთში სადამსჯელო ლაშქრობას სათავეში გენერალ–მაიორი პულო ედგა.

პულომ გასროლის გარეშე ჩეჩნების 28 აული გაირა. მოსახლეობა მას მორჩილად ხვდებოდა, უსიტყვოდ იხდიდა გადასახადებს ან მათ სანაცვლოდ იარაღს სთავაზობდა, გადასცემდნენ ყაჩაღებს, ტყვეებსა და გაქცეულებს, ტყეს ჭრიდნენ გეხში.

მთლიანობაში უსისხლო „სამხედრო გასეირნების“ დროს 3779 რუბლი, 455 იარაღი იქნა აკრეფილი, გადაცემულ იქნა 97 ყაჩაღი, 7 ტყვე და 2 გაქცეული. ლაშქრობისას მთიელებისათვის ჯარიმის სახით ჩამორთმეული საქონლის ულუფით კმაყოფილდებოდნენ (1087-1-412).

მეორე ექსპედიციამ, რომელიც 1840 წლის 26 იანვარს შედგა, ასევე მშვიდობიანად ჩაიარა. დაახლოებით ამ დროისათვის ჩეჩნებს შორის ხმა გავრცელდა, თითქოს მეთაურებს განზრახულ ჰქონდათ მათი განიარაღება და გლეხებად გადაქცევა, შემდეგ კი სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რეკრუტში გაწვევა“ (1087-1-412).

ამას ემატებოდა ის გარემოება, რომ ზედამხედველები – მშვიდობიანი მთიელების უშუალო უფროსები უპირატესად, თუ სრულად არა, იმ მილიციონერთაგან არჩეულნი იყვნენ, რომელთა აზიური ზნის საფუძვლიანი შეცვლა ვერც ჯილდოებით და ვერც დაწინაურებით მოხერხდა. უფრო მეტიც, ეს კონტინგენტი დამაკმაყოფილებელიც კი ვერ იქნებოდა: ბოქაულის ადგილი იმ დროისათვის არავითარი სარგებლის მომტანი არ იყო მსახურების მხრივ, ამავე დროს, უზარმაზარ ხარჯებს მოითხოვდა მზვერავებისა და შეიარაღებული

დაცვისათვის, მაშინ, როდესაც ზოგი ბოქაული გასამრჯელოსაც არ იღებდა და მათი მუდმივი საზრუნავი, ხიფათი და გაჭირვებული მდგომარეობა არაფრით ანზღაურდებოდა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ მათი მეურვეობის ქვეშ მყოფი ჩეჩნები და სხვა მშვიდობიანი მთიელები ბოროტმოქმედების მსხვერპლნი ხდებოდნენ; მათ, გადასახადებისა და ჯარიმების აკრეფის საბაბით, საუკეთესო იარაღსა და ყოველდღიური მოხმარების სხვა უვნებელ, მაგრამ ძვირფას ნივთებს ართმევდნენ; ისეც ხდებოდა, რომ მდაბიო და არაკეთილგანწყობილი მთარგმნელების წაქეზებით სრულიად უდანაშაულო ადამიანებს აპატიმრებდნენ; პატიმრებს და ამანათებსაც კი არაადამიანურად ექცეოდნენ, ისინი ნესტიან ორმოებში ჰყავდათ ჩაყრილი, სადაც ხშირად ავადდებოდნენ; ექსპედიციების დროს ადგილი ჰქონდა გადასახადების იძულებით აკრეფას. ასეთი იყო არსებული ვითარება.

ზოგადად, 1840 წლის მარტისათვის ჩეჩნეთში აფეთქების გამომწვევი საკმარისი მასალა დაგროვდა – მხოლოდ ნაპერწკალი იყო საჭირო, რომ საყოველთაო აფეთქება მომხდარიყო.

ჩეჩნებმა შამილი იხმეს. ახულგოდან გაქცეული და დამარცხებული შამილი იმამად დარჩენას აღარ აპირებდა. შამილი მისი სამივე თანამოაზრე მიურიდებთან ერთად – შუაიბ ალ–ცუნუთური, ჰაჯი–თაშოს და ჯავად–ხან ალ–დარგის აულ ჰარაშკიტში დასახლდა. მას ურჩიეს, სულით არ დაცემულიყო და უკეთესი დროის დადგომის იმედი ჰქონოდა... ის ფხიზლად აკვირდებოდა ვითარებას და ჰარაშკითელების მიჩვევას ცდილობდა. მოკრძალებულმა შრომამ მოულოდნელი შედეგი გამოიღო. ხალხი შამილს მიემალა. მისი დიდება სულ უფრო იზრდებოდა და ფართოვდებოდა.

რუსი ბოქაულების დაქვემდებარებაში მყოფი ჩეჩნები თავისდაუნებურად ერთმანეთს ადარებდნენ შამილისა და რუსი ჩინოვნიკების ქცევას და ეს შედარება ამ უკანასკნელების სასარგებლო ნამდვილად არ იყო. იუროვი[15] სამართლიანად აღნიშნავს: „და მაშინ, ჩვენი გონებაშეზღუდულობითა და შეურაცხყოფებით სასოწარკვეთილებამდე მისულმა ჩეჩნებმა იმამს თხოვნა დაუწყეს... სათავეში ჩადგომოდა მათ შეიარაღებულ აჯანყებას. ასეთი თხოვნით შამილთან ერთი მეორეს

[15] ა . იუროვი - მე-19 საუკუნის რუსი სამხედრო ისტორიკოსი.

მიყოლებით ჩამოდიოდა დელეგაციები ქვემო ჩეჩნეთიდან. შამილი თავიდან უარზე იყო, მაგრამ შემდეგ უხალისოდ დაუთმო. თუმცა, თანხმობასთან ერთად, მას არ დავიწყებია ჩეჩნებისაგან საზეიმო ფიცი აეღო მისადმი უსიტყვო მორჩილებაში და ყველაზე საპატივსაცემო ოჯახებს მისთვის მძევლების გადაცემა მოთხოვა“(1087-1-412). დაღესტნის იმამი მთიელებისთვის ალაჰის გზავნილი გახდა. მისი ძალაუფლება უსაზღვრო იყო (პოკროვსკი 1923:212).

შამილმა მალე თავის თანამებრძოლებთან ერთად იმის დემონსტრირება მოახდინა, რომ კარგად აითვისა წარსულის გაკვეთილები და ბევრი რამ ისწავლა. მან უარი თქვა სიმაგრეების აგებაზე, დაცვაზე და პარტიზანული ომის კლასიკურ ტაქტიკას მიმართა. ბადელი აღწერს, რომ: შამილის მიერ ასე ფართოდ გაშლილმა პარტიზანულმა მოქმედებებმა განსაზღვრეს კავკასიის ომის ხასიათი (პოკროვსკი 1923:213).

შამილის ბრძოლის ახალ ტაქტიკაზე ომის მონაწილე იუროვიც საუბრობს: *„მისი რაზმები, მიიღეს რა მოქმედების ეს ახალი ხერხი, რომელსაც მომავალშიც ერთგულად მიმართავდნენ, თავისი გამაოგნებელი სიმარდის წყალობით, პრაქტიკულად, ყოველთვის წარმატებით არიდებდნენ თავს ჩვენს ჯართან გენერალურ ბრძოლაში ჩაბმას. ჩვენი კოლონები კი მათ გამოდევნებას ცდილობდნენ და სრულიად იქანცებოდნენ“* (ბადელი 2013 : 253).

აქედან გამომდინარე, რუსებს მოუწიათ ამ პერიოდში საბრძოლო მოქმედებების შენელება. თავის მოგზაურობისას დე სუზანე, რომელიც სკურპულოზურად აგროვებდა ცნობებს სამხედრო დასახლებებსა და ქალაქებში ციხე–სიმაგრეების აგების შესახებ, შურის ციხე-სიმაგრის აღწერისას მიუთიებს, რომ: *„ამ წუთას რუსები შურის ციხის აგებით არიან დაკავებულები, რომელიც სოფელ ჩირკედან, სადაც ახლა შამილი იმყოფება, 30 ვერსშია და რომელზეც რუსებს, ახსოვთ რა წარსული, იერიში ვერ მიაქვთ“* (სუზანე 1841: 62).

შამილის შიშით რუსები ციხე-სიმაგრეებს საჭირო რაოდენობას ვერ აგებდნენ. *ვინაიდან რუსებს ჩეჩნეთი დაშოშმინებული ეგონათ და არ ელოდებოდნენ აქ არეულობას, თავიდანვე სულ ორი ციხე–სიმაგრის აგება გადაწყვიტეს – აულებში ჩირკე და გერზელი. შემდგომში გრაბემ მესამე ციხის აგება შესთავაზა დაჩა–*

*ბარზოეში, მდინარე არგუნის ქვედა წელში. ამით საფუძველი ჩაეყარა ე.წ. ჩეჩნეთის წინა ხაზს, ველიამინოვის მესამე პარალელს. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ერთი ციხე იქნა აგებული – აულ გერზესთან.თავისი დაუდევრობით რუსებმა გარკვეულ წილად შამილისათვის ხელსაყრელი ვითარება შექმნეს, რასაც შამილი, რა თქმა უნდა, არ ელოდა.* (ბადელი 2013: 251).

დე სუზანე ბრძოლას მდინარე ვალერიკთან, 1840 წლის 11 ივლისის სამხედრო კატასტროფას აღწერს: *„გენერალი გრაბე მდინარე თერგის ნაპირებზე ექსპედიციას აპირებდა. მნიშვნელოვანი შეცდომები, რომლებიც გენერალმა გალაფეევმა დაუშვა, პირადად მის იქ ყოფნას მოითხოვდნენ. გრაბემ ყური არ დაუგდო პულოს გაფრთხილებას და გროზნოში გენერალ–ლეიტენანტ გალაფეევის გადასვლა დააჩქარა, რომელსაც რუსული ჯარის მარცხენა ფლანგის მეთაურის ადგილს უწინასწარმეტყველებდნენ. გრაბემ გალაფეევს გურზულის რედუტის დაგეგმილ დროზე ადრე მშენებლობის დაწყება უბრძანა. გალაფეევი გროზნოში 22 აპრილს ჩავიდა და შემდგომი ექვსი თვე ხან რედუტს აგებდა, ხან იმ ხუთ ექსპედიციაში მონაწილეობდა, რომელთა დროსაც მან „მთელი ჩეჩნეთი გაიარა, უამრავი დანაკარგი განიცდიდა და ვერაფერს მიაღწია“* (სუზანე 1841: 99).

შემდგომში გოლოვინი გალაფეევს და თავის მეთაურს, გრაბეს ბრალს დებდა, რომ მათ ძალისხმევა რედუტ გურზულის აგებისაკენ მიმართეს მაშინ, როდესაც „გადაუდებლად საჭირო იყო ენერგიული ზომების მიღება ჩეჩნეთში არეულობის შესაწყვეტად“. რუსი ოფიცრების არასწორი ნაბიჯებმა, შამილს საკუთარი ძალა–უფლების გასამყარებლად შეუფასებელი დრო მისცა, ასე რომ, როდესაც ამ საქმეს გალაფეევმა მოჰკიდა ხელი, უკვე ძალიან გვიანი იყო. შამილს ერთი მეორეს მიყოლებით მიჰქონდა მასზე იერიში. 6 ივნისს აჰბირდი მუჰამედმა და ჯავად–ხანმა ნაზრანთან რუსული შენაერთი დაამარცხეს. ამ გამარჯვების შედეგად „მთლიანად გამოეყვნენ გალაშელები და ყარაბულაკები... და მღელვარება ინგუშებს შორის დაიწყო“ (რაკოვიჩი 1900: 245).

ივლისში შამილი ჩრდილოეთ დაღესტნისაკენ დაიძრა. 22 და 23 ივლისს მან იშქართან გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა კლიუგენაუს, ხოლო სექტემბრის ბოლომდე ეპიზოდურ ბრძოლებს ჰქონდა ადგილი. 11 ოქტომბერს აჰბირდი

მუჰამედი თავს დაესხა მოზდოკს, 22 ჯარისკაცი და 6 სამოქალაქო პირი მოკლა, 19 ჯარისკაცი და 9 სამოქალაქო პირი დაჭრა, 11 ქალი და ბავშვი თან გაიყოლა. 30 ნოემბერს გრაბე გურზულში შევიდა და ჯარი ზამთრის სადგომებზე დააბანაკა. შემოდგომის დადგომა და რვათვიანი გადასვლების შემდეგ პირადი შემადგენლობის სრული გამოფიტვა ახალი კამპანიების წამოწყების ფიქრსაც კი შეუძლებელს ხდიდა (1998:168-175).

1841 წლის 2 ივლისს გოლოვინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ *„ჩვენ ჯერ არასდროს არ გვყოლია კავკასიაში ისეთი სასტიკი და საშიში მოწინააღმდეგე, როგორიც შამილია. გარემოებათა დამთხვევის წყალობით, მისმა ძალაუფლებამ რელიგიურ–სამხედრო ხასიათი შეიძინა, ისეთივე, რომლის წყალობითაც ისლამის ჩასახვის მომენტში მუჰამედმა პლანეტის სამი მეოთხედი შეაზანზარა. შამილმა თავის გარშემო მისი ნების ბრმა აღმსრულებლები შემოიკრიბა და გარდაუვალი სიკვდილი ელის ყველას, ვინც მისი ძალაუფლების დამხობის სურვილის სულ მცირე ეჭვს გამოიწვევს. მძევლებს ყოველგვარი შებრალების გარეშე ხოცავენ, თუკი ოჯახები, საიდანაც ისინი წამოიყვანეს, მოულოდნელად მიურიდიზმის საქმეს ღალატობენ. მმართველები, რომლებიც მან თემების სათავეში დააყენა – უბრალოდ მისი მონები, ბრმად მისი ერთგულნი არიან. მათ მინიჭებული აქვთ სიკვდილით დასჯისა და შეწყალების უფლება. სწორედ ამ საშინელი დესპოტიზმის ჩახშობა უნდა იქცეს ჩვენს უპირველეს ამოცანად“* (ბადელი 2013:257).

## § 3. გრაფი დე სუზანეს მოსაზრებები XIX საუკუნის 40-იან წლებში რუსების მიერ დაშვებულ სტრატეგიულ შეცდომებზე

XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან შამილთან ბრძოლამ იმდენად მოიცვა რუსული მთავრობის დროცა და სახსრებიც, რომ დასავლეთ კავკასიაში ისინი იძულებულები იყვნენ თავდაცვით შემოფარგლულიყვნენ.

დე სუზანემ, სავარაუდოდ, სიკვდილის შიშით, ვერ შეძლო მისიის აღსრულება, თუმცა მოახერხა რუს გენერლებთან გასაუბრება და მათგან ზუსტი ცნობების გაგება ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შესახებ.

დე სუზანემ, რუს გენერლებისა და ოფიცრების ინფორმაციებზე დაყრდნობით, სიტუაცია გააანალიზა და შემდეგ დასკვნამდე მივიდა. ფრანგი ჯაშუში დარწმუნებულია, რომ შამილი ისეთივე ფიასკოს განიცდის, როგორიც ყაზი მულამ განიცადა. დე სუზანეს აზრით, რელიგიური რევოლუციის გასაჩაღებლად, რასაც საშინელი ომი მოჰყვება, კავკასიის ხალხებს ისეთი წინამძღოლი არ ჰყავთ, რომელიც მჭევრმეტყველობით აღუდგება რუსული ხელისუფლების მიერ შემოღებულ ჩაგვრას და თავისი ფანატიზმის დროშის ქვეშ სხვადასხვა ტომს გააერთიანებს, ტომებს, რომლებიც ერთმანეთისაგან სიძულვილითა და შურისგებით არიან გაყოფილნი. რუსი გენერლები, რომლებიც მთიელთა წეს–ჩვეულებებს იცნობენ, მათგან მომდინარე საშიშროებას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. ისინი არწმუნებდნენ დე სუზანეს, რომ შამილის რელიგიური გავლენა უკიდეგანოა. ადამიანები, რომელთაც ის რაიმეს შესრულებას ავალებდა, უშიშრები ხდებოდნენ. შამილის ბრძანებებს ყოველგვარი შიშის გარეშე ემორჩილებოდნენ. დე სუზანე აღნიშნავდა, რომ გრაზეს გარემოცვაში მყოფი ოფიცრები საერთოდ არ იზიარებენ მის მოსაზრებას. ყველას ეშიანია რელიგიური ომის, რომელსაც დაღესტნელი წინასწარმეტყველი ქადაგებს, ასევე, ყველა თანხმდება, რომ არავითარი წარმატებისათვის არ მიუღწევიათ, რადგან ერთგან იგებენ, მაგრამ მეორეგან აგებენ. რელიგიური ომი დაღესტანში შებრკოლების ლოდია რუსული იარაღისათვის (სუზანე 1841:75).

მოგზაურობის დროს გრაფ დე სუზანეს თან „მშვიდობიანი მთიელების“ ბადრაგი, მცველთა რაზმი ახლდა, რომლებიც საერთო ევროპულ პოლიტიკაზე კითხვებით ართობდნენ: *„მათ სურდათ ცოდნოდათ, რამდენად აღემატება საფრანგეთის ძლიერება რუსეთის ძალებს, მე მხოლოდ ფრანგული ჯარის მოსკოვში შეჭრის ამბით ვიფარგლებოდი. მთიელებმა შემოინახეს ნაპოლეონის სახელი და, შეიძლება ითქვას, თითქმის აღმერთებენ მას იმ წარმატებებისათვის, რაც მან რუსებთან ბრძოლებში მიაღწია."* (სუზანე 1841:52)

ფრანგი მოგზაური კავკასიელი მთიელების ქმედებების და დამარცხების თაობაზე მცველების მიერ გათქმულ მოსაზრებაზეც საუბრობს: *„მიუხედავად მათი მთავრობისადმი მორჩილებისა, ყველა თანხმდება, რომ სხვადასხვა თემებს შორის არსებული უთანხმოება მათი დაცემის ერთადერთი მიზეზია. მე მათ ჩერქეზების*

*მაგალითი მოვუყვანე, რომლებიც საერთო მტრის წინაშე ერთიანნი იყვნენ და საკუთარ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. – შამილი, მითხრეს მათ, თავისი ემისრების პირით ჩვენ აჯანყებისაკენ მოგვიწოდებდა, მაგრამ დრო არახელსაყრელი იყო და ჩვენ დაგვამარცხეს“* (სუზანე 1841: 67).

მოგვიანებით, სუზანემ სტავროპოლში გრაბე გაიცნო, რომელიც 5 წელიწადში დაღესტანის შემორიგებას ვარაუდობდა. გრაფი აღნიშნავს, რომ რუსი გენერალი სასტიკად შეცდა გათვლებში (სუზანე 1841 :98).

გრაბე რომ დარწმუნებული იყო შამილის საბოლოო მარცხში, ამას სამხედრო მინისტრ ჩერნიშევისადმი მიწერილი წერილიც მოწმობს: „თუმცა ჩვენ ვერ მოვახერხეთ შამილის შეპყრობა, მისი ყველა მომხრის მოკვლა და დატყვევება, მიურიდების სექტამ ყველა თავისი მომხრითა და მიმდევრით არსებობა შეწყვიტა.

გრაფი გრაბე იმდენად იყო საკუთარი ძალისხმევით კმაყოფილი, რომ შამილის გაქცევაზე ნაკლებად ფიქრობდა. გაქცეულის თავისათვის 300 რუბლი დააწესა. თუმცა, იმპერატორი ნიკოლოზი, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს და ხანდახან იმაზე შორსმჭვრეტელი იყო, ვიდრე მისი ნებისმიერი მინისტრი და გენერალი, ცუდი წინათგრძნობით იყო შეპყრობილი. გრაბეს მიერ წარმოდგენილი ახულგოს აღების ანგარიშის მინდვრებზე იმპერატორმა საკუთარი ხელით მიაწერა: *„ძალიან კარგი, მაგრამ სამწუხაროა, რომ შამილი გაიქცა; ვაღიარებ, მეშინია მისი მხრიდან ახალი მზაკვრობის, მიუხედავად იმისა, რომ ეჭვგარეშეა, მან თავისი სახსრებისა და გავლენის დიდი ნაწილი დაკარგა. ვნახოთ, რა იქნება შემდეგ“* (ზადელი 2013 :250).

დე სუზანე აკრიტიკებს რუსი გენერლების სამხედრო სტრატეგიას და მათ არაკომპეტენტურობას, რომლებიც ხშირად ბრძოლაში ჯარის გაძღოლას ვერ ახერხებდნენ. ამის მიზეზად გრაფი რუსი ოფიცრების კავკასიის არასრულყოფილ ცოდნაზე მიუთითებდა. დე სიუზანე ასახელებს ადიუტანტ ბელოსელსკის, რომელმაც წინდაუხედავი ქმედებით გაწირა კაზაკების ორი პოლკი. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსი ოფიცრებისათვის კავკასიურ ომებში მონაწილეობის მიზანს სახელის მოხვეჭა და ჯილდოები წარმოადგენდა. ასევე მნიშვნელოვანია ის მომენტიც, რომ გულგატეხილობა გამეფებული იყო არა მხოლოდ ბრძოლის ველზე,

არამედ სტავროპოლსა და ტფილისში. რუსი გენერლების მოსაზრებებში ავტორი დიდ ერთსულოვნებას ხედავს, ყველა უკმაყოფილოა თავდასხმითი ტაქტიკით და ვერ ხედავენ შედეგს, რაც მათ იმ ხიფათს აარიდებდა, რომელშიც ისინი არიან ჩავარდნილები ( სუზანე 1841 :88).

ფრანგი ჯაშუშისათვის საინტერესო იყო ინფორმაცია რუსის ჯარის შემადგენლობის, რაოდენობისა და მათი გეგმების შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ *„გენერალი გრაბე მთელ დაღესტანს, მთელ ჩერქეზეთსა და 60 ათასიან ჯარს განკარგავს. გენერალ რაევსკის განკარგულებაშია ჩერქეზეთი და 20 ათასიანი ჯარი. მას სანაპირო სიმაგრეების დაცვა ევალება. მთელი ეს ჯარი კავკასიის კორპუსის ნაწილებია, რომელსაც გენერალი გოლოვინი მეთაურობს"* (სუზანე 1841 :98).

დე სუზანე დადებითად ახასიათებს შტაბის მეთაურ პაველ ეფსტაფის ძე კოცებუს მისი მოსაზრებების გამო. *„ვალდებულია, რომ მიმოწერა იქონიოს ყველა ოლქის მმართველთან, განკარგოს ჯარის გადაადგილება, მას, საუბედუროდ, ყველაფრის გათვალისწინება არ შეუძლია. თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს მეთაურის კეთილი ნება, შეუძლებელია მან ყველა ბოროტმოქმედება აღკვეთოს, რაც სამმართველოს ყველა ნაწილში არსებობს. იზიარებს რა კორპუსის მეთაურის მოსაზრებას, გენერალი კოცებუ არ იწონებს დაპყრობით (თავდასხმით) სისტემას. მისი აზრით, იმის მაგივრად, რომ დაღესტნის მკვიდრნი შიმშილით დაჯაბნო, დააუძლურო, უკეთესია მათთან ნელ–ნელა სავაჭრო ურთიერთობებში შეხვიდე; აქ ყველა ნახავს სარგებელს და მთავრობასაც აღარ დასჭირდება კავკასიაში 60 ათასიანი ჯარის შენახვა"* (სუზანე 1841:88).

რუსების სამხედრო მოქმედებები ზარალდებოდა რაიმე თანმიმდევრულობისა და სისტემის არქონის გამო. აჯანყების ცენტრები იცვლებოდა, რუსის ჯარი, უდიდესი ძალისხმევითა და დანაკარგით შეასრულებდა რა გაწერილ დავალებას, მდევარაკიდებული უკან უზარმაზარი დანაკარგით ბრუნდებოდა. რუსების ჯარის შეტევისას გაქცეული მოსახლეობა იმავე შამილის ძალაუფლების ქვეშ ისევ უკან ბრუნდებოდა, ამ ძალაუფლებას ის რელიგიური ფანატიზმის გაღვივებითა და მკაცრი სასჯელებით ინარჩუნებდა.

მიურიდიზმის განვითარება, შამილის შემდგომი წარმატებები და, ბოლოს, კავკასიელების ხელმოკლეობა და გაჭირვება – ეს ყოველივე სანკტ–პეტერბურგს არ აინტერესებდა, საზოგადოებრივ აზრს თითქმის არ აწუხებდა ქვეყანა და კავკასიაში გადასროლილი ჯარის ბედი, რამაც შემდგომში მთავრობისა და საზოგადოების ასეთი გამძაფრებული ყურადღება მიიპყრო.

დონდუკოვ–კორსაკოვი წერს: *„კავკასიის დაპყრობის და დამორჩილების სამხედრო მოქმედებების სისტემის პროექტები იყო შემუშავებული სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში გენერალური შტაბის ისეთ ოფიცრების მიერ, რომლებიც „გარბენით" იყვნენ კავკასიაში, აქიდან გამომდინარე ეს გეგმები რეალობას მოკლებული იყო ...იმ დროინდელი კორპუსის მეთაურები – გოლოვინი, შემდეგ ღირსეული ნეიდჰარტი სამხედრო მინისტრის ა.ი. ჩერნიშევის ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ და იძულებული იყვნენ ბრმად შეესრულებინათ პეტერბურგიდან გაცემული ბრძანებები... პეტერბურგში ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ რა ხდებოდა კავკასიაში და ეს სისხლის ფასად უჯდებოდათ კავკასიაში მებრძოლ ჯარისკაცებს* (დონდუკოვ-კორსაკოვი 1903:47).

მოგზაურობის დროს ქერჩში გრაფ დე სუზანემ გაიცნო გენერალი ნ. რაევსკი, რომელიც დამაჯერებლად საუბრობდა ჩერქეზეთში რუსეთის პოზიციების სიმყარეზე და მომავალის ნათელ პროგნოზს აკეთებდა, თუმცა, დაღესტანში მიმდინარე რელიგიური ომი მასში სერიოზულ შიშს იწვევდა. დე სუზანე აღნიშნავს, რომ რაევსკისა და გრაბეს მოსაზრებები განსხვავებულია და მათ ზუსტი წარმოდგენა არ აქვთ ჩერქეზეთსა და დაღესტანში მიმდინარე მოვლენებზე. ფრანგ გრაფს სამართლიანად შეაქვს ეჭვი რუსების დამპყრობლური გეგმების წარმატებაში.

გრაფი დე სუზანე დაასკვნის: *„იმის მაგივრად, რომ მთიელები ვაიძულოთ მუდმივად იარაღი ეჭიროთ ხელში, უმჯობესია, მათ თავი დავანებოთ და საშუალება მივცეთ მშვიდად მისდიონ მესაქონლეობასა და ხვნა-თესვას, ისინი მეომრულ მიდრეკილებებს დაკარგავენ და ბარის მკვიდრთა პატივისცემას ისწავლიან. ყველაზე უკეთესი კი მათთან სამშვიდობო პირობის დადებაა, რადგან სანამ მთელი მოსახლეობა არ ამოუწყვეტიათ, რუსებმა უარი უნდა თქვან მთაში ფეხის მოკიდებაზე"* (სუზანე 1841 :101).

საინტერესოა ფრანგი გრაფისა და ყარსის ბაქრი ფაშას დიალოგი, რომელსაც თავის სამფლობელოში კეთილად მიუღია. ფაშამ ბევრი ისაუბრა დე სიუზანესთან ევროპულ პოლიტიკაზე, რუსულ ჯარზე და სხვა საკითხებზე. ფაშა რუს ოფიცრებს უმეცრებად და უნიჭო ადამიანებად თვლიდა, ხოლო ჯარისკაცებს – სულელ ბრბოდ, რომელსაც მხოლოდ მორჩილება შეუძლია. *„მე ეჭვი არ მეპარება, – თქვა ბაქრი ფაშამ, – რომ რუსის ჯარი თქვენსაზე უკეთესია, ნაპოლეონმა ეს დაამტკიცა, მაგრამ ჩვენ, როგორც ამ ჯარისაგან მრავალგზის ნაცემი, არ შეგვიძლია მას საკადრისი არ მივუგოთ“*(სუზანე 1841:52).

ყარსიდან გუმრიში ჩასული დე სუზანე იყო 28 დღიან კარანტინში. აქაც რუსი მაღალჩინოსნების მოვალეობის მიმართ გულგრილი დამოკიდებულების მორიგი ფაქტის მოწმე გახდა. მისი თანამგზავრი, რუსული ჯარის პოლკოვნიკი, რომელსაც მასავით შავი ჭირით დაავდება ემუქრებოდა, გენერალ გოლოვინის ბრძანებით საერთოდ გათავისუფლებულ იქნა დაკავების ადგილიდან. *„კარანტინის წესების ამგვარი დარღვევისას გასაკვირი არ იქნება, შავი ჭირი საქართველოს ამა თუ იმ ადგილში თუ აღმოჩნდება“*, – აღნიშნავს ავტორი (სუზანე 1841:55).

დე სუზანე კავკასიაში მომსახურე რუსეთის იმპერიის ჯარისკაცებზე წერს: *„ყაზარმები ცუდად ნიავდება და მათი უმრავლესობა ჯანმრთელობისათვის საზიანოა. ჯარისკაცების უსუფთაობა და ცუდი საკვები უვარგისი შენობების ზემოქმედებას კიდევ უფრო ამძიმებენ. ჯარისკაცები ღია ცის ქვეშ რჩებიან რეომიურის მიხედვით 30 გრადუსიან სიცხეში, მათ თავზე მხოლოდ უბრალო ნაჭრის ქუდები ახურავთ. რამდენიმე წუთი საკმარისია, რომ ამ პირობებმა ცხელება გამოიწვიოს, რომელიც თითქმის ყოველთვის სიკვდილით სრულდება. მაგარი სასმელებისა და მცენარეთა ნაყოფების ზედმეტი გამოყენება ფაღარათსა და ხანგრძლივ ციებ–ცხელებას იწვევს. ისინი, ვინც კლიმატს უძლებენ, მთიელების იარაღის მსხვერპლნი ხდებიან. სურავანდი და სხვა სნეულებები, ცუდი კვებისა და დამქანცველი სამსახურის ეს აუცილებელი შედეგები თითქმის მთელ გარნიზონებს წვდება, ამიტომაც ყოველწლიურად მათი აღდგენა უნდა მოხდეს“. შეიძლება ითქვას, რომ კავკასიაში არ არსებობს რუსის ჯარისკაცის მდგომარეობაზე უარესი მდგომარეობა“* (სუზანე 1841: 70). გრაფი დე სუზანეს ასკვნის, რომ *„ყველა ოფიცერი,*

*რომელიც კი შემხვედრია, კავკასიაში მსახურების საშინელებებს უჩივის, და რაღა უნდა თქვან უბედურმა ჯარისკაცებმა, რომელთაც თუ მომხვდურის იარაღი არ კლავს, სასიკვდილო სნეულების მსხვერპლნი ხდებიან"* (სუზანე 1841:88).

რამდენი დაჭრილი ვერ გადარჩა ან ხეიბარი დარჩა – ამაზე სამხედრო სტატისტიკა დუმს. თუ მხედველობაში ე.წ. „სამუდამო დანაკარგების" ზოგად შეფარდებას მივიღებთ, ყველაზე უხეში ვარაუდის მიხედვით, ამ რეგიონისათვის ბრძოლებში დაახლოებით 100 ათასი რუსი დაეცა. კავკასიაში ყოველ ერთ ბრძოლაში ერთ დაღუპულსა და ჭრილობებისაგან გარდაცვლილზე ათი ავადმყოფობისაგან გარდაცვლილი მოდიოდა (ე.წ. სანიტარული დანაკარგები) (ლაპინი 2006:14).

კავკასიის მიერთების საბოლოო ფასი – მილიონი სამხედრო მოსამსახურის დაკარგვა იყო. ვინაიდან ეს დანაკარგი ერთჯერადი არ ყოფილა, მან ხელისუფლებასა და საზოგადოებაზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მიუხედავად ამისა, რუსეთისათვის, რომლის მოსახლეობაც XIX საუკუნეში გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე დღეს, კავკასიაში ომი „დემოგრაფიული" ხვრელი გახდა, რომელშიც ხალხის ძალა ჩაედინებოდა. ადგილობრივი მოსახლეობის დანაკარგების დათვლა რამდენადმე სანდო სტატისტიკის არქონის გამო შეუძლებელია. უცნობია, თუ რამდენი იქნა მოკლული ბრძოლებში, რამდენი დაიღუპა შიმშილისა და სიცივისაგან, როდესაც აულების აოხრება ომის წარმოების ნორმად იქცა. ამგვარად, იმპერიის შემადგენლობაში 4 მილიონი ახალი ქვეშევრდომის შემოყვანა 2 მილიონი ადამიანის სიცოცხლის ფასი დაჯდა (ლაპინი 2006:1).

მოგზაურს ტფილისში საფრანგეთის კონსული დე შაპელი დახვდა, რომელმაც სავარაუდოდ დე სუზანეს საიდუმლო ინფორმაცია და აუცილებელი ინსტრუქციები მიაწოდა. სუზანე აღნიშნავს, რომ კონსულის დახმარებით მისი ტფილისში ყოფნა სასიამოვნო და „ჭკუის სასწავლებელი" გამხდარა.

გრაფი კავკასიის პროვინციების გუბერნატორს, გოლოვინს წარუდგინეს. ფრანგი ჯაშუში შესანიშნავად აღწერს ამ შეხვედრას: *„მე გოლოვინთან წარმადგინეს, რომელიც თბილი და კეთილმოსურნე ადამიანი აღმოჩნდა. კავკასიის ყველა პროვინციის მმართველი, გენერალი გოლოვინი მონდომებულია, რომ იმატოს მისთვის ჩაბარებული ხალხის კეთილდღეობამ, მაგრამ, მიუხედავად ამ სურვილისა,*

*მისი ზრახვები იშვიათად სრულდება, გაუმჯობესებათა უმრავლესობა მხოლოდ ქაღალდზე რჩება, ან იწყება და აღარ სრულდება"* (სუზანე 1841 :59).

გენერალ გოლოვინმა და გრაფმა იმ ქვეყნების მდგომარეობაზე ისაუბრეს, სადაც მან იმოგზაურა. დე სუზანე გაოცებულია გენერალის მოსაზრებით, რომ დაღესტნისა და ჩერქეზეთის სრული დაშოშმინება მხოლოდ მოსახლეობის განადგურებითაა შესაძლებელი. გოლოვინი სავსებით არ იწონებს დაპყრობის სისტემას და პეტერბურგში გაგზავნილ ერთ–ერთ თავის პატაკში დაჟინებით მოითხოვს ჩერქეზებს თურქეთთან ტყვეებით ვაჭრობის ნება დართონ, აგრეთვე ის კარანტინების გაუქმებას და მათ ნაცვლად სიმაგრეების აგების ნებართვას ითხოვს, რომლებიც გაცვლითი ვაჭრობის ადგილად იქცევიან. მხოლოდ ვაჭრობის განმტკიცება შეუწყობს ხელს ჩერქეზეთის დაწყნარებას და ომის დასასრულს დააჩქარებს. გენერალმა გოლოვინმა თქვა, რომ 60 მილის სიგრძის მქონე ნაპირზე შეუძლებელია სიმაგრეთა ასეთი უწყვეტი ხაზის გავლება, რომელიც ხელს შეუშლის ჩერქეზების ურთიერთობას თურქეთთან. ვაჭრობისაგან მიღებული სარგებელი იმდენად დიდია, რომ თუკი 100 გემიდან ერთი მაინც ჩამოვა, ის ყველა დანარჩენის დანაკარგს აანაზღაურებს. გენერალი მოგზაურს იმ სარგებელზე ფიქრით გამსჭვალული ეჩვენა, რომელსაც მთავრობა ისეთი მდიდარი და ნაყოფიერი ქვეყნიდან მიიღებდა, როგორიც საქართველოა; ის წუხდა, რომ შესაბამისი კაპიტალის არქონის გამო მტკვრის სანაპიროზე მდებარე დაბლობების დამუშავება არ შეეძლო. ეს მიწა სულ უფრო მეტ მოგებას მოიტანდა, თუკი მიწის გრუნტი, ახლა გამომშრალი და უნაყოფო, არხებით მოირწყვებოდა. გენერალი იძულებული იყო გრაფს იმაში დათანხმებოდა, რომ ყველა გაუმჯობესება მხოლოდ სავარაუდო იყო და მათი არშესრულება თურქული და სპარსული კამპანიებით იყო გაწერილი.

გრაფი შენიშნავს, *„რომ კავკასიის მმართველებს კეთილი ნება არ აწყობთ, ისინი ცდილობენ გადაულახავი წინააღმდეგობებით ხალხში სახელი მოიხვეჭონ. კორპუსის ყველა მეთაურს შორის ყველაზე შესანიშნავი ადამიანი, შესანიშნავი როგორც ადმინისტრატორი და როგორც მებრძოლი, გენერალი ერმოლოვი იყო. გენერალმა პასკევიჩმა რამდენიმე წარმატებულ ექსპედიციას უხელმძღვანელა, მაგრამ*

*აბსოლუტურად უყურადღებოდ დატოვა მისთვის მიბარებული ხალხი“* (სუზანე 1841:62).

ფრანგი მოგზაური ახასიათებს რუსეთის მაღალჩინოსნებს, მათ დამოკიდებულებას საერთო საქმისადმი და აღნიშნავს, რომ მათ შორის ღირსეული ხალხის ნაკლებობაა: *“ხელისუფალთა ამგვარ მონურ დამოკიდებულებას იმპერატორის წინაშე, ისეთი დიდი ქვეყნისთვის, როგორიც რუსეთია და მისი საერთო განვითარებისთვის აღმაშფოთებელი შედეგები მოაქვს. გუბერნატორი იღებს ბრძანებას და უნდა აღასრულოს იგი მის სავალალო შედეგებზე დაუფიქრებლად. მხოლოდ რუსეთში თუ ნახავთ მიტოვებულ დიდ მშენებლობებს. და თუ შემთხვევით მას დაასრულებენ, მოუვლელობის გამო ინგრევა. თქვენ გაიარეთ ქვის ხიდი, რომელიც შორიდან ლამაზი გეჩვენათ. გაოცდებით, თუ ხიდზე წააწყდებით დიდ ღრმულებს. გუბერნატორმა მიიღო ამ ხიდის აგების ბრძანება და აღასრულა იგი. რა მნიშვნელობა აქვს დაინგრევა თუ არა? გუბერნატორისთვის არავის უბრძანებია მისი მოვლის შესახებ. იგივე შეიძლება ითქვას სხვა დიდი შენობებზე, რომლებიც ინგრევიან ადამიანების გულგრილობის გამო, რადგან არავინ არ ფიქრობს მათ შენარჩუნებაზე. რუსეთში მხოლოდ აწმყოზე ფიქრობენ და ივიწყებენ მომავალს. რამდენი დიდი მშენებლობა იქნა წამოწყებული და შემდეგ მიტოვებული. თანხით, რომელიც მშენებლობის დასრულებას უნდა მოხმარებოდა, რამდენიმე მოხელე გამდიდრდა. ამ ფაქტის დასტურად ერთი მაგალითიც გამოდგება. შავ ზღვაზე ყველა რუსული გემის მშენებლობა არაუმეტეს 10 წელს გრძელდებოდა. გემთმშენებლობა რუსეთის ტყეებიდან უხვად მარაგდებოდა საუკეთესო ხარისხის ხის მასალით. მაგრამ დაქირავებულ მშენებლებს აწვდიდნენ უხარისხო მასალას და კარგი მასალით თავად შოულობდნენ ფულს. ხუთი წლის შემდეგ, რუსული გემი მწყობრიდან გამოდიოდა და ათი წლის შემდეგ იგი უკვე სრულიად უსარგებლო იყო”* (სუზანე 1841: 85-86).

დე სუზანე გოლოვინსა და როზენს ახასიათებს. ბარონმა როზენმა და შემდეგ გენერალმა გოლოვინმა ის სამმართველო ჩაიბარეს, რომელიც დიდ ცოდნას, ამაღლებულ შეხედულებებსა და გონების აღმატებულ შესაძლებლობებს მოითხოვდა, რაც, სამწუხაროდ, არც ერთს ჰქონდა და არც მეორეს.(სუზანე 1841: 89) გენერალი

გოლოვინი ტფილისში იმ დროს ჩამოვიდა, როდესაც რუსეთის მთავრობა ამიერკავკასიაში პოლიტიკას ცვლიდა. კავკასიის ადმინისტრაციის მეთაურის დანიშვნის საქმეში ე.ა. გოლოვინის წინამორბედის, ბარონ გ.ვ. როზენის ჩარევამ ამ პროექტის საბოლოო განხორციელება გააჭიანურა. გ.ვ. როზენი, რომელმაც მოასწრო ადგილობრივ თავისებურებებთან გაცნობა, უკვე ჩამოყალიბებული მმართველობის სისტემის რადიკალური და ნაჩქარევი ნგრევის წინააღმდეგი იყო. გ.ვ. ჰანის ხელმძღვანელობით მოქმედი კომისიის ყველა წინადადებაზე, რომლებიც მმართველობის იმპერიულ სისტემასთან სწრაფი უნიფიკაციისაკენ იყვნენ მიმართულნი, ბარონი „ადგილობრივ გარემოებებთან და მოსახლეობის შეხედულებებთან შესაბამისობაში მოსვლას" სთავაზობდა (აქტები 1881:43-48). კერძოდ, გ.ვ. როზენი დაჟინებით მოითხოვდა ზოგად სამართალზე დაფუძნებული ადგილობრივი სასამართლოების შენარჩუნებას (ნაციონალური 1998: 262).

თუმცა პ.ვ. ჰანმა, რომელმაც იმპერატორს კავკასიაში არსებულ არეულობებზე და ბოროტმოქმედებებზე მოახსენა, რეალურად, გ.ვ. როზენის თანამდებობიდან გადაყენებას შეუწყო ხელი.

საინტერესოა ფაქტი იმის თაობაზე, რომ დე სუზანე პირველი არ ყოფილა, ვინც ფრანგულ პრესაში როზენზე დაწერა. ვ. ტოლსტოის ცნობით, კავკასიის ცალკე კორპუსის მეთაურის, ბარონ გრიგორი ვლადიმირის ძე როზენის პირადი ცხოვრება ფრანგულ პრესაში შუქდებოდა და ეს სკანდალური ინფორმაცია იყო: *„საშინაო ყოფაში ბარონ როზენის მთელი ოჯახი ყველაზე გარყვნილ ერთობას წარმოადგენდა: თავად ის და მისი ორი ვაჟი პირწავარდნილი სოდომისტები იყვნენ და ამას სულაც არ ფარავდნენ: მის ცოლს, ფრანგული გაზეთების რწმუნებით, – ალბათ ტფილისში მყოფი ფრანგი კონსულების მიერ მიწოდებული ცნობებით, – ხორციელი ლტოლვა ჰქონდა ზანგებისადმი, გარდა ამისა, მოურიდებლად იტაცებდა იმას, რაც მას არ ეკუთვნოდა და მექრთამის სახელით სარგებლობდა. საღამოობით ის თავაშვებულად იქცეოდა კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის დირექტორის სახლში. ბარონი როზენის მმართველობის დროს ყოველივე ამან ერთობლიობაში ტფილისი ახალ სოდომად და გომორად აქცია; ამასთან, ამიერკავკასიაში დისლოცირებული ჯარიც უგვანო მდგომარეობაში"* (ტოლსტოი 2000:73).

გრაფი დე სუზანე მართალი აღმოჩნდა, გოლოვინმა და შემდეგ ნეიდჰარტმა როზენის ხვედრი გაიზიარეს.

## § 4. რუსეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკა კავკასიაში XIX საუკუნის 40-იან წლებში

გრაფი დე სუზანე ნაშრომში დიდ ყურადღებას სამოქალაქო რეფორმასა და მის შედეგებს უთმობს. დე სუზანე მოგზაურეობის დროს დეტალურად აღწერს კოლონიალურ დასახლებებს.

დედოფლისწყაროში მას კეთილგანწყობილი ოფიცრები დახვდნენ; მან შეიტყო ინფორმაცია იმ სარგებლის შესახებ, რომელსაც პოლკოვნიკები მათზე ჩაბარებული - ტფილისისა და დრაგუნთა - პოლკებიდან იღებენ; პოლკის მეთაურები თითქმის მთლიანად ითვისებენ მთავრობის მიერ ჯარის შესანახად გამოყოფილ ფულს. დე სუზანეს გამოთვლებით, მათი შემოსავალი წელიწადში 10 ათასს რუბლს შედაგენს. ის დააკვირდა ოფიცრებისა და დაბალი ჩინის ცხოვრების წესს, და გამოთქვა მოსაზრება, რომ რომ რუსმა ოფიცრებმა სამხედრო სამსახურის პრაქტიკული ნაწილის ცოდნის გარდა სხვა არაფერი იციან.

*„დედოფლისწყაროში ყველა სახლი თავად ჯარისკაცების გეგმის მიხედვითაა აშენებული; სახლებს გარშემო მცირე ზომის ბაღები აკრავს... ავეჯი ჯარისკაცების მიერაა გაკეთებული. მე ვნახე, რომ რამდენიმე პოლკოვნიკის სახლში ავეჯი დიდი გემოვნებით იყო გაკეთებული. ოფიცრების ავეჯს მხოლოდ ხის საწოლი, რამდენიმე სკამი და უბრალო ჩითით დაფარული დივანი წარმოადგენს. პოლკოვნიკებს მნიშვნელოვანი შემოსავალი აქვთ. საკუთარ ჯარისკაცებს ისინი საოჯახო საქმეებს აკეთებინებენ, ბაღებსა და მინდვრებში მუშაობას აიძულებენ“* (სუზანე 1841: 61).

*„ბევრი ჯარისკაცი დაქორწინებულია; ისინი თავის ცოლ–შვილთან ერთად მათ მიერვე აშენებულ პატარ–პატარა სახლებში ცხოვრობენ. მთავრობამ, კავკასიაში მომაგრების სურვილის გამო ჯარისკაცებს ათწლიანი მსახურება დაუწესა; ...სამხედრო სწავლებებს კვირაში მხოლოდ ერთი დღე ეთმობა; ზოგადად, დანარჩენ დროს ჯარისკაცები ხელობით არიან დაკავებულები... ოფიცრები ნაკლებად*

*განათლებულები მეჩვენა; ...ბევრი მათგანი სხვადასხვა დანაშაულის გამო გადმოასახლეს კავკასიაში"* (სუზანე 1841: 96).

*ჯარისკაცები თხუთმეტ ან ოცწლიანი მსახურების შემდეგ სამხედრო კოლონიაში სახლდებოდნენ; ამ კოლონიებიდან ათი ვლადიკავკაზსა და ეკატერინოდარს შორის მდებარეობდა და მოგზაურებისათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ შეეძლოთ თანხლების გარეშე ღამით გადაადგილება, გარკვეულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ. პრინციპი, რომლის თანახმადაც ამ დასახლებების შექმნა განისაზღვრება, მაღალ შეფასებას იმსახურებს: სამსახურიდან გადამდგარი ჯარისკაცების ფერმერებად და ბადრაგად გამოყენებას შესანიშნავი შედეგი მოაქვს, მოგზაურები მოსახლეობისაგან საჭირო პროდუქტებს იძენენ. ეს კოლონიები ხის სატყორცნებით, ორმაგი მიწათხრილების მქონე რედუტებითა და მესერითაა შემოსაზღვრული. სამხედრო კოლონიები ორი წლის მანძილზე იქმნებოდა: ნეტა ისინიც ყველა სხვა რუსული დაწესებულების ბედს გაიზიარებენ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ მომავალს შეუძლია"* (სუზანე 1841:99).

გზად ფრანგ მოგზაურს გერმანელთა დაარსებული კოლონიები ხვდებოდა, მის ყურადღებას თვალწარმტაცი ქართული სოფლები იპყრობს.

*„გერმანულმა კოლონიებმა არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყეს აქ განვითარება. გერმანელები მათთვის მთავრობის მიერ გადაცემულ მიწებს ამუშავებენ. დე სუზანე აღნიშნავს, რომ გერმანელებს ყველაზე ნაყოფიერი მიწები გამოუყვეს. დასახლებები მშვენიერი დასანახია. სახლებს ერთმანეთისაგან კაკლის ხეები და ვენახები ჰყოფს. ამ სოფლებს, სახლების რაოდენობით უმნიშვნელოს, დიდი ადგილი უკავიათ... რუსეთის ბატონობის ქვეშ მყოფი გერმანიის პროვინციები ექვემდებარებიან იმავე კანონებს, რომლებიც მოქმედებენ დანარჩენ იმპერიაში. მათ შეინარჩუნეს გარანტიები ცარიზმის დესპოტიზმის წინააღმდეგ და მათი ცივილიზაციის შესაფერი კონსტიტუცია, რომელიც უფრო პროგრესულია ვიდრე რუსეთის. რატომ არ სარგებლობენ იგივე უპირატესობით კავკასიის ხალხები?"* (სუზანე 1841:103).

კოლონისტებმა მიიღეს საკმაოდ მოზრდილი მიწის ნაკვეთები (საქართველოში გადმოსახლებულნი 1817-1818 წლებში 486 ოჯახი და 1842 წელს 10 კომლი. აგრეთვე

სომხები და ბერძნები (600 მეტი კომლი), რომლებიც დაასახლეს თბილისის გუბერნიაში.

მართალია, იმ მიწებს, რომლებსაც გადმოსახლებისას ურიგებდნენ „თავისუფალი“ მიწები ეწოდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო, თავისუფალი იყო მიწა იმ გაგებით, რომ იგი მაშინ არავის ეჭირა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის ზედმეტი იყო ადგილლობრივი მოსახლეობისათვის, რომელიც მწავედ განიცდიდა მცირემიწიანობას. რუსეთის იმპერიის მესვეურებს საქართველოს კოლონიზაცია რუსული თუ სხვა ეროვნების ელემენტების მეშვეობით, ძალიან საჭირო და სასარგებლო საქმედ მიაჩნდათ (აქტები 1904:12).

არაიშვიათი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც კოლონისტების მიწით უზრუნველყოფად მამაპაპისეული მიწებიდან აჴყრიდნენ ხოლმე ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ გლეხებს და სამაგიეროდ აძლევდნენ უხარისხო მიწის ნაკვეთებს სულ სხვა ადგილას (ანთლავა 1955:274)

რუსეთის მთავრობის წრეების აზრით, კოლონისტებს ახალი დასაახლების რაიონებში მიჰქონდათ „მეტროპოლიის წესები, ჩვეულებები, ენა და ხელოსნობა“. (კოლონიალური 1936: 280) პრივილეგიებით დაჯილდოვებული კოლონისტების სახით რუსეთის იმპერიამ ერთგული ელექტორატი შეიძინა და ძალაუფლება გაამტკიცა მეტროპოლიაში.

მხარის კოლონიზაცია რუსული ელემენტებით ხორციელდებოდა არამარტო სამხედრო დასახლებათა შექმნით. 1830 წლის კანონის საფუძველზე „სამხრეთ ციმბირში „მოდიოდნენ საკუთარ ნებითაც და სასამართლო დადგენილებების ძალითაც ყველა ჯურის „რასკოლნიკები“ (სექტანტები) - დუხობორები, მალაკნები, სკოპები, რომელთა დატოვება რუსეთის შიდა გუბერნიებში სასურველად არ იყო მიჩნეული, რათა მათ გავლენა არ მოეხდინათ ორთოდოქს მართმადიდებელ ქრისტიანებზე. რაც შეეხება მათ ყოფნას საქართველოში, ეს სახიფათოდ არ მიაჩნდათ, რადგან სექტანტების ზნე-ჩვეულებანი მკვეთრად განსხვავდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებისაგან და რაკი მათ არც იცოდნენ კავკასიელ ხალხთა ენები, უზნაესი ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ ისინი ვერც რაიმე მავნე გავლენას მოახდენდნენ მათზე (გუგუშვილი 1949:630).

თბილისში სტუმრად ყოფნისას დე სუზანეს უამბეს ერთი გარემოების თაობაზე, რომელიც განაპირობებს ხელისუფლების „რელიგიურ შემწყნარებლობას:“ ერთმა საბრალო ბერძნული სარწმუნოების გლეხმა, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მოიხმო კათოლიკე მღვდელი და მასთან უარყო რწმენა, რომელსაც მისდევდა მეტადრე ჩვეულებით, ვიდრე რწმენით და გარდაიცვალა კათოლიკედ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბავი საიდუმლოებით იყო მოცული, მთავრობამ შეიტყო ამის თაობაზე; დაიბარეს მღვდელი და განუცხადეს, რომ თუ კიდევ ჩაიდენდა მსგავს საქციელს სხვა სარწმუნოებასთან მიმართებით, ციმბირში გადაასახლებდნენ. რუსეთის ხელისუფლება ხელს უწყობს რელიგიის ერთიანობას. მას სურს ერთ ხელში მოაქციოს დროებითი თუ სულიერი ძალაუფლება. ყოველი ადამიანი, რომელიც გაბედავს, რომ ხელი შეუშალოს, მტრად შეირაცხება და განადგურდება (სუზანე 1841 :93)

ამ ფაქტებიდან გამომდინარე გასაგები ხდება როცა დე სუზანეს ამდაგვარ ჩანაწერს კითხულობ: "გზაზე, ადგილობრივებში რუსების მიმართ შიში, არაკეთილგანწყობა და უნდობლობა შეიმჩნევა. ამას ემატება ის გარემოება, რომ უკანასკნელი ჯარისკაციც კი თავს უფლებას აძლევს ადგილობრივებს რაც შეუძლია ცუდად მოექცეს. ოფიცრები კი არანაირად არ ცდილობენ თავისი ქვეშევრდომები მსგავსი სასტიკი ქმედებებისას შეაჩერონ, პირიქით, აქეზებენ კიდეც მათ. ეჭვგარეშეა, ამგვარი ქმედებებით ისინი აღმოსავლეთის მოქცევას ფიქრობენ“ (სუზანე 1841:57).

გრაფის აღშფოთება კიდევ უფრო იზრდება მკვიდრი მოსახლეობის დანახვისას, რომელიც ყოველგვარი საზღაურის გარეშე, საკუთარი ოფლით ასწორებდა გზებს და კიდევ იმ ხეების დანახვისას, რომლებიც ყოველგვარი სიბრალულის გარეშე საკუთარ ფესვებს მოგლეჯილები პირდაპირ გზაზე ეყარა.

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის იმპერია ცეცხლითა და მახვილით ამყარებდა თავის ბატონობას, დამორჩილებულ ამიერკავკასიაში გადაწყვეტილ იქნა გაეტარებინათ რიგი რეფორმები, რათა მომხდარიყო ამიერკავკასიის საბოლოო ინტეგრაცია იმპერიაში. უზენაესი ხელისუფლების მიზანი იყო ეს იმპერიის მეტროპოლია გადაექცია ისეთ მხარედ, რომელიც პოლიტიკურად სანდო იქნებოდა, ხოლო ეკონომიურად – მაქსიმალურად მომგებიანი. ამ პროგრამის განხორციელებას

ცარიზმი ცდილობდა სხვადასხვა გზით, რომელთა შორის, უმთავრესს, ქვეყნის კოლონიზაცია და რუსიფიკაცია წარმოადგენდა.

1840 წლის 21 მარტს ნიკოლოზ I-ის ბრძანებით, კავკასიაში დაიწყო სამოქალაქო მმართველობის რეფორმის განხორციელება. იმპერატორი წერდა მთავარმართებელ გოლოვინს: *„...ამიერკავკასიის კეთილმოწყობითვის, რომელიც ყოველი მიმართულებით მნიშვნელოვანია რუსეთისთვის, საჭიროა მტკიცე სამოქალაქო მმართველობა, დაფუძნებული კავკასიის ხალხის სამოქალაქეო ყოფაზე..., რათა ამიერკავკასიის მოსახლეობამ ისარგებლოს იმ კეთილი შედეგებით, რომლებიც მათ უფლის ნებით დაუდგათ რუსეთის სამეფოს შემადგენლობაში ყოფნით“* (აქტები 1881:23).

1840-1841 წლებში საქართველოს რუსეთთან „შერწყმის“ საქმეში მთავრობა მნიშვნელოვან ადგილს მმართველობის სისტემას უთმობდა. ის წესები, რომლებიც შემოღებული იქნა საქართველოში 1801 წლის კანონის საფუძველზე და თითქმის უცვლელად მოქმედებდა 40 წლის განმავლობაში, ოფიციალური წრეების აზრით, უკვე აღარ პასუხობდა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

სენატორი მეჩნიკოვი, რომელმაც ამიერკავკასიის ქვეყნები შეამოწმა, თავის 1831 წლის 20 იანვრის პატაკში ხაზგასმით აღნიშნავდა: *„აუცილებელია რაც შეიძლება ჩქარა ჩატარდეს მმართველობის სისტემის რეფორმებიო. დატოვო იგი ამ მდგომარეობაში, ხანგრძლივი დროით, გადადო მისი გარდაქმნა, - ეს ნიშნავს მტრულად იყო განწყობილი რუსეთისადმი და ითმინო პოლიტიკური სხეულის ავადმყოფობა იმ ზომამდე, როცა მისი განკურნება შეუძლებელი იქნება. ამიტომ ჩემი აზრია - ახლავე ჩავუყაროთ საფუძველი მის გარდაქმნას, გადადება მავნეც იქნება და საზიანოც“* (2-2-2275).

ამ დროს არსებული მმართველობის სისტემის ძირითად ნაკლად რევიზორებს მიაჩნდათ ადგილობრივი ელემენტის მონაწილეობა მასში. სენატორების აზრით, საჭირო იყო ამ ადგილობრივი ელემენტის განდევნა და სრული რუსული მმართველობის შემოღება. ამასთან, ყოველივე ეს უნდა გაკეთებულიყო სწრაფად, დაუყოვნებლივ, ერთი საერთო განკარგულებით (ესაძე 1907 :67-73).

1840 წელს გამოქვეყნდა, ჰანის მიერ შედგენილი სამი დოკუმენტი: “უზენაესად დამტკიცებული დებულება ამიერკავკასიის მმართველობისათვის“, რომელიც იყო შედგენილი ბარონ განის პროექტის საფუძველზე და შეიცავდა სენატორების მეჩნიკოვის და ქუთაისოვის დებულებებს, „დებულება საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობის შესახებ თბილისში“ და „დებულება საერობო საბეგრო კომიტეტების შესახებ ამიერკავკასიაში’’ (ანთელავა 1990:117).

მმართველობის ზემოაღწერილი სისტემის განხორციელებას შედეგად უნდა მოჰყოლოდა ცარიზმის პოზიციების შემდგომი განმტკიცება საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში, ადგილობრივი კანონების, ადათებისა და ჩვეულებათა გაუქმება, ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოების საქმის წარმოებიდან ქართული, სომხური, და აზერბაიჯანული ენების საბოლოო განდევნა და მის ნაცვლად მოსახლეობისათვის გაუგებარი რუსული ენის შემოღება, თითქმის ყველა თანამდებობიდან ადგილობრივი წარმოშობის მოხელეთა გადაყენება და ახლადშექმნილ დაწესებულებათა დაკომპლექტება რუსი ჩინოვნიკებით, რომლებიც, ცალკეული გამონაკლისის გარდა, სრულიად არ იცნობდნენ მხარეს და საქმიანი თვისებების მხრივ უარყოფით დახასიათებას იმსახურებდნენ. ეს ყოველივე იწვევდა მოხელეთა შტატის მნიშვნელოვან ზრდას, რომელიც ახლად შექმნილი მმართველობის ბიუროკრატიულ აპარატს ემსახურებოდა (ივანენკო 1901:299).

XIX ს-ის I მეოთხედისათვის ხდება რუსეთისა და აზიის ქვეყნების ვაჭრობის გაფართოება. რუსეთიდან თანდათანობით უფრო მეტი და შესაფერისი საქონელი გააქვთ აზიის ქვეყნებში, მაგარამ ამ დროისათვის რუსეთის სამრეწველო ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ თხოულობს არათუ აზიის ბაზრების, არამედ თვით ამიერკავაკასიის ბაზრების უცხოეთის კონკურენციისაგან დაცვას. თავისი საკუთარი ბაზრებიც კი არ ჰქონდა ათვისებული.

საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველი დღეებიდანვე რუსეთის ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა იქ მყოფი მრავალრიცხოვანი არმია ადგილობრივი საქონლით და სურსათ-სანოვაგით დაეკმაყოფილებინა. ძირითადად ამის გამო მთელი მისი სავაჭრო პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ საქართველოში ვაჭრობის მონოპოლია თვითონ ჩაეგდო ხელთ და სასწრაფოდ

უზრუნველეყო ვაჭრობის ნორმალური მიმდინარეობა. გარდა ამისა, სავაჭრო მონოპოლიის მოპოვება რუსეთის ხელისუფლებას ამიერკავკასიაში პოლიტიკური ბატონობის განსამტკიცებლად გამოადგებოდა.

ამიერკავკასიის თანდათანობით დაპყრობის შემდეგ კვლავ გამოცოცხლდა იდეა შავი და კასპიის ზღვების სავაჭრო გზის გადამბის შესახებ. ამიერკავკასია ერთგვარ ბუნებრივ ხიდს წარმოადგენდა ევროპისა და აზიის შორის და ძალიან მოსახერხებელი გზა იყო სატრანზიტო ვაჭრობისათვის. რუსეთი შეეცადა აღედგინა ძველიდანვე არსებული, ამიერკავკასიაზე გამავალი სატრანზიტო გზა. 1821 წელს 8 ოქტომბრის ბრძანებით ამიერკავკასიაში შემოღებული იქნა შეღავათიანი ტარიფი, რომლის მიხედვით ევროპიდან შემოტანილ საქონელზე საბაჟო გადასახადი დაწესებული იყო საქონლის ღირებულების მხოლოდ 5 %-ის რაოდენობით და ნებადართული იყო ევროპული საქონლის უბაჟო ტრანზიტი ამიერკავკასიის გავლით ირანისაკენ. შეღავათიანი ტარიფი წესდებოდა 10 წლის ვადით.

ამ პროექტმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საერთოდ ამიერკავკადსიისა და, კერძოდ, საქართველოს ვაჭრობის განვითარებას. იგი არღვევდა ამიერკავკასის ბაზრების კარჩაკეტილობას და საქართველოს მსოფლიო ვაჭრობის საქონელბრუნვაში აბამდა (სუზანე 1841:93).

შეღავათიანი ტარიფის მოქმედების პერიოდში არაჩვეულებრივად გამოცოცხლებული ვაჭრობისა ად აღებ-მიცემობის შედეგად ქ . თბილისში წარმოიშვა კომერციული სახლები და მაღაზიები. აქ თანდათანობით ხდებოდა ფულადი კაპიტალის დაგროვება.

მაგრამ შეღავათიანი ტარიფის დაწესების თითქმის მეორე წელსვე, ფინანსთა მინისტრად კანკრინის დანიშვნის შემდეგ, დაიწყო ბრძოლა ამიერკავკასიისთვის მინიჭებული შეღავათების აღკვეთისათვის. კანკრინი გვევლინება რუსეთის მრეწველობისა და კაპიტალისტების მფარველად. იგი ამიერკავკასიის ბაზრების რუსი კაპიტალისტებისათვის დამორჩილებას ცდილობდა და შეღავათიანი ტარიფის გაუქმებას მოითხვდა.

კანკრინის ბრძოლა ამიერკავკასიის თავისუფალი ვაჭრობის აღკვეთისთვის წარმატებით დამთავრდა.

1832 წელს ამიერკავკასიის თავისუფალი ტრანზიტი და შეღავათიანი ტარიფი უქმდებოდა. ამიერიდან საქართველო-ამიერკავკასიაში ვრცელდებოდა საერთო საიმპერიო ტარიფი, რომელის მიხედვითაც ევროპის ქვეყნიდან შემოტანილი საქონელი მისი ღირებულების 25%-დან - 50% -მდე იბეგრებოდა (სუზანე 1841 :96).

ბაზრების და იქ გამოფენილი საქონლის დათვალიერებისას დე სუზანე აღნიშნავს, რომ ტფილისი დამღუპველი დარტყმის შემდეგ, რომელიც მას საბაჟო სისტემის შემოღებამ მიაყენა, გონზე მოდის. *„ამ სისტემას სხვა არავითარი სარგებელი არ მოაქვს, გარდა რუსებისათვის უვარგისი ნაწარმის მიყიდვისა. ტფილისი აზიური ვაჭრობისათვის მნიშვნელოვან პუნქტად გადაიქცა. საბაჟო დადგენილებებმა შეასუსტეს მისი მოქმედება და ახლა ის მეტი არაფერია, თუ არა უვარგისის და ძვირი რუსული საქონლის სასაწყობე ადგილი. ამ სისტემის წინააღმდეგ თავად რუსებიც კი გამოდიან და როგორც საქართველოს ზოგადი კეთილდღეობისათვის მავნეს, ისე განიხილავენ“*(სუზანე 1841 :57).

ახალმა საბაჟო სისტემამ ბაქოც დააზარალა. ქალაქის აღწერისას დე სუზანე აღნიშნავს, რომ ბაქო მეტი სისწორითა და უკეთესადაა აგებული, ვიდრე დერბენტი და ყუბა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი ჯერ თურქებს, სპარსელებს, პეტრე I–ის დროს კი რუსებს ეკუთვნოდათ, მან თავისი მმართველების ზოგიერთი ძველი ძეგლი შემოინახა. საქართველოს მმართველის, გენერალ ციციანოვის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ბაქოს ხანმა 1806 წელს მოკლა, ქალაქი აიღეს და კავკასიის მხარეს მიუერთეს. ბაქო დივანით იმართება, რომლის შემადგენლობაშიც ადგილობრივები შედიან, დივანს გუბერნატორი მეთაურობს. გუბერნატორი, ისევე, როგორც დერბენტში, დივანთან მხოლოდ ფორმალურად თათბირობს. ბაქოს მკვიდრნი რუსებისადმი სიძულვილით არიან გამსჭვალულები. ბაქოს პორტი კასპიის ზღვაზე საუკეთესოა, მაგრამ იქ მდგარი ყველა გემი მსუბუქადაა დატვირთული ზღვაში არსებული მრავლრიცხოვანი თავთხელი ადგილების გამო. ვაჭრობა საბაჟო სისტემის შემოღების შემდეგ სრულიად შეწყდა. აქ მთავარი ნავთობის მოპოვებაა“ (სუზანე 1841 :77).

დე სუზანეს აზრით ბარონ ჰანის მისია შეცდომაა, რომელიც სერიოზულ შედეგებს გამოიღებს. ქართველებისა და სომხების იმპერიის ზოგად კანონებში

მოქცევამ ადგილობრივი მოსახლეობის გულისწყრომა გამოიწვია; კავკასიის პროვინციების იმპერიულ საბაჟო სისტემაში ჩართვამ ძლიერი უკმაყოფილება წარმოშვა, რადგან ამით საქართველოში აყვავებული ვაჭრობა შეფერხდა და სავაჭრო ურთიერთობებში ჩართული სპარსეთი და თურქეთი შეზღუდა, რითაც რუსი ვაჭრების პოზიციები გამყარდა... რუსეთთან შეერთების შემდეგ სომხებს მაინც მიაჩნდათ, რომ ეს ძალა თურქეთის ხელისუფლებასთან შედარებით მათ უსაფრთხოების უფრო მაღალ დონეს და გარიგებებში უპირატესობას შესთავაზებდა" (სუზანე 1841:104).

სამოქალაქო მმართველობა, რომელიც კავკასიის პროვინციებში ბარონმა ჰანმა შემოიღო, უამრავი საჩივრით იყო განპირობებული, ისეთებით, რომელთა ავტორებიც გენერლები ანრეპი და კარგანოვი იყვნენ. *„უწინ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება ერთი მმართველის ხელში იყო, ახლა კი სამოქალაქო საქმეები ქალაქებსა და ოლქებში მოქმედ მოსამართლეებსა და ტრიბუნალებს (სამმართველოებს) ექვემდებარებიან. თუ ამ საქმეების ღირებულება ვერცხლით ასი ათასს რუბლს აჭარბებს, მაშინ მათი გადაწყვეტა ტფილისში ხდება. ამგვარმა შეფერხებამ მთიელებში, რომელთაც მიმოწერისადმი დიდი ზიზღი გააჩნიათ, უკმაყოფილება უნდა გამოიწვიოს, რომლებიც გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებას არიან ჩვეულნი და ყოველგვარი მიმოწერის მიმართ ცუდად არიან განწყობილები. იმ მოსაზრების გაზიარების მიუხედავად, რომ სამხედრო მმართველობა დიდი ბოროტმოქმედებების წყარო იყო კავკასიაში, მე ვერ დავადასტურებდი ბატონი ანრეპის შიშს: რუსი ჩინოვნიკების მოქრთამვა იმდენად ადვილია და ისინი იმდენად ანგარებიანები არიან, რომ მათი რაოდენობის გაზრდა არეულობის ზრდას ნიშნავს. მთიელები არავითარ მართლმსაჯულებას არ უნდა ელოდონ იმ სასამართლოებიდან, რომლებზეც მიმაგრებულები არიან. ერთმა მოსამართლემ ივანე მრისხანეს, რომელიც მას მოსყიდულობაში ადანაშაულებდა, ასე უპასუხა: „ხელმწიფევ, მე ღარიბზე მეტად მდიდრის მჯერა". ახლანდელ რუსეთში მსგავსს შეპასუხებას ვერავინ გაბედავდა, მაგრამ ცოტა თუ მოიძებნება ისეთი, ვინც ამ წესს არ მისდევს"* (სუზანე 1841: 64).

სიღნაღში მოგზაურობისას დე სუზანე ასევე რუსი მოხელეების კორუმპირებულობის მომსწრე ხდება. *„სიღნაღი პატარა, უმნიშვნელო ქალაქია, მის*

*შემოგარენში ბამბეულის საქსოვი მდებარეობს, რომელიც მხოლოდ დაუმუშავებელ მასალას აწარმოებს. ცუდმა მმართველობამ, უცოდინრობამ და ჩინოვნიკების სიხარბემ თანდათანობით ყველა იმ დაწესებულების გაპარტახება გამოიწვიეს, რომლებიც მთავრობამ აბრეშუმის წარმოებისათვის დააარსა. უზარმაზარი თანხები მხოლოდ დირექტორებს ამდიდრებენ, მრეწველობას კი ოდნავ ბიძგსაც არ აძლევენ. ყოველივე ამასთან, აბრეშუმის წარმოება და დამუშავება შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო შეიძლებოდა გამხდარიყო, მაგრამ რომელი ნეგოციანტი გაბედავდა საკუთარი კაპიტალი იქ ჩაედო, სადაც ფაბრიკის წარმატება ან წარუმატებლობა მთავრობის მიერ დასმული ჩინოვნიკების თვითნებობაზეა დამოკიდებული“*(სუზანე 1841: 60).

ცეცხლთაყვანისმცემელთა (გიბრის) მონასტრის მონახულების შემდეგ, რომელიც ბაქოდან სამი საათის სავალზეა, დე სუზანე შამახაში, შირვანის დედაქალაქში გაემგზავრა. ის აღნიშნავს, რომ ეს საქართველოს ერთ–ერთი შესანიშნავი ქალაქია. *„ის მნიშვნელოვანია თავისი აბრეშუმისა და იარაღის ფაბრიკებით, სპარსეთთან ურთიერთობა კონტრაბანდის საშუალებით ხორციელდება, რაშიც კონტრაბანდისტებს თავად საბაჟოს მოხელეებიც ეხმარებიან, რა თქმა უნდა, განსაზღვრული საზღაურის სანაცვლოდ. გრაფის ცნობით, შამახის მოსახლეობა უკანასკნელი ასწლეულის დასაწყისში თითქმის 100 000 სული იყო, მაგრამ პეტრე დიდმა ქალაქი გააჩანაგა. ნადირ–შაჰმა კი ის მთლიანად დაანგრია. შირვანის უკანასკნელმა ხანმა, რომელმაც შამახი თავის რეზიდენციად აქცია, გარკვეული მნიშვნელობა შესძინა მას. ამჟამად შამახში ათი ათასი კაცი ცხოვრობს“* (სუზანე 1841: 82).

რატომ არ ებრძოდა რუსეთის ხელისუფლება ჩინოვნიკების თვითნებობასა და კორუმპირებულობას, რატომ არ უწყობდნენ ხელს ეკონომიკის აღმავლობას ამიერკავკასიაში? მთავრობა ცდილობდა ამიერკავკასია, როგორც კოლონია, შემოსავლის წყარო გამხდარიყო რუსეთისათვის, ამიტომ რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას შეგნებულად ამუხრუჭებდა და თვლიდა, რომ ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება არა უბრალოდ არასასურველი, არამედ მავნეც იყო. ჯერ კიდევ 1830 წლის 5 ოქტომბერს პასკევიჩი გრაფ კანკრინისადმი მიწერილ წერილში

აღნიშნავს: *„ხომ არ უნდა ვუყუროთ საქართველოს როგორც კოლონიას, რომელიც უხეშ მასალას მოგვაწვდიდა... ჩვენი ფაბრიკებისთვის და რუსეთიდან მანუფაქტურულ ნაწარმს გაიტანდა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში მსგავსი მანუფაქტურების ჩამნოყალიბებისას ხომ არ შესუსტდება მისი დამოკიდებული მდგომარეობა რუსეთთან“ (სუზანე 1841: 1010).*

უფრო ზუსტად ჩვენ კითხვაზე 1837 წლის ერთ–ერთ წერილში თავად ბარონი ჰანი პასუხობს: *„ამიერკავკასიაში ქმნილებათა მრავალფეროვნება და სიუხვე, მცირე შრომითა და დიდი კაპიტალის დახარჯვის გარეშეც უზარმაზარ სარგებელს გვპირდება; ამიტომ მთავრობა მხოლოდ მიწათმოქმედების ყველა დარგისა და ნედლი მასალების წარმოების ხელის შეწყობით უნდა შემოიფარგლოს, რაც ჩვეულია აქაური ნიადაგისა და კლიმატისათვის. ფაბრიკებისა და მანუფაქტურების დაარსება მხოლოდ მიწათმოქმედებისათვის საჭირო ძალებს წაიღებს, ყოვლად უსარგებლო იქნება ამ მხარისათვის და რუსეთის წარმოებასა და ვაჭრობას ზიანს მოუტანს...“* (კინიაპინა 1968: 38).

ეს რუსეთის იმპერიის მიზანმიმართული სტრატეგიული გეგმა იყო, სადაც ამიერკავკასია მხოლოდ სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონად განიხილებოდა და, როგორც ჩანს, ფრანგი მზვერავისათვის ესეთი რამ გაუგებარი იყო.

დე სუზანე ასევე სასამართლო რეფორმას აფასებს: *„ხმლის მმართველობას ჩვეულნი, კანონთა სისტემისადმი, რომელიც დადგენილებებში ისეთივე მარტივია, როგორც გამოყენებისას და მიყენებული ზიანისთვის ფულად გადასახადში მდგომარეობს. ახლა კავკასიის მოსახლეობა წვრილმან და გაუთავებელ სასამართლო ფორმებს ემორჩილება. საჯარო მოხელეები მათ ციხეებში ჩასვამენ, ყველასგან ფულს აიღებენ და არავის დაინდობენ. რუსეთის ადმინისტრაციული სისტემა მანკიერია და შესაბამისად ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები თავადვე აღიარებენ თავის დანაშაულებრივ ქმედებებს. მათ მიზანს უნდა წარმოადგენდეს რეფორმები და მთელი ძალისხმევა უნდა მოახმარონ მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლას. ნაცვლად იმისა, რომ კავკასიის პროვინციებს თავს მოახვიონ რუსეთის ანალოგიური სასამართლოები და განსაჯონ ეს კეთილშობილი თუ ყმა ადამიანები იქ მოქმედი*

*კანონების საფუძველზე, სჯობს რომ საფუძვლიანად შეისწავლონ ის პრინციპები, რომლითაც იმართებიან კავკასიის ხალხები. უმჯობესი იქნებოდა რომ რუსეთს გაეთვალისწინებინა კავკასიის ხალხთა ცივილიზაციის დონე, წეს-ჩვეულებები და ყოველი მათგანისთვის მიეცათ გარანტიები, რომელთაც უნდა უზრუნველეყოთ ქვეყნის სიმშვიდე და კეთილდღეობა. ეს სისტემა მხარეში სიმშვიდეს დაარღვევს. ქართველები და სომხები არაუსაფუძვლოდ მთავრობის მხრიდან მათ სამხედრო სამსახურში გაწვევის განზრახვას დაინახავენ, სამხედრო ხელისუფლება სამოქალაქო პირთა წინააღმდეგ საიდუმლო ინტრიგების ხლართვას დაიწყებს და ეს უთანხმოება ძლიერ არეულობას გამოიწვევს. ვიდრე სამოქალაქო სამართალწარმოების სისტემას შემოიღებს, რუსეთმა ბოროტმოქმედებების აღკვეთა უნდა სცადოს. როდესაც კანონთა აღსრულება ჩინოვნიკების სიხარბეზე აღარ იქნება დამოკიდებული, მაშინ შესაძლებელი გახდება კავკასიის პროვინციებს კანონდებლობა მიეცეთ, მანამდე კი მათი (ანუ კავკასიელების) კანონები სიმარტივითა და მართლმსაჯულების აღსრულებით რუსეთის კანონებზე უპირატესნი ექნებიან“* (სუზანე 1841:65).

დე სუზანე სამოქალაქო რეფორმის აღწერისას ერთ მნიშვნელოვან მომენტს უშვებს მხედველობიდან, იმას, რომ ეს რეფორმა მხარის მმართველი ორგანოებიდან ადგილობრივი ელემენტის აღმოფხვრას და რუსი ჩინოვნიკებითა და ბექაულებით ჩანაცვლებას ითვალისწინებდა. ასეთ ფაქტს ჩრდილო კავკასიაში რა სამწუხარო შედეგებიც მოჰყვა, უკვე განვიხილეთ.

სენატორ ჰანს „საქართველოსა და იმერეთში“, ისევე, როგორც მუსულმანურ პროვინციებში, თავადაზნაურთა ძალაუფლების შესუსტება იგეგმებოდა. ამას ყოფილი გუბერნატორის, ფალავანდოვის სიტყვებიც ამტკიცებს. მის მოგონებებში ვკითხულობთ: „ის (სენატორი ჰანი) ირწმუნებოდა, რომ საქართველოსა და იმერეთში თავად–აზნაურობა არ არსებობდა, ხოლო მუსულმანთა შორის ხომ მით უმეტეს, რომ ყმობა როგორც მდგომარეობა, ადგილობრივი მემამულეების მიერ ხელოვნურადა შეიქმნა რუსეთთან მიერთების შემდეგ, რომ თითქოს ქართველი და იმერელი მეფეების დროს ბატონყმობა არ არსებობდა და რომ მთავარმმართველ, გენერალ რტიშჩევის დროს ვიღაც არაკეთილი ზრახვების მქონე ადამიანებმა ყალბი დოკუმენტები შეადგინეს, რომლებსაც საქართველოსა და იმერეთის მეფეების, ასევე

გურიის მთავრის ნამდვილი სიგელებისაგან ვერ განასხვავებდით. ბარონი ჰანი და მასთან ერთად საქართველოს მთავარმმართველი გოლოვინი აპირებდნენ ყოფილი მეფეებისა და მთავრების არცერთი სიგელის ნამდვილობა არ ეცნოთ და ნება დაერთოთ ყველასათვის თავად–აზნაურობაზე და უძრავ მამულებზე საკუთარი უფლებები რუსეთის მთავრობის მიერ დადგენილი დოკუმენტებით ეძიათ“ (ისარლოვი 1900:4-5).

ამგვარი ქმედებებით რუსებმა ერთგული მსახურნი დაკარგეს, ისეთები, როგორებიც არიან, მაგალითად, ჰაჯი–მურატი და ელისუის სულთანი, რომელსაც მოგზაურობისას გრაფი დე სუზანე პირადად გაეცნო. ის იხსენებს ახალგაზრდა კაცს ელისუის სულთანს, მაშინ ჯერ კიდევ იმპერიის ერთგულ მსახურს, რუსული ჯარის პოლკოვნიკს, რომელიც აღნიშნავს: *„რუსები საკუთარ გამარჯვებას დაღესტნის მკვიდრთა არაერთსულოვნებას უნდა უმადლოდნენ.“* ბევრი ისაუბრეს მაჰმედ ალიზე და ავტორი აღნიშნავს, რომ მთიელები მის წარმატებებს იზიარებენ და ამას ისლამიზმის ტრიუმფად *მიიჩნევენ. „ვუსმენდი რა სულთანს, აღარ მოვინდომე მისი თავგამოდების შელახვა და აღარ ვუთხარი, რომ გენერალი ანრეპი მზად იყო მისი დაპატიმრების ბრძანება გაეცა რაღაც დაჟინებული მოთხოვნების გამო, რაც გენერალს არ მოეწონა“*(სუზანე 1841:66).

დონდუკოვ–კორსაკოვი სულთნის ღალატზე წერს: *„მოსახლეობაზე მისი გავლენა უზარმაზარი იყო და არა მარტო თავის ქვეშევრდომებში, არამედ მეზობელ, ჩვენდამი მტრულად განწყობილ მთიელთა ტომებში. ის სრული ერთგულებით ემსახურებოდა ჩვენს მთავრობას, ასრულებდა ყველა მოთხოვნას, სიამაყით ატარებდა სამხედრო ჩინს და განსაკუთრებით უფრთხილდებოდა იმ პატივსა და ყურადღებას, რომლითაც მას რუსული ხელისუფლება ანებივრებდა, როდესაც ის ტფილისში ჩამოდიოდა. მისი პიროვნება მთიელთა ჩვენს საზღვრებში შემოჭრის აღსაკვეთად საიმედო დასაყრდენი იყო და ის, თავისი პიროვნებითა და ადგილობრივი მილიციით, ჩვენი ჯარის მთელ დანაყოფებს ცვლიდა. ...დანიელი ელისუის სულთანი სენატორ ჰანის ახალი გარდასახვის შედეგად, სულთნის უფლებამოსილების ნაცვლად საკუთარი მაზრის წარმომადგენლის უფლებებს იძენს და რუს შტაბ–ოფიცერს ემორჩილება. ეს შტაბ–ოფიცერი მაიორი პლაც–ბექ–კაკუნი*

*იყო, რომელმაც თავისი უტაქტობით, ადგილობრივი მოსახლეობის ხასიათის არცოდნით, ქედმაღლობითა და სხვა მსგავსი თვისებებით იმდენად შეურაცხყო სულთნის ღირსება მის ქვეშევრდომების წინაშე და იმდენად შეულახა მას თავმოყვარეობა, რომ 1884 წელს დანიილ სულთანმა ჯუმას დროს მოსახლეობა მეჩეთში შეკრიბა, გენერლის ეპოლეტები ჩამოიგლიჯა, რუსული მუნდირი გაიხადა და წმინდა ომისაკენ მოწოდებით აჯანყების დროშა აღმართა. მას არა მარტო მთელი ელისუის სასულთნო, არამედ მეზობელი ოლქების მოსახლობაც შეუერთდა და ჩვენ რუსი ჯარისკაცების დიდი სისხლის ფასად მოგვიხდა ხელახლა დაგვეპყრო და შემოგვეერთებინა ადრე მორჩილებაში მყოფი ხალხი. დანიილ სულთანი მთებში, შამილთან გაიქცა და სიკვდილამდე ჩვენი მოსისხლე მტერი იყო* (დონდუკოვ-კორსაკოვ 1903:46-47).

1840 წლის ადმინისტრაციულ–პოლიტიკური რეფორმა მთლიანად ჩავარდა. თავდაპირველად თავად ე.ა. გოლოვინიც 1840 წლის რეფორმას „საქართველოს გასაბედნიერებლად მოვლენილ ზეცის წყალობად“ აღიქვამდა (ერმოლოვი 2014 :504).

კავკასიაში ბარონი ჰანის მიერ გატარებული რეფორმა არ ითვალისწინებდა ადგილობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ და ეკონომიკურ მახასიათებლებს. რუსეთის მთავრობას დიდი ფული დაუჯდა ამ რეფორმის გატარება, მაგრამ სამაგიეროდ ახალი და გაუგებარი პრობლემები მიიღო (მანაგაძე 2016: 106).

კავკასიოლოგმა ე.გ. ვეიდენბაუმმა ამ რეფორმას „ცუდი მოგონებების რეფორმა“ უწოდა (ვაიდენბაუმი 2013:337), ხოლო ვ.ნ. ივანენკო აღნიშნავს: *„ოთხი წელიც არ იყო გასული, როდესაც ჰანის მიერ აღმართული სამოქალაქო სამმართველოს არქიტექტურული შენობა ადგილობრივი პირობების მიმართ სრული უყურადღებობის გამო ნანგრევების გროვად იქცა“* (ივანენკო 1901:307).

შედეგად ნიკოლოზ I–მა პ.ვ. ჰანი მთავრობის მოტყუებაში დაადანაშაულა: *„ჰანის გარდა არავინ იცოდა და ვერავინ ხედავდა ადგილს. კიდევ ვინც იცოდნენ ეს ადგილი – ერმოლოვი და პასკევიჩი – აქ არ იყვნენ. და კიდევ მე ჩემს საკუთარ თავსაც ვადანაშაულებ; მაგრამ მე ამ ყოველივეს ისეთი სახით წარმომიდგენდნენ, რომ შეცდომაში შემიყვანეს“* (კორფი 2003:330).

ირიბად ამ ამბავმა ე.ა. გოლოვინის კავკასიიდან გაწვევაზეც იქონია გავლენა, თუმცა იმპერატორმა მხედველობაში მიიღო მთავარმმართველის წვლილი ამ მხარეში რუსული გავლენის გაძლიერების საქმეში. 1842 წლის 10 ოქტომბრის რესკრიპტში, რომელიც ე.ა. გოლოვინის თანამდებობიდან გათავისუფლებას ეხება მისი „შერყეული ჯანმრთელობის“ გამო, ნიკოლოზ I აღნიშნავს: *„მე ყოველთვის ჯეროვნად ვაფასებდი თქვენს პირად შრომასა და კეთილ ზრახვებს. მე სიამოვნებით მოვისმინე სამხედრო მინისტრის გამოხმაურება იმ დიდ გულმოდგინებაზე, როდესაც თქვენ ყველა შესაძლო საშუალებით ხელს უწყობდით მინისტრზე დაკისრებული მოვალეობის აღსრულებას ამიერკავკასიაში. ჩემთვის საამო იყო იმაში დარწმუნება, რომ თქვენი მმართველობის დროს, კავკასიის კორპუსის ჯარმა შიდა მოწყობისა და სამხედრო განათლების თვალსაზრისით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია; და რომ განკარგულებებმა, რომლებიც უკანასკნელ დროს სამხედრო მიმართულებით გაიცა, სავსებით გაამართლეს მიღებული ზომების საფუძვლიანობა და მათ ხელი უნდა შეუწყონ იქაურ მხარეში სიმშვიდისა და წესრიგის გამყარებას. ყოველივე ამას მე თქვენს მზრუნველობასა და თქვენთვის ჩაბარებული ამ რთული სამმართველოს ყველა დეტალის საუკეთესო მდგომარეობაში მოყვანისაკენ მუდმივ სწრაფვას მივაწერ და ჩემს განსაკუთრებულ კეთილგანწყობას გიცხადებთ“* (აქტები 1881ა:42).

ნარკვევის ბოლოს დე სუზანე აღნიშნავს, რომ რუსეთმა უარი უნდა თქვას უსარგებლო ომზე და დაიწყოს გონივრული და ხანგრძლივი რეფორმების გატარება. გრაფის თვალსაზრისით 60 ათასიანმა რუსის ჯარმა ვერ შეძლო ვერცერთი ხალხის დამორჩილება. პირიქით, აქამდე მშვიდობიანი ხალხები (ტომები) აღსდგნენ, რათა ერთმორწმუნე თანამოძმეთა მხარდაჭერა გამოეხატათ. რუსეთმა ვერ შეძლო დაღესტნისა და ჩერქეზეთის დამორჩილება.

ფრანგი მზვერავი ურჩევს რუსებს სასურველი მიზნის მისაღწევად მომავალში ამ პროვინციებთან სავაჭრო ურთიერთობები დაემყარებინად და ამ გზით ცივილიზაცია სეეტანათ. ახალი სისტემის დანერგვის მეშვეობით და შედეგების მისაღწევად, საჭირო იყო დამოუკიდებელი ხალხის ეჭვის გაფანტვა, მათი ხასიათის და რელიგიური შეხედულებების გაცნობა და პატივისცემა. და რაც მთავარია გულწრფელი, პატიოსანი და ლოიალური დამოკიდებულება. თუმცა გრაფის აზრით

ეს უკანასკნელი პირობა არასდროს შესრულებულა ჯერჯერობით რუსეთის ხელისუფლების მიერ და რაც ფასდაუდებელია მთის მამაცი და ძლიერი ხალხისათვის. იმ შემთხვევაში, თუ კავკასიის პროვინციებში დაპყრობითი ომების გაგრძელების ნაცვლად იმპერატორი გამოიჩენდა კეთილ ნებას და იზრუნებდა რომ უზრუნველეყო ამ ხალხების კეთილდღეობის ზრდა მათი ცივილიზაციისათვის შესაფერისი, მისაღები მმართველობითი სისტემის დანერგვით, ეს უფრო მეტ თავისუფლებას მიანიჭებდა რუსეთს საომარ მოქმედებებში, სადამდეც მოგვიანებით ევროპას შესაძლოა მიეყვანა საქმე (სუზანე 1841 :104).

როგორც გრაფის ჩანაწერებიდან ჩანს მოგზაურობის დროს იგი ახლოს იყო მიღებული კავკასიელი პოლიტიკური და სამხედრო ელიტის მხრიდან, რამაც მას საშუალება მისცა დეტალურად გაცნობოდა 1840 წელს კავკასიაში არსებულ მდგომარეობას და წარმატებით აღესრულებინა მზვერავის მისია.

1840 წლის არასწორი პოლიტიკის შედეგები, რაც ასე ზუსტად აღწერა დე სუზანემ, დამღუპველად აისახა შემდგომ ათწლეულებზე.

## § 5. თბილისი მე-19 საუკუნის 30-50-იან წლებში

მე-19 საუკუნის არაერთი ევროპელი მოგზაურის ჩანაწერები არსებობს თბილისის შესახებ. გარდა წერილობითი წყაროებისა, მათ ნახატებშიც შემოგვინახეს ქალაქის სახე. გამონაკლისს არც ფრანგი გრაფი დე სუზანე წარმოადგენს. იგი აღწერს: *„ტფილისის საერთო ხედი არაფერ განსაკუთრებულს არ წარმოადგენს. ქალაქს გარშემო მთები აკრავს, კლიმატი ცხელია; მზიან დღეებში ყაზბეგის თოვლიანი მწვერვალის დანახვა შეიძლება. ტფილისმა დაკარგა აღმოსავლური ხასიათი, მაგრამ მთლად რუსულიც არ გახდა... როგორი უცნაური კონტრასტია... რუსებს საოცრად ცუდი გემოვნება აქვთ. ხის სვეტები მათი სახლების წინ უშნოდაა შეღებილი და უსარგებლოა... ქუჩები ცუდადაა მოკირწყვლული და წვიმის შემდეგ რამდენიმე საათი გზაზე გავლა შეუძლებელია. მტკვარი თავისი მღვრიე წყლით ქალაქის ცენტრში მოედინება. ხშირად მოულოდნელი წყალდიდობები მთელ კომუნიკაციებს ანადგურებენ, არამკვიდრად აგებულ ხიდებს ანგრევენ და ეს საკმაოდ ხშირად ხდება. ცხელი წყაროები, რომელთა გამოც ამ ადგილას ტფილისი დაარსდა, ოციდან*

*ოცდაათამდე გრადუსი ტემპერატურისაა; წყლები გოგირდისაა; ის ძალიან სასარგებლოა, განსაკუთრებით კანის დაავადებისას. ქალაქის მკვიდრნი ძალიან ხშირად გამოიყენებენ ამ წყალს სხვადასხვა საჭიროებისათვის... ტფილისში ზაფხული ძლიერი სიცხის გამო რთული გადასატანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელია; ზამთარი კი ძალიან ცივია. ყველა დროში გაუთავებელმა ომებმა საქართველო დააქციეს და ტფილისში ძველი ძეგლების ნანგრევებია შემორჩენილი, რომლებიც ქართველ მეფეთა გარდასულ დიდებაზე მეტყველებენ"* (სუზანე 1841:58).

მთლიანობაში გრაფი დე სუზანე ტფილისით აღფრთოვანებული არ არის, ისევე, როგორც ნაშრომის წინა თავის გმირი, რუკევიჩი: *„რამდენადაც მახსოვს, 29 აგვისტოს, მტვრიან, შეხუთულ საღამოს, ჩვენ ტფილისს მივუახლოვდით, რომელიც ულამაზოდ, კუშტად გადაშლილა მთების ფერდობებზე, რომლებსაც მხოლოდ ალაგ–ალაგ ფარავენ მზისაგან გადამწვარი ხეები. ჩვენ ქალაქგარეთ, ვერაზე გავჩერდით, რაღაც თიხატკეპნილ ყაზარმებში. შემოწმების მოლოდინში ქალაქში არ გვიშვებდნენ და ჩვენ უსაქმურობისაგან მიდამოს ვათვალიერებდით, ბაღებში შევდიოდით, სადაც გულღია ქართველები ძღომამდე გვაჭმევდნენ ატამს, ყურძენსა და ლეღვს. ბევრი ჩვენგანი ხარბად დაეტაკა აქამდე არნახულ ხილს და ამ სიხარბისათვის სასტიკი საფასური გადაიხადა დიზენტერიის სახით"* (რუკევიჩი 1904 :78).

ამ ორი უცხოელისაგან განსხვავებით, საქართველოსა და თბილისში ჩამოსული ბევრი სტუმარი აღფრთოვანებული იყო კონტრასტული და მრავალეროვანი ქალაქით, რომელიც საკუთარი მრავალფეროვნებით გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა მათზე (მანაგაძე 2015:407). თბილისი, სადაც ერთმანეთს ორგანულად ერწყმის აზიური და ევროპული ყოფა და არქიტექტურული სტილი, უცხოელების მეხსიერებაში სამუდამოდ რჩებოდა. თავადი დონდუკოვ–კორსაკოვი[16] ქალაქს უკვე რუსეთის განუყოფელ ნაწილად განიხილავს და წერს: *„ტფილისმა, თავისი აღმოსავლური, ორიგინალური გარემოთი და მტკვრის ნაპირებზე თვალწარმტაცი განლაგებით მე ისე მომხიბლა, როგორც იხიბლება ყველა, ვინც პირველად ჩამოდის ჩვენი ვრცელი სამშობლოს ამ დალოცვილ მხარეში. იმ დროისათვის ტფილისი ჯერ კიდევ სავსებით ინარჩუნებდა თავის აზიურ ბუნებას; ევროპული ელემენტის ის*

[16] რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, კავალერიის გენერალი, 1844-1851 წლებში მსახურობდა კავკასიაში, არაერთი ბრძოლის მონაწილე.

*ნაზავი, რომელმაც ჯერ ვერ მოასწრო ქვეყნის წეს–ჩვეულებებისა და ტრადიციების წაშლა, შეიძლება ითქვას, ახალ ხიბლსა და მრავალფეროვნებას ანიჭებდა მაშინდელ მომაჯადოებელ ტფილისს. მტკვრის მარჯვება სანაპიროზე, მთების მიმდებარედ, ამფითეატრად განლაგებული იყო ქალაქის მთავარი ნაწილი. მტკვართან ახლოს, აბანოთუბნის ხიდთან დუღდა ტფილისის სავაჭრო და სამრეწველო ცხოვრება. უფრო ზევით, მტკვრის გასწვრივ, ქალაქის ის ნაწილი იყო გაშენებული, სადაც ქართული არისტოკრატია ცხოვრობდა; აქ ჩამწკრივებული იყო სახლები და ეზოები, ამ ადგილს, ჩვეულებრივ, ორბელიანის დასახლებას უწოდებდნენ. აქედან იწყებოდა გვიანდელი დროის შენობათა რიგი: სამოქალაქო სამმართველოს უფროსის სახლი, შტაბი მისთვის დამახასიათებელი ფასადებით, უშუალოდ მთებს კი უკვე, ასე ვთქვათ, ქალაქის ევროპული ნაწილი ემიჯნებოდა უზარმაზარი ერევნის მოედნით, რომელიც ქალაქის ზედა კვარტლების ცენტრს წარმოადგენდა. აქ გადიოდა ფართო გოლოვინის პროსპექტი, რომელზეც მთავარმმართველის სახლი იდგა შესანიშნავი ბაღით, შემდეგ არსენალი და ქალაქის გასასვლელთან, პეტერბურგის საგუშაგოდან კომენდანტის სახლამდე უკვე შენდებოდა უზარმაზარი ცარიელი შუალედებით რამდენიმე ევროპული ყაიდის სახლი (აქ მაშინ უკვე იდგა თავად ა.გ. ჭავჭავაძის სახლი)“* (დონდუკოვ-კორსაკოვი 1902:211).

იმ დროს თბილისი კავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ის ცივილიზაციათა გზაჯვარედინი, განსხვავებულ კულტურათა და რელიგიურ კონფესიათა ქმნილება იყო, ქალაქი, რომლის მოსახლეობაც იშვიათი სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა.

უცნობი მოგზაურის ჩანაწერებიდან ჩვენ თბილისის მრავალეროვან მოსახლეობას ვეცნობით: *„ქართველებმა, იმერლებმა, თათრებმა, თურქებმა, სპარსელებმა, ლეკებმა, ოსებმა, ჩეჩნებმა, ყაბარდოელებმა, ინგუშებმა, ჩერქეზებმა, აბაზგებმა, ნაგაელებმა, კუმიკებმა გაიელვეს ჩემს წინ. მთელი ეს აზიური მოდგმა თავის ენაზე მღეროდა, იფიცებოდა, ვაჭრობდა, თავისებურად იცინოდა და ტიროდა, აჭრელებული იყო მრავალფეროვანი კოსტიუმებით, თვალში საცემი იყო უცნაური, მკვეთრი წეს–ჩვეულებებით. ტფილისი დიდი ქალაქია, აზიურისა და ევროპულის*

*ნაზავია; მაგრამ აზიურის სიჭარბე ევროპულზე პირველი შეხედვისთანავე გაგანცვიფრებთ“*(ვოსპომინანია 1847:65).

თბილისის კოლორიტული სახის ცვლილება სხვადასხვა ფაქტორით იყო გამოწვეული: XIX საუკუნის დასაწყისში რუსული ადმინისტრაციული მმართველობის დამყარებამ ევროპეიზაცია და ტრადიციული ყოფისა და ხელობის ეტაპობრივი ნგრევა გამოიწვია. იმდროინდელი თბილისი კონტრასტების ქალაქი იყო: მისი ძველი ნაწილი ფეოდალური ხანის აზიური ტიპისა იყო, ახალი ნაწილი – ევროპული.

თბილისში ჩამოსულ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს საკუთარი ტრადიციები და წეს–ჩვეულებები მოჰქონდათ, აქ კი მათ ადგილობრივი ქალაქური ცხობრების წესი ხვდებოდათ. შედეგად, თბილისური საზოგადოება სულ უფრო თვალშისაცემი და კოლორიტული ხდებოდა.

კავკასიის არმიის მთავარსარდლის ადგილზე გრაფ ვორონცოვის დანიშვნის შემდეგ, რომელიც იმპერატორმა ახალი, განუსაზღვრელი უფლებამოსილებებით აღჭურვა, ტფილისს მეტად ევროპული ელფერი დაედო. გენერალ–მაიორი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე პოლტორაცკი[17] თავის მემუარებში წერს: *„იმ დროს იქ რუსული და სომხურ–ქართული თეატრი იყო, მაგრამ რაც ყველაზე უფრო საოცარია – იტალიური ოპერა. თავადი მიხეილ სემიონის ძე მხურვალედ უწყობდა ხელს ტფილისში საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას და მისი ინიციატივის წყალობით მალე ევროპულ ცივილიზაციას იქ აზიის ნახევრად ველური წეს–ჩვეულებების ნარჩენები უნდა განედევნა. წვეულებები და დღესასწაულები, რომლებსაც ნაცვალი და როგორც რუსი, ისე ქართული საზოგადოების წევრები აწყობდნენ, სიმდიდრით ჩვენს ორივე დედაქალაქს შეიძლება გაჯიბრებოდნენ, თუმცა ქალების სილამაზით, რა თქმა, აქაური წვეულებები უფრო მაღლა იდგა. საზოგადოება, რომელიც ვორონცოვმა შემოიკრიბა, ნარჩევი იყო. მან მთელი ძალა მოახმარა იმას, რომ აქაურ სამსახურში ბრწყინვალე განათლების, მდგომარეობის, სახელისა და სახსრების ადამიანები მოეზიდა და უნდა ვაღიაროთ, რომ ამაში წარმატებას მიაღწია“*(პოლტორაცკი 1893).

---

[17] გენერალ -მაიორი ა. ვ. პოლტორაცკი. 1846- 1864 წლებში მსახურობდა კავკასიაში.

ა.მ. დონდუკოვ–კორსაკოვი შესანიშნავ დღესასწაულს იხსენებს, რომელიც ქალაქმა გრაფ ვორონცოვის საპატივსაცემოდ გადაიხადა: *„ნამდვილად, ეს რაღაც ჯადოსნური, ფანტასტიკური იყო, სრულიად იჯდა აღმოსავლურ გემოვნებაში, თავისებური, ორიგინალური გარემოთი, რომელიც იმდროინდელ ტფილისს გამოარჩევდა. მთელი ქალაქი, განსაკუთრებით, სომხური ბაზარი, გაჩირაღდნებული იყო სხვადასხვა ფერის ფარნებით; ტფილისის გარშემო ყველა მთა განათებული იყო ნავთიანი კასრებით; მტკვრის სანაპირო და ხიდები მთლიანად დაფარული იყო კელაპტრებით. ქარვასლებში, სავაჭრო დუქნებში და ფანჯრებზე გადმოკიდებული იყო მდიდრული ოქრომკედი ფარჩა და აღმოსავლური ქსოვილები, სახლების ბანები დაფარული იყო ხალხის ჭრელი გროვით, ყველგან ზურნა უკრავდა და მუსიკა მოისმოდა. ქარვასლებსა და ბაზრებში მოწყობილი შადრევნებიდან კახური ღვინო გადმოედინებოდა. ხალხი ჯგუფად მისდევდა გრაფსა და მის მეუღლეს, რომლებიც ძვირფასი ხალიჩებით დაფარულ ქუჩებსა და ქარვასლებს ათვალიერებდნენ; ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდნენ მათ და ყველაფერში ქართველების გულწრფელი მხიარულება ჩანდა და მათი თანაგრძნობა ახალი მთავარსარდლის მიმართ. მახსოვს, რომ გრაფი და გრაფინია აღტაცებულები იყვნენ მათთვის მოწყობილი დახვედრით და იმ დიდებული სანახაობით, რომელსაც იმ საღამოს თვალწარმტაცი ტფილისი წარმოადგენდა“* (დონდუკოვ-კორსაკოვი 1902-222).

საინტერესოა თავად იმპერატორ ნიკოლოზ I–ის თვალით დანახული თბილისი: *„ტფილისი – დიდი და მშვენიერი ქალაქია, აზიური შინაარსით, მაგრამ უკვე ჩვენს გემოვნებაში ჩამჯდარი გარეუბნებით, უამრავი სახლით, რომლებიც ნევის პროსპექტსაც კი არ დააუშნოებდა. დილით, 9 ოქტომბერს, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ლოცვის შემდეგ, უამრავი ხალხით გარემოცული, ერევნის კარაბინერთა პოლკის ცვლას დავესწარი, შუადღისას მთიელების სხვადასხვა ტომის ხანები და საპატიო პირები მივიღე, რომლებმაც ტფილისში ჩემთან შესახვედრად მოიყარეს თავი, შემდეგ კავკასიის მესანგრეთა ბატალიონის კორპუსის შტაბი, საავადმყოფო, არსენალი, ყაზარმები და ციხე დავათვალიერე, ვნახე მასთან გახსნილი სკოლა და ახალგაზრდა ქართველი თავადებისათვის მოწყობილი სასწავლებელი. ყველაფერი შესანიშნავ წესრიგში აღმოჩნდა. 10 ოქტომბერს მე მოვუსმინე წირვას წმინდა*

*გიორგის სახელობის ეკლესიაში და დავათვალიერე ჯარი, რომელიც ტფილისის გარნიზონს შეადგენს. კარგები არიან, განსაკუთრებით, არტილერია. 11 ოქტომბერს სასწავლო ნაკრები ბატალიონის ცვლა ჩავიბარე და სამხედრო ჰოსპიტლის, კომისარიატის დეპოსა და აბრეშუმის სართავი ფაბრიკის მონახულების შემდეგ ქართველი თავადაზნაურები მივიღე, რომლებიც ჩემს მცველთა რაზმს შეადგენენ და ახლა ჩემი ოთახის წინ ყარაულში დგანან. ისინი თავის საუკეთესო ცხენებზე ამხედრებულები, მდიდრულ სამოსში გამოწყობილები გამოცხადნენ და ერთმანეთს ჭენებაში და იარაღის ფლობაში ეჯიბრებოდნენ. მათ შორის ბევრი ისეთი იყო, რომლებიც ჩვენს ქალბატონებს ჭკუას დააკარგვინებდნენ. საღამოს მე საკმაოდ ხალხმრავალ წვეულებას დავესწარი. ქალბატონები დიდწილად ეროვნულ სამოსში იყვნენ გამოწყობილნი, რომელიც წელს მალავს და, ზოგადად, გრაციოზულობით არ გამოირჩევა, მაშინ, როდესაც თავისთავად ბევრი მათგანი ჭეშმარიტად თვალწარმტაცი სილამაზით ბრწყინავდა, რასაც ვერ ვიტყვით მათ ჭკუაზე, ყოველ შემთხვევაში, მთლიანობაში. საქართველოში ნანახმა ზოგადად საკმაოდ დამაკმაყოფილა“*(ზენკენდორფი 1903:37).

გრაფი დე სუზანე საინტერესოდ აღწერს ქართველებსა და თბილისურ საზოგადოებას: *„ქართველები, რომელთაც აღმოსავლეთში ლამაზი ხალხის მყარი რეპუტაცია აქვთ, განსაკუთრებული გარეგნობითა და დიდრონი ფორმებით გამოირჩევიან. მათ მქრქალი თეთრი კანი აქვთ, რომელიც თმისა და წარბების სიმუქეს უსვამს ხაზს; საქართველოს ყველა ქალაქში თავადური წარმომავლობის რამდენიმე ქალის პოვნა შეიძლება, რომელთა მანერები და განათლება მათ წოდებას შეეფერება. გათხოვების შემდეგ ისინი მხოლოდ საშინაო საქმეებითა და შვილების აღზრდით არიან დაკავებულები... გოგირდის აბანოებით ხშირი სარგებლობა მათ თმებსა და კანს არბილებს. მხოლოდ საოჯახო საქმით შემოფარგლულ ქართველ ქალებს ზედმეტი წონა აქვთ. ისინი ზარმაცები არიან და ხშირად მოსამსახურეები ჰყავთ. ქართველი ქალების ვარცხნილობა გრაციოზულია; ის მომცრო დიადემისაგან შედგება, რომელიც შუბლზე აქვთ მოთავსებული; მხრებსა და თმებზე თეთრი მუსლინის მოსასხამი აქვთ შემოხვეული, კაბები ოდნავ ამოღებული... ეს საზოგადოება, – ამბობს ის, – სამმართველოს გენერლებისა და მოხელეებისაგან*

*შედგება; ქართული გვარისა ცოტაა. ისინი უცხოელებს თავის წრეში არ უშვებენ. მხოლოდ დროდადრო აწყობენ დიდ კრებებს, რომლის თავმჯდომარეობასაც, როგორც წესი, ბატონ კორპუსის მეთაურს თხოვენ. წარჩინებული გვარების მქონე ქართველი ქალები უფრო ფრანგულად ლაპარაკობენ, ვიდრე რუსულად, მაგრამ მწირი განათლება აქვთ და მათთან საუბარი უინტერესოა. იგივე საყვედური რუს ქალბატონებსაც ეკუთვნით, რომლებსაც აღზრდასა და მანერებზე დიდი მოთხოვნები აქვთ, მაგრამ ვერც ერთს ამართლებენ და ვერც მეორეს"* (სუზანე 1841 :92).

თბილისურ საზოგადოებაზე თავადი დონდუკოვ–კორსაკოვი წერს: *„იმ დროის თბილისის საზოგადოება არა მხოლოდ მთავრის სახლში იყო კონცენტრირებული; ვინაიდან იმდროინდელი ცხოვრების პირობები და მოთხოვნები განსაკუთრებული უბრალოებითა და ნაკლები მოთხოვნებით გამოირჩეოდა, თითქმის ყველა ოდნავ მაინც შეძლებულ ოჯახს თავის სახლში მიღების გამართვა შეეძლო. ჩვენს შორის ასეთი ჩვეულებაც კი იყო – საღამოობით, როდესც თავისუფლები ვიყავით და ცხენებით ჯირითი შეგვეძლო, ასე ვთქვათ, სანთლებზე დავდიოდით – თუ ჩვენთვის ნაცნობი სახლი განათებული იყო, ესე იგი პატრონები სახლში იყვნენ და ჩვენც უცერემონიოდ შევდიოდით მათთან საღამოს გასატარებლად. ისინი ყოველთვის გულღია სტუმართმოყვარეობით გვხვდებოდნენ, ვთამაშობდით კარტს, ზოგჯერ ფორტეპიანოს თანხლებით ცეკვებს ვაწყობდით; ბოლოს მასპინძლები თავმოყრილი სტუმრებისათვის უბრალო ვახშამს გააწყობდნენ, სუფრაზე კახური ღვინო მოჰქონდათ და ყველა თავისუფლად, შებოჭილობის გარეშე ილხენდა. სტუმრებს სპეციალურად მოწყობილ საღამოებზეც პატიჟებდნენ სადაც, რა თქმა უნდა, მოკრძალებული, მაგრამ მაინც განსაკუთრებული გარემო იქმნებოდა. ასე ვიკრიბებოდით გენერალ გურკის, დივიზიის მეთაურის რენენკამპფის, თავად ჭავჭავაძის, გენერალ კოზლიანინოვის, ძველი კავკასიელი გენერლის, კოხანოვის, პოლკოვნიკ ეფიმოვიჩის და კიდევ სხვა მრავალ სახლში"* (დონდუკოვ-კორსაკოვი 1902:216).

სუზანე ერთ–ერთ ასეთ „მნიშვნელოვან და მონოტონურ" სადილზე იყო მიწვეული, რომელსაც რუსული ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და, უნდა აღინიშნოს, პატივად მიიჩნევდნენ ქართველებთან ერთ სუფრასთან

ჯდომას. ფრანგი ჯაშუში ხაზს უსვამს ამ ორ ხალხს შორის არსებულ დიდ სხვაობას და მიუთითებს, რომ „მათ შორის ისე მცირეა სასიყვარულო კავშირი“, საბოლოოდ კი გაურკვევლობაში რჩება მათი შერიგებისა და კავშირის ჩამოყალიბების შესაძლებლობაზე (სუზანე 1841:92).

მოგვიანებით სამხედრო თეორეტიკოსი როსტისლაც ფადეევი თავის რუსეთის საქართველოსთან კავშირის მნიშვნელობაზე ასე დაწერს: *„ქართველები ამბობენ, რომ მათი რუსებთან კავშირი ერთმორწმუნეობაში მდგომარეობს, რომ სხვა კუთხით ჩვენ ერთმანეთისათვის უცხოები ვართო და ეს სიმართლეა... იმისათვის, რომ საქართველოში მყარად იდგე, აქ ქართველები უნდა შეინარჩუნო როგორც ტომი და როგორც საზოგადოება“*(ფადეევი 2010დ:487).

თბილისი რუსეთის იმპერიის პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული ცენტრი იყო კავკასიაში, მისი ფორპოსტი, სადაც კავკასიის ჯარს აღმოსავლეთის გასაღები ეპყრა. ამიტომ ქართველებსა და რუსებს, სხვადასხვა პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, კიდევ დიდხანს მოუწიათ ამ „მცირე სასიყვარულო კავშირის“ შენარჩუნება.

## თავი 3. თეოფილ ლაპინსკის ცნობები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ

### § 1. თეოფილ ლაპინსკის ბიოგრაფია

რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს თეოფილ ლაპინსკის ნაშრომი „კავკასიის მთის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლებისთვის რუსების წინააღმდეგ“ (ლაპინსკი 1995).

თეოფილ ლაპინსკი 1826 წელს გალიციაში დაიბადა. მისი ბავშვობა და სიყმაწვილე პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდს დაემთხვა, რასაც არ შეეძლო არ დაესვა თავისი დაღი ხასიათისა და

პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბებაზე. სიყმაწვილიდან მისი მოწოდება „სამხედრო საქმე“ იყო. იმპერატორ ტერეზიას სახელობის ვენის სამხედრო აკადემიის დაამთავრების შემდეგ, ლაპინსკი სამსახურს იწყებს ავსტრიის სამეფო არტელერიაში. 1849 წელს, 22 წლის ასაკში, როგორც ავსტრიის არმიაში მოსამსახურე პოლონელების უმრავლესობა, მხარს უჭერს მადიარებს. არტილერიის ოფიცერის რანგში ლაპინსკი უნგრულ რევოლუციის არმიაში ნოგ-შანდორის მეთაურობით იბრძვის ავსტრიის იმპერატორის წინააღმდეგ და ყველა საბრძოლო ოპერაციის მონაწილე ხდება. ლაპინსკი კომორნის კაპიტულაცის შემდეგ 1850 წელს გადავიდა საცხოვრებლად ჰამბურგში. იქ გამოსცა თავისი წიგნი. 1854 წელს გენერალ ზამოისკის პოლონური დივიზიის შემადგენლობაში არტილერიის პოლკოვნიკის ჩინით, ყირიმის ომის საომარ მოქმედებებში ევროპულ სახელმწიფოთა მხარეს იღებს მონაწილეობას. თეოფილ ლაპინსკი 1857 წელს ჩერქეზთა მხარეს იბრძოდა კავკასიაში. 1863 წლის დასაწყისში გაეშურა პოლონეთისკენ, სადაც 1863 წლის პოლონურ რევოლუციის მეამბოხეთა განაყოფის მეთაური გახდა. 1864 წელს აჯანყების წარუმატებლობის შემდეგ თ. ლაპინსკი გარკვეულ დროს ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ევროპულ ქვეყნებში ცხოვრობდა. 70-იანი წლების დასაწყისში, მიიღო რა ავსტრიის მთავრობის ამნისტია, ის თავის სამშობლოში - გალიციაში დასახლდა.

თეოფილ ლაპინსკი 1886 წელს ლვოვში გარდაიცვალა.

მისი ნაშრომი - „უნგრეთის მთავარი არმიის ლაშქრობა 1849 წელს. თავგადასავალი“ - დაიბეჭდა ჰამბურგში 1850 წელს. ამ ნაშრომმა მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა არასწორი მონაცემების და ფაქტების გაყალბების გამო. ლაპინსკის მეორე ნაშრომს, რომელიც გამოიცა ჰამბურგში 1863 წელს, ეწოდება „კავკასიის მთის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლებისთვის რუსების წინააღმდეგ. საკუთარი შეხედულებით გადმოცემული“. აღნიშნული ნაშრომი 1995 წელს ითარგმნა რუსულ ენაზე და გამოიცა ნალჩიკში. მისი ნარკვევი - „ჯარისკაცების ავსტრიელი მეგობარი“ - გამოიცა ი. ჰირტენფელდის მიერ ვენაში, 1850 წელს (ვურცბახი 1891: 153-154).

## § 2. პოლონელი ემიგრანტების მოღვაწეობა კონსტანტინოპოლში

თეოფილ ლაპინსკის წიგნში „კავკასიის მთის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლებისთვის რუსების წინააღმდეგ" მოთხრობილია, 1856 წლის ბოლოს დაწყებული აქტიური მოსამზადებელი სამუშაოები შავიზღვისპირეთში პოლონელთა რაზმის გასაგზავნად, რომელიც შეძლებდა ჩერქეზებისთვის რეალური დახმარების გაწევას. იკრიბებოდა ცნობები მეფის ჯარების დისლოკაციის, მათი რაოდენობის და დაგეგმილი ოპერაციების შესახებ. თეოფილ ლაპინსკის აღარ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ მეფის მთავრობა ყირიმის ომში მარცხისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში პოზიციების შერყევის პირობებში აღმოსავლეთ სანაპიროზე შეეცდებოდა დანაკლისის კომპენსირებას. 1856 წლის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ ამ მიზნის მისაღწევად მეფის სარდლობას განზრახული ჰქონდა ჩერქეზთა იზოლირება გარე სამყაროსგან. ნავარაუდევი იყო თურქეთის ტერიტორიაზე 6-დან 15 ათასამდე ოდენობის ჯარისკაცებისა და ოფიცრებისგან შემდგარი, პოლონური საექსპედიციო კორპუსის ჩამოყალიბება, რომელიც მძლავრი არტილერიით იქნებოდა აღჭურვილი, რაც, როგორც ცნობილია, ესოდენ აკლდა ხოლმე მთიელებს. მაგრამ ამ გეგმის განხორციელება შეუძლებელი გახდა.

აღმოსავლეთის ომის დასაწყისში პოლონელები იმედოვნებდნენ, რომ სათავისოდ გამოიყენებდნენ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და მონაწილეობას მიიღებდნენ თავის დაუძინებელ მტერთან ბრძოლაში. პოლონელების ამ მცდელობას მხარს უჭერდნენ თავადი ადამ ჩარტორისკი და მისი ნათესავი, გრაფი იან ზამოისკი. ლაპინსკი თავადი ჩარტორისკის სამსახურში ჩადგა და გრაფ ზამოისკისთან ერთად 1854 წლის იანვარში კონსტანტინოპოლში ჩავიდა. მათ რამდენიმე შეიარაღებული რაზმის სწრაფი შეკრებისა და მტერზე თავდასხმის კარგად მოფიქრებული განზრახვა ჰქონდათ, მაგრამ სტამბოლში ისეთი არეულობა და მოულოდნელი სირთულე დახვდათ, რომ თვეების განმავლობაში, ყველა მცდელობის მიუხედავად, გრაფმა ზამოისკიმ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია.

თავადი ჩარტორისკის ძალისხმევით პირველად 1855 წლის ბოლოს გახდა შესაძლებელი ინგლისის მთავრობის ჩართვა პოლონელთა დივიზიის ჩამოყალიბებაში, დივიზია სამი ქვეითი და ორი კავალერიის პოლკისაგან შედგებოდა. ძლივძლივობით შემდგარი კავალერიის ორი პოლკი, რომლებიც

თურქეთის არმიაში ირიცხებოდნენ სულთნის კაზაკთა სახელწოდებით, ახლა გაყოფილი იყვნენ: პირველი პოლკი თურქეთის სამსახურში დარჩა, მეორემ კი ახლადჩამოყალიბებული დივიზიის ძირითადი კადრი შეადგინა. მეთაურობა თავის თავზე გრაფმა ზამოისკიმ აიღო. თეოფილ ლაპინსკის თურქეთში თეფიქ-ბეის სახელით იცნობდნენ.

ლაპინსკიმ ოტომანთა სამსახურზე ხელი აიღო და ამ დივიზიაში შევიდა. მაგრამ ის იყო, დივიზიას საფუძველი ჩაეყარა და ათასი კაცის შეგროვება მოხერხდა, რომ ზავი დაიდო და ბოლო მოუღო პოლონელების მცდელობას. ლაპინსკი წერს: *„მაშინ, როდესაც ომისაგან დაღლილი მთელი მსოფლიო აღფრთოვანებით შეხვდა ზავს, პოლონელები, ალბათ, ერთადერთნი იყვნენ, რომლებიც გულდამძიმებულები უყურებდნენ, თუ როგორ მოესპოთ ყველა იმედი, რომელსაც ისინი ომზე ამყარებდნენ“*(ლაპინსკი 1995: 12).

ლაპინსკი, ისევე, როგორც მრავალი მისი თანამემამულე, იმედს კარგავდა, რომ აღმოსავლეთში პოლონელ ემიგარნტებს შეეძლოთ რაიმე სარგებელი მოეტანათ პოლონეთისათვის და ამიტომ იგი დაუბრუნდა იდეას კავკასიაში ექსპედიის შესახებ. ამის თაობაზე წერს: *„ნაპირი მიღწევადი გახდა და ზოგიერთი პუნქტი ოტომანების ნაწილებმა უკვე დაიკავეს; ამიტომ ამ ქვეყანაში შეღწევა გაიოლდა. მტრის მხარეს გადასული რუსების მრავალრიცხოვნობა, რომლებიც კავკასიაში სახლობდნენ, იმის იმედს გვაძლევდა, რომ უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნებოდა მათგან რეგულარული არმიის ჩამოყალიბება. დიდად სავარაუდი იყო, რომ მოკავშირეებს, რომელთაც ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის აღიარებით არ სურდათ აღმოსავლეთის საკითხის კიდევ უფრო გართულება და ამიტომ თურქეთში ჩვენი ორგანიზაციები აკრძალეს, მრავალი მიზეზის გამო უფრო კეთილგანწყობით მიეღოთ კავკასიაში პოლონური დანაყოფების განმტკიცება და მათთვის მხარიც კი დაეჭირათ. იმ შემთხვევაში, თუკი ეს მართლაც განხორციელდებოდა, მაგრამ პოლონეთის საკითხს გვერდს აუვლიდნენ, ამას ჩვენთვის, უკიდურესს შემთხვევაში, იმ სარგებლის მოტანა შეეძლო, რომ ჩვენ, ვის განკარგულებაშიც ძველი დანაყოფიდან ათასი ადამიანი გვყავდა, გავაგრძელებდით ომს აბაზებთან და, ბოლოს და ბოლოს, შესაძლოა, ვაიძულებდით რუსეთს გარკვეულ დათმობებზე წასულიყო ჩვენს*

*სამშობლოთან მიმართებაში; ყოველ შემთხვევაში, ეს განზრახვა რუსეთისათვის საშიში და უსიამოვნო იყო, შესაბამისად, პოლონელებისათვის სასარგებლო“.* (ლაპინსკი 1995: 12).

ლაპინსკიმ ყველა საშუალება აამოქმედა, რათა ექსპედიცია შემდგარიყო. ზავის დადებამ შეუძლებელი გახადა ამა თუ იმ მოკავშირე სახელმწიფოს მხრიდან დახმარება, ამიტომ ის იძულებული იყო განზრახვის განსახორციელებლად კერძო სახსრები მოეძია. ერთადერთი, რისი გაკეთებაც მოახერხა მან – ეს რამდენიმე ასეული ადამიანის შეგროვება იყო. პოლონური დივიზიის დაშლის შემდეგ მრავლად დარჩნენ ისეთი ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც თვლიდნენ, რომ თურქეთის სამსახურში ყოფნას რუსეთთან გაუთავებელი ომი ჯობდა.

1856 წლის 27 სექტემბერს ლაპინსკის მხარი დაუჭირა ისმაილ–ფაშამ, ოტომანების იმპერიის ფოსტის გენერალურმა დირექტორმა, წარმოშობით ჩერქეზმა. ექსპედიციის საფუძვლად დამტკიცებულ იქნა, რომ ისმაილ–ფაშას სრულად უნდა გადაეხადა 500 კაცისაგან შემდგარი მსროლელთა ბატალიონის, ასევე 200 კაციანი კავალერიის დივიზიის, 8 ქვემეხისა და 200 მოსამსახურისაგან შემდგარი საველე ბატარეის, მესანგრე და სატვირთო ასეულების აღჭურვილობის თანხა, საერთო ჯამში, 1000 კაცის და ამ რაზმისათვის წინასწარ გადაეხადა ექვსი თვის ჯამაგირი. ისმაილ–ფაშა არა მარტო სიხარულით წამოვიდა ამ შემოთავაზებაზე, არამედ ლაბორატორიის ხელსაწყოების ჩამოტანაც იტვირთა, ასევე მომცრო ზომის ფულის საჭრელი დანადგარისა და ყველა პოლონელებისათვის საჭირო ინსტრუმენტის, მათ შორის, ისეთებისაც, რომლებიც დაზვერვისა და მთის ქანების გადამუშავებისათვისაა საჭირო. კონსტანტინოპოლში მცხოვრები ჩერქეზები, რომლებიც ისმაილ-ფაშამ ლაპინსკის გააცნო, საკუთარი სამშობლოს სახელით დაპირდნენ, რუსებისაგან გამოქცეული ყველა ჯარისკაცი მის განკარგულებაში გადმოეცათ და ერთი წლის საკმარი სურსათ–სანოვაგე დაემზადებინათ 1000 კაცისათვის; გარდა ამისა, 500 ცხენი გამოეყოთ მათთვის.

ლაპინსკის დაევალა შემდეგი: ოფიცრების შერჩევა, რომლებიც 1000 კაცს უხემძღვანელებდნენ, ასიდან ორასამდე ჯარისკაცის, სამხედრო ორგანიზაციის და ხელმძღვანელობის შექმნა. ექსპედიციას იძულებული იყო მხარი დაეჭირა აგრეთვე

ჩაარტორიისკისაც, რომელიც ამ ექსპედიციას როგორც ავანტიურას უყურებდა. თითქოს ყველაფერი მზად უყო, მაგრამ 1857 წლის 8 თებერვალს ისმაილ-ფაშა ატყობინებს ლაპინსკის, რომ რუსეთის საელჩოსთვის ცნობილი გახდა მათ მიერ დაგეგმილ ექსპედიცის შესახებ, თურქეთის მთავრობას შეკითხვით მიმართეს და პროტესტი განუცხადეს. აქიდან გამომიდინარე, თურქეთის მთავრობა იძულებული იყო ჩარეულიყო ამ საქმეში და აეკრძალა ეს ექსპედიცია და ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა პორტა ემიჯნებოდა ამგვარ საქმეებს (ლაპინსკი 1995 :12).

რუსეთის საელჩო უკვე დიდი ხანია ინტერესით ადევნებდა თვალს პოლონელების სამზადისს. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ცალკეული კავკასიური კორპუსის სარდალმა მიიღო შეტყობინება იმის შესახებ, რომ თურქეთი აპირებს შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე თურქი და პოლონელი მოხალისეების საექსპედიციო რაზმის გაგზავნას ჩერქეზეთისთვის დახმარების გასაწევად.

1856 წლის 8 დეკემბერი– კავკასიის მეფისნაცვალ ა.ი. ბარიატინსკისადმი ბუტენევის[18] წერილიდან ინგლისელების დახმარებით თურქეთში კავკასიის ნაპირზე სამხედრო ექსპედიცის მზადების შესახებ, რომელსაც მთიელთათვის სამხედრო აღჭურვილობა უნდა ჩაეტანა,

*„სრულიად საიდუმლოდ*

*დიდად პატივცემულო თავადო ალექსანდრ ივანოვიჩ! სამხედრო აგენტმა, რომელიც კონსტანტინოპოლში ჩვენს მისიაში იმყოფება, არტილერიის შტაბს–კაპიტანმა ფრანკინმა, საიდუმლოდ შეიტყო, რომ მომავალი მარტისათვის აქ ჩუმად მზადდება სამხედრო ექსპედიცია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ, ამჟამინდელი დიდი ვეზირის, რეშიდ–ფაშას მომხრის, ვინმე ისმაილ–ფაშას მეთაურობით. იმავე წყაროს ცნობით, პარიზში თურქეთის ელჩს იარაღის შესყიდვა აქვს დავალებული, განსაკუთრებით, შტუცერის, ხოლო აქ მყოფი ინგლისის ელჩი, ლორდი რედკლიფი, თითქოსდა, დაპირდა თურქეთის მთავრობას დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი ჭურვების ჩამოტანას.*

*სრულებით ვერ დავდებ თავს ამგვარი ცნობების სარწმუნოობაზე, თუმცა, ვალდებულად ვთვლი თავს, მოვახსენო ეს ცნობა თქვენს ბრწყინვალებას მისი*

[18] ბუტნევი - რუსი დიპლომატი, 1829-1843, 1856-1858 წლებში რუსეთის ელჩი კონსტანტინოპოლში.

*განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე. დავძენ, რომ ყოველივე ზემოთქმული ახლავე ეცნობება საგარეო საქმეთა მინისტრს, ისევე, როგორც სამხედრო მინისტრს.*

*გიდასტურებთ ჩემს უღრმესს პატივისცემას და ერთგულებას. ა. ბუტენევი*" (აქტები 1904 :373).

ისმაილ-ფაშა არ ატყუებდა ლაპინსკის. რუსეთის მთავრობამ მიმართა პორტას შეკითხვით, რომელზეც მიღებულ იქნა განმარტება - ინგლისური ხომალდებით 400-კაციანი პოლონელ მეომართა ლეგიონის რუსეთთან ბრძოლაში კავკასიელი მთიე-ლებისთვის დახმარების გასაწევად გაგზავნის თაობაზე. თურქეთი ამ მონაცემებს არ ადასტურებდა. ამჯერად, თურქეთი გაემიჯნა პოლონელი მოხალისეების მოქმედებებს. მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, 1857 წლის 27 თებერვალს 80 პოლონელი მოხალისე, რომლებიც ჩერქეზეთის ნაპირებთან ორი ხომალდით მივიდნენ, ტუაფსესთან გადმოსვა. ამ მოვლენამ არა მარტო შეცვალა დასავლეთ კავკასიაში შექმნილი ვითარება, არამედ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რუსეთის მმართველი წრეების პოლიტიკაზე ჩერქეზეთის პრობლემასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის შესახებ არსებობს ცნობები სხვა წყაროებიდანაც. გენერალი გ. ფილიპსონი აღიარებდა, რომ *„მთიელთა მიწაზე არტილერიით, კარგი ხელის იარაღით და უხვი საბრძოლო მასალით აღჭურვილი ევროპელთა რაზმის არსებობა სრულიად თავდაყირა აყენებს ყველაფერს ამ მხარეში"* (აქტები 1904:714). ამიტომ, გაიგეს რა, რომ სტამბოლში ჩერქეზეთის შავი ზღვის სანაპიროზე მსხვილი სამხედრო კონტიგენტის გადმოსხდომა მზადდება, პეტერბურგში უმალ მიიღეს საპასუხო ზომები. რუსი მოხელეების დიპლომატიურ მიმოწერაში განიხილებოდა დასავლეთ კავკასიაში რუსული ჯარის საბრძოლო მომზადების ამაღლებასთან დაკავშირებული საკითხები. ასე მაგალითად, ცალკეული კავკასიის კორპუსის ობერ-კვარტირმაისტერი, გენერალი კარლჰოფი მიმართავდა შეკითხვით: *„ვიკავებთ რა კვლავ აფხაზეთს, ვაპირებთ თუ არა იქ დამკვიდრებას, რომ არ დავტოვოთ ეს მხარე უბრძოლველად, თუ პირიქით, იგულისხმება, რომ ყოველთვის, როდესაც ძლიერი მტერი ზღვიდან დაგვემუქრება, უნდა დავცალოთ მხარე, იმის მსგავსად, როგორც ეს წინა ომის დროს იყო?" შავი ზღვის ფლოტის ბრძოლისუნარიანობის*

*გასაძლიერებლად სოხუმის უბეში 5 ორთქლის ხომალდი იქნა გაგზავნილი* (აქტები 1904: 723).

შავიზღვისპირეთში მისვლისას პოლონური რაზმი სოფელ კადიკოს მახლობლად განლაგდა. აქვე არჩეულ იქნა სამხედრო საბჭო. თეოფილ ლაპინსკი თავისი მცირე ქვედანაყოფის შევსებას ადიღელების ხარჯზე გეგმავდა, პოლონელთა როლი კი, უმთავრესად, შეიარაღების ევროპული საშუალებების საფუძველზე, მთიელთა სამხედრო ძალების ორგანიზაციასა და ომის მართვის ახალი ტაქტიკური მეთოდების შემოღებაში მდგომარეობდა. მაგრამ სულ მალე პოლონელ მოხალისეთა რაზმი ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვინაიდან ჩერქეზთა ფართო მხარდაჭერის გარეშე ის არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ საფრთხეს რუსეთის სამხედრო სარდლობისათვის. მთიელთა საომრად მობილიზებისათვის კი რამდენიმე ფაქტორს შეეძლო ხელი შეეშალა, რომელთაგან მთავარი ჩერქეზეთში ორი მოწინააღმდეგე პარტიის - მუჰამედ-ამინისა და ადიღელი აზნაურის სეფერ-ბეი ზანის არსებული დაპირისპირება გახლდათ (ლაპინსკი 1995: 14). ეს კარგად იცოდნენ რუსებმა და ამაზე მეტყველებს გენერალ ფილიპსონის რაპორტი: „ბოლო ინფორმაციიით ორივე პარტია შეიკრიბა და მზად არიან დაპირისპირება წამოიწყონ, მაგრამ როგორც წინა ორი შემთხვევაში, ესეც უაზრო მუქარით, ჯირითით და სროლით დამთვრდება. ამ დროსთვის მუჰამედ-ამინის პარტია სუსტია, ის არ არის მოწყობილი და ერთსულოვნებას არ აქვს ადგილი. აღმოსავლეთ სანაპიროზე ფლიბუსტიერების გამოჩენამ კი შეიძლება გააერთიანოს ეს ორი პარტია, გაანადგუროს სეფერ-ბეის გავლენა და ჩვენ წინააღმდეგ მომართოს“ (აქტები 1904:714). შემდეგ რაპორტიდან ვიგებთ, რომ: „მუჰამედ-ამინის და სეფერ-ბეის პარტიების შორის ისევ შეიარაღებული შეტაკება მოხდა. ორივე მხრიდან 12 მოკლული და 40 დაჭრილია (აქტები 1904:719).

მსგავსი უთანხმოების არსებობის შესახებ ლაპინსკისთვის ჯერ კიდევ ექსპედიციის კავკასიაში გამგზავრებამდე იყო ცნობილი, მაგრამ ის ვერც კი წარმოიდგენდა, რომ კონფრონტაციის დონე ესოდენ მაღალია. ჯერ კიდევ 1856 წელს სტამბოლში ლაპინსკიმ მუჰამედ-ამინს რუსების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა შესთავაზა, მაგრამ მან თავაზიანად უარი უთხრა, მოიმიზეზა რა აბაზი ხალხის

სიღარიბე, რომელსაც არა აქვს საშუალება უზრუნველყოს პოლონელები სურსათითა და იარაღით. სინამდვილეში ის არ ენდობოდა ლაპინსკის (ლაპინსკი 1995 :13).

როგორც ჩანს, რუსული დაზვერვა კარგად მუშაობდა, რომელმაც შემდგომშიც ბევრი უსიამოვნება და დაბრკოლება შეუქმნა თეოფილ ლაპინსკის და მის რაზმს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო პოლონელთა პირველი მისია კავკასიაში.

## §3. ინგლისელების და პოლონელების მისია კავკასიაში

1830–1831 წლების ამბოხის ჩახშობის შემდეგ, ბრიტანეთის, საფრანგეთისა და თურქეთის საგარეო უწყებებთან თანამშრომლობით, თავადმა ჩარტორისკიმ კავკასიასა და ბალკანეთში ანტირუსული სამხედრო და პოლიტიკური აქციების მოსამზადებლად პირველი აგენტურული ქსელი გააბა. კავკასიური პროექტებით დაკავებული იყო „ხელისუფლების“ სამი სააგენტოდან ერთ–ერთი – ე.წ. „აღმოსავლეთის“, რომელსაც მთავარი აგენტი მიხეილ ჩაიკოვსკი (1804–1886) ხელმძღვანელობდა. 1836 წელს ჩარტორისკიმ თურქეთის მთავრობას მემორანდუმი გაუგზავნა, სადაც მისი კავკასიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები იყო განსაზღვრული. კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე აგენტების გადაყვანა იგეგმებოდა, რომელთაც ადიღეის ხალხთა მეთაურებთან საიმედო და მუდმივი კავშირი უნდა დაემყარებინათ. ჩარტორისკის განზრახული ჰქონდა დასავლეთ კავკასიაში პოლონეთის წარმომადგენლობა შეექმნა, რომელიც წმინდა პოლიტიკურ საკითხებთან ერთად მთიელებს სამხედრო დახმარებასაც გაუწევდა. თავადის აზრით, თურქეთსა და რუსეთს შორის ომი გარდაუვალი იყო, ამიტომ ჩერქეზებთან, თურქებთან, ყირიმელ თათრებთან და შუა აზიის ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობით რუსეთი კავკასიიდან და ბალკანეთიდან უნდა გაედევნა, ხოლო უფრო შორეულ პერსპექტივაში – აღედგინა პოლონეთის სუვერენული სახელმწიფო.

1835 წელს ჩარტორისკიმ კონტაქტი დაამყარა დევიდ ურქვარტთან – 1835–1837 წლებში სტამბოლში ბრიტანეთის საელჩოს მდივანთან და, ამავდროულად, შავი ზღვის რეგიონში ინგლისის დაზვერვის მთავარ რეზიდენტთან (ხაფიზოვა 2012:2) 1836 წლის ზაფხულში ურქვარტის თხოვნით ჩარტორისკიმ ჩერქეზეთში პოლონელი

მაიორი მარიან ბჟოზოვსკი გაგზავნა, რომელსაც უნდა გაერკვია, *„შესაძლებელია თუ არა იქ რეგულარული არმიის რაიმე მსგავსის ჩამოყალიბება, რომელიც ჩვენებისაგან (ანუ პოლონელებისაგან - ა.მ.) და ავტოქტონებისაგან იქნება შემდგარი. გარდა ამისა, აგენტს უნდა გაერკვია, დასავლეთ კავკასიაში მყოფ რუსეთის ჯარში მომსახურე პოლონელების საერთო რიცხვი; ასევე, ჩერქეზებთან გადასული სამხედროების რაოდენობა, მათი სოციალურ–სამართლებრივი სტატუსი, მთიელებთან ურთიერთობა და ა.შ."* (ლონგვორტი 1964:195). თუმცა, გარკვეულ მიზეზთა გამო, ბჟოზოვსკიმ მთიელებთან მოხვედრა ვერ მოახერხა და გეგმა ჩავარდა.

კონსტანტინოპოლში ბრიტანეთის საელჩო მხარს უჭერდა ჩრდილო–დასავლეთ კავკასიის მთიელების ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ. 30–იან წლებში თურქეთში ბრიტანეთის ელჩი - დ. პონსონბი - რუსეთის თავგამოდებული მოწინააღმდეგე იყო. XIX საუკუნის 30–იან წლებში მის გარშემო იყო შემოკრებილი რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ყველა ელემენტი. პონსონბი წერდა: *„ადამიანთა შორის არავინ ისე დიდად არ აფასებს ჩერქეზეთის როლს ევროპაში პოლიტიკური თანასწორობის შენარჩუნებისათვის, როგორც მე"*, ხოლო საფრანგეთის ელჩი ვენაში, სენტ–ოლერი ამბობდა: *„თუკი მე მკრთალ ღრუბელს ვამჩნევ ჰორიზონტზე – ეს იქაა, ჩერქეზეთის სანაპიროზე"* (ანგლო-რუსკი 1940:205). რუსოფობი დ. ურქვარტი კავკასიაში ინგლისური ვაჭრობის გაფართოვებას ისახვდა მიზნად, ვინაიდან აქ ხედავდა კარიბჭეს ირანისა და ინდოეთისაკენ (კინიაპინა 1984:133). მის სახელთანაა დაკავშირებული XIX საუკუნის 30–იან წლებში ყუბანსიქითა მთიელებში ბრიტანელი აგენტების მოღვაწეობის გაშლა. 1834 წლის ზაფხულში ურქვარტი ბრიტანელ ოფიცერ, კაპიტან ლაიონსთან ერთად, რომელიც ჩერქეზი ფეოდალებისათვის იარაღის მიწოდებით იყო დაკავებული, ყუბანსიქითა მთიელებთან გაემგზავრა. ჩრდილო–დასავლეთ კავკასიაში სამდღიანი ყოფნის შემდეგ ის სტამბოლში დაბრუნდა საკუთარ მოგზაურობაზე დაწვრილებითი ანგარიშით. დ. პონსონბი აღფრთოვანებული იყო ურქვარტის მოხსენებით: *„თქვენი ვიზიტი ჩერქეზებთან დიდი მოვლენების საწყისი გახდება"* (პოკროვსკი 1952:11). მართლაც, ურქვარტის ჩერქეზეთში ვიზიტი საფუძვლად დაედო ინგლისის პოლიტიკის გააქტიურებას კავკასიაში. მეფის ჯარის მეთაურები იძულებულები იყვნენ სერიოზული ანგარიში

გაეწიათ ინგლისელი აგენტების მეტოქეობისათვის. ეს უკანასკნელნი ჩრდილო–დასავლეთ კავკასიაში რუსეთისათვის ვნების მომტან სამუშაოს ანხორციელებდნენ, რათა ნიადაგი მოემზადებინათ ინგლისური გავლენისათვის, განსაკუთრებით, შავიზღვისპირეთში.

რუსებს ძალიან აღიზიანებდათ საქმის ასეთი ვითარება. გენერალი რაევსკი წერს თავის 1836 წლის 8 აპრილის პატაკში: *„1836 წელს, ივნისის თვეში ნატუხაელებსა და შაფსუღებს ვარდანეს მახლობლად კრება ჰქონდათ. კრების მიზანი რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა იყო. მოულოდნელად ხალხში ორი ინგლისელი გამოჩნდა, ინგლისის მეფის სახელით მათ მამასახლისებს ალამი და ყალბი სიგელი გადასცეს ინგლისისა და ეგვიპტის ფაშის მფარველობის დაპირებით. ხალხი აღელდა და მორჩილების გამოცხადების ნაცვლად მთიელები დაიშალნენ, მანამდე კი ერთხმად დადეს პირობა სიკვდილამდე ებრძოლათ საკუთარი დამოუკიდებლობისათვის. ეს ორნი ინგლისელი იყო: ვინმე ვაჭარი ბელი თავისი მეგობრით და ლონგვორთი.*

*შემოდგომის დასაწყისში ახალი აგენტები, სახელდობრ: კაპიტანი მარინი და ლეიტენანტი იდო ინგლისის სავაჭრო გემით, რომელიც სამხედრო აღჭურვილობით იყო დატვირთული, ჩერქეზეთის ნაპირებს მიუახლოვდნენ. ჩერქეზთა თქმით, გემი პირდაპირ ინგლისიდან ჩამოვიდა. კაპიტანი მარინი და მასთან მყოფი პოლონელი რენეგატი პალინსკი ჩერქეზებს გაზაფხულზე დაბრუნებას და ბელთან და ლონგვორტთან შეერთებას დაჰპირდნენ. იდო მთიელების მიერ მოპოვებული გოგირდის, ტყვიისა და ლითონის მადანის ნიმუშებით ინგლისში გაემგზავრა. ჩემამდე საყურადღებო ცნობა მოვიდა. ამჟამად ინგლისელები ლოიალურად იღებენ ჩვენგან გაქცეულ ჯარისკაცებს, განსაკუთრებით, პოლონელებს და ცდილობენ ჩვენს წინააღმდეგ აამხედრონ ისინი. შეტაკებებისას ჩვენს მსროლელ ჯაჭვამდე პოლონური წამოძახილები აღწევდა: „ესროლეთ შავკაბიანებს“ წამოძახილი ჩვენს ოფიცრებს ეხებოდა.*

*ესენი არიან მოკავშირე სახელმწიფოების ქვეშევრდომები, რომლებიც უკვე მესამე წელია, ჩვენს წინააღმდეგ აჯანყებენ ხალხებს, იღებენ დამნაშავე პოლონელებს,*

*ჩვენს ჯარისკაცებს გასაქცევად აქეზებენ, აიარაღებენ მათ ჩვენს წინააღმდეგ, გვაიძულებენ, საბოლოოდ გადამწყვეტი ზომები მივიღოთ*“ ( აქტები 1881ა:457).

თვითონ პოლონელები კი ღმერთის ნებას და ანგელოზების წყალობაზე ამყარებდნენ იმედებს. პოლონელი ემიგრანტების მოწოდება კავკასიაში მებრძოლი პოლონელებისადმი შემდეგი შინაარსის იყო: *„თანამემამულენო! ჩვენი წინაპრების ღმერთი გიგზავნით თქვენ მფარველ ანგელოზს, მიანდეთ მას თქვენი ბედი. ის ყველანაირად დაგეხმარებათ. მთელი სულით დაეყრდენით მას: ამას ჩვენი საყვარელი სამშობლოსთვის გთხოვთ. მიიღეთ ჩვენი ძმური მოკითხვა მთელი ემიგრაციისგან“* (ფელიცინი: 7).

1837 წელს რუსმა კონსულებმა შეიტყვეს, რომ ინგლისის გემებმა კონსტა-ნტინოპოლიდან ტრაპიზონში იარაღი ჩამოიტანეს, რათა ჩერქეზეთის სანაპიროზე გადაეტანათ. ამგვარად, ტრაპიზონი პოლიტიკურ ბრძოლაში ნამდვილად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. „ტრაპიზონში ვაჭრობა ასევე ზედმიწევნით სერიოზულ პოლიტიკურ პრობლემად იქცევა, რადგან ის შიდა აზიაში რუსეთისა და ინგლისის ინტერესების ახალი დაპირისპირების წყაროდ იქცევა“, – აღნიშნავდა ფ. ენგელსი (მარქსი 1984 ბ:12). სწორედ აქედან აწარმოებდნენ ინგლისელები კავკასიაზე შეტევას. მთიელებისათვის იარაღისა და საბრძოლო მასალის მიწოდებით ინგლისი და თურქეთი ცდილობდნენ ჩრდილო–დასავლეთ კავკასიაში საბრძოლო მოქმედებები გაეჭიანურებინათ და გადაედოთ ამ რეგიონის საბოლოო მიერთება რუსეთთან. გარდა ამისა, ინგლისის მთავრობას რუსეთის ეკონომიკური დასუსტება ჰქონდა მიზნად (ბუშუევი 1955:34). ინგლისური ბურჟუაზია დაინტერესებული იყო ტრაპიზონის, ერზრუმის და თავრიზის გავლით ირანთან და ინდოეთთან ვაჭრობით და ითხოვდა, რომ ეს გზა ინგლისის კონტროლის ქვეშ მოქცეულიყო. კოლონიალური პოლიტიკა და ჩრდილო–დასავლეთ კავკასიაში რუსეთ–ინგლისის დაპირისპირება ფართო მასშტაბებს იღებდა. 1840 წელს რუსეთი იძულებული გახდა ინგლისთან, ავსტრიასა და პრუსიასთან ლონდონის კონვენციისათვის მოეწერა ხელი, რითაც ოსმალეთი ამ ქვეყნების გავლენის ქვეშ ექცეოდა. საფრანგეთი და ინგლისი უპირატესობას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში თურქეთთან დაახლოვებას ანიჭებდნენ (კინიაპინა 1984:133).

ინგლისელებს საერთოდ არ ახსენებს, მაგრამ ამ საინტერესო ფაქტებს, კავკასიაში პოლონურ მისიებზე მოგვითხრობს ლაპინსკი თავის წიგნში. აქედან ვიგებთ, რომ დასავლეთ კავკასიაში პირველი პოლონური მისია 1844 წელს ლუდვიგ ზვერკოვსკის მიერ იქნა წამოწყებული. თავადი ჩარტორისკისგან მიღებული ინსტრუქცია აუწყებდა: დაიყოლიოს მთიელები კონსოლიდაციისკენ და შექმნას კავკასიის კორპუსის რიგებიდან პოლონელთა მასობრივი დეზერტირობისა და, ასევე, პოლონური ლეგიონის ფორმირების პირობები. 1844 წელს ზვერკოვსკი, ადიღური ენის მცოდნე თარჯიმან ოსიკოვსკის თანხლებით, ჩამოვიდა ჩერქეზეთში. მან გადასცა მთიელებს თურქი ვეზირის მეჰმედ-ფაშას ზეპირი ინსტრუქციები და მთავარი აგენტის ჩაიკოვსკის წერილები (ჩაიკოვსკი 1896: 170). ჩაიკოვსკის წერილები მნიშვნელოვანი წყაროა. ის შეიცავს ცნობებს პოლონელების მისიის შესახებ კავკასიაში და აღსანიშნავია, რომ ეს წყარო ფაქტობრივად იმეორებს ლაპინსკის მიერ თავის წიგნში აღწერილ ცნობებს. ჯუგბაში ზვერკოვსკის განკარგულებაში იყო სახლი, ერთი ჩეჩენი და სამი პოლონელი მონა. მაგრამ 1845 წლის იანვარში, ნატუხაელების და შაფსუღების კრებაზე, ყალბი წერილის მეშვეობით რუსმა აგენტებმა მიზანმიმართულად გაუტეხეს მას სახელი მთიელთა თვალში, როგორც თითქოსდა თავის შპიონს. დე-ფაქტო, ზვერკოვსკი შიდა პატიმრობაში აღმოჩნდა, და ამ მდგომარეობაში 1846 წლის 3 მარტამდე იმყოფებოდა, თითქმის თავის გამგზავრებამდე სინოპში (ლაპინსკი 1995:14). ამ დროს სტამბოლში ხელისუფლებაში მუსტაფა რაშიდ-ფაშა მოვიდა, რომელიც პოლონური დიპლომატიის კავკასიური გეგმების მიმართ საკმაოდ არსებით ინტერესს ამჟღავნებდა. თავადმა ჩარტორისკიმ გადაწყვიტა გაეგზავნა კავკასიაში მეორე პოლონელი ემისარი, არტილერიის ოფიცერი კაზიმირ გორდონი, რომელსაც უბიხების შეიარაღებული აჯანყების ორგანიზება ევალებოდა, ადიღთა ლიდერების დაყოლიება იმამ შამილთან გაერთიანებაზე და *„კავკასიელი მთიელების დაყოლიება რუსეთის სიღრმეში შესაღწევად კასპიის ზღვის სანაპიროთი, რათა ცხენოსანი ჯარის მეშვეობით თვით ასტრახანამდე მისულიყვნენ“.*(ლაპინსკი 1995:14). 1846 წლის გაზაფხულზე უბიხთა წინამძღოლი კერანდუკ ბერზეკი, ბრუნდებოდა რა სტამბოლის გავლით მექიდან, შეხვდა მთავარ აგენტ ჩაიკოვსკის. 1846 წელს ბერზეკი თავად ჩარტორისკის წერილში

წერდა, რომ მათ ხალხს საერთო მტერი - რუსეთი, და ასევე, თავისუფებლებისა და დამოუკიდებლობისადმი მისწრაფება აკავშირებთ.

1846 წლის ივლისის დასაწყისში, რუსული სამხედრო გემების მიერ მოწყობილი ალყიდან გამარჯვებით გამოსვლის შემდეგ, გორდონი უბიხთა სანაპიროზე გადმოვიდა. მან ჩამოიტანა აღმოსავლეთის სააგენტოს მიერ შეძენილი 3 ათასი პიასტრის ღირებულების ფეთქებადი მასალები. მაგრამ მალე გორდონსა და კერანდუხ ბერზეკს შორის უთანხმოება გაჩნდა. უბიხთა წინამძღოლი დიდხანს არ უშვებდა პოლონელს შამილთან, მოითხოვდა რა ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების მოპოვების ტექნოლოგიის გაცნობას. მიუხედავად ამისა, მთავარი აგენტი ჩაიკოვსკი მაინც ცდილობდა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. 1846 წელს ჩაიკოვსკიმ შესთავაზა ოსმალეთის მთავრობას მასშტაბური სამხედრო ოპერაციის ჩატარება უბიხებისა და ნატუხაელების მიწაზე და 1847 წლის გაზაფხულზე პოლონელი მოხალისეების დესანტის გადმოსხდომა განახორციელა. კაპუდან მეჰმედ-ალიმ „კავკასიური ლაშქრობის“ მომზადებისთვის 100 ათასი პიასტრი გამოყო. ექსპედიციისთვის თავად ჩარტორისკის უფროს ვაჟს, ვიტოლდს, უნდა ეხელმძღვანელა. იგეგმებოდა, რომ რუსული ჯარიდან წამოსული დეზერტირებით დესანტის რიგების შევსების შემდეგ ჩამოყალიბდებოდა პოლონურ-ჩერქეზული ლეგიონი, რომელიც დარტყმას მიაყენებდა რუსეთის სამხრეთ ოლქებს. 1848 წლის 7 აპრილს გორდონს დასახმარებლად ახალი პოლონელი ემისარი იუზეფ მიკორსკი გამოუგზავნეს, რომელსაც არ მიეცა რუსული გემების მიერ კარგად დაცული ჩერქეზეთის სანაპიროსკენ გარღვევის საშუალება და სტამბოლში დაბრუნება მოუწია.

რამდენიმე კვირაში ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქში მოვიდა ამბავი უცნობ პირთა მიერ გორდონის სასტიკი მკვლელობის შესახებ. ლაპინსკი წერს თავის წიგნში: *„გორდონი გაემგზავრა სანადიროდ მონა ჰაჯი-კერანდუკის თანხლებით, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მისი თავმოჭრილი გვამი ტყეში იპოვეს. მონა კი გაქრა. კონსტანტინოპოლში ძალიან რომანტიული ისტორია გავრცელდა, რომელიც დაფუძნებული იყო იმაზე, რომ გორდონი რუსების მიერ მოსყიდული ერთი სომხის მიერ იქნა მოკლული, მაგრამ მკვლელს მაცხოვრებელთა მიერ სიკვდილი მიუსაჯეს ჰაჯი-კერანდუკის ბრძანებით. ტუაფსეში ეს პირველად გავიგე, ხოლო შაფსუღეთსა*

*და აბაძეხეთში ყველა, ვისაც ვეკითხებოდი, მიმტკიცებდა, რომ ჰაჯი-კერანდუკმა პოლონელი გორდონის თავის სანაცვლოდ 400 ვერცხლის რუბლი მიიღო სუხუმ-კალეში რუსი უფროსისგან. სომხის სიკვდილით დასჯაზე კი არავინ არაფერი იცოდა"* (ლაპინსკი 1995:18). უფრო მეტიც, არ სურდა რა სანქტ-პეტერბურგის ზედმეტად გაღიზიანება, ოტომანთა მთავრობამ პოლონური პროექტის „შეჩერება" დაიწყო, ხოლო ღონისძიების პროტექტორი, კაპუდანი მეხმეტ-ალი თურქული ჯარის რიგებიდან დაითხოვეს. კავკასიის ექსპედიციის დაფინანსების თაობაზე ჩაიკოვსკისა და სტამბოლის მოლაპარაკებები საბოლოოდ 1848 წელს იქნა შეწყვეტილი თურქთა მიერ (ჩაიკოვსკი 1896:173).

იმავე წლის დეკემბერში აბაძეხების მიწებს დასავლეთ კავკასიაში შამილის მესამე (ჰაჯი-მუხამედის და სულეიმან-ეფენდის შემდეგ) ნაიბი - მუჰამედ-ამინი ეწვია. იმამის დავალებით მას უნდა გაევრცელებინა დასავლეთ კავკასიის მთიელებს შორის მიურიდიზმი და შარიათი, აქცევდა რა მათ დამოუკიდებლობისთვის ადიღელი ხალხის ბრძოლის დასაყრდენად. თავისი გეგმების განსახორციელებლად მუჰამედ-ამინი ცდილობდა მოკავშირული ურთიერთობები დაემყარებინა ევროპის სახელმწიფოებთან, ამასობაში არც პოლონელებს ივიწყებდა (მაგომედადაევ 1998 :133). 1851 წელს სტამბოლში ნაიბის წარგზავნილმა იუსუფ-ბეიმ დაამყარა კონტაქტი აღმოსავლეთ სააგენტოს მაშინდელ ხელმძღვანელთან კოსცელსკისთან და ასევე უკვე ხსენებულ მიხაილ ჩაიკოვსკისთან. მუჰამედ-ამინი ითხოვდა მის განკარგულებაში გადაეცათ 12 პოლონელი სპეციალისტი - ოფიცერ-არტილერისტები, ხელოსნები და მეშახტეები, რომლებიც მთიელებს ომის, მეურნეობის წარმართვისა და წიაღისეულის მოპოვების ევროპულ მეთოდებს შეასწავლიდნენ. ნაიბმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პოლონელ ოფიცრებს ნებას დართავენ ჩამოაყალიბონ ეროვნული სამხედრო ნაწილები, რომლებსაც ისინი უხელმძღვანელებდნენ. თავადმა ჩარტორისკიმ დაუ-ყოვნებლივ დაუჭირა მხარი მუხამედ-ამინის თხოვნას, მაგრამ ექსპედიციის მთავარსარდლის დანიშვნის თაობაზე, პოლონელებს შორის არსებული შიდა განხეთქილების გამო, პროექტმა კრახი განიცადა.

ყირიმის ომმა ახალი იმპულსი შემატა პოლონეთის გეგმებს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მიმართ. ამჯერად თურქები მზად იყვნენ პოლონური სამხედრო

ფორმირებების დასაფინანსებლად. თურქული ჯარის შემადგენლობაში ორი პოლონური დივიზია შევიდა, რომელთაგან ერთ-ერთი, გენერალ ზამოისკის მეთაურობით, ნამდვილად იღებდა მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში, თუმცა არა კავკასიის, არამედ ყირიმის ფრონტზე. მეორე კი, რომელმაც საერთოდ ვერ მოასწრო ომში მონაწილეობის მიღება, დაშლილა 1855 წლის 31 ივლისს. ოსმალეთის იმპერიამ ბოლო რეალური შესაძლებლობა გაუშვა - მოეხდინა გავლენა დასავლეთ კავკასიაში შექმნილ მდგომარეობაზე. ამ მომენტიდან „ოტელ ლამბერის" ყველა პროექტს აფხაზ-ადიღ ხალხებთან მიმართებაში ძალიან შეზღუდული მასშტაბი ექნება, ხოლო მათი დაგეგმვა და განხორციელება უპირატესად პოლონელი პოლიტიკოსების პირადი ინიციატივით მოხდება ლონდონის, პარიზისა და სტამბოლის ოფიციალური მხარდაჭერის გარეშე (დეიატელნოსტ 2013).

## § 4. ლაპინსკის რაზმი ჩერქეზეთში

ზემოთქმული მოვლენებიდან გამომდინარე, ლაპინსკი და მისი რაზმი, როგორც თავად აღნიშნავს, კავკასიაში იარაღის, სურსათისა და ტანსაცმლის არასაკმარისი ოდენობით ჩამოდის. რუსი ოფიცერი უგრინოვიჩი მეტად საინტერესო შეფასებას უკუთებს ლაპინსკის ჩამობრძანებას კავკასიაში: *„1857 წლის გაზაფხულზე, კავკასიის ხაზის მარჯვენა ფლანგზე, სხვა ადგილებთან შედარებით ადრე გაიხსნა საომარი მოქმედებები. ამ ფლანგის მდგომარეობა ბოლო ომის შემდეგ რამდენადმე შეიცვალა. ზოგიერთი ტომი, რომელმაც უკვე დაიწყო ჩვენთან გაცვლითი ვაჭრობა, მღელვარებამ მოიცვა, ჩვენს საწინააღმდეგო შეგონებებს აჰყვა და შავი მთისაკენ გადაინაცვლა. ამას ისიც დაემატა, რომ აქ ევროპელებმა შემოაღწიეს, რომლებიც თურქეთმა კავკასიის სანაპიროზე ჩამოსხა, რადგან არ იცოდა, სხვაგვარად როგორ მოეშორებინა ეს მშფოთვარე ვიგინდარები*" (უგრინოვიჩი 1958:65).

ლაპინსკის ძალიან უნდოდა მუჰამედ-ემინთან გაერთიანება. ნაიბზე ცნობები მისთვის სასარგებლო იყო, თავად სეფერის თანმხლები პირებიც კი ვერ უარყოფდნენ ნაიბის ენერგიულობასა და ჭკუას; ქვეყანაში ყველა ღატაკი მას ლოცავდა. თუმცა, გარდა ამისა, ლაპინსკის კეთილგანწყობა მუჰამედ–ემინის მიმართ ჩემი ერთ–ერთი

ოფიცრის, შტოხის პატაკმაც განაპირობა. შტოხი მან ნაიბთან გაგზავნა, ნაიბის სახლში ოფიცერმა სამი დღე გაატარა. ამ ოფიცრის ცნობით, ნაიბსა და თავად სეფერს შორის უზარმაზარი განსხვავება იყო. ნაიბის მნიშვნელობა და მისი გავლენა აბაზებზე ძალიან დიდი იყო; მას იქ შიშითა და, ამასთან, სიყვარულით ემორჩილებოდნენ. მეხკმე, მოხელეები, მოსამართლეები და მურთაზიკები ძალიან მოწესრიგებულად მოქმედებდნენ. შტოხის სიტყვებით, ეს სრულიად მოწესრიგებული ქვეყანა იყო. ნაიბმა მას გულწრფელად უთხრა, რომ პოლონელებს არ ელოდა და მათი ჩამოსვლისათვის ვერ მოემზადა. აბაზებთან გადმოსული რუსი ჯარისკაცები ყველა თავისუფალი იყო; ნაიბი მათ ერთად შეყრას და ჩემს განკარგულებაში გადმოცემას დამპირდა. ერთადერთი, რაც პოლონელ ოფიცერს არ მოეწონა, ნაიბისა და მასთან დაახლოვებულ პირთა გადამეტებული მუსლიმური პირმოთნეობა იყო (ლაპინსკი 1995:13).

მაგრამ მუჰამედ-ამინმა ლაპინსკისთან შეხვედრაზეც უარი განაცხადა. როგორც შემდგომ გაირკვა, პოლონელებთან ერთად გემ „კენგურუთი" ჩამოსულმა უორკ-ჩერქეზებმა იზმაილ ბერკოკმა და ჰაჯი კერანდუკმა გაავრცელეს ჭორები, რომ თითქოს ლაპინსკის პორტას დავალებით სურს მუჰამედ-ამინის დაპატიმრება და მისი სულთანთან გაგზავნა. უიღბლო ლაპინსკის მოუწია სეფერ-ბეისთან დაკავშირება, რომელიც არც გონებრივი შესაძლებლობებით, არც მოვალეობის გრძნობით გამოირჩეოდა, ის მაგალითისთვის ნაიბ მუხამედ-ამინისგან განსხვავებით, მონებად აქცევდა რუსეთის არმიიდან გამოქცეულ დეზერტირებს, და ბოლოს და ბოლოს, ვერც თავისი ერთადერთი ვაჟის - ყარაბატირის მორალური თვისებებით დაიკვეხნიდა (ლაპინსკი 1995:18). ასე მაგალითად, უსირცხვილო ყმაწვილმა გავლენიანი შაპსუღი ალიბი ხანტოხუასე დააყაჩაღა. გაბრაზებულმა ხანტოხუ 4000 მხედრით აბინში გამოჩდა. ლაპინსკიმ მედიატორის როლი იტვირთა და შეარიგა მოწინააღმდეგეები. ეს არ უკმარია კარაბატირს და შემდგომ თვით ლაპინსკი გაქურდა და 876 ვერცხლის მანეთი ჩაიჯიბა. ლაპინსკიმ ესეც მოითმინა (ლატკა 1988:82-83).

სეფერ-ბეი პოლონელს „მასთან კავშირს და ჩერქეზეთის ჩრდილოეთში გამგზავრებას" სთავაზობდა მუხამედ-ამინთან საბრძოლველად. ეს წინადადება

უმალვე უარყოფილ იქნა, ვინაიდან ლაპინსკი ნეგატიურად ეკიდებოდა განხეთქილებას და არ აპირებდა კავკასიელთა შინაურ საქმეებში ჩარევას. ის უპირატესობას ანიჭებდა რუსების ჯარებზე დარტყმების მიტანაზე ყურადღების გამახვილებას, მისდევდა რა თავის დევიზს: „წავალ იქ, სადაც ამას რუსების ყოფნა მოითხოვს“ ( ლაპინსკი 1995:18).

კავკასიაში ყოფნის მთელ მანძილზე თეოფილ ლაპინსკი არ კარგავდა შამილის ჯართან გაერთიანების იმედს, მას წერილიც კი გაუგზავნა ამ თხოვნით, მაგრამ ადრესატის ნაცვლად ეს წერილი ტიფლისში, რუსთა გენერალურ შტაბში აღმოჩნდა. ამის შესახებ მას შემდეგ მუჰამედ-ამინი მოუყვება (ლაპინსკი 1995:17).

ამ უშიშარი პოლონელის ოცნებას, რომელიც 20 წლის ასაკიდან ოცნებობდა ლეგენდარულ შამილთან ერთად რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ეომა, ახდენა არ ეწერა.

დრო არ ითმენდა. 1857 წლის თებერვლიდან აპრილამდე ლაპინსკი, სეფერ-ბეის შუამავლობით, დაკავებული იყო მთიელთა მობილიზაციით. მას შემდეგ, რაც აპრილის პირველ ნახევარში მას სტამბოლიდან საბრძოლო მასალა ჩამოუვიდა, ის მზად იყო საბრძოლო ოპერაციების დასაწყებად, *„იმის გაგონებაზე, რომ საიდუმლოებით მოცულ უცხოელებს სურთ რუსებთან ბრძოლაში მონაწილეობის მიღება, ადაგუმში განლაგებულ ლაპინსკის ბანაკში დაახლოებით 5 ათასი ცხენოსანი და ქვეითი მთიელი გამოცხადდა, უპირატესად ნატუხაელი. 18 აპრილს სამხედრო საბჭოს სხდომაზე, რომელშიც ადიღი მამასახლისები მონაწილეობდნენ, მიღებულ იქნა მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირზე ბანაკად განლაგებული რუსული სამხედრო რაზმის განადგურების ერთობლივი გეგმა“* (ლაპინსკი 1995:13).

შემდგარი ბრძოლის მსვლელობაში გაერთიანებულმა პოლონურ-ჩერქეზულმა ჯარებმა მტერს სერიოზული ზიანი მიაყენეს, თუმცა საბოლოოდ ის ვერ გაანადგურეს. მალე ლაპინსკიმ კიდევ ერთი წარმატებული ბრძოლა გამართა, აიძულა რა რუსები უკან დაეხიათ. ამის შემდეგ პოლკოვნიკის დაძახებას 5 ათასი ცხენოსანი და 12 ათასი ქვეითი მეომარი გამოეხმაურა. მოხალისეთა რაზმის რიგები ასევე ივსებოდა რუსული ჯარიდან გამოქცეული პოლონელი დეზერტირების ხარჯზე, რომლებიც მრავლად იყვნენ ჩერქეზეთში.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 40-იან წლებში მეფის ჯარში 25-30 ათასი პოლონელი იყო. ბევრი მათგანი ხელსაყრელ შემთხვევას ელოდებოდა, რათა გაქცეულიყო სპარსელებთან, თურქეთში ან მთიელებთან. ასეც ხდებოდა, თუმცა მათ უკან აბრუნებდნენ. ზოგჯერ გაქცეულები თურქეთის მონათა ბაზარზეც კი ამოყოფდნენ თავს. პოლონელ დეზერტირთა ნაწილი მთიელთა შორის რჩებოდა საცხოვრებლად, ცოლად ჩერქეზი ქალები მოყავდათ, მონაწილეობას იღებდა ჩერქეზთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში (აქტები 1881ა :252).

რუსეთის მთავარი მხედრობა წერილებსაც კი ავრცელებდა, სადაც აღწერილი იყვნენ ძებნილი პოლონელები. გენერალ–ადიუტანტ ვორონცოვის წერილი ცალკეული კავკასიური კორპუსის მეთაურთან, გენერალ გოლოვინთან. ოთხი პოლონელის აღწერა:

1) პოლკოვნიკი გორომინსკი, 45 წლის, ნაყვავილარი სახის, საშუალო სიმაღლის, ჭაღარა თმა, ცისფერი თვალები, თავისუფლად ფლობს იტალიურ, თურქულ, ფრანგულ ენებს.

2) შტაბ-მკურნალი ნაპოლეონ მედინსკი, 27 წლის, წაბლისფერი თმით, ატარებს სათვალეებს;

3) კაპიტანი ონოფრი გოროდინსკი, 55 წლის, ჭაღარა თმით, ფლობს თურქულ ენას.

4) პოდპორუჩიკი ბიკენტი გოროდინსკი, 28 ან 30 წლის, მაღალი, გამხდარი, ქერა და ცისფერთვალება (ფელიცინი :5).

თუმცა, აქაც სერიოზულ სიძნელეებს ჰქონდა ადგილი: 1857 წლის ზაფხულისთვის ქვედანაყოფის რიცხოვნობის გაზრდა მხოლოდ 190 ეთნიკურ პოლონელამდე მოხერხდა. შესაძლოა, აქ ნეგატიური როლი მეფისნაცვალის ა. ბარიატინსკის ბრძანებამ შეასრულა, რომლის თანახმადაც ლაპინსკის რაზმის ყველა ტყვეს ჯაშუშად თვლიდნენ, რომელიც სამხედრო სასამართლოსთვის უნდა გადაეცათ და სიკვდილით დაესაჯათ.

რუსეთი, განიხილავდა რა ლაპინსკის რაზმის ოპერაციებს, როგორც დასავლეთ კავკასიაში პოტენციური დიდი ომის პროლოგს, ყურადღებით ადევნებდა თვალს პოლონელის მოქმედებებს. მის შესახებ ინფორმაციას რუსთა სარდლობა კავკასიაში

და სანქტ-პეტერბურგის მთავრობა რამდენიმე კომპეტენტური წყაროდან იღებდა. ასე მაგალითად, თურქეთში რუსეთის ელჩ ბუტენიოვს პოლონელთა რაზმის შესახებ საწყისი მონაცემები ფერგატ-ფაშამ, ბარონმა-რენეგატმა შეატყობინა, რომელიც ადრე ექსპედიციის მეთაურის სახით განიხილებოდა.

კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩის ა.პ. ბუტენევის წერილი საგარეო საქმეთა მინისტრსს ა.მ. გონჩაროვს

*თარგმანი ფრანგულიდან*

*ბატონი ბუტენევის სრულიად საიდუმლო წერილის ასლი*

*11/23 თებერვალი 1857 წ. №3*

*თავი მოვალედ ჩავთვალე თქვენს აღმატებულებას დროულად მიეღო 12 იანვარს გამოგზავნილი სრულიად საიდუმლო წერილი, რომელშიც ფეჰრად–ფაშა სარწმუნო ცნობებს გვაწვდის. მე ვსარგებლობ ოდესაში მიმავალი სავაჭრო გემით, რათა მოგახსენოთ ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობა ყოველივე იმის შესახებ, რაც თურქეთისა და ინგლისის საიდუმლო ხრიკებს ეხება. მათი მიზანი ჩვენთვის სირთულეების შექმნაა ჩერქეზეთში. ამჟამად მათი კერა კონსტანტინოპოლია.*

*სულ ორიოდე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა სამხედრო აგენტმა განკარგულებაში მიიღო სამინისტროს ინსტრუქციები, რომლებიც ფეჰრად–ფაშას ეხება. ამის თაობაზე თქვენმა აღმატებულებამ ზემოთ ხსენებული წერილით თორმეტი დღით ადრე მაცნობა. მე, კაპიტან ფრანკინისთან ერთად დაუყოვნებლივ მოვკიდებ ხელს ამ დავალების აღსრულებას შესაბამისი სიფრთხილით, რაც იმპერატორის ნებაა... ჯერჯერობით, ფეჰრად–ფაშას ახალი სარწმუნო ცნობის მიხედვით, ჩერქეზეთის სანაპიროსკენ საბრძოლო მასალით დატვირთული ინგლისური გემი „კენგურუ“ დაიძრა. ეს მე ვაცნობე თქვენს აღმატებულებას 7 თებერვალს გამოგზავნილი დეპეშით. ამავდროულად ვაცნობე ეს დიდ ვეზირსაც ჩვენი პირველი თარჯიმნის პირით, ზეპირი და კონფიდენციალური განაცხადით, რათა შემევსო ის ცნობები, რომლებიც ჩვენი საუბრისას გადავეცი ვეზირს.*

*თუკი გემის გასვლამდე მე შევძლებ გარკვეული მონაცემები შევაგროვო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაშინვე დავურთავ წინამდებარე წერილს.*

*მიიღეთ და ა.შ.* (ადმოვ 1950:109).

მნიშვნელოვანია 1857 წლის ბუტნევის შემდეგი პატაკი: 382. 1857წ. 6(18) ივნისი – ბუტენევის პატაკიდან ჩერქეზეთში ინგლისის საიდუმლო საზოგადოების მიერ საბრძოლო მასალის გაგზავნის თაობაზე, №79:

*„ლონდონიდან ტელეგრაფით მივიღე 31 მაისის შეტყობინება ინგლისელი მინისტრისაგან, რომლითაც მან მამცნო კონსტანტინოპოლში ყუთებით (სავარაუდოდ, იარაღითა და საბრძოლო აღჭურვილობით) დატვირთული ხომალდ „African“–ის გამომგზავრება. ტვირთი ტურის – უნგრელი ემიგრანტისა და ინგლისის საიდუმლო საზოგადოების აგენტის – სახელზეა გამოგზავნილი; მას ურთიერთობა აქვს ჩერქეზებთან. მიუხედავად იმისა, რომ მოქ. ხრეპტოვიჩს ამ წინასწარი ცნობებისთვის დეტალები არ დაუმატებია, მე დაუყოვნებლივ განვუცხადე ამის შესახებ პორტეს და მოვუწოდე ყურადღება გაემახვილებინა და აღნიშნული ცნობიდან სარგებელი მიეღო და უფრო მეტი პასუხისმგებლობა აეღო საკუთარ თავზე, ვიდრე პირველი ხომალდის, „კენგურუს“ ჩამოსვლისას (სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვებოდა თურქეთის მთავრობას). დიდმა ვეზირმა დადებითად მიპასუხა, რომ ვალდებულად ჩათვლის თავს, მხედველობიდან არაფერი გამორჩეს, რათა აღკვეთოს ხსენებული გემის ყველა ყალბი საქმე, როგორც კი ის კონსტანტინოპოლის პორტს მოადგება. მე, ჩემის მხრივ, მკაცრად ვადევნებ თვალყურს ყოველივეს“* (ცაგარეიშვილი 1953:472).

გენერალ გ. ფილიპსონს ლაპინსკის რაზმის შესახებ ინფორმაციით ყარაბატირის, სეფერ-ბეის შვილის მუქუსმტე, ისხაკ სხაბო ამარაგებდა. აი, რას წერს ფილიპსონი კავკასიის გენერალური შტაბის უფროსს: *“მაქვს პატივი მოგაწოდოთ ლაპინსკის წერილი, რომელიც თავის თავს პოლკოვნიკს უწოდებს. ეს წერილი დაევალა გადმოსაცემად ისხაკ სხაბოს, საფერ-ბეი ზანოკოს ვაჟის ყარაბატირის მუქუმტეს. ის (ისხაკ სხაბო), მოდის ჩვენთან, მაღლად ხსენებული ორი პიროვნების საიდუმლო შეთანხმების შედეგად და დროულად გვაწვდის ინფორმციას. ეს ინფორმაცია ყოველთვის ზუსტია, თუმცა ზოგჯერ გადამეტებული“* (პრობლემა 2001:8). თვითმარქვია თურქი უზბაში მუსტაფა აცოკი, კარაბატარის მუქუმტე, რომელსაც აღშფოთებული ფილიპსონი თავის საიდუმლო წერილში უწოდებს

„უნამუსო მოღალატეს“, სთავაზობს რუსებს ფულის ნაცვლად მისი მოწყალე პატრონის - სეფერ-ბეის თავს (აქტები 1904: 832).

ლაპინსკი წერდა, რომ ყველა მოღალატე იყო სასურველი სტუმარი რუსების ბანაკში. ქვეყანაში დარჩენილი უორკისა და ფაშას სამარცხვონოდ უნდა ითქვას, რომ მათ რუსებთან მოსამსახურე მოღალატეთა უდიდესი, ერთადერთი თუ არა, კონტინგენტი შეადაგინეს. ის დრო, როდესაც მათ აზაზების შრომის ხარჯზე უდარდელად ცხოვრება შეეძლოთ, სამუდამოდ წავიდა; თავად მუშაობა არ უყვართ, ამიტომ ყოველთვის მზად არიან კარგი ჯამაგირის სანაცვლოდ ნებისმიერი სამსახური შეასრულონ. ისინი მსახურობენ ჯაშუშებად, ქვეყანაში მოქმედი მტრის ჯარის გამცილებლებად და ა.შ., ზოგი მათგანი, აგრეთვე, რეგულარულ დანაყოფებშიც მსახურობს. რუსები მათ, სულ ცოტა, დღეში ერთ ვერცხლის რუბლს უხდიან; გარდა ამისა, ისინი მათი მითითებით წართმეული ნადავლიდან წილს იღებენ (ლაპინსკი 1995:7).

რუსების სარდლობის მიერ მიღებული კონტრზომების შედეგად ლაპინს-კისთვის განკუთვნილი იარაღის, ამუნიციისა და სურსათის მიწოდების მნიშვნე-ლოვანი ნაწილი ვერ აღწევდა ადრესატამდე. უფრო მეტიც, ტვირთის ნაწილი არალეგალურად საღდებოდა ჩერქეზეთის ბაზრებზე. მუჰამედ-ამინი აუწყებდა თურქეთის მაღალჩინოსან პირებს იმის შესახებ, რომ „ჩერქეზეთის ნაპირზე გადმოსული პოლონელები შეცბუნებულნი არიან საქმის ასეთი ვითარებით“ და რომ ნაწილმა „დატოვა მხარე მტკიცე განზრახვით აღარასდროს დაბრუნდეს იქ“ (ცაგარეიშვილი 1953:471). ამასთან ერთად, დასავლეთ კავკასიაში რუსების სარდლობაც არსებით სამხედრო ზეწოლას განიცდიდა ლაპინსკის მხრიდან. გენერალი ფილიპსონი წერს წერილს კავკასიის კორპუსის შტაბის მეთაურს მილუტინს იმის შესახებ, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დაიწყო „განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენები.“ მისი შეფასებით მთიელების იარაღით და სხვა საბრძოლო საშუალებებით (ევროპელების მხრიდან - ა. მ.) მომარაგებამ მიიღო სისტემური ხასიათი. გენერალი მიუთითებს, რომ მთიელებმა შეისწავლეს ევროპული საომარი მეთოდები. ფილიპსონის აზრით, ეს ყოველივე უქმნის საფრთხეს რუსეთის სამხრეთის საზღვრებს (აქტები 1904:732). 1857 წლის

განმავლობაში პოლონურ-ჩერქეზული ძალები ავითარებდნენ სამხედრო წარმატებას, მოქმედებდნენ რა კოორდინირებულად ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული რაიონების დასაცავად. ღამე პოლონელები არტილერიულ ცეცხლს უშენდნენ რუსთა გარნიზონებს, აწარმოებდნენ რა ერთ ღამეში 100-მდე გასროლას ზარბაზნებიდან. თოფების მნიშვნელოვანი პარტიების მიწოდების ხარჯზე გაიზარდა ჩერქეზთა საცეცხლე ძალა. რუსულ ჯარებზე წერტილოვანი შეტევების გარდა, ლაპინსკი ქმნიდა საყრდენ თავდაცვით პუნქტებს, რომელთაგან ერთ-ერთი განალაგა გელენჯიკის ნავსადგურში, სადაც ხშირად შემოდიოდნენ უცხოური ხომალდები.

რუსი ოფიცრის, უგრინოვიჩის მოგონებებიდან ვიგებთ, რომ „ივნისის დასაწყისში მთიდან ცნობა მიიღეს გელენჯიკის უბეში სამხედრო მასალების საწყობის თაობაზე, ლაფეტების დამზადების შესახებ და ევროპელების პარტიის მეთაურის ლაპინსკის მიერ 6 ქვემეხისათვის მიწაყრილის გაკეთების, მსროლელთათვის ტრანშეების ამოთხრის შესახებ. ლაპინსკის თურქი ვაჭრებისათვის რუსებისაგან დაცვის იმედი მიუცია. ამგვარი თამამი მცდელობები ჩვენი მხრიდან ენერგიული ზომების მიღებას ითხოვდნენ, მით უფრო, რომ გელენჯიკიდან ყუბანის ველისაკენ გენერალმა ველიამინოვმა შესანიშნავი გზა გაიყვანა. ამიტომ, ბ. ფილიპსონმა ანაპაში გემზე და კაზაკების სამ კარაპზე ქვეითთა დანაყოფის ორი ასეული აიყვანა და 20 ივნისს გელენჯიკის უბისაკენ აიღო გეზი. დესანტის მეთაურმა, მაიორმა ლევაშოვმა, სიმაგრიდან 2,5 ვერსში ჩამოსხა ჯარი და ზღვის ნაპირით დაიძრა. საკუთარ ფლანგს კარაპზე მდგარი ქვემეხებით იცავდა. მომხვდურმა პირველად ცეცხლი გემს გაუხსნა, შემდეგ კი დანაყოფს ძლიერი საარტილერიო ცეცხლით შეეგება. მაიორმა ლევაშოვმა, დაინახა რა, რომ სიმაგრეში მყოფ მთიელთა რიცხვი 200 კაცს არ აღემატებოდა, ნაწილთან ერთად საჭირო დისტანცია გაირბინა და უმალ დაეპატრონა ექვსივე ქვემეხს.

მოპოვებული მარაგი არც თუ უმნიშვნელო იყო: 150 ფუთი შესანიშნავი დენთი, 2000 ცალი საარტილერიო ყუმბარა, 500 ცალი ჭურვის ყუმბარა და იარაღის ტყვიების ორი სკივრი. ერთ–ერთ ზარბაზანზე თურქეთის სულთნის ვენზელი და 1850 წლის ბეჭედი იყო. მომხვდურმა იმდენად სწრაფად დაიხია უკან, რომ ლაპინსკის კარავში მრავალი ოფიციალური და კერძო დოკუმენტი დარჩა, ასევე, ანთებული სანთელი.

მარაგისა და თურქული კონტრაბანდული გემების განადგურების შემდეგ ჯარი ისევ გემებზე აასხეს. ეს ამბარკაცია, რომელიც მთიელთა ცეცხლის ქვეშ მიმდინარეობდა (მათი რიცხვი 1500 აღწევდა), შესაძლოა, ძვირად დაჯდომოდა ჯარს. მეთაურის მოხერხებულობა საქმეს წაადგა. მაიორი ლევაშოვი სწრაფად გადავიდა შეტევაზე, მთიელები ნანგრევებიდან გამოყარა, ისარგებლა მტრის არეულობით და მშვიდად დაბრუნდა ნაპირთან. იმავე დღის საღამოს, ნაწილი ანაპაში დაბრუნდა. ამის შემდეგ გელენჯიკის უბე დაცარიელდა, ხოლო კონტრაბანდული ვაჭრობის მთავარ ბაზრად მდინარე ტუაფსეს შესართავი იქცა (ყოფილ ველიამინოვის სიმაგრესთან), მაგრამ მთიელებს აქაც იგივე ბედი ელოდათ.

31 აგვისტოს გენერალი ფილიპსონი ორი გემით, აზოვის შვიდი კარაპით, ქვეითთა სამი ასეულითა და 300 მონადირით ანაპიდან გავიდა. 4 სექტემბრის დილას, როცა მზე ჯერ კიდევ მთებს ეფარებოდა, ჩვენი ფლოტილია, ფლანგებზე გემებით, ნაპირზე გადავიდა და ჯარი ძველ სიმაგრესა და მდინარე ტუაფსეს შორის ჩამოსხა. სიმაგრის აღებისა და საფარის აგების შემდეგ ჩვენი ჯარი შენობა–ნაგებობებისა და საწყობების განადგურებას შეუდგა. ორმოცი დახლი, ნახევრად ქვისაგან აგებული, ნაპირს ოთხ რიგად მიუყვებოდა. ინგლისური და თურქული მანუფაქტურული ნაწარმის გარდა ხორბლის მარცვლის უზარმაზარი მარაგი იყო აღმოჩენილი, ასევე, 20000 ფუთი მარილი, ტყვია, რკინა და ა.შ. ამ საწყობების განადგურებასა და ხელში ჩაგდებული გემების ზღვაში ჩაშვებას ოთხი საათი დაჭირდა. ამ დროის განმავლობაში მთიელებმა რამდენჯერმე შეუტიეს საფარს, მაგრამ ისინი ყოველ ჯერზე მოიგერიეს.

გემებზე ასვლა წეს–რიგის დაცვითა და დანაკარგების გარეშე მოხერხდა. ჩვენი გემებიდან გახსნილი ცეცხლი მთიელებს საჭირო მანძილზე აკავებდა. ჩვენი დანაკარგი ამ ორი დესანტის დროს, რელაციების თანახმად, სრულიად უმნიშვნელო იყო“ (უგრინოვიჩი 1858:81).

მეფის ჯარი იძულებული იყო გარკვეული დროით უარი ეთქვა აქტიურ შეტევით ოპერაციებზე და გადასულიყო პოზიციურ ქმედებებზე. 1857-1858 წ.წ. ზამთრის ბოლომდე რეგიონში ძალთა შედარებითი წონასწორობა დამყარდა.

რუსების მხრიდან ნოემბრის დასაწყისში მარჯვენა ფლანგის მეთაურის განკარგულებით, ერთდროულად სამი მხრიდან სამი შეჭრა მოხდა მტრის მხარეს.

შავიზღვისპირეთიდან ყუბანში ორი ბატალიონისაგან შემდგარი რაზმი გადავიდა, რომელშიც 1200 შავიზღვისპირელი კაზაკი, 4 ქვემეხი და სარაკეტო დანადგარი იყო და ბჟედუხებს 2000 სულამდე პირუტყვი წაართვა.

იმავე ტომის წინააღმდეგ, ოღონდ საპირისპირო მხრიდან, მაიკოპის რაზმი დაიძრა (4,5 ბატალიონი, 500 კაზაკი, 12 ქვემეხი და საბრძოლო დანადგარი). აქ ჩვენი ჯარი ადგილმდებარეობის გამო მეტ სირთულეს წააწყდა, მაგრამ მომხვდურის მხრიდან წინააღმდეგობა თითქმის არ ყოფილა.

მოულოდნელი თავდასხმა და სულით დაცემა, რაც შიდა განხეთქილებისა და უთანხმოების ბრალი იყო, გახდა მიზეზი, რომ მთიელებს თავისი მდგომარეობის მომგებიანობა არ გამოუყენებიათ. ნაკაფის გაჭრისა და ბჟედუხის 5 მდიდარი აულის დანგრევის შემდეგ, ათ დღეში დანაყოფი მაიკოპში დაბრუნდა.

რუსების ჯარის მესამე კოლონა მდინარე ლაბადან შევიდა მათ მიწაზე, ნაკაფი გაჭრა და 15000 თივის ზვინი დაწვა. ადაგუმის რაზმა 1500–მდე ქოხი გაანადგურეს პურისა და თივის მარაგით.

ამის შემდეგ ჯარი 3 დეკემბერს ზამთრის სადგომებზე დაბანაკდა. ქვემო–ადაგუმისა და მდინარე ყუბანზე აგებული სუროვის სიმაგრეებს ყოველგვარი აღჭურვილობა და სხვა საჭირო მასალა ჰქონდათ; ქვემო–ადაგუმის სიმაგრის გარშემო 3–დან 6 ვერსამდე ტყეები გაკაფული იყო, ჩერქეზების აულები, რომლებიც 18 ვერსის დაშორებით იყვნენ, ყველა განადგურებული იყო.

აგრეთვე, მაიკოპის დანაყოფი 9–დან 31 დეკემბრამდე მდინარეების ბელაია და კურჟიპსუს გასწვრივ ნაკაფს ჭრიდა; ამ სამუშაოს განმავლობაში, რომელსაც მოსული თოვლი უშლიდა ხელს, რუსების ჯარს რამდენჯერმე მოუხდა მტერთან შეტაკება. (უგრინოვიჩი 1858: 78)

რუსები სირთულეებს განიცდნენ, მაგალითად, მესამე კოლონა პოლკოვნიკ მორენცის მეთაურობით (სტავროპოლის ქვეითი პოლკის ყოფილი მეთაურის, ამჟამად გენერალ–მაიორის), 22–დან 23 დეკემბრის ღამეს ბანაკიდან ნაკაფის გასაჭრელად გამოვიდა მოპირდაპირეთ მდებარე მთაზე. დილისათვის ამ კოლონამაც

გამოუშვა ბანაკში ხელ–ფეხ მოყინული ჯარისკაცები, მაგრამ მათი რიცხი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე პირველ ორ კოლონაში.

საერთო ჯამში, სამივე კოლონამ 1200–მდე ხელ–ფეხ მოყინული მოსამსახურე დააბრუნა, რომელთაც ან ხანგრძლივი მკურნალობა, ან კიდურების მოკვეთა ესაჭიროებოდათ.(მაიკოპი 1868:103)
რუსების ბანაკი 23 დეკემბრის შემდეგ ერთ დიდ ჰოსპიტლად გადაიქცა. (მაიკოპი 1868:104)

თვითონ ლაპინსკი წერს, რომ რუსი ჯარისკაცის მდგომარეობა კავკასიაში უკეთესია, ვიდრე რუსეთში, მაგრამ მხოლოდ იქ, სადაც დიდი გარნიზონები დგას, უმაღლესი გენერლების თვალწინ. სასაზღვრო ციხე–სიმაგრეებში ჯარისკაცის მდგომარეობა ძალზე სავალალო და მძიმეა. ამასთან, მას ცუდად კვებავენ, ხოლო ოფიცრები, რომლებიც თითქმის არავითარ კონტროლს არ ექვემდებარებიან, ამ ვითარებით სარგებლობენ და კარგად ცხოვრობენ ჯარისკაცის კუთვნილი ჯამაგირის ხარჯზე და ხშირად მთელ ქონებას იძენენ. კავკასიაში ომი რუსეთის მთავრობას იმდენად ძვირი უჯდება, რომ ამ ფულით, რა თქმა უნდა, მთელი თურქეთისა და სპარსეთის ყიდვა შეიძლებოდა.

ციხე–სიმაგრეებისა და დანაყოფების კომენდანტები თავისი მდგომარეობიდან ყოველგვარ სარგებელს იღებენ. სრულიად უმნიშვნელო ორმხრივი სროლიდან ისინი დიდ საქმეს კერავენ და საარაკო პატაკებს ადგენენ; მათში, ხშირად, ადგილისა და რიცხვის დასახელების გარდა არც ერთი სიტყვა მართალი არ არის. თუ აბაზები დიდი რაოდენობით ხალხს დაუხოცავენ, კომენდანტები მათ ციებ–ცხელების ან რომელიმე სხვა დაავადებისაგან გარდაცვლილებად წარმოადგენენ. ისინი იშვიათად კარგავენ ერთზე მეტ ადამიანს, თუმცა უხვები არიან პატაკებში მათ მიერ დახოცილი ადიღეელების რიცხვის გაბერვაში. თუ დავითვლით 30 წლის განმავლობაში მათ მიერ ოფიციალურად მოკლულ მტერს, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მთელ კავკასიაში გარდა რუსეთის მეფის არმიის შემადგენლობისა, აღარავინაა ცოცხალი.

ოფიცრები, რომლებიც ხანგრძლივად მსახურობდნენ კავკასიაში, ლაპინსკის არწმუნებდნენ, რომ ყოველ შვიდ წელიწადში არმია ხელახლა ფორმირდება. ეს ნიშნავდა, რომ შვიდი წლის მანძილზე ავადმყოფობების, გაჭირვების და ომის გამო

120000 კაცისაგან შემდგარი რეგულარული ჯარი სრულად ნადგურდება და მუდმივად უნდა შეივსოს ახალი ნაკადით. არარეგულარული არმიის დანაკარგი – კაზაკებისა და მილიციის – აქ საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ეს რუსეთისათვის დიდი სისხლის გამოშვებაა, რომელმაც ამ გათვლებით, ეკატერინე II–დან მოყოლებული, კავკასიის მთებში მილიონნახევარზე მეტი ჯარისკაცი დამარხა! (ლაპინსკი 1995:7)

1858 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში რუსეთის სამხედრო სარდლობამ რიგ ზომებს მიმართა, რომლებმაც არსებითად გაართულა როგორც ლაპინსკის რაზმის, ისე მთლიანად ჩერქეზეთის მოსახლეობის მდგომარეობა. რედუტ-კალეში, სუხუმ-კალესა და ანაპაში დააწესეს კარანტინები და საბაჟოები, სადაც ყველა უცხოური ხომალდი უნდა შემოსულიყო, რომელიც აპირებდა რუსების კონტროლის ქვეშ მყოფი კავკასიის ნაპირებთან გაჩერებას. შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე შემოყავდათ რუსული კრეისერები. ერთდროულად შენდებოდა ახალი გამაგრებები, ეწყობოდა კაზაკთა სტანიცები, იჩეხებოდა ტყის მასივები, იკაფებოდა გზები ჩერქეზეთის მთიანი რაიონების მიმართულებით. რუსულმა ჯარებმა შეტევითი ოპერაციები წამოიწყეს.

დეკემბრის პირველ რიცხვებში ფილიპსონმა ადაგუმის დანაყოფის მიერ შესრულებულ დავალებაზე უპატაკა ხელმძღვანელობას. მისი შედეგების მიხედვით დასკვნა ასეთია:

1) აშენდა ქვემო–ადაგუმის და ხიდისწინა სუროვსკის სიმაგრეები მათ შორის დამაკავშირებელი მოწყობილობით;

2) გაიჭრა ნაკაფი ბჟახომეზის ტყეში ქვემო–ადაგუმის სიმაგრიდან მომავალ ცენტრალურ სიმაგრემდე, მისი სიგანე 800 საჟენია;

3) აღმართული სიმაგრის ირგვლივ მოსუფთავებულია ადგილი რადიუსით 3½ – 6 ვერსამდე;

4) განადგურებულია აულები რადიუსით 18 ვერსზე, ამასთან, გადამწვარია 3500 კომლი და განადგურებულია თივისა და პურის ძალიან დიდი მარაგი;

5) მთიელები სულით დაეცნენ, რაც მათ გაუბედავ და უკიდურესად დუნე ქმედებებში გამოიხატა (რუკევიჩი 1896:289).

1858-1859 წლებში თ. ლაპინკის ქვედანაყოფი მძიმე ბრძოლებს მართავდა რუსეთის ჯართან. რაზმის მომარაგება საბრძოლო მასალით, ტანსაცმლითა და სურსათით მკვეთრად უარესდებოდა. ლაპინსკიმ მანამდე სრულიად უცხო ორი რამ შემოიღო – გადასახადი და ბაჟი. ის იმედოვნებდა, რომ თუ დანაყოფი გეგმის მიხედვით ჩამოყალიბდებოდა და ქვეყანას სერიოზულ მხარდაჭერას აღმოუჩენდა რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაშინ გამოსაღები და ბაჟი მთელ ქვეყანაზე გავრცელდებოდა და ეს სრულიად საკმარისი იქნებოდა 1000 ადამიანის შესანახად, მაგრამ ეს მომავლის საქმე იყო და პოლონელები ელოდებოდნენ დახმარებას კონსტანტინოპოლიდან. 20 იანვარს ლაპინსკიმ კონსტანტინოპოლში ლეიტენანტი შტოხი გაგზავნა, მას წერილები უნდა გადაეცა ისმაილ–ფაშასთვის და ჩემი თანამემამულეებისათვის; შტოხი პირადად უნდა დარწმუნებულიყო მათ სანდოობაში დახმარების აღმოჩენისას (ლაპინსკი 1995: 16).

ისმაილ-ფაშამ უარი განაცხადა ლაპინსკის ექსპედიცის შემდგომ დაფინანსებაზე და საერთოდ განცხადა, რომ პოლონელებს არ იცნობდა. ლაპინსკის ბოლო იმედი „ოტელ ლამბერი“[19] იყო ის წერდა იორდანოვს[20]: *“მე არ მესმის თქვენი საქციელის, მე ხომ არ მეხმარებით, თქვენ ეხმარებით პოლონეთს, არცერთი პოლონელი ჩემს ადგილას ამდენს ვერ აიტანდა ... მე ტკივილს ვგრძნობ და იმაში რომ, ვინმე გამომიგზავნის დახმარებას უკვე აღარავის არ მჯერა“* (ლატკა 1988:85). ლაპინსკის ავიწყდებოდა, რომ „ოტელ ლამბერის“ მისი ექსპედიციისთვის კავკასიაში მხარი არ დაუჭერია და პოლონური ემიგრაცია მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ერთერთი პოლონელი ემიგრანტი ლატკა არ ინდობს შეფასებაში ლაპინსკის და წერს: *„ის (ლაპინსკი) რამდენიმე ხმალუკებით აპირებდა რა რუსეთის დამარცხებას... გენერალ ზამოისკის კი არც უნდა იცოდეს რაიმე ამ ექსპედიციის შესახებ, რომელსაც არანაირი სარგებლობა არ მოუტანია პოლონეთისთვის. ვის ომში გაყო თავი ლაპინსკიმ გაუგებარია. ეგ საცოდავი პოლონელი თვითონ დამნაშავეა*

[19] „ოტელ ლამბერი“ გადატანითი მნიშვნელობით - ადამ იეჟიდა ჩარტორისკის მიერ 1843 წლიდან პარიზის სასტუმრო „ლამბერში“ დაარსებული კონსერვატიული პოლონური ემიგრაციის პოლიტიკური შტაბი და კულტურული ცენტრი.

[20] კონსტანტინოპოლში დასახლებული პოლონელი ემიგარნტი სიგიზმუნდ იორდანი. აქტიურად უჭერდა მხარს 1856-1859 წლებში ლაპინსკის ექსპედიციას.

*თავის თავზე დამტყდარ უბედურებაში და არასწორედ აფასებს მოვლენებს“* (ლატკა 1988:87).

იმ დროისათვის უკვე შეინიშნებოდა საბოლოო განხეთქილება სეფერ-ბეისა და ლაპინსკის შორის (ლაპინსკი 1995: 18).

ლაპინსკიმ მოახერხა სეფერ–ფაშას რუსებთან მიმოწერის ხელში ჩაგდება. როგორც აღმოჩდა, სეფერ-ბეი ცდილობდა რუსებთან კავშირი დაამყარებინა, მისი სიძე ჩერქეზი უორკი ბასბა-ოღლი ღიად გადავიდა რუსების მხარეს და ოჯახთან ერთად სუჯუკ-ყულეში გადასახლდა. ლაპინსკისთვის ცნობილი გახდა, რომ სეფერის ახლო გარემოცვიდან 12 ჩერქეზი რუსებთან ერთად სადამსჯელო ექსპედიციებში იღებდნენ მონაწილეობას.

ამასთანავე სეფერ–ფაშა თავისი მეგობრების დახმარებით კონსტანტინოპოლში ავრცელებდა ინფორმაციებს. მათი მონაყოლის მიხედვით, ლაპინსკი ხან ტყვედ ჩავარდნილი, ხან მოკლული იყო; ბოლოს ლაპინსკი ნაიბმა მოკლა. მაგრამ პოლონელი კონსტანტინოპოლში მყოფმა თანამემამულეებმა გააოცეს, რომლებიც ყოველივე ამას წმინდა წყლის სიმართლედ იღებდნენ.

1859 წლის ივნისში პოლკოვნიკმა მიატოვა სეფერ-ბეი და მუჰამედ-ამინს შეუერთდა.

განსაკუთრებული ენერგიულობისა და მოხერხებულობის წყალობით მუჰამედ–ამინმა შეძლო ის, რაც ვერც ერთმა მისმა წინამორბედმა ვერ მოახერხა – ვერც თურქებმა და, მით უფრო, ვერც რუსებმა, – ადიღეის ქვეყნის დაყოფა ნამდვილ ადმინისტრაციულ ერთეულებად (პირველად მას შემდეგ, რაც აბაზების მოდგმა არსებობს). ქვეყანა 13 მეხკემედ[21] დაიყო, უმთავრესს ადმინისტრაციულ თანამდებობებს მოჰამედ–ემინის დამჯერი და ერთგული ხალხი იკავებდა და 1000–ზე მეტი ცხენოსანი და ქვეითი მურთაზიკი ნაიბის პირველივე ნიშანს ემორჩილებოდა და მის ბრძანებას აღასრულებდა. წყარო ლაპინსკი(ლაპინსკი 1995: 9)

მუჰამედ-ამინმა პოლონელებთან ერთად მთიელთა რაზმების გაერთიანება და ახალი ძალისხმევით რუსებთან ბრძოლის გაგრძელება გადაწყვიტა. მისი ვარაუდით, თუ ლაპინსკი 1000 პოლონელ ჯარისკაცთან და 10 ქვემეხთან ერთად მასთან

---

[21] მეხკემე - არაბულად ნიშნავს „სასამართლო დარბაზი“, ამ შემთხვევაში - ადმინისტრაციულ ერთეულს.

დარჩებოდა, მაშინ ისინი აბაზების შეგროვებას შეძლებდნენ მდინარე ყუბანის შესართავიდან ენგურამდე და იალბუზამდე და შამილს შეუერთდებოდნენ.

ლაპინსკი ამ სიტყვებმა გაახარა, რადგან ის სეფერისაგან მსგავსის მოსმენას არ იყო ჩვეული, სეფერი მუდმივად ფადიშაჰზე, საკუთარ თავსა და საკუთარ საგვარეულოზე ლაპარაკობდა. ლაპინსკისათვის მხოლოდ ის იყო უხერხული, რომ მუჰამედ–ემინზე ოთხი თვის მანძილზე არავითარი ცნობა არ მიუღია შამილისაგან, მაგრამ მისგან მიღებული უკანასკნელი ცნობები საკმაოდ ცუდი იყო. დაღესტანში ისევე მიდიოდა საქმე, როგორც აბაზებთან. ერთი მხრივ, იმამის წინააღმდეგ ინტრიგებს ხლართავდნენ დანიელ–სულთანი და სხვა მრავალი თათარი ხანი, მეორეს მხრივ, იგივეს რუსები აკეთებდნენ. ხალხი ბრძოლისაგან დაიღალა და ბოლო აღმოსავლური ომიდან მოყოლებული, მას რუსეთის დაუმარცხებლობის წარმოდგენა შეექმნა, იმამისადმი უწინდელი მორჩილება შეწყდა. შამილი თავად თხოვდა მუჰამედ–ემინს, საჭიროების შემთხვევაში აბაზეთში ჩასულიყო, მაგრამ მუჰამედ–ემინმა შამილს ეს აზრი არ მოუწონა. ნაიბი ფიქრობდა, რომ აბაზები 20 წლის შემდეგაც ვერ გახდებოდნენ ჭეშმარიტი მუსლიმები, ან საერთოდ ვერასდროს გახდებოდნენ. შამილს აბაზების ერთი ნაწილი გარკვეული ენთუზიაზმით მიიღებდა, უმრავლესობა კი – უნდობლობით. ამიტომ, შესაძლოა, ამ ქვეყანაში მას სიკვდილი ეპოვა, ხოლო მისი დიდება კი სამუდამოდ დაიმარხებოდა. მუჰამედ–ამინი პოლონელს არწმუნებდა, რომ დასაწყისში თავადაც ეგონა, რომ ისლამი აბაზეთშიც ისევე მყარად მოიკიდებდა ფეხს, როგორც დაღესტანში, მაგრამ ეს ასე არ აღმოჩნდა და ქვეყანაში მტრების უმრავლესობა სწორედ ალაჰისადმი და მისი მოციქულისადმი გულმოდგინე მსახურებამ შესძინა მას (ლაპინსკი 1995 :18).

## § 5. ცნობები საქართველოზე

მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის პოლონელი ლაპინსკი ქართველებზე, რომლებიც კავკასიურ ომში რუსეთის იმპერიის მხარეს იბრძოდნენ.

საერთო გეგმების განსახორციელებლად ლაპინსკიმ გადაწყვიტა მისთვის უცნობ სვანეთში წასვლა, რათა ერთობლივი განმათავისუფლებელი ბრძოლისკენ

მოეწოდებინა ამ ხალხისთვის, რომელსაც დროებითი ზავი ჰქონდა დადებული რუსებთან.

თეოფილ ლაპინსკი მოგვითხრობს, რომ სვანებს დიდი მეგობრობა აკავშირებდა აბაზებთან. ისინი მათთან ერთად ძარცვის მიზნით თავს ესხმოდნენ სამეგრელოს, შემდეგ კი ყოველივეს უბიხებს აბრალებდნენ, რათა თავიდან აეცილებინათ რუსების სასჯელი. თვალის ასახვევად საომარ ექსპედიციებსაც აწარმოებდნენ უბიხების წინააღმდეგ. რუსებმა ამ საქმის ვითარება კარგად იცოდნენ, მაგრამ არ იმჩნევდნენ, რათა სვანეთში აჯანყება არ გამოეწვიათ. ლაპინსკის მიაჩნდა, რომ სვანებს უფრო მეტი საერთო ჰქონდათ ჩრდილო-კავკასიელებთან, ვიდრე ქართველებთან. ის წერს, რომ ქართველები ინდოევროპელებს მიეკუთნებიან; ქართველები და სომხები ძალიან გვანან ერთმანეთს, ისინი ქრისტიანები არიან, მათ ადათ-წესები, ისტორია და თავსდატეხილი უბედურება აერთიანებთ (ლაპინსკი 1995 :8).

თეოფილ ლაპინსკი აღნიშნავს, რომ ქართველები ცნობენ რუსეთის მეფის უზენაეს ხელისუფლებას, ისინი მსახურობენ რუსეთის არმიაში და ხალხს აგზავნიან არარეგულარული მილიციის რიგებში. ლაპინსკი ასევე გვაცნობებს, რომ *„ქართველები მცირე რაოდენობით იხდიდნენ გადასახადებს, ან ზოგ შემთხვევაში საერთოდ არ იხდიდნენ; ისინი თავისი დაწესებული კანონებით ცხოვრობენ, იარაღი არ დაუყრიათ და ითმენენ რუსების ბატონობას. სვანები კი ნომინალურად აღიარებენ რუსი მეფის სუვერენობას, არ იხდიან გადასახადებს და ხალხს არ აგზავნიან რუსეთის მეფის კავკასიურ მილიციაში. სვანები, დიდად დაუმორჩილებელი და თავისუფლებისმოყვარე ხალხია“* (ლაპინსკი 1995:19).

გენერალ-ფელდმარშალი ბარიატინსკი იმპერატორს თავის რაპორტში იგივეს ამცნობს: *„დაუმორჩილებელი მთიელები შეიძლება გარკვეულ მორჩილებაში მოვიყვანოთ დიდი ძალისხმევის გარეშე, მაგრამ საკმარისი საშუალება არ გვაქვს მოქმედებებისათვის და ამავდროულად არც მხარდამჭერი პარტია არ გვყავს მათ შორის. ქუთაისის გუბერნიაში, ამ ნახევრადმორჩილი და ჩვენ მიმართ მტრულად განწყობილ აფხაზეთში, წებელდაში და სვანეთში წესრიგის დამყარებისას გამოჩენილი იყო ყურადღება“* (აქტები 1904: 1283).

ამ ვითარების გათვალისწინებით, თეოფილ ლაპინსკი იმედიანად ჩავიდა თავის მეგობრებთან ერთად თავისუფალ სვანეთში. ის აღწერს სვანების ყოფას: *„სვანებს სახლი, ტანსაცმელი, იარაღი ისეთივე აქვთ როგორც ადიღეელებს, სტუმარ-მასპინძლობა ჩინებული, მაგრამ აბაზებისგან და ადიღელებისგან განსხვავებით უფრო ღატაკები, ველურები და ჭუჭყიანები არიან“* (ლაპინსკი 1995:19).

როგორც პოლონელი მებრძოლის მონათხრობიდან ირკვევა, სვანებს რუსების წინააღმდეგ ჩერქეზებთან ერთობლივი ბრძოლის საწინააღმდეგო არ ჰქონიათ. მათ პოლონელების ქრისტიანობის გამო უფრო მეტი ნდობა გამოხატეს ლაპინსკის და მისი მეგობრების მიმართ. ლაპინსკი სვანეთში დარჩენას ორი კვირით გეგმავდა, მაგრამ ჩასვლიდან ორი დღის შემდეგ მოჰამედ-ამინისგან მიიღო წერილი, რომელიც აბაძეხიაში [22]რუსეთის 50 000-იანი ჯარის შემოჭრას ატყობინებდა და სასწრაფოდ ჩერქეზეთში დაბრუნებას სთხოვდა. სვანებმა მომავალში არ გატეხეს სიტყვა და 1959 წლის 20 აგვისტოს აბაზაში გამართულ სახალხო საბჭოზე 62 ცხენოსანი გააგზავნეს, როცა თვითონ აბაზები 32 კაცით იყვნენ წარმოდგენილები, ოსები - 6 კაცით, აბაძეხებმა კი დეპუტაცია არ წარადგინეს. სვანების 62 კაცი სოლიდური რაოდენობა იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სვანეთში 1639 სული ცხოვრობდა (ლაპინსკი 1995 :19). [23]

თეოფილ ლაპინსკი ნაშრომის პირველივე თავში აქვეყნებს დეტალურ სტატის-ტიკურ მონაცამებს რუსეთის იმპერიის ჯარის რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ. დიდი პატივისცემით მოიხსენიებს ქართველ მამაც და ნიჭიერ მეომრებს. აღნიშნავს, რომ რუსეთის ჯარის შემადგენლობაში იბრძოდნენ ქართველები, მილიცია მეტწილად ქართველებისაგან იყო დაკომპლექტებული. ქართველი სახაზო ბატალიონები ყველა ბრძოლაში, სამუშაოებში და სირთულეებში იღებდენ მონაწილეობას. ისინი ავანგარდს შეადგენდნენ (ლაპინსკი 1995:1).

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებიც ადასტურებს, რომ ქართული მილიცია აღმოჩდა მამაცი და დისციპლინირებული. ქართველი გრენადიორები ბრწყინვალეები იყვნენ (აქტები1904 : 1091).

---

[22] ასე უწოდებს ლაპინსკი ჩერქეზეთს.

[23] საინტერესოა ის ფაქტი, რომ იგივე სტატისტიკური მონაცემები სვანებზე გამოქვეყნებულია ჟურნალ „Кавказский календарь“-ის სტატისტიკურ მიმოხილვებში (კავკაზსკი 1858: 269).

ასეთივე შეფასებებს აკეთებდნენ რუსი გენერლები თავიანთ რაპორტებში. *„მი-ლიცია, რომელიც ძირითადად თუშებისა და კახელებისაგან იყო დაკომპლექტებუ-ლი, მეგრელი გრენადიორების პოლკი, მისი იმპერატორული უდიდესობის კონს-ტანტინე ნიკოლოზის ძის ქართული გრენადიორების ბატალიონი, ელვისებური სისწრაფით წარმატებულად იბრძოდნენ კავკასიურ ომის ყველა ფრონტზე“* (აქტები 1904: 1103).

თეოფილ ლაპინსკი წერს, რომ *„ქართველების მოთმინება დროებითია: ქართველები და იმერლები მოუთმენლად ელიან ინგლისელებისა და ფრანგების ჯარის გამოჩენას, რათა შეუერთდნენ; მაგრამ ამჟამად თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლა აქვთ გადაწყვეტილი“* (ლაპინსკი 1995 :19).

აღსანიშნავია, რომ რუსების მხედართმთავრობა ქართველ ოფიცრებს არ ენდო-ბოდა და მათ ერთგულებაში ეჭვი ეპარებოდა. ინფანტერიის გენერალი ოლშევსკი ხაზგასმით აღნიშნავს: *„თავი უნდა ავარიდოთ მთავარ პოსტებზე ქართველების დანიშვნას, ისინი მეგობრობის, ნათესაობის და სხვა გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო ჩვენ ზიანს მოგვაყენებენ“* (ოლშევსკი 2003: 124). საინტერესოა რუსი ოფიცერს ტორნაუს მოსაზრებები ამავე საკითხან დაკავშირებით. იგი წერს თავისი მოგონებებში თუ რა მოხდება რუსეთის იმპერიამ კავკასიაში რომ ძალუფლება დაკარგვოს: *„პირველ ყოვლისა, ქართველები განუდგებიან მას, მათ (რუსებს) თათრები მიბაძავენ. სომხები ორივე მხარის სასარგებლოდ იმოქმედებენ იმის მიხედვით, თუ ვისგან რა სარგებელი ექნებათ.*

*მადლიერების გრძნობის ძიება აზიელებში არ ღირს, პირიქით, ქართველი თავადაზნაურობა, ადგილზე მომხდარ გარემოებათა გამო, რუსეთზე დამოკიდებულებაში მისთვის, ანუ თავად–აზნაურობისათვის, უძვირფასესი სიკეთის: ერის დამოუკიდებლობისა და სატრაპული თვითმყოფადობის დაკარგვის მიზეზს ხედავს.*

*და მაშინ, როდესაც გენერალ–ადიუტანტის აქსელბანტებმაც ვერ შეაჩერეს აბხაზი მთავარი და ის მტრის მხარეს გადავიდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მათი ქვეყანა მტრის ჯარს დაკავებული არ ჰქონდა, შეიკავებენ თუ არა ამგვარი ქმედებისაგან წარჩინებულები თავს, როდესაც დაინახავენ, რომ ჩვენი ძალა მოკავშირეების ძალას*

*ჩამოუვარდება; როდესაც დარწმუნდებიან, რომ ამ მხარის შესანარჩუნებლად სათანადო ზომები არ მიიღება და მთელი ჩვენი ძალისხმევა მხოლოდ მტრის დროებით მოგერიებს ხმარდება.*

*ვიდრე თურქები მარტონი იბრძოლებენ ჩვენს წინააღმდეგ კავკასიაში, მანამდე თავად–აზნაურობა გონებით თუ არა, მკერდით დაგვიცავს, რადგან მათ იციან, რომ თურქეთი მარტო ვერ შეძლებს წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთს; დასავლეთის ქვეყნების დადებითმა როლმა კავკასიაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებში ადვილად შეიძლება შეცვალოს ამიერკავკასიელ წარჩინებულთა ქმედებები. ამასთან, ევროპასთან მოკავშირეობა ქართველებს იმას მიცემს, რისი მიცემაც რუსეთის მთავრობას არ შეეძლო და რისადმი მზაობაც, მიუხედავად ამისა, მათ აქვთ, სახელდობრ: ვახტანგისა და ერეკლეს სამეფოების პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და მთავრების, თავადებისა და მმართველების ფეოდალურ თვითნებობას.*

*მუსულმანი თათრები, მიუხედავად იმისა, რომ მათ წარჩინებულებსაც უფრო მეტი მისცეს, ვიდრე ისინი თავად ელოდნენ და ითხოვდნენ, ქართველებთან შედარებით უფრო ფრთხილები და წინდახედულები არიან. საქართველოში ჩვენი ჯარი როგორ მოკავშირე, ისე შევიდა. მუსლიმურ პროვინციებმა კი რუსული იარაღის ძალა განიცადეს და დღემდე ახსოვთ. თათრები ზურგს გვაქცევენ, როდესაც ჩვენს სამხედრო წარუმატებლობაში დარწმუნდებიან“* (ტორნაუ 2008: 464).

თეოფილ ლაპინსკი აღნიშნავს, რომ რუსეთის გაბატონება ამ ტერიტორიაზე, რომელიც ერთადერთი საზღვარია ევროპასა და აზიას შორის, გარდაუვალია. კავკასიის დაპყრობის მნიშვნელობა, ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ყველაზე კარგად რუსებმა გაიაზრეს და ამისათვის არ დაიშურა მილიონობით ადამიანი და მილიარდობით რუბლი.

თეოფილ ლაპინსკი ვარაუდობს, რომ *„ქართველები და სომხები ორ სახელმწიფოს შექმნიან, რომლებიც ევროპის მორალური მხარდაჭერის შემთხვევაში, დასავლური ცივილიზაციის იდეებს შეითვისებენ, განვითარდებიან და ევროპის აღმოსავლური აგრესიისგან დასაცავად ფორტპოსტს შექმნიან“* (ლაპინსკი 1995:20).

## § 6. ექსპედიციის დასასრული

პოლონელი მებრძოლის კავკასიაში მოღვაწეობის ისტორიას ვერ დავასრულებთ, თუ არ განვიხილავთ საკითხს ექსპედიციის დასრულების შესახებ.

ლაპინსკი სვანეთიდან ბრუნდება ჩერქეზეთში, სადაც მას ცუდი ამბავი ელოდება - შამილი დატყვევებულია რუსების მიერ. ამის შესახებ თვითონ შამილი მოწერს მუჰამედ-ამინს წერილს: *„იმამ შამილის წერილი მუჰამედ–ემინს, ერთგულს მუჰამედისადმი და მის ძმებს, აბაზების, შაფსუღების, უბიხებისა და ნატუხაელების ყველა დიდებულ და პატივცემულ მმართველს, სწავლულს, მამასახლისსა და წინამძღოლს... აქამდე, ღვთის დახმარებით, და ძალისა და შესაძლებლობის მიხედვით, მე და თქვენ რუსების წინააღმდეგ ომს ვაწარმოებდით, მაგრამ ღმერთმა ინება ჩემი მათ ხელში გადაცემა და მთელი დაღესტნის მცხოვრებთა მათ ძალაუფლებას დამორჩილება. მაგრამ დიდი ხელმწიფე ისე არ მომექცა, როგორც ეს ჩემს მტრებსა და მოშურნეთ ეგონათ, პირიქით, უდიდესი პატივით მიმიღო... ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაც მომწერეთ, ასევე იმის, რომ სხვა ხალხების დახმარების გარეშე დარჩით და აღარ გყავთ მეგობრები, რათა ომი განაგრძოთ, როგორც ხარს, რომელსაც რქები მოტეხეს და როგორც ხმალს, რომელსაც ტარი არა აქვს... დადეთ ზავი და დამორჩილდით ხელმწიფეს. რუსებმა სძლიეს დაღესტანს და ეჭვგარეშეა, რომ თქვენთანაც მალე დაამთავრებენ საქმეს და მაშინ თქვენი მდგომარეობა მძიმე იქნება. ეს მოსაზრება და რჩევაა; თუმცა თქვენი ნება თქვენს ხელთაა, თქვენ იცით საკუთარი ქვეყნისა და საკუთარი ხალხის მდგომარეობა. კარგად დაფიქრდით საკუთარ თავზე...“* (აქტები 1904: 827).

ლაპინსკი საინტერესოდ გვიამბობს შამილის დატყვევების შესახებ. მისი მონთხრობიდან ვიგებთ, რომ იმამი არასდროს ყოფილა აბაზეთში და იქ მისი სახელი პირველად ცნობილი მხოლოდ 1845 წლიდან გახდა. შამილის დატყვევება არა წაგებული შეტაკებების ან ხანგრძლივი უიმედო ბრძოლის შედეგი იყო, რამაც სულიერი დაცემა და კატასტროფა გამოიწვია, არამედ, უბრალოდ, შინაგანი აღშფოთებისა, რამაც შამილი აიძულა რუსებთან თავშესაფარი ეძებნა; მდგომარეობის გადასარჩენად მან ბოლო მომენტში რუსებთან შებრძოლების სიმულაცია გაითამაშა, რაც ორივე მხრიდან სისხლისღვრის გარეშე დასრულდა. ამ შინაგანი აღშფოთების

მიზეზი შამილისა და მისი მიურიდების მიერ დაწესებული გადასახადების სიმძიმე იყო, რამაც ხალხი დაღალა; რელიგიური პირმოთნეობა, რითაც პიროვნული სიხარბე ინიღბებოდა.... შამილის წინაშე შემდეგი პერსპექტივა იდგა: იგი ან თავისი თვისტომების მიერ ნასროლი ტყვიის მსხვერპლი გახდებოდა, ან რუსებს ჩაბარდებოდა და ამით საკუთარ სიცოცხლესა და ფულს გადაარჩენდა .ამაში ლაპინსკის სერიოზულად არწმუნებდნენ მრავალი ჩეჩენი და ლეკი, რომლებთანაც თავად პოლონელს კონსტანტინოპოლში 1860–1861 წლებში უსაუბრია (ლაპინსკი 1995: 1).

1859 წლის 20 ნოემბერს მუჰამედ-ამინმა დაყარა იარაღი და რუსებს ერთულება შეჰფიცა. იმამის და მისი ნაიბის კაპიტულაციის შესახებ ამბავმა დამათრგუნებელი ზემოქმედება მოახდინა მთიელებზე. ბევრი მათგანი დაუძლურდა ხანგრძლივი ომის გამო და იძულებული შეიქნა დაეწყო რუსეთთან შერიგების გზების ძიება, რამაც განხეთქილება შეიტანა წინააღმდეგობის გამწევ ძალთა ურთიერთქმედებაში. პოლონელთა მომდევნო მონაწილეობა საბრძოლო ქმედებებში უაზრო ხდებოდა. ათვითცნობიერებდა რა, რომ ჩეჩნეთში გამოთავისუფლებულ რუსთა დიდ სამხედრო ძალებს დასავლეთ კავკასიასა და შავიზღვისპირეთში გადმოიყვანენ, ლაპინსკიმ მიიღო ევროპაში დაბრუნების გადაწყვეტილება.

1859 წლის 5 დეკემბერს ის კონსტატინოპოლში დაბრუნდა, ხოლო მისი ხალხი 1860 წლის თებერვალში შეუერთდა. კონსული მოშნინი თავის პატაკში წერს: *„პოლონელების დიდმა ნაწილმა დატოვა შაპსუღები. ზოგიერთი მათგანი სინოპიდან კონსტანტინოპოლში გაემგზავრა, ზოგიერთი კი ისევ ჩერქეზეთში იმყოფება. მათი გვარებია ხინოვსკი, შტოლანსკი, დოლოგჟანსკი, ბედნაცკი, დოლოლაკი, დომანსკი, ქრისტოფიაკი, და ნოვაკი. აქ ჭორები დადის, რომ მუჰამედ-ამინის მორჩილება რუსების მიმართ მოჩვენებითია და ჩვენ მიმართ საწინააღმდეგო განზრახვები ამოძრავებს*" (აქტები 1904:830) გენერალი ფილიპსონი კი მთავარსარდალ მილუტინს ირონიით სავსე პატაკს უგზავნის: *„არც კი ვიცი თუ რომელიმე ფლიბუსტიერი დარჩა შაპსუღებთან. ყოველ შემთხვევაში თუ დარჩნენ ისინი საწყალ მდგომარეობაში არიან და ყურადღების ღირსებიც არ არინ ჩვენი მხრიდან"* (აქტები 1904: 832).

1861 წლის გაზაფხულზე ორმა რუსულმა კორპუსმა 12000 კაცის რიცხოვნობით მდინარეებზე ილი და შეპში შარშანდელი პოზიციების ოკუპირება მოახდინა. დიდმა კორპუსმა კი (30000 კაცი), ბანაკი გაშალა ადაგუმისა და აბინის სიმაგრეებს შორის და იქიდან დაიწყო შეტევა ორი კოლონით გელენჯიკის მიმართულებით, სადაც რამდენიმე ათასი კაცი იმყოფებოდა. ერთი კოლონა შაპსოგურისა და მცირე აბინის გავლით, დობის გზისკენ დაიძრა, მეორე ტყის ბილიკის გავლით, გზიდან მარცხნივ, ადერბისაკენ, იქიდან კი გელენჯიკზე. „ინვალიდმა" [24] 1861 წელს ბრწყინვალე პატაკი გამოაქვეყნა ამ ოპერაციის შესახებ და განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოთქვა იმის შესახებ, რომ რუსული ჯარი „ფლიბუსტერების" (როგორც ლაპინსკის რაზმს მოსკოვის გაზეთი უწოდებდა ) ყოფილ მთავარ ბინაში დაბანაკდა (ლაპინსკი 1995: 19).

თავისი საქმიანობის შეჯამებისას ლაპინსკი წერს: *„სამი წლის განმავლობაში, თუ საწყის ეკიპირებასაც ჩავთვლით, მთელმა მხარდაჭერამ, რომელიც ფულისა და ნაწილობრივ საკვების მარაგის სახით მივიღეთ, ძლივს მიაღწია 5000 ტალერს. და თანაც ყველაფერი ეს არა ერთდროულად გადმოგვეცა, არამედ სრულიად მიზანშეუწონლად ორ ნაწილად გაიყო. იზმაილმა, რომელიც ყველაფერს ამას მპირდებოდა, მხოლოდ 2000 ტალერი გამოგვიყო, თავად ჩარტორისკისა და გენერალ ზამოისკის მიერ გამოგზავნილი საკვების მარაგიც კი ორჯერ უფრო ძვირი ღირდა. თანაც, როგორც ეს ზემოთ იყო მითითებული, ამის უმნიშნელოვანესი ნაწილი დაკარგული იქნა კორესპონდენტთა დაუდევრობის გამო. ამ სახსრებით, ამ რამდენიმე ქვემეხით, რომელიც ჩვენ თავად უნდა დაგვეყენებინა ლაფეტებზე, რკინისა და დენთის მცირე რაოდენობით ჩვენ თითქმის სამი წლის განმავლობაში გავძელით, განვიცადეთ ყველაფერი, რისი გადატანა შეუძლია რამდენიმე ადამიანს, გავუხსენით ევროპელებს გზა ამ აქამდე ჩაკეტილ ქვეყანაში; ოდნავ გავაცანით აბაზებს ცნობილი ადმინისტრაციული წესრიგი, ბევრად გავაუმჯობესეთ და ვიზრუნეთ რუსული ჯარიდან ჩვენ მხარეს მრავალრიცხოვანი გადმოსულის ბედ-იღბალზე და საბოლოოდ, ყველა ამ დანაკარგის შემდეგ უკან 16 კაცით უფრო ძლიერნი დავბრუნდით, ვიდრე წასვლისას. თუკი რაზმში დროდადრო არეულობა*

[24] ლაპინსკი გულისხმობს რუსულ გაზეთს „Русский инвалид" — სამხედრო სამინისტროს ოფიციალური გაზეთი, რომელიც ქვეყნდებოდა ს-პეტერბურგში 1862- 1917 წლებში.

*ხდებოდა, იმ მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით, ამაში არაფერი იყო არაჩვეულებრივი და მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი სხვა რაზმი ჩვენ ადგილას უნდა დაღუპულიყო. თუ ჩვენს შორის მოიძებნა რამდენიმე ერთეული სუსტი პიროვნება, უმეტესობა მაინც შთაგონებული იყო იმ ენერგიით და თავგანწირვის იმ სულისკვეთებით, რომელსაც მოითხოვდა ის მძიმე დავალება, რომელიც ჩვენვე დავისახეთ. გამონაკლისის გარეშე თითქმის ყველა ჯარისკაცი და ოფიცერი მზად იყო უმალ დაბრუნებულიყო უკან, თუ ჩვენ ახალი ექსპედიციისათვის თუნდაც სახსრების ნახევარს მაინც მოვიძიებდით“* (ლაპინსკი1995 :20).

ასე დასრულდა თეოფილე ლაპინსკის (შაფსუღური გვარით ტეფიქ-ბეი ხანტოხუ, იემისის ტომიდან) და პოლონელ მოხალისეთა რაზმის ისტორია, რომელიც თითქმის სამი წლის განმავლობაში იბრძოდა ჩერქეზებთან ერთად რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

## § 7. მოღალატე ჩერქეზეთში. ლაპინსკის ექსპედიცია - რუსული დაზვერვის პროექტი

ზემოთ აღწერილი მოვლენების შემდეგ, 1859 წელს ლაპინსკიმ თავისი დანაყოფის ძირითად ნაწილთან ერთად ჩერქეზეთი დატოვა და თურქული შხუნით კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. ევროპაში დაბრუნების შემდეგ, თ. ლაპინსკი კვლავ აქტიურად ჩაება პოლონური ემიგრაციის მუშაობაში. 60-70-იან წლებში მისი სახელი საკმაოდ ცნობილი ხდება ევროპაში. ლაპინსკი ეცნობა ევროპული რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეებს. 1863 წელს ის ეცნობა ლონდონში კ. მარქსს და მისი სოციალისტური იდეების ზეგავლენის ქვეშ მოიქცევა. ლაპინსკის ნაცნობებს შორის იყო ასევე ა.ი. გერცენი, რომელმაც მას საინტერესო დახასიათება მისცა: *„ლაპინსკი იყო კონდოტიერი ამ სიტყვის სრული გაგებით. მას არანაირი მყარი პოლიტიკური მრწამსი არ ჰქონდა. მას შეეძლო თეთრებსა და წითლების, წმინდანების და ბინძურების გვერდით ევლო; წარმოშობით ეკუთვნოდა რა გალიციურ შლიახტას, ხოლო აღზრდით - ავსტრიულ ჯარს, ის ძლიერ მიისწრაფოდა ვენისკენ. რუსეთი და ყველაფერი რუსული მას ველურად, გაგიჟებით,*

*გამოუსწორებლად სძულდა. თავისი ხელობა, სავარაუდოდ, იცოდა, დიდხანს ომობდა და შესანიშნავი წიგნიც დაწერა კავკასიის შესახებ“* (გერცენი 1973 : 346).

მისგან განსხვავებით 1863 წლის 12 სექტემბერს მარქსი ლონდონიდან ენგელსს ლაპინსკიზე აღფრთოვანებული წერდა: *„ყველაზე საინტერესო ადამიანი, რომელიც მე აქ გავიცანი, პოლკოვნიკი ლაპინსკია. ის, უდაოდ ყველაზე ჭკვიანი პოლონელია მათ შორის, ვისაც ვიცნობ და, ამასთან, საქმის ადამიანია. მისი სიმპატიები მთლიანად გერმანელების მხარესაა, მიუხედავად იმისა, რომ ის თავისი მანერებითა და ენით ფრანგია“* (მარქსი 1984 ბ:305).

ამ პერიოდს განეკუთვნება ლაპინსკის პოლიტიკური ბიოგრაფიის ერთ–ერთი ყველაზე შავ–ბნელი მომენტი. ეს არის წერილი, რომელიც თეოფილ ლაპინსკიმ კავკასიის არმიის გენერალური შტაბის უფროსს, კონსტანტინოპოლში იმპერატორის მისიაში მყოფ, ლეიბ–გვარდიის ცხენოსანთა არტილერიის კაპიტანს, ფრანკინის მიწერა 1860 წლის მაისში. წერილი, რბილად რომ ვთქვათ, გაკვირვებას იწვევს. ლაპინსკი წერს: *„რამდენიმე ხანია, რაც ბეჭდურ გამოცემებში გამოჩნდა სტატიები კავკასიის საბოლოოდ დამორჩილების შესახებ. ჩერქეზების მიწიდან ევროპაში ჩასულები ჩვენ გაოცებულები დავრჩით, როდესაც გავიგეთ, რომ მთიელთა ბედს იქ გადაწყვეტილად თვლიან. ჩვენ თუ გვკითხავთ, მაშინ გეტყვით, რომ საპირისპირო დასკვნამდე მივედით. ამის გასაგებად იქაური მხარის საქმეებში უფრო ღრმად ჩახედვაა საჭირო. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ ბოლო წელიწადს რუსული ჯარის და, კიდევ უფრო მეტად, რუსული პოლიტიკის წარმატებებს. კავკასიის არმიის მთავარსარდალმა მოკლე ხანში უფრო დიდ შედეგებს მიაღწია, ვიდრე მისმა წინამორბედებმა. მაგრამ იმის მტკიცება, რომ კავკასია დამორჩილებულია... ძალიან სარისკოა... თუმცა, ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ დაღესტანი, რომელიც ყველა მხრიდან რუსული სამფლობელოებითაა გარშემორტყმული, დროთა განმავლობაში საბოლოოდ გადავა რუსების ხელში... რუსეთის ხელისუფლებას შეუძლია თავი ბედნიერად ჩათვალოს, რადგან მოკავშირეებმა ვერ შეძლეს ჩერქეზეთის მნიშვნელობის გააზრება გასულ ომში. ვინ დადებს თავს, რომ ახალი ომის შემთხვევაში ამ შეცდომას ისევ გაიმეორებენ? ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ რუსებმა*

*აუცილებლად უნდა დაიპყრონ შაპსუღებისა და უბიხების მიწა, თუკი მათ კავკასიის პროვინციების ფლობა სურთ...*

*ჩვენ თავს უფლებას ვაძლევთ შემდეგი რჩევა მივცეთ მათ. რუსეთის მთავრობამ ჩერქეზებს უნდა შეთავაზონ, არჩევანი გააკეთონ და ამ 4 პუნქტიდან ერთ–ერთი: 1) დაუბრუნდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, რომელსაც ისინი ვერაგულად განუდგნენ, ამ შემთხვევაში მათ იარაღს არ აყრიან და ისინი კაზაკების წესებით იცხოვრებენ; 2) გადასახლდნენ რუსეთის სიღრმეებში; 3) დაყარონ იარაღი და დარჩნენ თავიანთ მიწაზე; 4) გადსახლდნენ თურქეთის სულთნის მფლობელობაში მყოფ მიწებზე. რა თქმა უნდა, თავიდან ყურსაც არავინ ათხოვებს ამგვარ შემოთავაზებას, ამიტომ რჩება ერთადერთი საშუალება – ძალა...*

*რუსულმა ჯარმა უნდა გადაწვას გზაზე შემხვედრი სახლები, ხოლო ექსპედიციები უფრო ხშირად და მეტი ენერგიულობით უნდა მოეწყოს, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა... ვარაუდი, რომ ხალხი ნელ–ნელა მიეჩვევა რუსულ მმართველობას და რუსებს შეერწყმება, მაშინ გაამართლებს, თუ ხალხი ისლამს მიატოვებს, ჯერჯერობით კი ამის იმედი უმნიშვნელოა. გენერალი სერებრიაკოვი, რომელიც ამ ხალხებს ნებისმიერ სხვა რუს გენერალზე უკეთ იცნობდა, ასევე თვლიდა, რომ მარტივი ზავის დადებით შეიძლებოდა წარმატებისა და დასასრულის მიღწევა. ასე ცდებოდა ის 20 წლის მანძილზე და როდესაც მოკავშირეთა გემები შავი ზღვის ნაპირებთან გამოჩნდნენ, პირველად სწორედ ისინი გაიქცნენ მტერთან, ვისზეც გენერალი სერებრიაკოვი ყველაზე დიდ იმედს ამყარებდა. თუ ისევ ძველ სისტემას მიჰყვებიან, 30 წლის შემდეგ რუსების საქმე ისევ ისე იქნება.*

*ისინიც კი, ვინც 10 წელი რუსეთის მიწაზე ცხოვრობდნენ, და ისინიც, ვინც მთავრობამ წყალობით აავსო, პირველი შესაძლობლობისთანავე უკან, მთებში გაიქცნენ. ასეთ ხალხთან ძალა ყველაფერს მიაღწევს, სიმკაცრე – მრავალს, ხოლო შეწყნარება უარყოფით შედეგს გამოიღებს“* (აქტები 1904:846).

რატომ დაწერა ეს წერილი ლაპინსკიმ? ნამდვილადა ისაა ავტორი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა რთული აღმოჩდა. შევეცადეთ ახსნა მისი ევროპაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპოზიდებით გადმოვცეთ.

მიუხედავად იმისა, რომ მარქსმა ლაპინსკი პირადად მხოლოდ 1863 წელს გაიცნო, ის მანამდე კარგად იცნობდა მის ნაშრომს „უნგრეთის ჯარის მთავარი ლაშქრობა“ და გამოყენებულიც ჰქონდა ნაშრომიდან ნაწყვეტები თავის ცნობილ პამფლეტში „ბატონი ფოგტი“. მარქსის პამფლეტის X თავი უნგრეთის რევოლუციური მთავრობის ყოფილი პრეზიდენტის, ლაიოშ კოშუტისა და უნგრეთის არმიის გენერალისიმუსის, არტურ გერგეის მოღვაწეობის მხილებას ეძღვნება.

თავის პამფლეტში ის, ძირითადად, ლაპინსკის ნაშრომზე დაყრდნობით, უნგრეთის რევოლუციის ბოლო დღეების მოვლენებს ახასიათებს: *„უნგრელი პოლკოვნიკი ლაპინსკი, რომელიც კომორნის ჩაბარებამდე უნგრეთის რევოლუციურ არმიაში რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა, წერდა: „უნგრელების უბედურება იყო ის, რომ ისინი რუსებს არ იცნობდნენ... ვენის კაბინეტი მთლიანად რუსების ხელში იყო... მათი რჩევით დახოცეს მეთაურები... ისინი ყველანაირი საშუალებით ცდილობდნენ სიმპატია მოაპოვებინათ და ავსტრიას იმ გათვლებით ხელმძღვანელობდნენ, რომ ის უფრო საძულველი გაეხადათ, ვიდრე ოდესმე“*[25] (მარქსი 2011: 188-189).

გარდა ამისა, მარქსსა და ლაპინსკის რუსებისადმი სიძულვილი აერთიანებდათ, ორივე რუსების წარმომავლობის სხვადასხვა თეორიას მიმართავდა; ამ თეორიების თანახმად, რუსები სლავები არ იყვნენ.

ასე მაგალითად, ლაპინსკი თავის ნაშრომში „მთიელები და მათი განმათავისუფლებელი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ“, მოითხოვს, მკაცრად გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან რუსები – სლავები (ინდოევროპელები) და „მოსკოვიტები“ – თურანელები (ლაპინსკი 1995:1). სრულიად ნათელია, რომ ლაპინსკი ფრანციშეკ დუხინსკის ე.წ. „სლავური ეთნოგრაფიის ახალი თეორიის“ გავლენის ქვეშ იმყოფება, რასაც თავადვე აღიარებს. დუხინსკის თეორიის თანახმად, რუსები სლავები არ არიან, ისინი მომთაბარე „თურანულ–მონღოლოიდურ ტომებს“ განეკუთვნებიან. ამიტომ თავად სახელწოდების „რუსები“ ტარების უფლება მხოლოდ უკრაინელებს (მალოროსებს) და ბელორუსებს აქვთ, რომლებიც, თავის მხრივ, პოლონელების მონათესავენი არიან წარმოშობითა და კულტურით. ველიკოროსები კი, როგორც დუხინსკის მიაჩნია, „მოსკალებად“ ან „მოსკოვიტებად“

[25] Theophil Lapinski. Feldzug der ungarischen Hauptarmee im Jahre 1849, Hamburg, 1850, S. 216.

უნდა იწოდებოდნენ. ფ. დუხინსკის „სლავური ეთნოგრაფიის ახალი თეორიის“ აშკარა მეცნიერული უსაფუძვლობა ჯერ კიდევ მისმა თანამედროვეებმა დაამტკიცეს, კერძოდ, ი.ნ. კოსტომაროვმა, აგრეთვე, დერპტის უნივერსიტეტის პროფესორმა ბოდუენ დე კურტენემ და სხვებმა (რუსკი 2013: 478-508).

ზოგადად ლაპინსკის თეორია, სლავების და კავკასიის ხალხთა კლასიფიკაცია, მის ნაშრომში ყველაზე სუსტ ადგილს წარმოადგენს. მასში ძალიან ბევრი შეუსაბამობა და შეცდომა გვხვდება.

მარქსის წერილი - „XVIII საუკუნის დიპლომატიის ისტორიის მხილება“[26] - ურქვარტის გაზეთში გამოქვეყნდა. ის მარქსთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა 1856–1857 წლების ანტირუსულ პროპაგანდაში.

მარქსის თანახმად, კალიტადან პეტრემდე და ყირიმის ომამდე მოყოლებული, რუსეთის პოლიტიკური ისტორია მონღოლი მონის მონღოლ ბატონად გადაქცევის ბნელით მოცულ მისტიურ დრამას წარმოადგენს. *„რუსეთი ახლა ისევე ექცევა დასავლეთს, როგორც ოქროს ურდოს მოექცა. იმისათვის, რომ მონღოლების ბატონი გამხდარიყო, მოსკოვი უნდა გათათრებულიყო. იმისათვის, რომ დასავლეთზე ბატონობა მოიპოვოს, ის ცივილიზებული უნდა გახდეს... და მონად დარჩეს“* (მარქსი 1899:89).

ნაშრომში ჩვენ ვხედავთ მარქსის წარმოდგენებს რუსეთის საგარეო პოლიტიკის წარმომავლობასა და მიზნებზე და, ზოგადად, მის ევროპასთან დამოკიდებულებაზე.

შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ტრადიცია, რომელშიც რუსეთს ცენტრალური ადგილი უჭირავს, მარქსისა და ენგელსისაგან იღებს სათავეს და მათი დამოკიდებულება „ეროვნული საკითხისადმი“ „აღმოსავლეთის საკითხთან“ უწყვეტ კავშირში ყალიბდება. კავკასიას ამ საკითხის გადაწყვეტაში ერთ–ერთი ცენტრალური ადგილი ეჭირა და მარქსს, ბუნებრივია, ყველაფერი აინტერესებდა, რაც იქ ხდებოდა. ამიტომ მას შეუძლებელია არ სცოდნოდა 1857 წლის ლაპინსკის ექსპედიციაზე, რომელიც პოლონელი ემიგრანტებისა და, ნაწილობრივ, ინგლისელების სახსრებით

---

[26] «Разоблачения дипломатической истории XVIII века» – სწორედ ასეა წარმოდგენილი სტატიის სათაური ერთადერთ რუსულ თარგმანში, რომელიც 1989 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში «Вопросы истории». ინგლისურ ორიგინალში მისი სათაური ბევრად სენსაციურად ჟღერს: „XVIII საუკუნის საიდუმლო დიპლომატიის ისტორია“. „Secret diplomatic history of the eighteenth century“. ნაშრომი დასრულებული არ არის.

მოეწყო. პოლკოვნიკ ლაპინსკიზე კი შეიძლება ზუსტად ითქვას, რომ თავის წიგნში მან ბევრი რამ არ დაწერა, დამალა. ლაპინსკი წიგნის მე-13 თავში მოგვითხობს, რომ მასთან ერთად ტუაფსეში ჩამოვიდნენ უნგრელი ოფიცერი-რენეგატი, უნგრელი ებრაელი, რომელიც შემდგომ რენეგატი გახდა და ერთი ამერიკელი არტილერისტი, ამის გარდა, სამი თურქი არტილერიის უნტერ-ოფიცერი, ორი ახალგაზრდა კონსტანტინოპოლის სამხედრო სკოლიდან და ვინმე ხუთი აბაზი (ლაპინსკი 1995:13).

ისმაილ-ფაშას მეგობრები უორკები ჰაჯი-კერანდუკი და ისმაილ-ზერკოკი, ასევე რამდენიმე უბიხი სხვა გემით ჩამოსულან ვარდანედან ტუაფსეში. ლაპინსკი თავის რომანში მხოლოდ მასთან ერთად მებრძოლი პოლონელებისა და ჩერქეზების გვარებს ახსენებს. ლაპინსკი არა, მაგრამ მარქსი ასახელებს, მაგალითად, იმ ორი უნგრელის გვარს.

მარქსი კარგად რომ იყო ინფორმირებული 1857 წლის ექსპედიციაზე კავკასიაში, ადასტურებს შემდეგი წერილი, რომელიც გამოაქვეყნა უნგრელმა ოფიცერმა კიოლერმა გაზეთ „პესტერ ლოიდში“[27] და შემდგომ მარქსმა გამოაქვეყნა ინგლისური გაზეთ „ფრი პრესში“[28] 1857 წლის 1 აპრილს 34 ნომერში.

ქვემოთ მოყვანილი წერილი აღებულია გაზეთიდან «Pester Lloyd». *„შტაბ–ბინა ჩერქეზეთში, ტუაფსეში, 26 თებერვალს. „ინგლისურმა ხომალდმა „კენგურუმ“ ჩამოგიტანათ ეს წერილი, რომლითაც ევროპაში ალბათ პირველად შეიტყობენ იმ მოვლენებზე, რომელთაც ძალიან დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ჩერქეზეთის ხალხების მომავალზე. თქვენთვის ცნობილია, რომ მეჰმედ–ბეი (ბანგია), რომლის სამსახურშიც მე ვიმყოფები, უხუცესებისა და ჩერქეზული ტომების დეპუტაციის წინადადებებს დაეთანხმა და მთავარსარდლის პოზიცია დაიკავა. ორშაბათს, 23 თებერვალს, ჩვენ ტუაფსეში ჩავედით, სადაც ჩვენი შტაბ–ბინა მდებარეობს. ჩვენი გამგზავრების წინ მეჰმედ–ბეიმ დაახლოებით ორასი შესანიშნავი სამხედრო ინსტრუქტორი დაიქირავა ჯარის სხვადასხვა სახეობისათვის, მათ მოგვაცილეს აქამდე. ამჟამად მეჰმედ–ბეი უკვე სახალხოდ გამოცხადებულია ჩერქეზული ჯარის მთავარსარდლად. წარჩინებულებმა და ხალხის მიერ არჩეულმა დეპუტატებმა*

---

[27]„Pester Lloyd“ უნგრული ლიბერალური გაზეთი. გამოდიოდა ორჯერ დღეში, 1853 წლიდან იბეჭდებოდა გერმანულ ენაზე. გაზეთი დღემდე ფუნქციონირებს.

[28] „The Free Press“ თავისუფალი პრესა - ინგლისური ოპოზიციური გაზეთი. ქვეყნდებოდა 1855 - 1865 წლებში. 1866 წლიდან გაზეთის სახელწოდებაა - Diplomatic Review.

*ყურანზე დაიფიცეს, რომ დაემორჩილებიან მას, დღეს კი ჩერქეზთა კრების მიერ გამოგზავნილმა დეპუტაციამ წინასწარმეტყველის დროშა ჩამოიტანა, რაც უზენაესი ძალაუფლების ნიშანია. როდესაც ახლადდანიშნულმა მთავარსარდალმა წმინდა ალამის წინაშე ფიცი დადო, ეს უდიდესი ენთუზიაზმით აიტაცეს. (თავად დროშა მწვანე ფერისაა და მასზე თეთრი ხმალია გამოსახული ნახევარმთვარითა და ვარსკვლავით). დიდი მღელვარება სუფევს; ჩერქეზებმა სრული დამოუკიდებლობის მიღწევა ან ამ მიზნისათვის ბრძოლაში თავდადება გადაწყვიტეს. ელოდებიან, რომ მაისისათვის საომარ მოქმედებებში 150 000 ადამიანი მიიღებს მონაწილეობას. „რუსეთი, – მითხრა მეჰმედ–ბეიმ, – მალე დარწმუნდება იმაში, რომ ახალი განწყობები ჭარბობს. მე გავეცანი დოკუმენტებს, რომლებიც ჩემს განკარგულებაშია გადმოცემული (მეჰმედ–ბეი გასული ომის განმავლობაში ჩერქეზების მხარეს იყო) და იმ მოსაზრებას ვუჭერ მხარს, რომ ხალხი, რომელმაც ორგანიზებული სამხედრო მოქმედების გარეშე ოცდაათი წლის მანძილზე შეძლო წინააღმდეგობა გაეწია მტრისათვის, საჭირო ორგანიზებულობის შემთხვევაში სრულ დამოუკიდებულობას მიაღწევს. თქვენ შეგიძლიათ იმედოვნოთ, რომ გაზაფხულის დადგომასთან ერთად მთელ რიგ მნიშვნელოვან ცნობებს მიიღებთ ამ მთიანი ქვეყნიდან“* (მარქსი 1899: 56).

ლაპინსკის ექსპედიაცია კავკასიაში ევროპაში ერთერთ პოპულარულ და გავლენიან გაზეთ „აუსბურგ ალგემაინე ცაითუნგის“ ყურადღების ქვეშ მოიქცა. 1857 წლის 26 მარტის სტატიაში გაზეთის კორესპოდენტი დაწვრილებით უამბობს მკითხველს ექსპედიციის შესახებ და გამოთქვამს აზრს, რომ პროექტი წარმატებით არ დამთავრდება და მეტად სარწმუნო არგუმენტებიც მოყავს: *„26 მარტი. სამხედრო გემის „კენგურუს“ და რამდენიმე ოფიცრის ჩამოსვლამ ტუაფსეში ჩერქეზთა მთავარ ბანაკში აღძრა იმედები, და ორივე მხარე ამ მოვლენას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ვიდრე ის სინამდვილეში იმსახურებს. უნგრეთის მეამბოხეთა ადრინდელი პოლკოვნიკი ბანგია, ახლა მეჰმედ ბეი, არჩეულ იქნა ჩერქეზული ჯარების მთავარ მხედართმთავრად... ყოველი გონიერი ადამიანი იმთავითვე მიხვდებოდა, რომ როგორც შეიარაღება, ასევე ამ დანიშნულების ჯარის შენახვა, ჩერქეზეთში ცალსახად შეუძლებელი იყო, ცნობილია, რომ ჩერქეზების მტრული დამოკიდებულება უცხოელების მიმართ იმდენად მძაფრად არის გამოხატული, რომ*

*ამ პირობებში მათი ორგანიზების უნარი ეჭვქვეშ უნდა დამდგარიყო, რადგან უკვე ადრე მათი ორგანიზების მცდელობა არსებობდა. შესაძლებელი ჩერქეზების ომი უცხოელების დახმარებით იქნებოდა ბოლო წარუმატებელი ომი, თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი რუსული ჯარის პოზიციას, და ჩერქეზების ახლანდელ მეთაურს გამარჯვების დიდი იმედი იმის გამო ჰქონდა, რომ რუსების საბრძოლო ძალებს კავკასიასთან ადრინდელი წლების მასშტაბების მიხედვით აფასებდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ახალ დროში კავკასიის ჯარი საგრძნობლად გაძლიერდა ლეგიონების ჩამოყალიბებით, რეზერვების მოზიდვით, მოქმედი არმიის ორი დივიზიონით და ა. შ., ის უკვე თითქმის სამჯერ ძლიერია ვიდრე ადრე და სათავეში უდგას გამოცდილი გენერლები. ამ პირობებში შესაძლოა „კენგურუს" მისიას არც ჰქონდეს ჩერქეზეთის ბედზე რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა."*[29] (აუსბურგ 1857:1447).

ანუ ორივე გაზეთის სტატიაში ბანგია არის ნახსენები. ვინ იყო ბანგია და რატომ არ ახსენებს მას ლაპინსკი თავის წიგნში? მარქსი კარგად იცნობდა ბანგიას და მას შპიონს, მოღალატეს უწოდებდა, თავის მოსაზრებებს ამ პიროვნებაზე პრესაშიც აქვეყნებდა. ინგლისურ გაზეთ „ფრიპერსში" მარქსი მოუთხრობს ფართო მკითხველს, რომ ბანგია უნგრელების ერთ–ერთი ხელმძღვანელი იყო ჯერ კოშუტის და მერე სემერის დროს; 1851 და 1852 წლებში იმყოფებოდა ინგლისში ემიგრაციაში; საფრანგეთის მთავრობის ჯაშუშიც ყოფილა. 1857 წელს „...ინგლისის მფარველობას იყენებს და ჩერქეზეთში მიემგზავრება, სადაც, ვითომდა, ახალი განწყობები ჭარბობს. ძველი განწყობა ანტირუსული იყო, ახალი – რუსეთისათვის სასარგებლო – ჩერქეზეთმა დამოუკიდებლობას უნდა მიაღწიოს, რომელიც მას არასდროს დაუკარგავს და, ყოველივეს დასასრულ, გამოიგონეს პარლამენტი, რომელიც ჯერ კიდევ შესაქმნელია." ეს სტატია სახელწოდებით „მოღალატე ჩერქეზეთში" მარქსმა გამოაქვეყნა გაზეთ „The Free Press"-ში, 1857 წლის 1 აპრილს, №34. (მარქსი 1984:171-172).

[29] „Ausburg Allgemeine Zeitung" - აუსბურგის საყოველთაო გაზეთი. გამოიცემოდა ყოველდღე, 1798-1882 წლებში.

თუ მოყვანილ წყაროებს დავეყრდნობით, ე.ი. ლაპინსკი და ბანგია ერთად მონაწილეობდნენ უნგრეთის აჯანყებაში და აქედან გამომდინარე, იცნობდნენ ერთმანეთს. სავარაუდოდ კონსტანტინოპოლშიც ერთად მონაწილეობდნენ ექსპედიციის მომზადებაში. ყოველ შემთხვევაში, ისინი ერთი გემით ჩამოდიან ტუაფსეში. ამის შესახებ რუსებიც კარგად იყვნენ ინფორმირებული. ამ ფაქტს ადასტურებს შემდეგი წერილიც: *„რწუნებული ფურცელი გადაცემული ბატონი არგიროპულოსათვის 1857 წლის 2 თებერვალს დიდი ვეზირის საუწყებლად. რუსეთის მისიის მიერ მიღებული ცნობებით, კონსტანტინოპოლის პორტში დგას გემი თურქეთის დროშის ქვეშ, სახელწოდებით „ასლანი", კაპიტანი – კოსტანდი კაბადინი. რომ ამ ხომალდით უნდა გაემგზავროს იგივე დანიშნულებით ორი უცხოელი ოფიცერი, რომლებიც ადრე თურქეთის სამსახურში იმყოფებოდნენ: ერთი მათგანი არის მეჰმედ–ბეი (უნგრელი რენეგატი ბანგია), ხოლო* მეორე – მაიორი *ლაპინსკი, წარმოშობით პოლონელი, თურქი კაზაკების პოლკიდან"* (ადამოვ 1950: 122).

მოგვიანებით, 1857 წლის 20 ივნისს, კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი პირადად უგზავნის საგარეო საქმეთა მინისტრს პატაკს, სადაც ლაპინსკის და ბანგიას – მეჰმედ-ბეის ახსენებს და მათ მოღვაწეობას წვრილად აღწერს: *„კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის პატაკი საგარეო საქმეთა მინისტრსს თურქეთის მხრიდან ჩერქეზების მომარაგებაზე იარაღითა და საბრძოლო მასალით, №50. 1857 წელი, 20 ივნისი.*

*...მაისის პირველ რიცხვებში გელენჯიკში საბრძოლო მასალით დატვირთული კიდევ ერთი გემი ჩამოვიდა. ამ გემით მუჰამედ–ბეი (ბანგია) ჩამოვიდა, მაგრამ ფლიბუსტერებს შორის ის მეორახარისხოვან როლს ასრულებს. ლაპინსკი თავის თავს პოლკოვნიკსა და ევროპული რაზმის მეთაურს უწოდებს"* (ცაგარეიშვილი 1953:464).

ლაპინსკის და ბანგიას ჩერქეზეთში ჩამობრძანების შემდეგ, რუსულმა მეთაურობამ მსტოვრების მობილიზება მოახდინა და 3000 რუბლის პრემია დანიშნა ლაპინსკის თავის სანაცვლოდ. ლაპინსკი ქვეყანაში ცვლილებების გატარებას აპირებდა, რაზეც წინა თავში დეტალურად არის მოთხრობილი. ბანგია ანუ მეჰმედ-ბეის გეგმები სულ სხვაგვარი იყო. მან საიდუმლო მიმოწერა გააბა რუს გენერალ

ფილიპსონთან, კავკასიის არმიის მარჯვენა ფლანგის მეთაურთან. თავის წერილებში ბანგია, რომელსაც, უთუოდ, სეფერ–ბეიც უჭერდა მხარს, რუსებს სთავაზობდა ჩერქეზეთის მშვიდობიანად მიერთებას და მის აღიარებას, როგორც რუსეთის ხელმწიფის პროტექტორატის ქვეშ მყოფი ქვეყნისა, რომელსაც თავისი მმართველი ეყოლებოდა. მისივე თქმით, ბანგიას „ჩერქეზეთიდან მეორე საქართველოს შექმნა“ სურდა. უფრო ზუსტად, მეორე აფხაზეთის, რადგან იმ ხანებში აფხაზეთის მთავარი მიხეილ შერვაშიძე უკვე რუსი ხელმწიფის ქვეშევრდომი იყო. ეს წერილი, როგორც ბანგიას ღალატის მტკიცებულება, მარქსმა გამოაქვეყნა 1858 წლის 16 ივნისს „New-York Daily Tribuns”-ში №6352. დოკუმენტი №5: *„ნუთუ არა არის ჩერქეზეთის დამორჩილება რუსეთის ინტერესი? დიდი მსხვერპლის შედეგად შეიძლება ჩერქეზეთის დაბლობის დაპყრობა, მაგრამ მთის და ბუნებრივი ციხე-სიმაგრეების - ვერასდროს. რუსების ზარბაზნებმა დაკარგეს თავისი მნიშვნელობა. ჩერქეზების არტილერია წარმატებით უპასუხებს რუსულს. ჩერქეზები აღარ არიან ისეთები, როგორც ხუთი წლის წინ იყვნენ... ისინი ბოლო ადამიანამდე იბრძოლებენ თავის რწმენისთვის და სამშობლოსათვის. არარის უკეთესი მისცეთ ჩერქეზებს რაღაც თავისუფლების მაგვარი და დამყაროთ ჩერქეზეთში, რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფ, რომელიმე ნაციონალური თავადის მმართველობა? ერთი სიტყვით, ჩერქეზეთი მეორე საქართველოდ ან კიდე რაიმე ამდაგავარად უნდა გამხდარიყო. თუ ჩერქეზეთი იქნება მჭიდროდ დაკავშირებული რუსეთთან, რუსებიისთვის გაიხსნება გზები ანატოლიაში და ინდოეთში. ბრძენი გაიგებს. Sapienti sat* ( გამგები გაიგებს)“* (მარქსი 1984:495). ბანგია რომ ნამდვილად აწორმოებდა მიმოწერას რუსებთან, გენერალი ფილიპსონიც ადასტურებდა თავის 4 დეკემბრის 1857 წლის გენერალ-მაიორ ნ.ი. კარლგოფის სახელზე გაგზავნილ წერილში (რუკევიჩ 1896:319), 1857 წლის 15 ივლისს ცალკეული კავკასიური კორპუსის სამხედრო მეთაურის გენერალ მილიუტინის სახელზე წარდგენილ პატაკში (აქტები 1904:733).

ვინაიდან ლაპინსკიმ ჩერქეზების უხუცესებთან დაახლოება მოასწრო და იგი მხოლოდ რუსებთან პარტიზანული ბრძოლის გაგრძელებაზე საუბრობდა, ბანგიამ მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა. თურქულ–ჩერქეზული საზღვაო ვაჭრობის დაცვის საბაბით, რომელიც რუსული კრეისერების თავდასხმას განიცდიდა, ბანგიამ

ლაპინსკის გელენჯიკში ბატარეის გამოყვანა უბრძანა და რუსებს უმალ აცნობა, რომ ლაპინსკის ბატარეა არასათანადოდაა დაცული. რუსებმა საზღვაო თავდასხმა მოაწყეს და ბატარეა ხელში ჩაიგდეს, მაგრამ ლაპინსკიმ ჩერქეზების დახმარებით გადარჩენა მოახერხა. ის მუდმივად ადევნებდა თვალყურს ბანგიას ქმედებებს. მისი უნდობლობა უფროსისადმი კონსტანტინოპოლიდან მიღებული პოლონელი ემიგრანტების წერილებით იყო გამოწვეული. ეჭვგარეშეა, რომ ბანგიას მეორედ მხილებაში დიდი როლი მარქსის წერილმა ითამაშა. თავად მარქსი მოგვითხრობს „ბატონი ფოგტი“ X თავში: *„მე ლონდონის «Free Press»–ით, რომელიც დიდი რაოდენობით იყიდება კონსტანტინოპოლში, ვაცნობე საზოგადოებას ამ „განმანთავისუფლებლის“ წარსული საქმიანობის შესახებ“* (მარქსი 2011).

ლაპინსკიმ გენერალ ფილიპსონისადმი მიწერილი ბანგიას წერილის ხელში ჩაგდება მალე მოახერხა, რომელიც ღალატში ამხელდა მას. პოლონელმა ოფიცრებმა ბანგია და მისი ორი უნგრელი ადიუტანტი - რომერი და კიოლერი - დააპატიმრეს. 1858 წლის 29 აპრილის წერილში მარქსი ამცნობს ენგელსს: *„ჩვენი მეგობარი ბანგია თითქოს და სეფერ–ფაშას ვაჟმა უნებართვო მიმოწერაში ამხილა რუს გენერალ ფილიპსონთან. ეს ნიშნავს, რომ ის თავის რამდენიმე უნგრელ და პოლონელ თანამზრახველთან ერთად დახვრიტეს“* (მარქსი ა :56).

1858 წლის 3 იანვარს აულ ადერბში განლაგებულ პოლონურ ბანაკში პოლკოვნიკ ლაპინსკის ხელმძღვანელობით სამხედრო სასამართლოს სხდომა დაიწყო. სასამართლომ ბანგიას ღალატში ბრალდება ნამდვილად სცნო და ყოფილ „ჩერქეზეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს“ დახვრეტა მიუსაჯა.[30]

პროვინცია ნადკანიჟის მკვიდრის ვინმე ჩერქეზი მუსტაფას და ბანგიას პირადი მდივნის აჰმედ ეფენდის წერილობითი ჩვენებები ამოწმებს დაკითხვის პროტოკოლს და ბრალდებას, სადაც ბანგია რუსების ჯაშუშად არის აღიარებული; ხელს აწერენ ლაპისკის რაზმის წევრებიც. ინსტრუქციების მიხედვით სხვადასხვა გზით უნდა შეეღწია იმ რაზმის რიგებში, რომელიც მიემგზავრებოდა საბრძოლველად ჩერქეზეთში. პირველად როდის ჩავიდა ჩერქეზეთში ამ ჩვენებიდან გაურკვეველია,

[30] ამ სასამართლო პროცესს მარქსი დეტალურად აღწერს თავის სტატიაში „ისტორიის საინტერესო ფურცელი“ და აქვეყნებს 1858 წლის 16 ივნისს „New-York Daily Tribuns”-ში №6352 გამოშვებაში (მარქსი 1984: 490-496).

მაგრამ ნათელია, რომ ბანგიამ შესძლო სეფერ-ფაშასთან დაემყარებინა კონტაქტი და შემდგომ მასზე დიდი გავლენაც მოიპოვა. ბანგიას მისია იყო - ყველანაირი ხერხით შეეკავებინა ჩერქეზები შეტევითი ბრძოლისაგან და წინააღმდეგობა გაეწია ჩერქეზეთში უცხოელთა გავლენისათვის. ამ პერიოდში ის რეგულარულად უგზავნიდა მოხსენებებს ფარული მოქმედებების შესახებ „თავის პოლიტიკურ ბელადებს“. კოშუტის ინსტრუქციის მიხედვით ბანგია დაუკავშირდა კონსტანტინოპოლში მყოფ პოლკოვნიკ ტიურს[31] და გენერალ შტეინს[32], რათა ერთიანი ძალებით განეხორციალებინათ ჩერქეზეთში მეორე ექსპედიციის დაგეგმვა. ექსპედიციის გენერალური გეგმა ბანგიას, გენერალ შტეინის და პოლკოვნიკის ტიურის დახმარებით, იყო შემუშავებული კონსტანტინოპოლში მყოფ რუსეთის საელჩოს სამხედრო მდივნის კაპიტან ფრანკინის მიერ. რუსეთის საელჩოს წარმომადგენელი ყველა ამ „სამეულის“ შეხვედრებს ესწრებოდა და რჩევებსაც აძლევდა. გეგმა შემდეგი იყო:

1) აერჩიათ ადგილობრივი თავადი და მისი დახმარებით მშვიდობიანი და ნელი გზით ჩერქეზეთი გადმოებირებინათ რუსეთის მხარეს.

2) მოეხერხებინათ ჩერქეზების დარწმუნება იმაში, რომ სულთნის და სხვა უცხოური ქვეყნებიდან მიღებული დახმარების დაპირებები სიცრუეა.

3) წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით განეხორციელებინათ ჩერქეზების სამხედრო დამარცხებები, რაც გამოიწვევდა მთიელების დემორალიზაციას.

4) მიეღწიათ ჩერქეზების მხრიდან რუსი მეფის, როგორც ნომინალური მმართველის აღიარება, რომელსაც მთიელები სამომავლოდ არ გადაუხდიდნენ ხარკს, ამის სანაცვლოდ მომხდარიყო რუსული გარნიზონების განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე.

დანარჩენ საქმეს კი, კაპიტან ფრანკინს რწმენით, იმპერატორის წყალობა, ფული და რუსული ორდენები დაასრულებდნენ. ბანგია აგრეთვე ისმაილ-ფაშას, რომელმაც ამ მზაკრულ გეგმებზე არაფერი არ იცოდა, დაუკავშირდა და ექსპედიციისთვის მატერიალური დახმარება თხოვა. ისმაილ-ფაშამ კი თავის

---

[31] იშტვან ტიური, უნგრელი ოფიცერი (1825-1908), თურქეთის ემიგრანტი, იღებდა მონაწილეობას რუსეთის წინააღმდეგ ყირიმის ომში.

[32] მაქსიმილიანე შტეინი (1811-1860) - ავსტრიელი ოფიცერი, 1848-1849 წწ. უნგრეთის რევოლუციის დროს რევოლუციური არმიის შტაბის მეთაური, რევოლუციის დამარცხების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა თურქეთში, სადაც მიიღო ფერჰად-ფაშას სახელი.

მხრიდან შესთავაზა, ჩაერთო პროექტში ლაპინსკი და თავისი პოლონური რაზმი, რაზეც ბანგიამ ისმილ-ფაშას უარი ვერ უთხრა. ბანგია უნგრეთის აჯანყებიდან იცნობდა ლაპინსკის და მისი ნდობით სარგებლობდა. ასე, რომ ლაპინსკის კანდიდატურა გენერალ შტეინის ანუ იგივე ფერჰათ-ფაშასგანაც დადებითად იყო შეფასებული. ბანგიას უნდოდა მეტი დრო დაეთმო ექსპედიციის მომზადებისათვის, მაგარამ მას კაპიტან ფრანკინიმ უამბო, რომ მთელ კონსტანტინოპოლში ჭორი გავრცელდა ექსპედიციის შესახებ და რუსეთის საელჩოს საქმეში არ ჩარევის შემთხვევაში, დაიბადებოდა ეჭვი რუსების თანამონაწილეობაზე. ასე მოხდა ლაპინსკი ბანგიასთან ერთად „კენგურუზე“, რომელიც 15 თებერვალს გაეგმგზავრა ჩერქეზეთში. შემდეგი ინსტრუქციის მიხედვით ბანგიას უნდა დაემყარებინა ურთიერთბა რუს გენერალთან ანუ ფილიპსონთან, მაგარამ მისი ანონიმური წერლი, როგორც წერს მოგვიანებით თავის აღიარებაში ბანგია, რუსი მეთაურის სისულელის გამო აღმოჩდა ზემოთხსნებული კომისიის ხელში.

1858 წლის 11 იანვარს აულ ადერბში შემდგარმა სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოიტანა: *„მოსმენილ იქნა პოლკოვმიკ მეჰმედ-ბეის აღიარება 2, 3, 4, 5, 6, 7 და 11 იანვრის სხდომებზე და აგრეთვე 9 იანვრის სხდომაზე მოწმეების ჩვენება. დღევანდელ სხდომაზე სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით მეჰმედ-ბეი, მისი აღიარებითი ჩვენების და მოწმეების ჩვენების საფუძველზე, ერთხმად ამხილა სამშობლოს ღალატში და მტერთან ფარულ მიმოწერაში. ჩამოერთვას ღირსება და სამხედრო ჩინი, რომელც მიენიჭა მას ამ ქვეყანაში და მიესაჯოს დახვრეტა.“*

ხელმოწერები: რიგითი იაკუბ ბეკერტი, ბომბარდირი ფილიპე ტერტელტაუბი, მატეი ბედნეიზეკი, სერჟანტი; ოტტო ლინოვსკი, კანონირი; ფრანტიცეკ სტოკი, პოდპორუჩიკი; ანტონი კრისევიჩი, პოდპორუჩიკი; მიხაილ მარეცკი, პორუჩიკი; ლეონ ზავადსკი, კანონირი; სტანისლავ ტანცკოვსკი უმცროსი კაპრალი;იან გამანისკი, სერჟანტი; ალექსანდრე მიხიცკი, უფროსი სერჟანტი; კაზემირ ვისტოცკი, პოდპორუჩიკი; იუზეფ არანოისკი, პორუჩიკი, პეტრე სტანკევიჩი, კაპიტანი, თეოილ ლაპინსკი, პოლკოვნიკი.

თუმცა, განაჩენი სისრულეში მოყვანილი არ იქნა, ვინაიდან ზანგია თურქეთის არმიის პოლკოვნიკი იყო და მის დახვრეტას თურქეთთან ურთიერთობის გართულება შეიძლებოდა მოყოლოდა.

1858 წლის აპრილში ზანგია თავისი ცოლ–შვილით კონსტანტინოპოლში გაამგზავრეს თურქული იალქნიანი გემით. აქ მან გაზეთს «Presse d'Orient»–ში 1858 წლის 26 აპრილს გამოქვეყნებული წერილით საქმე აღძრა ლაპინსკის წინააღმდეგ და ის ინტრიგასა და ღალატში დაადანაშაულა. ეს ისტორია საბოლოოდ როგორ სახეს მიიღებდა არავინ არ იცის, კონსტანტინოპოლში რომ არ ჩამოსულყო ჩერქეზების დიდი დელეგაცია სეფერ-ბეის წერილებით აღჭურვილი. დეპუტაციამ მიაკითხა „პრესს დორიენტის“ რედაქტორს და დაუდასტურა მას, რომ ზანგია მოღალატეა. ჩერქეზებმა გამოთქვეს მზადყოფნა ეს ჩვენება ზანგიას თანდასწრებით, ყურანზე ფიცით დაედასტურებინათ. ზანგიამ ვერ გაბედა წარდგენა დეპუტაციის წინაშე და არც მისი მფარველებს არ გამოუხატიათ სურვილი, რომ მას თავი დაეცვა. ზანგია, რომ რუსი ჯაშუში იყო, კონსტანპინოპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩიც, ბატონი ტუვენელიც ადასტურებდა. სტატია სახელწოდებით „კიდევ ერთი ისტორიის საინტერესო ფურცელი“ დაბეჭდილია „New-York Daily Tribune“ № 5436, 23 სექტემბერს 1858 წელს (მარქსი 1984:572-578).

რაც შეეხება ამ საქმის მეორე ფიგურანტს, გერმანელ ბარონ შტეინს, მასზე „აუსბურგ ალგემაინე ცაითუნგი“ წერდა: *„პერა, 22 აპრილი. როგორც უკვე იცით, გამოძიება ფერჰად ფაშას და ისმაილ ფაშას წინააღმდეგ უკვე რამდენიმე დღეა დასრულდა, და განაჩენიც გამოტანილ იქნა. ფერჰად ფაშა გადასახლებულ იქნა რუტაჰიაში*[33]*, გადასახლებულთა ყოფილ ადგილზე როსატში, და ისმაილ ფაშა ბოლოში*[34]*, 12 საათის სავალზე ისმიდიდან. გადასახლება მათ განუსაზღვრელი ვადით მიესაჯათ. ეჭვს არ იწვავს ის, რომ მდიდარი და თურქებთან პატივცემული ისმაილ ფაშა, რომელსაც თვით რეშიდ ფაშა მფარველობდა, აქაურ დიდებულებში კეთილგანწყობას იმსახურებდა. ჩვენს ყოფილ თანამემამულეს იგივე წყალობა ასე მალე არ შეეხო, რადგან მთელი გამოძიებიდან აშკარად ჩანს, რომ მის მიმართ არ იყვნენ კეთილგანწყობილნი. რამდენიმე ადამიანის კეთილმოსურნეობის წყალობით*

[33] იგულისხმება პროვინცია ქუტაჰია.

[34] როსატი და ბოლო - თურქეთის პროვინცია ქუტაჰიის დასახლებები.

*ფერჰად ფაშა გათავისუფლებულ იქნებოდა, რადგან ის მტკიცებულებებით და მისივე გულახდილი აღიარებით ბანგიას იმდენად ჰყავდა შეცდომაში შეყვანილი, რომ ეგონა, მთელი ეს ოპერაცია თურქეთის მთავრობიდან მოდიოდა. ბანგიას, ისევე როგორც ისმაილ ფაშას, ფერჰად ფაშა ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმ აზრზე უნდა დაეტოვებინათ, რომ მთავრობა მას ამ მისიით განმათავისუფლებელ ფირმანს ანდობდა, რომ ის საბრძოლო აღჭურვილობას და ფულს, აგრეთვე ყველა კლასის მედშიდთა რამდენიმე ორდენს ჩერქეზებს გადასცემდა, რათა მათ მისი მფარველობის ქვეშ მასთან ურთიერთობა შეძლებოდათ. ფერჰად ფაშამ ეს დაიჯერა, რადგან პოლიტიკური ვითარება რაღაც დონეზე მას ამის უფლებას აძლევდა. ის მზად აღმოჩნდა ჩერქეზეთში ასეთ ვითარებაში ამგვარად შემოთავაზებული სარდლობა მიეღო და საქმიანობის დასაწყისშივე დასახა ოპერაციის გეგმა და შეადგინა მოწმობა საომარი მასალისა და ფულის საჭიროებაზე. თუმცა მალე ფერჰად ფაშასთვის ცხადი გახდა, რომ მთავრობას ამ ღონისძიებაზე არაფრის გაგონება არ სურდა და მშვიდობიანი მოლაპარაკების შემდეგ არც არასდროს ჰქონია განზრახვა მსგავსი იდეა განეხორციელებინა. ამ მომენტიდან, როცა ფერჰად ფაშა ამაში დარწმუნდა, ხელი აიღო ღონისძიებაში ყოველგვარ მონაწილეობაზე, და მთლიანად ჩამოშორდა ისმაილ ფაშას და ბანგიას. გამოძიების დასასრულს შეუძლებელი იყო ფერჰად ფაშას მეტად დადანაშაულება. სინამდვილეში მის მოსამართლეებს სურდათ ამ ვითარების გათვალისწინებით მისი განთავისუფლება, რომ არა აქამდე ჯერ კიდევ უცნობი გარემოება, რომელმაც აიძულა ისინი სხვა განაჩენი გამოეტანათ.. მიუხედავად გამოძიებისა და განაჩენისა, ამ ისტორიაში ბევრი რამ გასარკვევია, და ფერჰად ფაშას, ჩემი აზრით, უდანაშაულოდ დაესვა ამ პოლიტიკური ცოდვის ჩამდენის დაღი. დასარულ შეიძლება ითქვას, რომ ტალანტით სავსე ფერჰად ფაშა კავკასიის ხალხებისთვის უფრო „ძვირფასი მონაპოვარი" იქნებოდა, ვიდრე ის ბანგია, რომელსაც როგორც თავგადასავლის მაძიებელს უკვე ის ფაქტი ამხელს, რომ ის ჩერქეზეთში ყოფნის დროს ომის განმავლობაში მასონური ორდენებით დაწინაურდა, რადგან სხვა ჯილდოები მას არ გააჩნდა"* (აუსბურგ 1857:2023).

გადასახლების რამდენიმე თვის შემდეგ, რუსეთის საიმპერატორო გვარისადმი მიძღვნილი ზეიმის გამო, გენერალი შტეინი, იგივე ფერჰათ-ფაშა და ისმაილ-ფაშა

რუსეთის ელჩის თხოვნით, დაბრუნებულ იყვნენ კონსტანტინოპოლში (მარქსი 1984: 572-578).

რაც შეეხება ლაპინსკის წერილს, ძნელია ამაზე საუბარი. ერთადერთი დავით ურქვარტმა ლონდონში შეხვედრისას პოლონელს „რუსების ჯაშუში“ უწოდა (პეტერ ბროკ 1956:423). არავის არ დაუჯერებია მასთვის, ალბათ იმის გამო, რომ ის თვით პრემიერ-მინისტრ პალმერსტონსაც კი რუსების შპიონს უწოდებდა. რა ინფორმაციას ფლობდა ურქვარტი ლაპინსკის შესახებ ჩვენთვის უცნობია. ფაქტია, რომ ლაპინსკი, რუსების სასარგებლოდ ჯაშუშობაში სხვას არავის არ უმხელია. ევროპაში ყოფნისას, თეოფილ ლაპინსკი კვლავ ცდილობდა მოეწყო ახალი ექსპედიცია ჩერქეზეთში. კერძოდ, 60-იანი წლების დასაწყისში, ლონდონში მისი ყოფნის პერიოდში, მან ინგლისის მთავრობას კავკასიაში ინტერვენციის ახალი გეგმა შესთავაზა, რომელიც არ იქნა მიღებული. ყველას ესმოდა, რომ იმ დროისათვის ჩერქეზეთის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

1862 წლის ბოლოს ლაპინსკი აფხაზ-ადიღთა დელეგაციის სათავეში ლონდონში ჩავიდა. ისინი ინგლისის პრემიერ-მინისტრმა, ლორდ პალმერსტონმა მიიღო. ლაპინსკი მის წინაშე მოკლე გამოსვლით წარსდგა: *„აფხაზები ამ მომენტში ერთადერთ ტომს წარმოადგენენ, რომელიც კვლავაც უწევს რუსეთს მძლავრ წინააღმდეგობას კავკასიაში. მაგრამ ისიც დაუძლურდა არათანაბარი ბრძოლის წნეხის ქვეშ და ასეთ პირობებში სამ წელს თუ გაუძლებს, შემდეგ კი გარდაუვლად მიბაძავს სხვა კავკასიელი ტომების მაგალითს: თურქეთისაკენ დაიძვრება. ჩრდილოეთის კოლოსის შესუსტების და მისი ჯარების სამხრეთში რამეთი მაინც დაკავების მიზნით, ევროპას მამაცი მთიელების მხარდაჭერა მართებს და ამით, შესაძლოა, ყველა იქაური მთიელის გადარჩენა. ვის, თუ არა ინგლისს, მსოფლიოს პირველ საზღვაო სახელმწიფოს, ეკუთვნის ამ შემთხვევაში სულგრძელი და სტრატეგიული ინიციატივა“.* პალმერტსონმა უარი უთხრა რაიმე დახმარების გაწევაზე: *„თქვენ ძალიან სწორად უყურებთ კავკასიას, პოლკოვნიკო; ნამდვილად, ტომები ერთი მეორეს მიყოლებით ნებდებოდა რუსეთის ენერგიულ მიწოლას. ყველა ჩვენი ელჩი და კონსული აღმოსავლეთში ამას მატყობინებდა ორმოცი წლის*

*განმავლობაში. რა არის ამაში ბრძნული, თუ აფხაზები ამჟამად იმავეს აკეთებენ!“ დელეგაცია ხელცარიელი გამობრუნდა უკან* (ზგაჟბა 2013).

1863 წლის პოლონეთში ამბოხების დროს თ. ლაპინსკიმ ძალისხმევას მიმართა მეამბოხეთათვის დახმარების გაწევის მიზნით. ამავე წლის მარტში პოლონური ემიგრაციის ლიდერებმა გადაწყვიტეს საზღვაო ექსპედიციის გაგზავნა ლიტვის ნაპირებთან პოლონეთისა და ლიტვის მეამბოხეთათვის დახმარების გასაწევად. ექსპედიციას თ. ლაპინსკი გაუძღვა. ა.ი. გერცენი, რომელიც ასევე იღებდა მონაწილეობას ექსპედიციის ორგანიზებაში, წერდა: *„ხანგრძლივი ძიების შემდეგ დომანტოვიჩი და პარიზელი მეგობრები შეჩერდნენ პოლკოვნიკ ლაპინსკიზე, როგორც ექსპედიციის უნიჭიერეს სამხედრო მეთაურზე. ის იმდენად დიდხანს იყო კავკასიაში ჩერქეზთა მხარეს და იმდენად კარგად იცოდა მთებში ომის მართვა, რომ ზღვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. სულელურს ამ არჩევანს ვერანაირად ვერ ვუწოდებდით“* (გერცენი 1973 :349).

ლიტვის ნაპირებისკენ „Ward Yackson“ გემით განხორციელებული თ. ლაპინსკის ექსპედიცია უიღბლო აღმოჩნდა. მოხალისეებმა ვერ შეძლეს კლაიპედის სიახლოვეს ხმელეთზე დესანტის გადასხმა. 1863 წლის ივლისის დასაწყისში ლაპინსკი საზღვაო ექსპედიციის ახალ მცდელობას წამოიწყებს, რისთვისაც დანიური შხუნა „ემილიას“ ბორტზე აყვანილ მოხალისეთა რაზმით კვლავ მიაშურებს ლიტვის ნაპირებს. მაგრამ პალანგის რაიონში გადმოსხდომისას შტორმი დაიწყო, რომლის დროსაც ადამიანთა ნაწილი დაიღუპა. შხუნა იძულებული იყო დაბრუნებულიყო შვედეთის კუნძულ გოტლანდზე.

ექსპედიციათა წარუმატებლობის შემდეგ თ. ლაპინსკი მძიმე ეკონოკიკურ მდგომარეობაში იმყოფებობდა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მან საარსებო საშუალებას მოკლებულ თავის თანამემამულეს სკვერციაკევიჩს მოპარა უკანასკნელი პალტო და ფული და გაუჩინარდა (გერცენი 1963: 495).

ზემოთ მოყვანილი ფაქტები ცალსახად მეტყველებენ, რომ ლაპინსკის ექსპედიაცია რუსების მიერ იყო დაგეგმილი. ამ ისტორიამ, ევროპულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიების შედეგად, ფართო რეზონანსი მოიპოვა. ფრანკფურტის ნაციონალური კრების დეპუტატმა კონსერვატორმა ლ. სიმონმა, რევოლუციონერებს

